საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№47 (234)
18 – 24 დეკემბერი, 2013
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## რას მოუტანს საქართველოს უკრაინული კრიზისი?
4



# «სვისტოკიანები»
6

## ვინ არიან და საიდან მოვიდნენ რეგიონების ახალი რწმუნებულები

პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ გუბერნატორების პოსტზე დანიშნული პირებიდან ბევრი პოლიციის ყოფილი თანამშრომელია... გუბერნატორებს შორის არიან ბიძინა ივანიშვილის კუთვნილი ტელეკომპანია „მეცხრე არხისა“ და „ქართუ ბანკის“ თანამშრომლებიც...

# უმცროსკლასელებს ჰომოსექსუალური სცენების შემცველი რომანები დაურიგეს


8

# სიღარიბეში მყოფი ადამიანების რიცხვმა საქართველოში 80%-ს მიაღწია
16





საქართველოში მოსახლეობის 35% 1800 კკალ-ზე ნაკლებს იღებს, 50% კი ისეთი კატეგორიაა, რომელიც გაეროს მიერ განსაზღვრულ მინიმუმზე — 2100 კკალ-ზე ნაკლებს ითვისებს, თანაც საშუალო მომხმარებლის საკვები რაციონის 60%-ზე მეტი პურპროდუქტებზე მოდის

3 ავტონომიური ჯიპი და მოთმინების ფიალა

7 სპეციალური შავი ყუთები სატელეფონო მიყურადებისთვის

10 ეკონომიკა, კულტურა, ჯარი, ეკლესია, განათლება — ამ ინსტიტუტებიდან ყველა დაკნინებულია

11 «რა მნიშვნელობა აქვს, გაუბედურებულ საქართველოს სააკაშვილი დაამხობს თუ ივანიშვილი?!»

14 «ნაცმოძრაობა» უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ შექმნილი ორგანიზაციაა

# ევრომაიდანის ცისფერი ხიბლი
12

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვლადიმერ პუტინი უპირისპირდება გლობალისტურ პროექტს. ასეთი დაპირისპირება ხალხების მოთხოვნას ეფუძნება, არ არის ომი ფინანსების ან ტერიტორიების მოსაპოვებლად. ეს არის ომი არსისთვის, იდეოლოგიისა და რწმენისთვის, ანუ იმისთვის, რაც მსოფლიოს არსებობის საფუძველთა საფუძველია. იგი აბსოლუტურად უპირისპირდება ევროატლანტიკური გლობალიზატორების კურსს, რომელიც უარყოფს საკაცობრიო ფუნდამენტურ ღირებულებებს.**

# ანტიგლობალისტებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

**„ჩვენ მივისწრაფით, ვიყოთ ლიდერები, მოვუპოვოთ პატივისცემა მსოფლიოს ყველა ხალხის ეროვნულ სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობასა და თვითმყოფადობას“ — ამ ფორმულირებით, რომელიც ვლადიმერ პუტინის მიმართვაში იყო, მან, ფაქტობრივად, დაადასტურა, რომ რუსეთი ხდება გლობალიზაციის მოწინააღმდეგე ყველა ტრადიციული ძალის ბურჯი, გლობალიზაციისა, რომელიც პირისაგან მიწისა აღგვის ხალხებს და ანადგურებს ცივილიზაციებს.**

სირიის საშინაო საქმეებში გარეშე ძალების სამხედრო ჩარევის თავიდან აცილებაში რუსეთის პოლიტიკა პრაქტიკულად გადამწყვეტი აღმოჩნდა. პრეზიდენტმა თავი აარიდა აშშ-ის კრიტიკას, რომელმაც მსოფლიო უდიდესი კონფლიქტის საშიშროების წინაშე დააყენა. **წარმატება, რომელიც კრიზისის გადაჭრაში „დიპლომატიურმა არჩევანმა“ შეასრულა, პუტინმა წარმოაჩინა, როგორც „ჩვენი საერთო“ მიღწევა.** მთავარი დასკვნა ასეთია: **„ნებისმიერი საერთაშორისო პრობლემა შეიძლება და უნდა იყოს კიდეც გადაჭრილი მხოლოდ პოლიტიკური საშუალებებით... ძალადობრივ აქციებს არ აქვს პერსპექტივა“.**

აშშ-სა და დასავლეთს არ აქვთ უფლება, იმოქმედონ ძალისმიერი მეთოდებით, საკუთარი ნება სხვებს თავს მოახვიონ. ეს არამხოლოდ პუტინის სურვილია, არამედ რეალობის კონსტატაცია: აშშ-ს უკვე აღარ შეუძლია, აიძულოს ქვეყნების უმრავლესობა, მხარი დაუჭირონ ძალისმიერ ქმედებას ან თუნდაც ჩუმად მიიღონ იგი. **ამერიკისადმი დამოკიდებულება მსოფლიოში უფრო და უფრო ნეგატიური ხდება. ამას ადასტურებს მიმავალი წლისთვის დამახასიათებელი სკანდალები, თუნდაც ტოტალური ამერიკული ჯაშუშობის მხილება, არაფერი რომ არ ვთქვათ დოლარის პირამიდის მოსალოდნელ კრახზე.**

აშშ-ის უძლეველობის მითი დაიმსხვრა.

**პუტინმა გააკრიტიკა რუსეთში ჯერ კიდევ შემორჩენილი „პორაჟენცული“ განწყობილებები, რომლისგანაც ჯერ კიდევ ვერ გათავისუფლებულა ქვეყნის ელიტის მნიშვნელოვანი ნაწილი.** „არავის **უნდა ჰქონდეს რუსეთზე სამხედრო უპირატესობის მოპოვების ილუზია. ჩვენ ამას არასოდეს დავუშვებთ. რუსეთი უპასუხებს ყველა ასეთ გამოწვევას: პოლიტიკურსაც და ტექნოლოგიურსაც“.**

უკრაინაზე პუტინმა ევრაზიული ინტეგრაციის კონტექსტში ილაპარაკა. მისი აზრით, ამ ქვეყნის ორიენტაციის საკითხი ფართო პრობლემის შემადგენელი ნაწილია, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცის გაერთიანების უმთავრესი საკითხია უახლოეს პერსპექტივაში. ხაზი გაუსვა ევრაზიული ინტეგრაციის რეალურ მიღწევებს (ყირგიზეთისა და სომხეთის მიერთება), „რაც ჩვენი (რუსეთის) მეზობლების ინტერესის საგანი ხდება“.

**უკრაინაში განვითარებული მოვლენების თაობაზე ვლადიმერ პუტინმა დიპლომატიური თავშეკავებით ამჯობინა ლაპარაკი, რაც აბსოლუტურ კონტრასტად წარმოჩნდა ამერიკელი და ევროპელი პოლიტიკოსების ქცევის აღვირახსნილი პროპაგანდის ფონზე, რასაც ისინი კიევში ეწევიან.** მან განაცხადა, რომ უკრაინაში მოქმედი ყველა პოლიტიკური ძალა შეძლებს, მოილაპარაკოს უკრაინელი ხალხის სასარგებლოდ. **„ჩვენ არავის არაფერს ვახვევთ თავს, მაგრამ, თუ ჩვენს მეგობრებს აქვთ სურვილი ერთობლივი მუშაობის, მზად ვართ, გავაგრძელოთ ეს სამუშაო (შეთანხმება საბაჟო კავშირზე) ექსპერტთა დონეზე“,** — თქვა მან.

მნიშვნელოვანი იყო პუტინის განცხადება, რომ ევრაზიული პროცესის წინ წაწევა სულაც არ ნიშნავს მის დაპირისპირებას სხვა ინტეგრაციულ პროცესებთან, უწინარესად, ევროპული პროექტის მიმართ. ორივე პროექტი „ურთიერთშემავსებელია“, ე. ი. რუსეთმა



ვლადიმერ პუტინი:

**არავის უნდა ჰქონდეს რუსეთზე სამხედრო უპირატესობის მოპოვების ილუზია. ჩვენ ამას არასოდეს დავუშვებთ. რუსეთი უპასუხებს ყველა ასეთ გამოწვევას: პოლიტიკურსაც და ტექნოლოგიურსაც**

და ევროპამ უნდა მოილაპარაკონ ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობაზე.

საგარეოპოლიტიკური კურსის შესახებ საუბრისას, პუტინმა განაცხადა, რომ **„რუსეთს არ აქვს პრეტენზია ზესახელმწიფოებრიობაზე. არ მიისწრაფვის არც რეგიონული არც მსოფლიო ჰეგემონიისკენ, არ ვემუქრებით ვინმეს ინტერესებს, არავის თავს არ ვახვევთ ჩვენს მფარველობას, არ ვცდილობთ, ვასწავლოთ, როგორ იცხოვროს“.** მაგრამ, ამასთან ერთად, **„რუსეთი ლიდერობისკენ იქნება მიმართული, დაიცავს საერთაშორისო სამართალს, პატივს სცემს ეროვნულ სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას და ხალხთა თვითმყოფადობას“.**

ეს არის ერების გადარჩენის გზა, რადგან, თუ ერი არ დათმობს თავის სახელმწიფოებრიობას, თავის კულტურას და ეროვნულ ღირებულებებს იგი იცოცხლებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, განწირულია.

**„დღეს მრავალ ქვეყანაში მიმდინარეობს მორალისა და ზნეობრიობის ნორმების გადახედვა, ქრება ეროვნული ტრადიციები, ერებისა და კულტურების განსხვავებულობა“.** ასეთი, ერთი შეხედვით, რეალობის მარტივი კონსტანტაციით **პუტინი უპირისპირდება გლობალისტურ პროექტს. ასეთი დაპირიპირება ხალხების მოთხოვნას ეფუძნება, არ არის ომი ფინანსების ან ტერიტორიების მოსაპოვებლად. ეს არის ომი არსისთვის, იდეოლოგიისა და რწმენისთვის, ანუ იმისთვის, რაც მსოფლიოს არსებობის საფუძველთა საფუძველია. იგი აბსოლუტურად უპირისპირდება ევროატლანტიკური გლობალიზატორების კურსს, რომელიც უარყოფს საკაცობრიო ფუნდამენტურ ღირებულებებს.**

უნივერსალიზაციის პროცესს, გლობალისტების აზრით, ალტერნატივა არ გააჩნია, საკუთარი სიმართლის პარანოიდულ თავდაჯერებულობაში მათ ეხმარება სერიოზული საინფორმაციო, საფინანსო და სამხედრო უპირატესობა.

რუსეთს ყოველთვის ჰქონდა თავისი განსაკუთრებული, უნიკალური პოზიცია და ამიტომ, **როცა პუტინი უპირისპირებს საკუთარი ქვეყნის „მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას, რომელიც ერთი ქვეყნის ფარგლებში მრავალეროვნული განვითარების მაგალითია“, უძარღვო და უნაყოფო ე. წ. ტოლერანტობას, იგი აბსოლუტურად მართალია, რადგან რუსეთულ თანაცხოვრებას ანალოგი არ გააჩნია მთელ მსოფლიოში.** რუსეთის ცივილიზაცია მსოფლიო მოწყობის იდეალია, რაც განაცხადა პუტინმა თავის მიმართვაში. ასე მიიჩნევენ ექსპერტები, რომლებიც ამ მიმართვის ტექსტს აანალიზებენ.

**„უკანასკნელ წლებში ჩვენ ვნახეთ, რომ განვითარების ახალი, პროგრესული მოდელის სხვებისთვის თავსმოხვევა რეგრესად შემობრუნდა, ბარბაროსობად, დიდ სისხლად“,** — თქვა ვლადიმერ პუტინმა. პრეზიდენტს არ უცდია, დაეჯერებინა მსმენელები, რომ ის, რაც მოხდა, დასავლეთის ქვეყნების შეცდომის ან უცოდინარობის შედეგი იყო, თითქოს მათ უკეთესი სურდათ, მაგრამ არ გამოუვიდათ. თავიანთი მაღალი ცივილიზაცია მოიტანეს, ქვეყანა იხსნეს „სისხლიანი ტირანისგან“, „ამ ველურებს კი არაფერი გამოუვიდათ, ყველაფერი ჩაუვარდათ“.

**სიმართლე ისაა,** — აღნიშნავენ ექსპერტები, — **რომ გლობალიზაციის მესაჭეები შეგნებულად ძირს უთხრიან იმ ძალებსა და ქვეყნებს, რომლებიც ცდილობენ, გაუწიონ წინააღმდეგობა ან თუნდაც ხელი შეუშალონ „საერთო მსოფლიო დემოკრატიის“ „ძლევამოსილ“ წინსვლას.**

პუტინის განცხადება რუსეთის ლიდერობის შესახებ იმ ჭრილში, რომელიც ზემოთ იყო ნახსენები, არის გამოწვევა გლობალიზაციის მანქანისთვის. ეს არის მოწოდება მათდამი, ვისაც არ სურს, რომ უახლოეს მომავალში „მსოფლიო მთავრობამ“ უკარნახოს ყველას, რისი უნდა სჯეროდეთ და როგორ უნდა იცხოვრონ.

ეს განცხადება განსაზღვრავს რუსეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებს. ახლო მომავალში ეს პრიორიტეტები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს არამარტო პოსტსაბჭოთა სივრცეზე, არამედ ზოგად გეოპოლიტიკურ სურათზე. **რუსეთმა საკუთარ საგეროპოლიტიკურ ფუნქციასა და მიზანზე ღიად განაცხადა. ფაქტია, რომ მისი მიდგომები გლობალიზაციის მანკიერებათა მიმართ, ასევე სურვილი, იყოს ტრადიციულ საზოგადოებათა დამცველი, საქართველოსთვის გაცილებით მისაღები და საჭიროა, ვიდრე ის, რასაც „ევროინტეგრაციის“ სახელით გვთავაზობენ.** იმედი უნდა დავიტოვოთ, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება ამ ყველაფრისგან სათანადო დასკვნებს გამოიტანს და, რაც მთავარია, სათანადო ნაბიჯებს გადადგამს, თუმცა, როგორც ამბობენ, მორბენალს კოჭებში ეტყობაო. **სამწუხაროდ, ჯერჯერობით ახალ ხელისუფლებასაც არაფერი ეტყობა, რომ გეოპოლიტიკურ რეალიებს ადეკვატურად აღიქვამს, არაადეკვატურობისა და არასწორი ვექტორის შედეგად მალე საქართველოსგან, შესაძლოა, მხოლოდ გეოგრაფიული ტოპონიმებიღა დარჩეს.**

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

**გლობალიზაციის მესაჭეები შეგნებულად ძირს უთხრიან იმ ძალებსა და ქვეყნებს, რომლებიც ცდილობენ, გაუწიონ წინააღმდეგობა ან თუნდაც ხელი შეუშალონ «საერთო მსოფლიო დემოკრატიის» «ძლევამოსილ» წინსვლას**

**გაძვალტყავებულ ქვეყანაში, სადაც უამრავი ოჯახი შიმშილის ზღვარზე ცხოვრობს, უახლესი მოდელის ჯიპზე ამხედრებული ჩინოვნიკი ზიზღის გარდა სხვა რეაქციას ვერ გამოიწვევს არამხოლოდ ადგილობრივებში, არამედ უცხოელებშიც, რომელთაც ,,მესამე სამყაროს“ ქვეყნებში მსგავსი კარიკატურული პერსონაჟები არაერთგზის უნახავთ.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ავთონომიური ჯიპი და მოთმინების ფიალა

**ქართულ პოლიტიკურ მითოლოგიაში ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს ,,მოთმინების ფიალა“ იკავებს. არავინ იცის, რა მოცულობისაა ის და რამდენად სწრაფად ივსება, მაგრამ ამავე დროს (და არის ამაში რაღაც პარადოქსული) ყველასთვის ცხადია, რომ საუბარი ,,ბოლო წვეთზე“ და ხსენებული ფიალის ავსებაზე ჯერჯერობით ნაადრევია. საზოგადოება ახალ მთავრობას თითქმის ყველა შეცდომას პატიობს, ისევე, როგორც ამას 2004-06 წლებში აკეთებდა, ან კიდევ მას შემდეგ, რაც შევარდნაძის ხელისუფლებამ არეულ ქვეყანაში ფარდობითი სიმშვიდე დაამყარა. ,,თაფლობის თვე“ ჯერჯერობით გრძელდება. მაგრამ მძიმე წვეთები ერთი მეორის მიყოლებით ეცემა მოთმინების ფიალაში და ადრე თუ გვიან ერთ-ერთი მათგანი ბოლო გახდება.**



## ავთანდილ ბერიძის ავტოსკანდალის ფარგლებში მურმან დუმბაძემ საკუთარი თავის სრული, დაუვიწყარი და შოკისმომგვრელი ლუსტრირება მოახდინა

გასული კვირის ყველაზე რეზონანსული ისტორია დაიწყო იმით, რომ აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, ავთანდილ ბერიძემ, 83 ათას ლარად უახლესი მოდელის სამსახურებრივი მანქანის შეძენა განიზრახა. არაფერი ორიგინალური ამაში არ იყო, მსგავსი იდეები ქართველი ჩინოვნიკების თავში ერთი მეორის მიყოლებით იბადება და, შესაბამისად, ახალი, აშკარად მანიაკალური ხასიათის ტენდერების გამოცხადება ხდება. მაგრამ ვინაიდან ბერიძე საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირია, საზოგადოება ამჯერად შეშფოთდა და ნაწილობრივ აღშფოთდა კიდეც.

**საერთოდ, სახელისუფლო სტრუქტურების ავტოპარკში საკმარისზე მეტია 2-3 წლის წინ ნაყიდი მანქანა, რომლებიც მშვენივრად გამოიყურება და მაღალი გამავლობითაც გამოირჩევა. აგრეთვე,** (თუ მაინც და მაინც) **შესაძლებელია გაცილებით იაფი ავტომობილების შეძენაც. მაგრამ, როგორც ჩანს, სიღრმისეული მოტივი, რომელზეც მიანიშნებს უკვდავი ფრაზა „უნახავმა რა ნახაო“ ყველა წარმოსადგენ კონტრარგუმენტს უკუაგდებს.**

**გაძვალტყავებულ ქვეყანაში, სადაც უამრავი ოჯახი შიმშილის ზღვარზე ცხოვრობს, უახლესი მოდელის ჯიპზე ამხედრებული ჩინოვნიკი ზიზღის გარდა სხვა რეაქციას ვერ გამოიწვევს არამხოლოდ ადგილობრივებში, არამედ უცხოელებშიც, რომელთაც „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში მსგავსი კარიკატურული პერსონაჟები არაერთგზის უნახავთ.** ამჯერად მხოლოდ მანქანებით შემოვიფარგლოთ და დროებით თავი დავანებოთ საბიუჯეტო თანხებით შეძენილ უახლეს სმარტფონებს და სხვა სახელისუფლო აქსესუარებს, თორემ იმის მოყოლა მომიწევს, როგორც ცდილობდა ერთი სახელმწიფო მოხელე „აიფონ 5“-ის ფუნქციებში გარკვეულიყო; მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ის გამოიყურებოდა, როგორც შიმპანზე ყუმბარით ხელში.

„ნაციონალები“ უარესად იქცეოდნენ. კი, ბატონო, მაგრამ მათი, ისევე როგორც პაპუა-ახალ გვინეაში, იატაკქვეშეთში მოქმედი კანიბალების ქცევიდან თუ კორპორატიული ტრადიციებიდან არანაირად გამომდინარეობს, რომ საზოგადოებამ ავთანდილ ბერიძე უნდა დაინდოს. არავინ ამბობს, რომ ამ მონუმენტალურმა მოღვაწემ მოტოროლერით უნდა იაროს, მაგრამ, ალბათ, აუცილებელია მიეთითოს, რომ მან გადააბიჯა ზღვარს, რომელსაც, ინტელექტის არატრივიალური კონფიგურაციიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, ვერ გრძნობს.

ამ ეპიზოდისთვის გვერდის ავლა ნამდვილად არ გამოდიოდა და **ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ბერიძის საკითხი „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოზე განეხილა. საჯარიმო დარტყმა ახლო მანძილიდან კახი კალაძემ შეასრულა, რომელიც არამხოლოდ ენერგეტიკის მინისტრი, არამედ პარტია „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანია** (ძნელი სათქმელია, რად უნდა ეს ორი სათაური, მაგრამ მაინც): **„ჩვენ არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო იმისა, რომ ხელისუფლების წარმომადგენელი, იქნება ის არჩეული თუ დანიშნული რაიმე თანამდებობაზე, უზრუნველყოფილ იქნას ნებისმიერი საშუალებით, რომელიც უფლებმოსილებისა და მოვალეობის ეფექტური შესრულებისთვის არის საჭირო. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს უნდა ხდებოდეს გონივრულ ფარგლებში და იმ რეალობის გათვალისწინებით, რაც გვაქვს ქვეყანაში. სამწუხაროდ, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავჯდომარე ავთანდილ ბერიძე, რომელიც არის ამავე დროს „ქართული ოცნების“ წევრი, როგორც ჩანს, ვერ ათვითცნობიერებს ამ პასუხისმგებლობას, რაც იწვევს საზოგადოებაში სამართლიან აღშფოთებას. ის თვითონვე უნდა ხვდებოდეს ამას, თავს იკავებდეს სახელმწიფოს ბიუჯეტის ხარჯზე ძვირად ღირებული ქონების შეძენისგან, რომელიც არანაირ აუცილებლობას არ წარმოადგენს მისი საზოგადოების მიმართ აღებული ვალდებულებების შესრულებისთვის“,** — განაცხადა გენერალ-ანშეფმა, უკაცრავად, მინისტრ-გენმდივანმა. ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, თუმცა არ ხსნის მთავარ კითხვებს ხელისუფლების მიმართ — **„სად იპოვეთ ავთანდილ ბერიძე?“** და **„სად პოულობთ ასეთ კადრებს საერთოდ?“,** რადგან ბერიძის შემთხვევა ერთადერთი არ არის.

საკადრო ოლიგოფრენიას თავი რომ დავანებოთ, ყველაფერი თითქოს თავის ადგილას დადგა — **ტენდერი გაუქმდა, ბერიძემ შეცდომა აღიარა, მაგრამ ამ დროს გაისმა ფანფარების ხმა და ცირკის არენაზე გამოჩნდა პარლამენტის ვიცესპიკერი, ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატი მურმან დუმბაძე,** რათა გაეხმოვანებინა იდეები, რომელთაც მსოფლიო პოლიტიკის მრავლისმნახველ ისტორიაში (ქვის ხანის ჩათვლით) ანალოგი არ აქვს: **„საქართველოს მთავრობის ნებისმიერ წევრს ჰყავს ახალი მანქანა და ეს არ არის გასაკვირი. საქართველოს მთავრობა თავის კომპეტენციებში უნდა ჩაჯდეს. ჩვენ 2012 წლის 1 ოქტომბერს ცენტრალური მმართველობა დავამთავრეთ. აჭარის ავტონომიის ლიდერს აქვს უფლება, რომ განკარგოს ბიუჯეტი როგორც თავად მოისურვებს უმაღლესი საბჭო. ეს არის კანონი. კომპეტენციურად და ფუნქციურად კახა კალაძეს არ აქვს უფლება, ზეწოლა განახორციელოს უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტზე“.**

საერთოდ, იმისთვის, რომ განიხილო ავტომოყვარულ ბერიძესთან დაკავშირებული სკანდალი ცენტრისა და რეგიონის დაპირისპირების კონტექსტში, ან შიზარიუმის უიმედო პაციენტი უნდა იყო, ან კიდევ ახალი, ორიგინალური კონცეფციის ავტორი, რომლის ფარგლებში ავტონომიის იდეა შეუზღუდავი ღორობის უფლებას უკავშირდება. საბოლოო დასკვნის გამოტანისგან, ალბათ, თავი უნდა შევიკავოთ, მაგრამ **ბიძინა ივანიშვილის მიმართ შეიძლება კიდევ ორი კითხვა გაგვიჩნდეს: სად იპოვეთ მურმან დუმბაძე?** და: **წარმოადგინა თუ არა დუმბაძემ შესაბამისი ცნობა?**

არაერთი უცხო სახელმწიფო ყურადღებით აკვირდება სიტუაციას აჭარაში და კბილებს თითქმის დაუფარავად ილესავს. მათი სპეცსამსახურები ხედავენ, რომ **ერთი დამპალი ჯიპის გამო ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი მზად არის, საუბარი ცენტრის მიერ ავტონომიის უფლებების შეზღუდვაზე დაიწყოს. ისინი, ცხადია, იწყებენ ფიქრს იმაზე, რა შეიძლება გააკეთონ ასეთმა პოლიტიკოსებმა რამდენიმე მილიონი დოლარის სანაცვლოდ.** ისინი მუშაობენ, ისინი ემზადებიან, ეს ჩვენი მოღვაწეები კი ამ დროს დახტიან ჯიპების სიახლოვეს, ენერგიულად, როგორც სექსუალურად დაუკმაყოფილებელი ორანგუტანგები.

დიდთოვლობის გამო აჭარაში ელექტროენერგიის მიწოდებასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები შეიქმნა. სხვათა შორის, ხელისუფლების წარმომადგენლები დივერსიის შესაძლებლობასაც არ გამორიცხავენ, რადგან გადამცემი ხაზების დაზიანების ხასიათი საეჭვოდ მოეჩვენათ. და როდესაც ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ელექტროენერგიის მიწოდება აღდგა და ბათუმელებმა ტელევიზორები და კომპიუტერები ჩართეს, პირველი, რის შესახებაც მათ შეიტყვეს, იყო სკანდალი ავთანდილ ბერიძის ჯიპის გარშემო; ძნელი წარმოსადგენი არაა, რა რეაქცია ჰქონდათ მათ.

**ადრე, სააკაშვილის მმართველობის წლებში, საზოგადოება ნაკლებად ინტერესდებოდა იმ კოშმარით, რომელიც სახელმწიფო შეყიდვებისა და შესაბამისი ტენდერების მიმართულებით ხდებოდა, რადგან წინა პლანზე სულ სხვა საკითხები იდგა — რეჟიმი კლავდა, აწამებდა და აუპატიურებდა მოქალაქეებს და ეს გაცილებით აქტუალური იყო, ვიდრე საბიუჯეტო თანხების დანაშაულებრივად არამიზნობრივი ხარჯვა ან თუნდაც მისაკუთრება. დღეს ამ პრობლემას საზოგადოება გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევს.**

„ქართულ ოცნებას“, ალბათ, მაინც მოუწევს ავთანდილ ბერიძესთან დამშვიდობება, რადგან ამ და რიგი სხვა ეპიზოდების გამო ის, ფაქტობრივად, კომიქსის პერსონაჟად გადაიქცა (ქოლგასთან დაკავშირებული ისტორია, ბულვარში ჯიპით სეირნობა და ა.შ. ისე, ავტოსპორტის ფედერაცია ხომ არ ჩავაბაროთ? „ესლი ნე ონ, ტო კტო?“). **სხვათა შორის, მისი იმიჯის მიწასთან გასწორების კამპანია აშკარად მართული იყო, გამორიცხული არც ისაა, რომ ახალი სამსახურებრივი ავტომობილის შეძენის იდეა საკმაოდ ოსტატურად კონკურენტმა პოლიტიკურმა დაჯგუფებამ მიაწოდა, ბერიძე კი ამ ანკესზე წამოეგო, მაგრამ ყოველივე თქმული მის შეცდომებს არ ამართლებს, ხოლო მისი დატოვება პოტენციურად პრობლემური რეგიონის ხელმძღვანელ რგოლში მომავალში შეიძლება ახალ სირთულეებს დაუკავშირდეს.**

თუმცა ეს ტაქტიკური ნიუანსია, გაცილებით მნიშვნელოვანი ამ ისტორიის ფსიქოლოგიური ქვეტექსტია. მთავარი პრობლემა ის კი არაა, რომ კონკრეტული ჩინოვნიკები წურბელებივით იქცევიან, არამედ ის, რომ **უამრავი ადამიანი საქართველოში განიხილავს ხელისუფლებას, როგორც სოციალური გარანტიებისა და პირადი კომფორტის შექმნის ინსტრუმენტს და თანამდებობაზე დანიშვნის შემთხვევაში იმავეს ან უარესს იზამს.** ის გარემოება, რომ ეს „სულით ბარბაროსები“ ოცნებობენ იმაზე, რომ სამსართულიანი სახლიდან ოთხსართულიანში გადასახლდნენ, 2012 წლის გამოშვების ჯიპი 2013 წლის გამოშვების ჯიპით შეცვალონ და „აიფონ 4“ — „აიფონ-5“, და იმის იქით ვერაფერს ხედავენ, ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანია. ყოველივე ეს ახსნა-განმარტებითი მუშაობით და მგლის თავზე სახარების კითხვით არ იკურნება. **პრობლემა იარსებებს მანამ, სანამ არ შეიქმნება დამნაშავე მაღალჩინოსნების** (და არამხოლოდ დაბალი და საშუალო რგოლის პრიმიტიული მექრთამეების) **დასჯის პრეცედენტი და მხოლოდ ამის შემდეგ შეშინდებიან ისინიც, ვინც ფორმალურად კანონს არ არღვევენ, მაგრამ ხელისუფლებაში ყოფნით აშკარად ხელს ითბობენ.**

ავთანდილ ბერიძესთან დაკავშირებით ხელისუფლება ჯერჯერობით სწორად იქცევა, თუმცა ეს მხოლოდ ერთი ლოკალური ეპიზოდია. ამ შემთხვევაში, საზოგადოების გაღიზიანების გამო ხელისუფლებას სხვა გზით წასვლა ძალიან გაუჭირდებოდა. მაგრამ ყველა ეს მანიპულაცია თუ მელოდრამატული ჟესტი არაფერია იმ პრობლემებთან შედარებით, რომლებიც თუნდაც სამართლიანობის აღდგენის კუთხით შეიქმნა. **მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის ჩამოყალიბება, ფაქტობრივად, ბლოკირებულია. გამოძიებები ხმაურიან საქმეებზე თითქოს გრძელდება, მაგრამ ძველი ხელისუფლების პირველ პირებს დაკითხვაზე არ იბარებენ. არის მთელი რიგი საქმეები, რომლებშიც ჭეშმარიტების დადგენა მიხეილ სააკაშვილის** (და მისი ზოგიერთი მინისტრის) **დაკითხვის გარეშე, უბრალოდ, წარმოუდგენელია** (ზურაბ ჟვანიას საქმე, ლაფანყური, მიტინგების სადისტური დარბევა და ა.შ.), **მაგრამ გამოძიებას „ნაცმოძრაობის“ ბელადის მიმართ კითხვები ჯერჯერობით არ გასჩენია. ყოველივე ამას მასშტაბური, მკვეთრი პროტესტი არ მოსდევს, მაგრამ აშკარაა, რომ არაერთგზის ნახსენები მოთმინების ფიალა საკმაოდ სწრაფად ივსება.**

ალბათ, სწორედ ეს საკითხები უნდა განვიხილოთ, როგორც ინდიკატორი და არა აღგზნებულ ავტომოყვარულთან დაკავშირებული სკანდალი, რომელიც, ალბათ, მხოლოდ იმითაა ღირებული, რომ მის ფარგლებში **მურმან დუმბაძემ საკუთარი თავის სრული, დაუვიწყარი და შოკისმომგვრელი ლუსტრირება მოახდინა.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არც ერთი იდეა, ზოგადად საგარეოპოლიტიკურ ორიენტაციას ეხება ის თუ რომელიმე ალიანსში გაწევრიანებას, არ შეიძლება დავაყენოთ ქვეყნის მთლიანობაზე მაღლა. მაგრამ მსგავსი მარგინალური თეორიები მაინც იბადება როგორც საქართველოში, ისე უკრაინაში და სხვა ამ კრიზისთან დაკავშირებულ ქვეყნებში.**

# რას მოუტანს საქართველოს უკრაინული კრიზისი?

**როგორც არ უნდა დასრულდეს პოლიტიკური ძალების დაპირისპირება უკრაინაში, მან ქართული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი როლი უკვე შეასრულა და დაფიქრებისთვის საკმარისზე მეტი საბაბი მისცა. ძველი სტერეოტიპები ეჭვქვეშ დგება და ეს საკმაოდ კარგი მომენტია იმისთვის, რომ ჩვენი შეხედულებები საერთაშორისო ურთიერთობებზე უფრო ობიექტური გავხადოთ. უკრაინაში განვითარებული მოვლენები სერიოზულ გავლენას, სავარაუდოდ, ჩვენი ქვეყნის მომავალზეც მოახდენს. საინტერესოა, რამდენად სწორ დასკვნებს გამოვიტანთ უკრაინული გაკვეთილიდან და რამდენად კარგად მოვემზადებით მომავალი კრიზისისთვის, რომელიც თითქმის გარდაუვალი ჩანს.**



## ქართული ნოემბრიდან უკრაინულ ნოემბრამდე

**უკრაინული ეპოპეის დასაწყისშივე საქართველოში ძალიან ფართოდ გავრცელდა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ დასავლეთი ორმაგ სტანდარტებს იყენებს. ეს გასაგებიცაა, რადგან სხვანაირად, უბრალოდ, შეუძლებელია ახსნა აშკარა შეუსაბამობა იმ რეაქციას შორის, რომელიც აშშ-სა და ევროკავშირში, ერთის მხრივ, 2007 წლის 7 ნოემბრის სადისტურ დარბევას და სააკაშვილის რეჟიმის სხვა მსგავს ნაბიჯებს და, მეორე მხრივ, უკრაინის ხელისუფლების ბოლოდროინდელ, „ევრომაიდანის" წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებებს მოჰყვა.** ცხადია, არავინ ამართლებს უკრაინელი სამართლადამცავების ხისტ მოქმედებას, მაგრამ ქართულმა ტელეაუდიტორიამ საკუთარი თვალით იხილა, რომ სააკაშვილის ზონდერ-პოლიციელებთან შედარებით, ისინი გაცილებით ზომიერად მოქმედებდნენ. დღეს სრულიად დასავლეთი მოითხოვს იმ უკრაინელი ჩინოვნიკების დასჯას, რომლებმაც 30 ნოემბერს მილიცია მომიტინგეებს დაუპირისპირა და ხელისუფლების პირველ პირებს სანქციებით ემუქრება, მაშინ, როდესაც არც 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევის, არც „ვარდოსანი ხელისუფლების" სხვა სადამსჯელო ოპერაციების შემდეგ მსგავსი რამ აზრდაც არ მოსვლია. ძალიან ძნელია, უწოდო ამას რაიმე სხვა, ორმაგი სტანდარტების გამოყენების გარდა; ამ მოსაზრებას საქართველოში დასავლეთის ყველაზე გულმხურვალე აპოლოგეტებიც კი არ ეწინააღმდეგებიან და თავიანთ კომენტარებში იძულებულები არიან (პირდაპირ თუ ირიბად), ეს ქცევა პოლიტიკური მიზანშეწონილობის ფაქტორით გაამართლონ.

**თუ უკრაინელი ჩინოვნიკები 30 ნოემბრის პოლიციური ოპერაციის ჩატარებისთვის ციხეში უნდა წავიდნენ, რა ეკუთვნის თბილისური 7 ნოემბრის ორგანიზატორებს? სარზე გასმა?** (შედეგების სიმძიმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ). **ერთი კი ფაქტია: შექმნილ სიტუაციაში საქართველოს ახალ ხელისუფლებას შეუძლია** (ისედაც ვალდებულია) **თამამად გამოიძიოს 7 ნოემბრის** (26 მაისის და ა. შ.) **მოვლენები და დარბევების ორგანიზატორები კანონის მოთხოვნების შესაბამისად დასაჯოს. ხოლო თუ სააკაშვილის ლობისტები დასავლეთში ამას გააპროტესტებენ, უკრაინულ პრეცედენტზე მიუთითოს.**

**ქართული საზოგადოება, სავარაუდოდ, კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ პოლიტიკაში, საშინაო იქნება ის, თუ საგარეო, პრაგმატიზმი და მისი თანმდევი ცინიზმი გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე ნებისმიერი იდეალისტური მოტივი, თუნდაც მისი ერთგულება ათასგზის დეკლარირებული იყოს.** რაოდენ მტკივნეულიც უნდა იყოს შესაბამისი ილუზიების მსხვრევა, ის, ალბათ, მაინც დადებით მოვლენად უნდა ჩავთვალოთ, რადგან სასურველია, რეალობა ისეთად აღვიქვათ, როგორიც ის სინამდვილეში არის.

კიდევ ერთი დასკვნა, რომელსაც ქართული საზოგადოება კიევის მოვლენების კვალობაზე მიუახლოვდა, სავარაუდოდ, ისაა, რომ **ქვეყნის მთლიანობას, რომელიც მისი მოსახლეობისთვის უზენაეს ღირებულებას წარმოადგენს, გარე მოთამაშეებმა შეიძლება ნაკლები მნიშვნელობა მიანიჭონ.** ეჭვები ამასთან დაკავშირებით, ჩვენი უახლესი გამოცდილებიდან გამომდინარე, ისედაც არსებობდა და ბოლოდროინდელმა დისკუსიამ უკრაინაზე ხელი მათ გაღრმავებას შეუწყო. **უკრაინის დაშლის და გამანადგურებელი სამოქალაქო ომის საფრთხე მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ უცხო სახელმწიფოები მოქმედებენ ისე, თითქოს საერთოდ არ ანაღვლებთ, რომ შეიძლება ამ პროცესების პროვოცირება მოახდინონ.** ამ კონტექსტში საინტერესოა ის, რომ ქართულ სოციალურ ქსელებში გამოჩნდა არაერთი კომენტატორი, რომელიც საუბრობს იმაზე, რომ უკრაინის დაშლა კრიზისიდან გამოსვლის საუკეთესო ვარიანტია(?). დასავლეთ უკრაინა ევროპელებს დარჩებათ, აღმოსავლეთ უკრაინა — რუსებს და ა. შ. ამ საშიში თეორიების ფარგლებში საგარეოპოლიტიკური ორიენტაცია და უცხო ქვეყნების ინტერესები დაყენებულია ქვეყნის მთლიანობაზე მაღლა. თუ მათ პროეცირებას ქართულ რეალიებზე მოვახდენთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: **ვინაიდან კრემლი სეპარატისტულ რესპუბლიკებში დომინირებს, ხოლო დასავლეთი — საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე, აფხაზებსა და ოსებს ევრაზიული კავშირი უნდათ, ხოლო ქართველებს — ევროკავშირი** (ეს, ცხადია, გამარტივებული სურათია, თუმცა ამ შემთხვევაში ესეც საკმარისია). **ამ ადამიანების ლოგიკით გამოდის, რომ საუკეთესო, ყველაზე უმტივნეულო გამოსავალი ერთიანი სახელმწიფოს დაშლაა.**

სავარაუდოდ, სწორედ ამ ნიადაგზე გაჩნდა ერთ-ერთი ყველაზე მანიაკალური ლოზუნგი საქართველოს უახლეს ისტორიაში: **„ნატოში — ტერიტორიების გარეშე!"**, მაშინ, როდესაც ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისთვის ცხადია, რომ **არც ერთი იდეა, ზოგადად საგარეოპოლიტიკურ ორიენტაციას ეხება ის თუ რომელიმე ალიანსში გაწევრიანებას, არ შეიძლება დავაყენოთ ქვეყნის მთლიანობაზე მაღლა.** მაგრამ მსგავსი მარგინალური თეორიები მაინც იბადება როგორც საქართველოში, ისე უკრაინაში და სხვა ამ კრიზისთან დაკავშირებულ ქვეყნებში.

## ორ სკამზე ჯდომა იკრძალება

უკრაინა რეალური დროის რეჟიმში გვიჩვენებს, რამდენად საშიშია პოლარიზაცია საგარეოპოლიტიკური ორიენტაციის ნიადაგზე და მისი გადაქცევა დღის წესრიგის მთავარ საკითხად. მიჩნეულია, რომ ჩვენ მსგავსი დაპირისპირება არ გვემუქრება, რადგან საზოგადოების უმრავლესობა მკაცრად პროდასავლურია. შესაძლოა, ეს შეფასება გადაჭარბებულად ოპტიმისტურია. **თუ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერამდე საქართველოში მოხდება დაახლოებით ის, რაც 17 მაისს ლგბტ აქტივისტების აქციასთან დაკავშირებით მოხდა და ევროჩინოვნიკები ქართული საზოგადოების კონსერვატიულ ნაწილს თითის ქნევას დაუწყებენ და, თუ კრემლი მკაფიოდ მიანიშნებს საქართველოს მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობაზე** (ცხადია, რუსული „ქოლგის" ქვეშ), **მოჩვენებითი ერთიანობა ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით შეიძლება სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს, ხოლო მკვეთრი პოლარიზება საზოგადოებაში რეალობად იქცეს.**

როგორც ცნობილია, ვიქტორ იანუკოვიჩის ხელისუფლება არასოდეს ეწინააღმდეგებოდა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას, მაგრამ ის დამატებით შეღავათებს ითხოვდა, მათ შორის ფულს, რომელიც უკრაინის ეკონომიკას რუსული ბაზრიდან მოწყვეტით გამოწვეული კრიზისის დაძლევაში დაეხმარებოდა. მას, აგრეთვე, აინტერესებდა ევროკავშირში მომავალი გაწევრიანების შეძლებისდაგვარად მყარი გარანტიები. მარტივად რომ ვთქვათ, **იანუკოვიჩი ევროპელებს ევაჭრებოდა. დღეს მისი ოპონენტები კიევში და განსაკუთრებით მათი მხარდამჭერები თბილისში მას პრორუსულ ლიდერს უწოდებენ, მაშინ, როდესაც კრემლი იანუკოვიჩს არასანდო პარტნიორად განიხილავს, ხოლო რუსი ექსპერტები მას ორმაგი თამაშის წარმოებაში ადანაშაულებენ.** საბოლოო ჯამში, არაერთი დამკვირვებელი შეიძლება მივიდეს დასკვნამდე, რომ **ბრალდებას იანუკოვიჩის პრორუსულობასთან დაკავშირებით საფუძვლად მხოლოდ ის უდევს, რომ მან მორჩილად და უსიტყვოდ არ მიიღო ის პირობები, რომელთაც ევროკავშირი სთავაზობდა.** მთელ ამ ისტორიას საქართველოსთვის საინტერესო და აქტუალურ კითხვამდე მივყავართ, რომელიც, ერთი შეხედვით, შეიძლება აბსურდულად მოგვეჩვენოს: **„შეიძლება თუ არა შევაჭრება დასავლეთთან?".**

თუ საქართველოს ხელისუფლება ბრიუსელისგან დამატებით ბონუსებს მოითხოვს, მოლაპარაკება გაიწელება და ჩიხში შევა (ეს, 99%-იანი ალბათობით, არ მოხდება, თუმცა თეორიულად დავუშვათ) უამრავი ადამიანი თავისით, ყოველგვარი წაქეზების გარეშე ქუჩაში გამოვა, ისევე, როგორც ეს კიევში მოხდა და შეთანხმების სასწრაფო ხელმოწერას მოითხოვს იმ პირობებით, რომელთაც ევროკავშირი შემოგვთავაზებს. მართალია, მათი რიცხვი არ იქნება იმდენად დიდი, როგორც ყოფილი მმართველი პარტიის ლიდერებს წარმოუდგენიათ (ისინი ფიქრობენ ამ ვარიანტზე, თუმცა მთავრობა ამ მიმართულებით გააქტიურებისთვის ჯერჯერობით საბაბს არ აძლევს), მაგრამ ჩვენ წინაშე ნამდვილად ანგარისგასაწევი ძალა წარსდგება. ამ ადამიანებისთვის დასავლეთის სიტყვა კანონია და ადგილობრივი მოსახლეობის ნებისმიერ ინტერესებზე გაცილებით მაღლა დგას.

**დღევანდელ, კრიზისში მყოფ მსოფლიოში დიდი ალიანსების კონსოლიდაციის დრო დგება. დასავლეთმა განაახლა ევრაზიის აღმოსავლეთით გავლენის სფეროს გაფართოების მცდელობები** (ზოგიერთი სიგნალი მიანიშნებს იმაზე, რომ „შემდეგი გაჩერება" სომხეთი იქნება), **ხოლო რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა თავის ყოველწლიურ მიმართვაში ძალზე ამბიციური განაცხადი გააკეთა, ფაქტობრივად, ანტიგლობალისტური მობილიზაცია გამოაცხადა და ერთგვარი „კონსერვატიულ-ტრადიციონალისტური ინტერნაციონალის" შექმნის აუცილებლობაზე მიუთითა.** ყოველივე ეს, სავარაუდოდ, მხოლოდ პროცესის დასაწყისია. **შედარებით სუსტ ქვეყნებს მანევრის შესაძლებლობა, როგორც ჩანს, თანდათან შეეზღუდებათ. მათ სულ უფრო ნაკლები სივრცე დარჩებათ ლავირებისთვის და პროქართული, პროაზერბაიჯანული თუ პროუკრაინული პოლიტიკის გატარებისთვის.** მათ სულ უფრო ხშირად მოსთხოვენ, „ორ სკამზე ჯდომას" თავი დაანებონ და უფროს პარტნიორებს დაემორჩილონ. ეს ძალზე საშიში პერიოდია, რადგან **დასავლეთი ჯერჯერობით მზად არ არის, გაანეიტრალოს ის სამხედრო-პოლიტიკური თუ ეკონომიკური საფრთხეები, რომლებიც ამ ქვეყნებს „საბოლოო არჩევანის" გაკეთების შემდეგ რუსეთის საპასუხო ნაბიჯების გამო შეექმნებათ.**

## რა დაგვიბარა რიჩარდ ნიქსონმა?

შაბათს ამერიკელმა პოლიტოლოგმა დმიტრი საიმსმა (ვაშინგტონის „ეროვნული ინტერესების ცენტრის" დირექტორი, ჟურნალ „ნეშნლ ინტერესის" გამომცემელი) რუსულ „იზვესტიას" ერთი საინტერესო ისტორია მოუთხრო. როდესაც 1991-ში თბილისში აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი ჩამოვიდა, მან ზვიად გამსახურდიას შემდეგი რამ უთხრა: **„ბატონო პრეზიდენტო, თქვენ ახლა ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანი ხართ და ბევრი გეტყვით იმას, რისი მოსმენაც თქვენ, მათი აზრით, გსურთ. მე კი იმას გეტყვით, რაც ნამდვილად უნდა იცოდეთ. საქართველოს გამო შეერთებული შტატები რუსეთთან კონფრონტაციაზე არ წავა და, თუ თქვენ ამას არ გააცნობიერებთ, თქვენ და თქვენს ქვეყანას ამის გამო შეიძლება ძალიან დიდი საფასურის გადახდა მოგიწიოთ".**

საიმსმა ამ ეპიზოდის შესახებ 2004 წლის თებერვალში სააკაშვილს უამბო, როდესაც ნახა, რომ ამერიკელი ჩინოვნიკების ქებას პირდაპირი მნიშვნელობით იგებს. სააკაშვილს ეს ძალიან არ მოეწონა. **„მას მოუთმენლად სურდა, მოსკოვისთვის თა-** ▶

**„საქართველოს ბედი მხოლოდ საქართველოში წყდება და ქართველი ხალხის გადასაწყვეტია, ჩვენ სად და როგორ ვიქნებით. ასე გაზვიადება, რომ საქართველოს ბედი უკრაინაში წყდება, არა მგონია, მთლად მართებული იყოს. უკრაინელი ხალხი, რა თქმა უნდა, იმსახურებს სოლიდარობას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მას შესწევს ძალა, თავისი პრობლემები თავად გადაწყვიტონ.“**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვისი ადგილი მიეჩინა,** — იხსენებს საიმსი, — **ამ სურვილმა შეიტანა თავისი წვლილი დამანგრეველ ომში რუსეთთან ოთხი წლის შემდეგ და მის პოლიტიკურ მარცხში იმ საუბრიდან ხუთი წლის შემდეგ. როგორც, 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის კვალობაზე, ერთერთმა მაღალჩინოსანმა მითხრა, სააკაშვილის პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ ის შეცდომით აღიქვამდა მაღალ პოსტზე მყოფი ადამიანების მზადყოფნას, ტელეფონით დალაპარაკებოდნენ, როგორც რეალურ განზრახვას მისი უგუნური ქმედებისთვის მხარი დაეჭირათ“.**

დისკუსიამ საგარეო პოლიტიკაზე საბოლოოდ შეიძლება ძალიან მარტივ კითხვებამდე მიგვიყვანოს: ვინ ვართ ჩვენ? დასავლეთის ავანგარდი რუსეთთან ბრძოლაში, რომლის წესებზე ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქვს (იხ. ნიქსონისა და საიმსის რეპლიკები) თუ, უბრალოდ, პატარა ქვეყანა, რომელიც კრიზისულ პერიოდში არ უნდა ემსხვერპლოს დასავლეთისა და აღმოსავლეთის გეოპოლიტიკურ კონკურენციას? თუ პასუხად მეორე ვარიანტს ავირჩევთ, სავარაუდოდ, მივალთ დასკვნამდე, რომ **ჩვენს მთავრობას მანევრისთვის გაცილებით მეტი სივრცე სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მალევე, ისევე როგორც სააკაშვილის ხელისუფლება წინასაომარ პერიოდში, რუსეთის პოზიციისა და შესაძლებლობების სრულ იგნორირებას დაიწყებს** (ზოგიერთი პოლიტიკოსის ზედმეტად ოპტიმისტური განცხადება ამ შესაძლებლობაზე ნამდვილად მიანიშნებს).

პრობლემა ამ შემთხვევაში, პროდასავლურობაში კი არა, უგუნურებაშია, პოლიტიკური ელიტის ნაწილის დაუოკებელ სურვილში თავი „რომის პაპზე დიდ კათოლიკეებად წარმოაჩინონ“. **დღეს საჭიროა მაქსიმალური სიფრთხილე იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ მწვავე კონფრონტაცია რუსეთთან და საზოგადოების გახლეჩის ნიადაგზე აღმოცენებული კრიზისი, რომელიც მას აუცილებლად მოჰყვება** (როგორი იქნება კონკრეტული საბაბი, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს; სხვათა შორის, ის შეიძლება ფრიად „არასტანდარტული“ გამოდგეს). **საქართველო უკრაინაზე გაცილებით სუსტია და ამდენს ვერ გაუძლებს.**

იმედია, ის, რაც დღეს უკრაინაში ხდება, შესაძლებლობას მოგვცემს, კარგად გავერკვეთ პოსტსაბჭოთა სივცეში განვითარებულ პროცესებში, გავმიჯნოთ ერთმანეთისგან პოლიტიკა და პროპაგანდა, ემოციები და ეროვნული ინტერესები. კარგად გავაცნობიეროთ, რა შეიძლება დავკარგოთ, ერთის მხრივ, ჩვენ და, მეორე მხრივ, ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა და რამდენად სამართლიანია რისკების ამგვარი განაწილება. ყოველივე ეს სულაც არ გულისხმობს უარის თქმას ევროინტეგრაციაზე, არამედ — მხოლოდ და მხოლოდ ქართულ პოლიტიკაში კეთილგონიერების დოზის გაზრდას, რაც, საქართველოს უახლეს ისტორიაში მომხდარი ყველა უბედურებიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, ჰაერივით გვჭირდება.

**დიმიტრი მონიავა**

# «მხურვალე სალამი» მზიური საქართველოდან თუ ტესტი ადეკვატურობაზე?

**უკრაინაში საპროტესტო ტალღა არ ცხრება. მთელი მსოფლიო დაკვირვებით ადევნებს თვალს კიევში, მაიდანზე მიმდინარე მოვლენებს. ბუნებრივია, ამ ყველაფერს არც საქართველო ჩამორჩება. ეს გასაკვირიც არ იქნებოდა, რომ არა ერთი ფაქტი: „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები, მათ შორის, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები, სწორედ ის ხალხი, რომელიც არათუ გულგრილად, არამედ აღტაცებითაც კი ადევნებდა თვალს საქართველოში 7 ნოემბრისა და 26 მაისის სასტიკ დარბევებს, დღეს უკრაინელი ხალხის გულანთებულ გულშემატკივრად მოგვევლინა. როგორც ჩანს, ფარისევლობას საზღვარი მართლაც არ ჰქონია. რა თქმა უნდა, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ გამოჩენილი სისასტიკისთვის ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფალი ადრე თუ გვიან პასუხს აგებს, მაგრამ უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გამო იმ ხალხის ვითომ გულისტკივილს და აჟიოტაჟს რომ უყურებ, რომელსაც საქართველოში არც ერთი აქციის დარბევის, არც ერთი უსამართლო მოვლენის დროს არათუ ხმა არ ამოუღია, უხაროდა კიდეც, როცა ქართველი ქართველს აწამებდა და სცემდა, რთულია, მათი გულწრფელობა დაიჯერო. მით უფრო, საქართველოს ყოფილი ხელისუფლების სისასტიკესთან უკრაინის ხელისუფალთა ქმედება ახლოსაც ვერ მივა. ხოლო ის არგუმენტი, რომ 7 ნოემბერსა თუ 26 მაისს გამოსულ ადამიანებს ვილაცისგან განსხვავებული აზრი ჰქონდათ, არ ნიშნავს, რომ ისინი უნდა ეწამებინათ, ეცემათ და დაეხოცათ. სამწუხაროდ, ზოგიერთი თავისუფლების „უანგარო“ გულშემატკივრისთვის ეს მარტივი დემოკრატიული ჭეშმარიტება გაუგებარი აღმოჩნდა.**

ამ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს პარლამენტმა უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერი დოკუმენტი შეიმუშავა, რომელსაც დეპუტატების ნაწილმა მხარი არ დაუჭირა. იმ დეპუტატების სიაც კი გამოქვეყნდა, რომლებმაც მაიდანზე შეკრებილი მომიტინგეების მიმართ სოლიდარობის გამოცხადების დოკუმენტს ხმა არ მისცეს. ესენი არიან: **ვიცესპიკერი მანანა კობახიძე, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გიორგი ვოლსკი, ერეკლე ტრიპოლკსი, ელისო ჩაფიძე, გუბაზ სანიკიძე, შოთა ხაბარელი, ლერი ხაბელოვი, როსტომ ხალვაში, ფატი ხალვაში, დიმიტრი ხუნდაძე, ვალერი გელაშვილი, თენგიზ ხუბულური, ოთარ ჩრდილელი, დათო ლორთქიფანიძე, ომარ ნიშნიანიძე, გიგლა აგულაშვილი, დავით ონოფრიშვილი, ანზორ ბოლქვაძე, ზვიად ძიძიგური, ალე მამედოვი, ალექსანდრე ქანთარია, ბიძინა გუჯაბიძე, მალხაზ ვახტანგიშვილი, შალვა კიკნაველიძე, თემურ მაისურაძე, პაატა ბარათაშვილი, თამაზ არდალიანი, გიორგი გაჩეჩილაძე, ზურაბ ზვიადაური, თეიმურაზ ჩხაიძე, თეიმურაზ ჭკუასელი.**



თუმცა „ქართული ოცნების“ დეპუტატები „ნაციონალებს“ სიცრუის გავრცელებაში ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, ზემოთ ჩამოთვლილი დეპუტატებიდან რამდენიმე მათგანს კომენტარი ვთხოვეთ.

**მანანა კობახიძე, „ქართული ოცნების“ ვიცესპიკერი:**

— ჩემი პირადი მსოფლმხედველობა თუ ვინმეს, მათ შორის ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს, აინტერესებს, რომელმაც სამარცხვინო დეპუტატთა სიაში შემიყვანა, მინდა ვუთხრა, რომ **მე პირადად სოლიდარული ვარ იმ ხალხის მიმართ, რომლის არჩევანიც დემოკრატიისკენ და ევროკავშირში ინტეგრაციისკენ სწრაფვაა. გარდა ამისა, ძალადობა ყოველთვის დასაგმობია და ხელისუფლების მხრიდან გამოჩენილ ძალადობას, იყო ეს 26 მაისი თუ 7 ნოემბერი, მე საქართველოშიც ყოველთვის ვეწინააღმდეგებოდი და შესაბამისად, ამჯერადაც სოლიდარული ვარ.**

ამას გარდა, მინდა აღვნიშნო: უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერი დოკუმენტი მოამზადეს არა „ნაციონალებმა“, არამედ ევროინტეგრაციის კომიტეტმა და მას 86 ხმით დეპუტატების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა. სამწუხაროდ, იმ ოთხშაბათს, მე პირადად ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო აღნიშნულ სხდომას ვერ ვესწრებოდი და კარგი იქნებოდა, სანამ განცხადებას გააკეთებდა, ეს ინფორმაცია ქალბატონ სალომესაც გადაემოწმებინა.

რაც შეეხება, „ნაციონალების“ ვერსიას, არ შეიძლება ქვეყნის პარლამენტის მიერ მომზადებული დოკუმენტი, რაღაც დოზით მაინც, საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან სხვა ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევად აღიქმებოდეს. ჩვენ ხომ არ ვართ ოპოზიცია, მედია, ჩვენ ვართ ხელისუფლება, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო და ყველა განცხადება, რომელიც სხვა ქვეყანას ეხება, იმ ჩარჩოში უნდა მოაქციო, რომელიც დიპლომატიურ, საერთაშორისო სტანდარტებს არ დაარღვევს.

**— „ნაციონალების“ მიერ მომზადებული განცხადება შუღლის გამომწვევი იყო?**

— მიმაჩნია, რომ მათი განცხადება ცოტა არადიპლომატიური იყო. ჩვენ, რა თქმა უნდა, მხარი დავუჭირეთ იმ განცხადებას, რომელიც ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო იმ დღეს ჩვენი ქვეყნისთვის და ასევე გამოვეხმაურეთ ვილნიუსის სამიტს, უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს და საერთაშორისო საზოგადოებას მოვუწოდეთ, მხარი დაეჭირა ყველა იმ ქვეყნისთვის, რომელიც ევროკავშირისკენ ისწრაფვის. **უკრაინა ძალიან მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორია და მჯერა, რომ დაიძლევა ის კრიზისი, რომელიც ხალხსა და ხელისუფლებას შორის არსებობს. სხვა ქვეყნის შიდა საქმეებში ჩვენ არ ჩავერევით.**

**— ქალბატონო მანანა, თუ პარლამენტმა მოამზადა უკრაინის მხარდასაჭერი დოკუმენტი, რატომ გახდა საჭირო „ნაციონალების“ მხრიდან ასეთივე მეორე დოკუმენტის მომზადება, მით უმეტეს, თუ შეიძლებოდა ეს სხვა ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევად და შუღლის გამოწვევად აღქმულიყო?**

— მათ შემოგვთავაზეს რაღაც ალტერნატიული ვარიანტი, სადაც თუნდაც რუსეთის მიმართ იყო ზუსტად იგივე ტონალობა, როგორიც „ნაციონალებს“ წლების განმავლობაში ჰქონდათ და ვფიქრობ, ამ ტონალობამ საქართველოს არაფერი მოუტანა; პირიქით, ქვეყანას ომი ვერ ააცილა. ამიტომ რუსეთთან ურთიერთობა ჩვენ უფრო დიპლომატიურ ჩარჩოებში მოვაქციეთ. **ისტერიული ტონი, როგორიც „ნაციონალებს“ რუსეთის მიმართ ჰქონდათ, საერთაშორისო ურთიერთობებში საერთოდ არ არის მიღებული და, „ნაციონალური მოძრაობისგან“ განსხვავებით, ჩვენ ამ სტანდარტს ვიცავთ. მიმაჩნია, რომ თუნდაც იმავე რუსეთთან მიმართებაში, ცოტა ზომიერების გამოჩენა იყო საჭირო.**

**— ეთანხმებით თუ არა ამ დღეებში გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ახლა საქართველოს ბედი გარკვეულწილად უკრაინაში წყდება?**

— საქართველოს ბედი მხოლოდ საქართველოში წყდება და ქართველი ხალხის გადასაწყვეტია, ჩვენ სად და როგორ ვიქნებით. ასე გაზვიადება, რომ საქართველოს ბედი უკრაინაში წყდება, არა მგონია, მთლად მართებული იყოს. უკრაინელი ხალხი, რა თქმა უნდა, იმსახურებს სოლიდარობას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მას შესწევს ძალა, თავისი პრობლემები თავად გადაწყვიტონ.





**დეპუტატი შოთა ხაბარელი გავრცელებულ ინფორმაციის სიცრუეს უწოდებს:**

— ეს არის მტკნარი სიცრუე. ჩვენ მხარს ვუჭერთ უკრაინელ ხალხს და ეს ჩვენს განცხადებაშიც დავაფიქსირეთ. სიცრუეა, თითქოს ვიღაცებმა, მათ შორის მეც, არ მივეცით ხმა უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერ განცხადებას. ძალიან კარგი, ჩამოყალიბებული დოკუმენტი მოამზადა პარლამენტმა და ჩვენც მხარი დავუჭირეთ.

**— როგორ ფიქრობთ, მაშინ რატომ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს დეპუტატების ნაწილმა და მათ შორის თქვენც მხარი არ დაუჭირეთ უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერ დოკუმენტს?**

— ასეთ ტყუილებს შეგნებულად ავრცელებენ. „ნაციონალები“ ყველაფერს იტყუებიან და რა გასაკვირია, ესეც მოეტყუებინათ?! როდესაც „ნაციონალებმა“ პარლამენტს ბოიკოტი გამოუცხადეს და ბუტია ბავშვებივით გაიქცნენ, ჩვენ იმ დღესვე მივიღეთ დოკუმენტი და უკრაინელ ხალხს მხარი დავუჭირეთ. აღნიშნულ დოკუმენტს მე პირადად მივეცი ხმა. ასე რომ, ეს იყო მცდარი, „ნაციონალების“ მიერ შეგნებულად გავრცელებული ცრუ ინფორმაცია.

**ელისო ჩაფიძე, პარლამენტის წევრი:**

— „ნაციონალურ მოძრაობას“ თავისი დეკლარაცია ჰქონდა მომზადებული; ასეთივე დეკლარაცია ჰქონდა მომზადებული ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს — ვიქტორ დოლიძეს. **„ნაციონალების“ მიერ შემუშავებული დოკუმენტის კენჭისყრის მიმდინარეობისას, მე არ ვიმყოფებოდი დარბაზში, თორემ, სავარაუდოდ, ამ დოკუმენტსაც ხმას მივცემდი, ვინაიდან შემეძლო, ორივე დოკუმენტისთვის დამეჭირა მხარი. თუმცა იმ დღესვე ჩვენ მივიღეთ უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერი დოკუმენტი. ამას გარდა, მე არაერთხელ გამოვხატე ჩემი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი და გავრცელებული ინფორმაცია სიცრუეა.**

**— ვინ ავრცელებს ასეთ ცრუ ინფორმაციას?**

— იცით, ბოლო დროს ძალიან ბევრი ახალი საინფორმაციო სააგენტო დაარსდა, რომლებიც რაღაც საეჭვო ინფორმაციებს ავრცელებენ. აღნიშნულ პრობლემას ჯერჯერობით არ ჩავღრმავებივარ, მაგრამ აუცილებლად ვაპირებ, გავერკვე, ვის რა ინტერესები ამოძრავებს და რატომ ავრცელებს ცრუ ინფორმაციას. ვინაიდან რთულია, მუდმივად თავის მართლების რეჟიმში იყო ისეთ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებშიც შენ არავითარი ურყოფითი წვლილი არ მიგიძღვის. საოცარ ინფორმაციებს ავრცელებენ და შემდეგ თავი უნდა იმართლო, რომ დამნაშავე არ ხარ.

**— საერთოდ, რა აუცილებლობას წარმოადგენდა უკრაინელი ხალხისადმი მხარდასაჭერი ორი დოკუმენტის ცალ-ცალკე მომზადება?**

— ვერ გეტყვით, ჩემი აზრით, ალბათ, პროვოკაციის მიზნით გაავრცელეს ეს ინფორმაცია, რათა ეთქვათ — აი, ნახეთ, „ქართული ოცნება“ ევროინტეგრაციას მხარს არ უჭერს და რუსეთუმეები არიანო. ეს არის „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ აგორებული მორიგი შავი პიარი. ამას აკეთებენ ცალკეული ჟურნალისტები და მასმედიის საშუალებები, როგორიცაა, მაგალითად, „თავისუფალი ზონა“ და სხვები, რომლებიც საოცარ ინფორმაციებს ავრცელებენ ხოლმე. ჩემი აზრით, ვიქტორ დოლიძის მიერ მომზადებული ტექსტი საუკეთესოა, მასში კარგადაა ჩამოყალიბებული, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ უკრაინელი ხალხის სწრაფვას და კარგი იქნებოდა, სანამ სამარცხვინო დეპუტატებად და მოღალატეებად გამოგვაცხადებდნენ, ინფორმაცია გადაემოწმებინათ.

მოამზადა **შორენა ციჰქარაშვილმა**

«ნამესტნიკები»
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უცნობია, რატომ განხორციელდა ასე მასობრივად პოლიციელების როტაცია გუბერნატორებად, თუმცა, სავარაუდოდ, ის მოსალოდნელ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს უკავშირდება. პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ გუბერნატორების პოსტზე დანიშნული პირებიდან ბევრი პოლიციის ყოფილი თანამშრომელია, მათ შორის სუსის (რეფორმირებული კუდის) მაღალჩინოსნებიც.**

# «სვისტოკიანები»

## ვინ არიან და საიდან მოვიდნენ რეგიონების ახალი რწმუნებულები

**ივანიშვილის ხელისუფლება ამომრჩეველს ჰპირდებოდა, რომ ფეოდალებად ქცეული გუბერნატორების ინსტიტუტს გააუქმებდა, მაგრამ ეს სამთავრობო პოსტები არა თუ გააუქმეს, ახალი გუბერნატორები ღარიბაშვილის მთავრობაში ძველი წესებით დაინიშნენ: პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სახელმწიფო რწმუნებულების თანამდებობებზე, ძირითადად, ძალოვან უწყებებში მუშაობის გამოცდილების მქონე კადრები წარადგინა. გუბერნატორებს შორის მოხვდნენ ივანიშვილის კომპანიების მაღალჩინოსნები და პრემიერის ცოლის ახლობლებიც კი.**

9 რეგიონში ახალი გუბერნატორები მთავრობის სხდომაზე დაამტკიცეს, მოგვიანებით კი პრემიერმინისტრმა ისინი საზოგადოებას შემდეგნაირად წარუდგინა: **„ქვემო ქართლის რწმუნებულ-გუბერნატორად დაინიშნა გიორგი მღებრიშვილი. იგი გახლავთ იურისტი, სამართალმცოდნე, მუშაობდა სამართალდაცვით სისტემაში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე და ყველგან კარგი რეპუტაციით სარგებლობდა; რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რწმუნებულ-გუბერნატორად დაინიშნა პაპუნა მარგველიძე. იგი გახლავთ ეკონომისტი, ფინანსების და საბანკო საქმის მცოდნე, კარგი მენეჯერი; სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორად დაინიშნა აკაკი მაჭუტაძე — საგარეო-ეკონომიკური მიმართულების სპეციალისტი, აქვს სამართალდამცველ ორგანოებსა და საფინანსო სფეროებში მუშაობის გამოცდილება, არის ძალიან პატრიოტი კაცი და ძალიან კარგი მენეჯერი; სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორად დაინიშნა ლევან შონია. ჩემი მინისტრობის დროს ის იყო სამხარეო პოლიციის გამორჩეული უფროსი, სამართალმცოდნე, მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში. არის ღირსების ორდენოსანი; იმერეთის რწმუნებულად დაინიშნა ზაზა მეფარიშვილი – ძალიან კარგი ორგანიზატორი. პროფესიით ინჟინერ-ტექნოლოგი გახლავთ, ასევე აქვს იურისტის და ბუღალტერ-ფინანსისტის კვალიფიკაცია. აქვს საფინანსო საქმიანობის კარგი გამოცდილება, სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობის გამოცდილება; კახეთის რწმუნებულ-გუბერნატორად დაინიშნა ირაკლი შიოლაშვილი, რომელიც განათლებით იურისტია, კარგად იცის კახეთი და გამორჩეული გამგებელი იყო ბოლო ერთი წლის განმავლობაში; მცხეთა-მთიანეთის რწმუნებულ-გუბერნატორად დაინიშნა ნუგზარ ყიფიანი — რეჟისორი, ძალიან ნიჭიერი კაცი; შიდა ქართლის რწმუნებულ-გუბერნატორად დაინიშნა ზურაბ რუსიშვილი — პროფესიით საგარეოეკონომიკური ურთიერთობებისა და მართვის სპეციალისტი, ფინანსისტი. აქვს საფინანსო ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილება; გურიის რწმუნებულად დაინიშნა გიორგი ჩხაიძე — პროფესიით ეკონომისტი, ძალიან წარმატებული თავის საქმიანობაში და გურულებს ძალიან ღირსეული გუბერნატორი ეყოლებათ“.** თუმცა ეს მხოლოდ ოფიციალური ნაწილი და ფასადია. როგორც ოპოზიციიდან, ასევე სხვა წყაროებიდან აცხადებენ, **რეალურად გუბერნატორების პოსტებზე დანიშვნა ნეპოტიზმის, ნათესაურ-ახლობლური ნიშნით და, ძირითადად, პრემიერის უშუალო გარემოცვიდან მოხდა.**

იმერეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულად სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს, დასავლეთის რეგიონული სამმართველოს უფროსის — ზაზა მეფარიშვილის დანიშვნას იმერეთის ყოფილი გუბერნატორი ვახტანგ ბალავაძე გამოეხმაურა. როგორც ბალავაძემ განაცხადა, **„ნაციონალურ მოძრაობას“ დღევანდელი ხელისუფლება ყოველთვის აკრიტიკებდა პოლიციური რეჟიმის დამყარებაში, მაშინ, როცა, მისი თქმით, დღეს დანიშნული 9 გუბერნატორიდან უმრავლესობა პოლიციის უფროსი ან თანამშრომელია.**

„საქართველო და მსოფლიოს“ მიერ გადამოწმებული ინფორმაციითაც, ეს დანიშვნები დასტურდება. უცნობია, რატომ განხორციელდა ასე მასობრივად პოლიციელების როტაცია გუბერნატორებად, თუმცა, სავარაუდოდ, ის მოსალოდნელ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს უკავშირდება. პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ გუბერნატორების პოსტზე დანიშნული პირებიდან ბევრი პოლიციის ყოფილი თანამშრომელია, მათ შორის სუსის (რეფორმირებული კუდის) მაღალჩინოსნებიც. გუბერნატორებს შორის ასევე არიან ბიძინა ივანიშვილის კუთვნილი ტელეკომპანია „მეცხრე არხისა“ და „ქართუ ბანკის“ თანამშრომლებიც.

**მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორად რეჟისორი ნუგზარ ყიფიანი დაინიშნა. როგორც ამბობენ, ნუგზარ ყიფიანი 2000-იანი წლების დასაწყისში, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ბიძინა ივანიშვილის კუთვნილი „მეცხრე არხის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსი იყო.** ის ასევე არის საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ირაკლი ტრიპოლსკის მეგობარი. როგორც ამბობენ, ტრიპოლსკისა და ყიფიანს საპატრიარქოს დაკვეთით გადაღებული აქვთ ფილმი „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია“. ასევე „ქართუ ბანკის“ ყოფილი თანამშრომელია შიდა ქართლის ახალი გუბერნატორი ზურა რუსიშვილი. ის „ქართუ ბანკის“ ცენტრალური სერვისცენტრის მენეჯერის თანამდებობაზე მუშაობდა.



რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული — გუბერნატორი
**პარმენ მარგველიძე**



გურიის სახელმწიფო რწმუნებული — გუბერნატორი
**გიორგი ჩხაიძე**



სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებული — გუბერნატორი
**აკაკი მაჭუტაძე**



მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებული — გუბერნატორი
**ნუგზარ ყიფიანი**



სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული — გუბერნატორი
**ლევან შონია**



ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებული — გუბერნატორი
**გიორგი მღებრიშვილი**



შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული — გუბერნატორი
**ზურაბ რუსიშვილი**



იმერეთის სახელმწიფო რწმუნებული — გუბერნატორი
**ზაზა მეფარიშვილი**



კახეთის სახელმწიფო რწმუნებული — გუბერნატორი
**ირაკლი შიოლაშვილი**

## გუბერნატორებს შორის არიან ბიძინა ივანიშვილის კუთვნილი ტელეკომპანია «მეცხრე არხისა» და «ქართუ ბანკის» თანამშრომლებიც

ახლა კი — ყოფილი ძალოვანები გუბერნატორების პოსტებზე: მათ შორისაა **სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი აკაკი მაჭუტაძე. ის 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს** (ყოფილი კუდის) **სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს უფროსი იყო. ასევე სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს** (ყოფილი კუდის, მოქმედი სუსის) **დასავლეთის რეგიონული სამმართველოს უფროსი იყო იმერეთის ახალი გუბერნატორი ზაზა მეფარიშვილიც.**

**სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსის პოსტზე 2012 წლის არჩევნების შემდეგ მუშაობდა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ლევან შონია.** ის 1999-2004 წლებში ასევე იყო გულუას სახელობის პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმის უფროსი. სამეგრელოში შონიას იცნობენ, როგორც ღარიბაშვილის სიმამრის, თამაზ თამაზაშვილის, ახლობელს. **შონიას სახელს სამხარეო პოლიციის უფროსობის დროს ბევრი „საქმენი საგმირონი“ უკავშირდება, როგორც გვითხრეს, განსაკუთრებით კი კადრების შერჩევისას მოიკოჭლებსო. სამეგრელოში კრიმინოგენური სიტუაცია დაიძაბა.**

**ქვემო ქართლის გუბენრატორი გიორგი მღებრიშვილი პროფესიით იურისტია. ღარიბაშვილის თქმით, ის სამართალდამცავ სისტემაში მუშაობდა.** ბოლო თვეების განმავლობაში მღებრიშვილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის უფროსის პოსტი ეკავა.

იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში შემოსავლების სამსახურის სექტორის უფროსი იყო რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გუბერნატორი პარმენ (პაპუნა) მარგველიძე.

**„გამორჩეული გამგებელი, იურისტი, არის მოდელი, თუ როგორი უნდა იყოს თანამედროვე გამგებელი“,** — ასე დაახასიათა პრემიერმინისტრმა ღარიბაშვილმა კახეთის ახალი გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი. **შიოლაშვილმა საზოგადოებას თავი რამდენიმე თვის წინ, დედოფლისწყაროს გამგებლად მუშაობისას დაამახსოვრა, როცა ადგილობრივ მართლმადიდებლებსა და მუსლიმების დაპირისპირების დროს განაცხადა, რომ „სოფლის ნება უზენაესია“.** კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, ირაკლი შიოლაშვილი ღარიბაშვილის ცოლის, ნუნუკა თამაზაშვილის, ბავშვობის მეგობარი და კლასელია.

**გიორგი გაჩეჩილაძე**

„სადაც კი არის ინტერნეტთან წვდომა, იქ ყველაზე მარტივია, ყოველგვარი თვალთვალი. ძველი თაობის მობილურებში ეს პროცედურა, თვალთვალისა და მოსმენის უფრო გართულებულია, მაგრამ ფარული მიყურადება ასეთ შემთხვევებშიც ხდება. რაც შეეხება მობილურ ოპერატორებს, „ჯეოსელი“ ადასტურებს და საჯაროდაც იყო გაცხადებული, რომ მათ არ აქვთ შესაძლებლობა, აკონტროლონ, როდის იწყებს შს სამინისტრო ფარულ მიყურადებას, რა დროის განმავლობაში უსმენს, რა რაოდენობას და ა. შ.“

SOS

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სპეციალური შავი ყუთები სატელეფონო მიყურადებისთვის

სატელეფონო მიყურადების თემა კვლავ აქტუალურ საკითხად რჩება. „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ პუბლიკაციას „ფრთხილად, თქვენ ისევ გისმენენ“ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ფაქტობრივად, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გახმაურებული ფაქტები სტატიაში მოყვანილი ინფორმაციის ღია დადასტურება იყო: როგორც „პირველ პრესკლუბში“ გამართულ პრესკონფერენციაზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მთავარმა იურისტმა განაცხადა, „ჯეოსელის“ აღმასრულებელი დირექტორის — პასი კოისტინენის ინფორმაციით, „ჯეოსელის“ 21 ათასი სმარტფონის მქონე აბონენტი ისმინება: „სამი თვეა, რაც ფარული მიყურადების კანონპროექტზე ვმუშაობთ და პარლამენტსაც მივმართეთ. პარლამენტში შესულია კანონპროექტი და კანონის ჩამოყალიბების შემდეგ დაწესდება, რა კუთხით უნდა მოხდეს მოსმენა. სავარაუდოდ, კანონპროექტის განხილვა მომავალი წლიდან დაიწყება. ჩვენ ვითხოვთ, მართვის პულტი, რომელიც შს სამინისტროს აქვს და თითქმის ყველა აბონენტის მოსმენას ახორციელებს, მობილურ ოპერატორებს გადაეცეს. შს სამინისტრო ახორციელებს ფარულ მოსმენებს, ახალი თაობის მობილურებით ხდება დადგენა, თუ სად გადაადგილდება ესა თუ ის პიროვნება. ალბათ, რთული იქნება, ამ მანკიერ პრაქტიკაზე უარი თქვას, რადგან შედარებით გართულდება საქმის გახსნა, მაგრამ აუცილებელია, რომ ფარული მიყურადება აღარ მოხდეს. დღევანდელი ვითარებით ჩვენი თითოეული მოქალაქის მდგომარეობა ბევრად ილახება“, — განაცხადა ბოკუჩავამ.

როგორ უსმენენ სმარტფონებითა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით მოქალაქეებს, რა სპეციალური აპარატურა და მართვის პულტი აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს, ვინ აკონტროლებს და როგორ ხდება ტელეფონიდან მოსმენა — ამ და სხვა საკითხებზე დეტალების დასადგენად ჩვენ იურისტებსა და ექსპერტებს დავუკავშირდით.

## როგორ უსმენენ ძალოვან სტრუქტურებში საკუთარ ცოლებსა და მათთვის საინტერესო პირებს



**„საქართველო და მსოფლიო“ კომენტარისთვის „საერთაშორისო გამჭირვალობა — საქართველოს“ მთავარ იურისტს ეკა ბოკუჩავას დაუკავშირდა.**

**— თქვენ განაცხადეთ, რომ სმარტფონები და ახალი თაობის ტელეფონები ყველაზე მარტივი მოსასმენია — დაახლოებით 21 ათასი ადამიანის მოსმენა შეიძლება მხოლოდ ერთ კონკრეტულ შემთხვევაში. ამასთან დაკავშირებით რაიმე ინფორმაცია გაქვთ? ტექნოლოგიურად როგორ ხდება მოსმენის პროცედურა?**

— პირველ რიგში, მოსმენის პროცედურასთან დაკავშირებით მინდა გითხრათ, რომ პროკურორი და ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელი ვალდებულია, ფარული მიყურადების დაწყებამდე მიმართოს სასამართლოს, მიიღოს შესაბამისი ნებართვის განჩინება და მხოლოდ ამის შემდგომ დაიწყოს მოსმენა. თუმცა არის განსაკუთრებული გამონაკლისები, როცა, ოპერატიული გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, მას შეუძლია ფარული მიყურადება, თუმცა 24 საათის განმავლობაში ის ვალდებულია, მიმართოს სასამართლოს ამის დაკანონებისთვის. ის, რომ სმარტფონი ისმინება და სმარტფონების საშუალებით შესაძლებელია ჩვენი გადაადგილების იდენტიფიცირება, ახალი თემა არაა.

**— ეს ტექნიკურად როგორ ხდება? თვითონ სმარტფონშია რაიმე ახალი ტიპის დეტალი, რომელიც ასეთ საშუალებას იძლევა თუ სხვა მექანიზმია?**

— გარდა იმისა, რომ სმარტფონი დაკავშირებულია სატელიტთან, მასში არის გუგლნეტიც, გვაქვს ინტერნეტიც. **სადაც კი არის ინტერნეტთან წვდომა, იქ ყველაზე მარტივია, ყოველგვარი თვალთვალი. ძველი თაობის მობილურებში ეს პროცედურა, თვალთვალისა და მოსმენის უფრო გართულებულია, მაგრამ ფარული მიყურადება ასეთ შემთხვევებშიც ხდება. რაც შეეხება მობილურ ოპერატორებს, „ჯეოსელი“ ადასტურებს და საჯაროდაც იყო გაცხადებული, რომ მათ არ აქვთ შესაძლებლობა, აონტროლონ, როდის იწყებს შს სამინისტრო ფარულ მიყურადებას, რა დროის განმავლობაში უსმენს, რა რაოდენობას და ა.შ.** „თელიასონერა“, როგორც იცით, არის „ჯეოსელის“ ჯგუფის მფლობელი. მან დაახლოებით ერთი თვის წინ განმარტა, რომ სახელმწიფომ ჯერ კიდევ 2005 წელს შეიძინა „სონი ერიქსონის“ დანადგარები, რომელიც დამონტაჟდა შინაგან საქმეთა სამინისტროში. სწორედ ამ დანადგარებიდან ხდება პირდაპირი წვდომა მობილური ოპერატორის ქსელთან.

**— ანუ შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს უკვე ისეთი აპარატურა, რომ აღარ სჭირდება მიმართოს მობილურ ოპერატორს, რომ კონკრეტულ ნომერზე ჩართონ.**

— კი, ასეა. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონში არის ისეთი მუხლი, რომელიც უწყებას საშუალებას აძლევს, რომ დაამონტაჟოს კონკრეტული დანადგარები კონკრეტულ დაწესებულებებში, რაც ძალიან ცუდია. რაც შეეხება პირდაპირ წვდომას სატელეფონო საუბართან, დღევანდელი მდგომარეობით, როგორც გითხარით, მობილური ოპერატორები ვერ აკონტროლებენ, თუ როდის იწყება ჩაწერა-მოსმენა. ამას პირდაპირ შსს ახორციელებს. ერთადერთი, რაც ფორმალურად ხდება, როცა შსს იწყებს ფარულ ჩაწერას, არის ის, რომ ამის დაკანონებას ითხოვს სასამართლოსგან. როგორც ასეთი, ფარული მიყურადების მართვის პულტი, ვინც იწყებს მიყურადებას, ეს მობილური ოპერატორის ხელში, დღეის მონაცემებით, არ არის, მხოლოდ შსს აკონტროლებს ამ პროცესს. ოპერატორებს არანაირი წვდომა არ აქვთ.

**— რამდენად კანონიერი იქნება თქვენი მოთხოვნა, რომ კერძო კომპანიის, თუნდაც მობილური ოპერატორის, ხელში გადავიდეს მართვის პულტის წვდომა ფარულ მოსმენაზე?**

— პირველი არის ის, რომ ჩვენ ვართ მობილური ოპერატორის მომხმარებელი და ჩვენი უფლებაა, რომ დაცული იყოს ჩვენი პირადი სატელეფონო საშუალებით განხორციელებული საუბრები და ევალება ყველას, მათ შორის მობილურ ოპერატორსაც და სახელმწიფოსაც. რადგან კომპანია არის პასუხისმგებელი და ახორციელებს ჩვენს სატელეფოო კომუნიკაციას, ის უნდა იყოს ვალდებული, მხოლოდ სასამართლოს განჩინების მიხედვით ჩართოს მოსმენაზე ტელეფონი. რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მართვის პულტის გადაცემას, ეს არის დიდი საფრთხის შემცველი, ამის ძალიან ცუდი პრაქტიკა გვაქვს. შემდგომ ეს ყუთები და აუდიოფირები იყო აღმოჩენილი და დადასტურდა კიდეც შსს-ს მიერ. ნდობა შსს-ს მიმართ ძალიან დაბალია, ნდობასაც რომ თავი დავანებოთ, უფლებების დაცვის მხრივ, ეს უნდა იყოს მობილურ ოპერატორთან. ასევე მნიშვნელოვანია ზედამხედველობის მექანიზმიც.

**მობილური ოპერატორების ხელში მართვის პულტის გადასვლის შემთხვევაში, აუცილებლად მოხდება ზედამხედველი რგოლების ჩართვა: ეს შესაძლებელია იყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, ეს შეიძლება იყოს სახალხო დამცველის ინტიტუტი, არასამთავრობო ორგანიზაციები. პროცესი უნდა იყოს გამჭირვალე.**

**— როგორ მუშაობს მოსმენის აპარატურის ახალი მოდულები, რა მექანიზმებით?**

— ჩვენ ეს აპარატურა ვიზუალურად არ გვინახავს. აღწერილობით ვიცით, რომ ეს არის სპეციალური ყუთები, რომლებიც დგას შსს-ს გარკვეულ სტრუქტურულ ერთეულებში, ოპერატიულ-ტექნიკურ სამმართველოში, მოდულის შენობაში, იმავე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში. ამ ყუთებიდან გამომავალი ხაზები პირდაპირ მიერთებულია მობილური ოპერატორების ქსელთან კომპიუტერული მობილური ცენტრიდან და იქიდან ხდება სიგნალის მიღება: რთავს და იწყებს სატელეფონო საუბრის ჩაწერას. **ფარული მიყურადების ნებისმიერ საქმეზე გამოყენება უნდა აიკრძალოს. ის მხოლოდ მძიმე შემთხვევებში უნდა განხორციელებდეს, და მხოლოდ იმ გარემოებებში, როცა გამოძიებამ ამოწურა ყველა შესაძლებლობა დანაშაულის დამტკიცებისთვის.** ამას ჰქვია ე. წ. ლასტ რიზორტი, რომელიც უნდა დაიცვან. ამისთვის უნდა შეიქმნას კარგი საკანონმდებლო ბაზა და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით სტანდარტები უნდა გაუმჯობესდეს.

**„საქართველო და მსოფლიო“ ასევე ესაუბრა შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ თანამშრომელს — თემურ კენკებაშვილს, რომელიც იმ პერიოდს იხსენებს, როცა შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები მოსასმენ აპარატურას ცოლების სატელეფონო საუბრების ჩასაწერად იყენებდნენ:**

— ფარული მიყურადება, შესაძლოა, ტექნიკურად ბევრი საშუალებით განხორციელდეს, ერთ-ერთი არის პროგრამული ხასიათის. არსებობს სპეციალური პროგრამები, რომლებიც გააჩნია ოპერატიულ სამსახურებს. მათი საშუალებით ხდება დაკავშირება ამა თუ იმ სერვერზე გარკვეული ნებართვის საფუძველზე. მეორე ვარიანტია თვითონ მიმწოდებლებთან დადგმა გარკვეული აპარატურის, საიდანაც შესაძლებელია ინფორმაციის ამოღება თვითონ პროვაიდერებიდან. **სატელეფონო სიგნალის მიმღებებიდანაც შესაძლებელია სიგნალის მოხსნა, ასეთი აპარატურები არის დამონტაჟებული გარკვეულ ადგილებში. თუმცა ძირითადად მიმდინარეობს პროგრამული სახით მოსმენა, როდესაც მიყურადება ხდება თვითონ სამინისტროდან.**

**— ამბობდნენ, რომ კოდური სიტყვების მიხედვით უსმენდნენ...**

— ფარული მიყურადება შედის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში, ეს არ არის პროცესუალური ნორმები, ეს ცალკე კანონით დგინდება, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, ეს რამდენიმე 4-5 ოპერატიული ღონისძიება, რომელიც ოპერატიულ-ტექნიკურ სხვადასხვა ასპექტთანაა დაკავშირებული, შესულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და კონკრეტული ღონისძიებები რეგულირდება 136-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. საჭიროა პირის მოსმენაზე დაყენებამდე მოტივირებული მოთხოვნა და სასამართლოს დასტური.

**— წინა ხელისუფლების პირობებში საუბარი იყო მოსასმენი აპარატურის შეძენაზე, ახლა საუბარი დაიწყო სმარტფონების მასობრივ მოსმენაზე...**

— აპარატურა ძალიან კარგია ამ მხრივ და პროცედურაც არაა რთული. რამდენადაც ყველაფერი ციფრულ რეჟიმზეა გადასული, ელექტრონულ რეჟიმზეა აწყობილი და უფრო მარტივი გახდა მოსმენის რეგულირება. როდესაც იქმნება ნებისმიერი ტიპის პროგრამა, რომელიც განკუთვნილია რაღაც ღონისძიების დასაცავად, ამის პარალელურად ყოველთვის იქმნება მეორე პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს პირველი პროგრამიდან ინფორმაციის გადმოწერას, ანუ დღევანდელ რეალობაში მარტივი რამაა. **ლეგენდის დონეზე რომ დადის, რომ ყველა ერთად ისმინება და მილიონებზეა საუბარი, ასე არ ხდება. აქ ხდება კონკრეტული პირების — ეჭვმიტანილების მოსმენა.**

**— გასაგებია, ვის რატომ უსმენენ, მაგრამ, როდესაც კონკრეტულ პირს უსმენ, მისი ჩანაწერის გაშიფვრა როგორ ხდება: ავტომატურად იყრება მთლიანი ჩანაწერი კომპიუტერულ ფაილებში?**

— არა, ასეთი პროგრამა აქვს მხოლოდ აშშ-ს, როდესაც ავტომატურ რეჟიმში ხდება მისი გაშიფვრა. ჩვენს რეალობაში, გარკვეულ პერიოდში, ვთქვათ, დილა-საღამოს ხდება, ამის მოსმენა-ანალიზი, დგებაPპატაკი და ამის შემდგომ ამოაქვთ საინტერესო და გამოძიებისთვის აუცილებელი ინფორმაცია, რაც პრიორიტეტულია. ადრე ძვირი სიამოვნება იყო ფარული მიყურადებისთვის განკუთვნილი აპარატურის შეძენა, დღეს უკვე ეს პრობლემას არ წარმოადგენს, ძალიან ბევრი ქვეყანა აწარმოებს ამ აპარატურას. რაც შეეხება მართვის პულტის ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟს, იმავე დეველოპერების მხრიდან შავ ყუთებზე იყო საუბარი, როგორც მახსოვს, ეს არის ძალიან ბუნებრივი მოვლენა. **შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰქონდა, აქვს და უნდა ჰქონდეს წვდომა ამ მიმწოდებლებთან, რომ მან განახორციელოს ფარული მიყურადება ოპერატიული წესით. დღეს იმ ფორმით და იმ კონტექსტით, როგორც წინა ხელისუფლების დროს იყო, ეს მოსმენები ასე მასობრივად აღარ ხორციელდება.**

**— როგორც ცნობილია, წინა ხელისუფლების დროს, ცოლების სატელეფონო საუბრების მოსასმენადაც კი იყენებდნენ ამ ტექნიკურ საშუალებებს მაღალჩინოსნები.**

— კი, ეს ჩვეულებრივი მოვლენა და პრაქტიკა იყო. დღეს, საბედნიეროდ, ასე მასობრივად, იმედს ვიტოვებ, რომ აღარ ხდება.

ესაუბრა **ეკა ჩეჩელაშვილი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მათი მიზანია, ადამიანები ბავშვობიდანვე გახდნენ შემწყნარებელნი იმ ქმედებების მიმართ, რომლებიც ეკლესიისთვის უმძიმესი, მომაკვდინებელი ცოდვა და გახრწნილებაა.
არც ერთი ცოდვის, არც მკვლელობის, არც თვითმკვლელობის გამო ღმერთს ისე არ დაუსჯია ადამიანი, როგორც სოდომ-გომორული ცოდვის გამო დასაჯა, იმდენად საძაგელია ღვთის წინაშე ეს ცოდვა.“




# უმცროსკლასელებს ჰომოსექსუალური სცენების შემცველი რომანები დაურიგეს

**„როცა საღამოობით მუხლებზე მდგარი, ფიქრებში ფეხებზე ვეხვევი, ამ ფეხების სიმკვრივე მაოცებს, მაბნევს და ერთმანეთში მერევა. და მოგონება, რომელსაც ჩემი ღამეების საძოვარს სიამოვნებით ვუთმობ, შენზეა, უძრავად რომ იწექი, ვიდრე გეფერებოდი; და მხოლოდ შენი ამდგარი, მოცახცახე ასო მეჭრებოდა ხახაში იმ მაწანწალას მოულოდნელი გამხეცებით, რომელიც შლაპის ქინძისთავით იჩხვლეტს გულ-მკერდზე სისხლიან ხორცმეტს; შენ არც ინძრეოდი, არც გეძინა, არც ოცნებობდი, სადღაც შორს იყავი, უმოძრაო და გაფითრებული, გაშოტილი იყავი განიერ საწოლზე, რომელიც ზღვის ზედაპირზე მოტივტივე კუბოს ჰგავდა“.**
**აღნიშნული ტექსტისთვის მკითხველს ბოდიშს ვუხდით, მაგრამ ეს არის ციტატა მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური ფრანგი მწერლისა და დრამატურგის, ჟან ჟენეს ავტობიოგრაფიული რომანიდან „ნოტრ-დამ-დე-ფლერი („ყვავილების ღვთისმშობელი“), რომელიც ქალაქ თბილისის 147-ე სკოლის VI კლასის მოსწავლეებს სახლში წასაკითხად გაატანეს. წიგნი, რომელშიც მწერალი საკუთარი ჰომოსექსუალური გამოცდილების შესახებ მოგვითხრობს, ზრდასრული მკითხველისთვის კი არა, სკოლის მოსწავლეებისთვის იყო გამიზნული! ერთ-ერთი ასეთი მოსწავლე, სასულიერო პირის, მამა დავით ლასურაშვილის 11 წლის შვილი აღმოჩნდა.**
**„საქართველო და მსოფლიოს“**
**სიონის საკათედრო ტაძრის მოძღვარი, დეკანოზი მამა დავით ლასურაშვილი ესაუბრება:**



— ჩემი შვილი 11 წლისაა და VI კლასში სწავლობს. ამ ცოტა ხნის წინ ბავშვმა სკოლიდან მოიტანა ფრანგი მწერლის, ჟან ჟენეს, წიგნი „ნოტრ-დამ-დე-ფლერი“, რომელშიც ავტორი დაწვრილებით საუბრობს ორალურ სექსზე, აღწერს სექსუალურ სცენებს, წიგნი საშინელი სიბილწის შემცველი ტექსტებითაა სავსე. საგულისხმოა, რომ წიგნის ყდაზევე მითითებულა რომანის ავტორის, ჟან ჟენეს ბიოგრაფია, რომ 15 წლის ასაკში ის არასრულწლოვან დამნაშავეთა კოლონიაში მოხვდა, სადაც პირველი ჰომოსექსუალური გამოცდილება მიიღო. მას შემდეგ მან ევროპის მრავალი ციხე მოიარა. აღნიშნული ნაწარმოებიც ავტობიოგრაფიულია და მისი **ავტორი საკუთარ ჰომოსექსუალურ გამოცდილებაზე მოგვითხრობს. ეს ყველაფერი კი VI კლასის მოსწავლეებმა უნდა წაიკითხონ. ამას გარდა, ბავშვები გააფრთხილეს, რომ მეორე დღეს სკოლაში მოვიდოდნენ საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლები, სტუდენტები, რომლებთანაც ბავშვებს წაკითხული წიგნის განხილვა უნდა მოეწყოთ.** თუ გავითვალისწინებთ რა ტექსტების შემცველია ეს წიგნი, ნაწარმოების გაცნობის შემდეგ, ალბათ, ჩვენი აღშფოთებაც ბუნებრივი იყო.

**— როგორ მოხვდა ეს წიგნი სკოლაში VI კლასელ ბავშვთან, სკოლის დირექტორს თუ მიმართეთ?**

— ბუნებრივია, ვესაუბრე სკოლის დირექტორსაც და პედაგოგებსაც. აღმოჩნდა, რომ **პედაგოგებს დროც კი არ მისცეს წიგნის წასაკითხად, იმ დღესვე დაარიგებინეს ბავშვებისთვის. კლასის დამრიგებელმა ბოდიშიც კი მოიხადა თავის მოწაფეებთან და განაცხადა, რომ წიგნის შინაარსი თავადაც არ იცოდა.** არ ვიცი, იმთავითვე იყო თუ არა სკოლის დირექტორი საქმის კურსში, მაგრამ როდესაც მშობლებმა მოვითხოვეთ, ეცნობებინათ ჩვენთვის, განათლების სამინისტროს მიერ გაცემული რომელი დოკუმენტის საფუძველზე მოხდა იმ ორგანიზაციის შემოშვება სკოლაში, რომელმაც აღნიშნული პროექტის განხორციელება განიზრახა, სკოლის ადმინისტრაციამ კატეგორიული წინააღმდეგობა გაგვიწია. მეტიც, სკოლის დირექტორისგან ჩემ მიმართ საკმაოდ არასასიამოვნო საუბარი და შეურაცხმყოფელი ტექსტებიც მოვისმინე.

**— განათლების სამინისტროს თუ მიმართეთ?**

— მშობლები მივიდნენ განათლების სამინისტროში და მოითხოვეს, განათლების მინისტრი ან მისი მოადგილე თუ არა, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი მაინც შეხვედროდათ, მაგრამ მათ მხოლოდ სამდივნოში წერილის დატოვება შესთავაზეს. მიკვირს, რისთვის არსებობს სამინისტროში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური თუ საზოგადოების წევრებს არ შეხვდება?!

**— შეიძლებოდა განათლების სამინისტროსთან შეუთანხმებლად ამ ლიტერატურის სკოლებში შეტანა?**

— ჩვენ არც ისეთი მიამიტები ვართ, ვიფიქროთ, რომ განათლების სამინისტროს გვერდის ავლით გააკეთეს ეს სკოლებმა. ამ მიზნით საქართველოს სხვადასხვა სკოლაში დაახლოებით 15-20 დასახელების წიგნი დარიგდა. ზოგიერთი ნაწარმოები ღვთისა და რელიგიის შეურაცხმყოფელი ტექსტებით იყო სავსე...

**— როგორ ფიქრობთ, ვინ დგას ამ ყველაფრის უკან და რა მიზანი ამოძრავებთ ამ ადამიანებს?**

— აღმოჩნდა, რომ ეს წიგნები სკოლებში ევროკავშირის საქართველოს წარმომადგენლობის მიერ ევროკავშირის წიგნის კითხვის კვირეულის დროს განხორციელებული პროექტის ფარგლებში დაარიგეს. პროექტს ეწოდება „ვისაუბროთ წიგნებზე“; თითქოს მიზანი ბავშვებისთვის წიგნის კითხვის უნარ-ჩვევების გამომუშავება და ევროპული ლიტერატურის შესახებ ინფორმაციის მიწოდება იყო, სინამდვილეში კი, რა სახის წიგნებია, თავად ნახეთ.

ჩვენ მოვიპოვეთ სკოლებისთვის ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი წერილი, რომელშიც მკაფიოდ წერია აღნიშნული პროექტის მიზნების შესახებ.

**„მოგესალმებით, დაპირებისამებრ, გიგზავნით ჩვენი პროექტის მოკლე აღწერილობას. „ვისაუბროთ წიგნებზე“ ევროკავშირის საქართველოს წარმომადგენლობის ახალი ინიციატივა მიზნად ისახავს მოსწავლე-ახალგაზრდობაში წიგნის კითხვის უნარ-ჩვევების გამომუშავებას და ევროპული ლიტერატურის შესახებ ცნობადობის ამაღლებას. კვირეულის ფარგლებში 4-14 ნოემბრის ჩათვლით დედაქალაქისა და რეგიონების სპეციალურად შერჩეულ სკოლებში გაიმართება ევროპელი მწერლების წიგნის კითხვის სესიები. კლასებისა და ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით მოსწავლეები გაეცნობიან სხვადასხვა ავტორს, მათ ბიოგრაფებსა და ნაშრომებს. სესიებს გაუძღვებიან ქართული ენის პედაგოგები და მოხალისე სტუდენტები. კვირეულის ფარგლებში საჩუქრად გადმოგეცემათ ქართულ ენაზე ნათარგმნი საბავშვო ლიტერატურა. თქვენი მიზანი იქნება, შეარჩიოთ ბავშვები (30-50), რომლებიც გაეცნობიან სხვადასხვა მწერლის ნაწარმოებებს. კვირეულის განმავლობაში თქვენს ქალაქთან არსებული უნივერსიტეტის სტუდენტების გუნდი ეწვევა სკოლებს და დაეხმარება ბავშვებს წიგნების კითხვაში, ასევე, — სხვადასხვა დისკუსიის გამართვაში, რომელთა დროს ბავშვები ერთმანეთს გაუზიარებენ წიგნის წაკითხვით მიღებულ შთაბეჭდილებებს, მოყვებიან სხვადასხვა ეპიზოდს და ა. შ. დისკუსიებს, შესაძლოა, დაესწრონ ევროკავშირის წარმომადგენლები, ჟურნალისტები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. ფოტოები გამოქვეყნდება ევროკავშირის ვებგვერდზე და „ფეისბუქის“ გვერდზე. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თქვენს მოწაფეებს შანსი აქვთ, მონაწილეობა მიიღონ კონკურსში. კვირეულის ბოლოს კლასები წარმოადგენენ გუნდურ და ინდივიდუალურ ნამუშევრებს წაკითხული წიგნების შესახებ (პოსტერები, ნახატები, ესეები).**

**ევროკავშირის დელეგაცია და პარტნიორი ევროპული ინსტიტუტები (სადამკვირვებლო მისია) შეარჩევენ საუკეთესო ნამუშევრებს და ავტორები დაჯილდოვდებიან სიგელებითა და სხვა პრიზებით,“** — ნათქვამია წერილში. როგორ ფიქრობთ, ამ ტექსტებს რომ ბავშვი წაიკითხავდა, ამ წიგნის მიხედვით რა ჩანახატები და პოსტერები უნდა შეექმნა?

ამის შემდეგ შევეცადე, დავკავშირებოდი პროექტის ხელმძღვანელს, ქალბატონ მაია ჩიტაიას, რომლის ვინაობაც მითითებული იყო სკოლებისთვის გაგზავნილ წერილებში. ვთხოვე მას, ეთქვა, პირველ რიგში, რა უფლებით არიგებდნენ ასეთ წიგნებს სკოლებში და მსურდა მას პირადად გავსაუბრებოდი, რაზეც უარი განაცხადა. ჩვენ შორის მხოლოდ სატელეფონო საუბარი შედგა, ის გამუდმებით თავს იმართლებდა. ახლახან ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა მაია ჩიტაიას ინტერვიუ, რომელშიც ის ცრუობს, როდესაც ამბობს, რომ ჩვენ ეს წიგნები მოსწავლეებთან არ მიგვიტანიაო. არადა, ეს წიგნი შემთხვევით რომ არ აღმოჩენილა ამ ბავშვების ხელში, ეს მის მიერ სკოლის დირექტორებისთვის გაგზავნილი წერილიდანაც ნათლად ჩანს. **„ევროკავშირის წარმომადგენლობა ოქტომბრის ბოლოს ესტუმრება თქვენს სკოლას და ჩამოიტანს ევროპულ ლიტერატურას, რომელიც უნდა განიხილონ მოსწავლეებმა. გთხოვთ, თქვენი სკოლიდან შეარჩიოთ ქართული ენის ერთი პედაგოგი, რომელიც ორგანიზებას გაუწევს, შეარჩიოს თქვენი სკოლის 6-დან 12 წლამდე მოსწავლეები (30-50 მოსწავლე), რომლებიც შემდეგ იქნებიან პროექტის მონაწილეები“,** — ნათქვამია სკოლებისთვის გაგზავნილ წერილში.

ამის შემდეგ მაია ჩიტაიამ გადამამისამართა ხათუნა ცხადაძესთან, რომელსაც ევალებოდა იმ წიგნების შერჩევა, რომლებიც ამ პროექტის ფარგლებში უნდა დარიგდებულიყო სკოლებში. ხათუნა ცხადაძემ მითხრა, როგორც ჩანს, თქვენს შვილთან ეს წიგნი შემთხვევით მოხვდა, რადგან უფროსი კლასებისთვის იყო განკუთვნილიო. როდესაც მე მას ვუთხარი, რომ წიგნში ჰომოსექსუალიზმის შემცველი ტექსტები იყო, ხათუნა ცხადაძემ მიპასუხა, ჰომოსექსუალიზმი თქვენთვის არის მიუღებელი, თქვენ ერთი ბავშვის მშობელი ხართ და სკოლაში კი ბევრი ბავშვიაო.

**მათი მიზანია, ადამიანები ბავშვობიდანვე გახდნენ შემწყნარებელნი იმ ქმედებების მიმართ, რომლებიც ეკლესიისთვის უმძიმესი, მომაკვდინებელი ცოდვა და გახრწნილებაა. არც ერთი ცოდვის, არც მკვლელობის, არც თვითმკვლელობის გამო ღმერთს ისე არ დაუსჯია ადამიანი, როგორც სოდომ-გომორული ცოდვის გამო დასაჯა, იმდენად საძაგელია ღვთის წინაშე ეს ცოდვა. წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს: მრუშობა მძიმე ცოდვაა, მაგრამ ეს ბუნებრივია, ვინაიდან ქალისა და მამაკაცის ურთიერთობას გულისხმობს, მაგრამ მამათმავლობა ბუნების საწინააღმდეგო ცოდვაა და ასეთი ცოდვით სიარულს სიკვდილი სჯობსო.**

აშკარაა, რომ ევროკავშირი არამხოლოდ რეკომენდაციებს, არამედ დირექტივებს ურიგებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს და ასევე მათ, ვინც ევროკავშირში გაწევრიანებისკენ ისწრაფვის. სხვათა შორის, ამ მხრივ საინტერესო გამონაკლისია ხორვატია, რომელიც ევროკავშირის წევრია, მაგრამ მან გაბედა და წინააღმდეგობა გაუწია ევროკავშირს და ერთსქესიანთა ქორწინებას რეფერენდუმის გზით უარი უთხრა. **საქართველოს ხელისუფლება კი ორცეცხლს შუაა მოქცეული. ერთის მხრივ, ბევრი მათგანისთვის აბსოლუტურად მიუღებელია ყველაფერი, რასაც ევროკავშირი, ფაქტობრივად, გვაიძულებს, მეორე მხრივ, ეშინიათ და ევროკავშირის განაწყენება არ სურთ.**

**— რა საფრთხეს ხედავთ სექსუალური განათლების დანერგვაში? თქვენი ოპონენტები ამბობენ, რომ, თუ ადამიანს არ აქვს ჰომოსექსუალური მიდრეკილებები, ვერანაირი პროპაგანდის შედეგად ასეთად ვერ გარდაიქმნება.**

— ადამიანი საერთოდ ცოდვისკენ მიდრეკილია და ის შეიძლება გავლენის ▶

**«აღნიშნული ნაწარმოები ავტობიოგრაფიულია და მისი ავტორი საკუთარ ჰომოსექსუალურ გამოცდილებაზე მოგვითხრობს. ეს ყველაფერი კი VI კლასის მოსწავლეებმა უნდა წაიკითხონ»**

**„პარლამენტში წარმოდგენილ თითოეულ პარტიას უნდა ჰქონდეს მყარად ჩამოყალიბებული პოლიტიკური მრწამსი და ეროვნულ-ნაციონალური იდეოლოგიის მატარებელნი უნდა იყვნენ. მათთვის ძალაუფლების შენარჩუნება და, რაც ყველაზე სამარცხვინოა, ფულის მოხვეჭა მთავარი არ უნდა იყოს. რომელი პარტიებიცა და პოლიტიკური სუბიექტებიც ამ ქმედებებისკენ იქნებიან მიდრეკილნი, აუცილებლად უნდა იყვნენ გაყვანილნი ქართული პოლიტიკური სივრციდან.“**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ქვეშ ადვილად მოექცეს. საფრთხე აშკარაა. ჩვენ ხელთ გვაქვს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წელს მიღებული რეკომენდაცია, რომელსაც ჰქვია „სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციასთან ბრძოლის ზომების შესახებ“. აქ მოცემული გარკვეული მითითებები, რომლებსაც დირექტივების ხასიათი უფრო აქვს, ვიდრე უბრალოდ მითითების, რომლითაც მიმართავენ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს და, რამდენადაც საქართველოც ისწრაფვის ევროკავშირისკენ, როგორც ჩანს, საქართველოსაც ავალდებულებენ აღნიშნული მითითებების შესრულებას.

ამ მუხლებს თუ გავეცნობით, დავრწმუნდებით, რომ ბავშვებს არამხოლოდ აჩვევენ სიბილწეს, არამედ საკუთარ შვილებს ხელიდან გვაცლიან.

„სახელმწიფომ არასრულწლოვან ლგბტ პირებს უნდა შესთავაზოს ეფექტური დაცვა ოჯახური ძალადობისგან. მათ შორის ფსიქოლოგიური ზეწოლისგან ოჯახის წევრთა მხრიდან, რომლებიც აიძულებენ არასრულწლოვან ლგბტ პირებს, გაიარონ სამედიცინო მკურნალობა ორიენტაციის შესაცვლელად“, — ნათქვამია ერთ-ერთ მუხლში, ანუ, ფაქტობრივად, ჩვენ გვერთმევა უფლება, ტრადიციული ოჯახი გვქონდეს. **გვეუბნებიან, რომ, თუ ჩვენ შევნიშნეთ, რომ არასრულწლოვან ასაკში ჩვენს შვილს აქვს გარკვეული გადახრები ჰომოსექსუალიზმისკენ, ჩვენ არ გვაქვს უფლება, საკუთარი შვილები შესაბამის სპეციალისტთან, ექიმთან მივიყვანოთ და ვუმკურნალოთ, რამეთუ ისინი ჰომოსექსუალიზმს დაავადებად არ მიიჩნევენ.**

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-9 მუხლში წერია, რომ თავად სახელმწიფოებს აქვთ უფლებამოსილება, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, კანონით შეზღუდონ თვით ისეთი რელიგიის, მოძღვრებათა აღმსარებლობა, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოებრივ წესრიგს, მოსახლეობის ჯანმრთელობას ან ზნეობას, ან სხვა პირთა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას. ეს შეზღუდვა სავსებით ვრცელდება ჰომოსექსუალიზმსა და მსგავს გამოვლინებებზე. ვინაიდან, **ჰომოსექსუალიზმმა უკვე მკაფიოდ მიიღო იდეოლოგიის ფორმა, პროპაგანდისტული ხასიათი და აღჭურვილია მსოფლიო ლობითა და აპოლოგიით.**

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ევროპის რეგიონულმა ორგანიზაციამ ჯანდაცვის სფეროში, გერმანიის განათლების ფედერალურ ცენტრთან ერთად, შეიმუშავა და გამოაქვეყნა მათ მიერ რეკომენდებული **„ევროკავშირის სექსუალური განათლების სტანდარტები“. სავარაუდოდ, საქართველოს სკოლებში სექსუალური განთლების პროგრამის დანერგვის მესვეურებიც ამ სტანდარტებით იხელმძღვანელებენ, რომლის მიხედვითაც, 6-9 წლამდე ბავშვს უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია, თუ რა არის სექსუალობა, სინაზე, დავეხმაროთ, მიიღოს სიხარულისა და სიამოვნების განცდა საკუთარ სხეულთან შეხებით; ვასწავლოთ ცნება „მისაღები სექსი“. 9-12 წლის ბავშვებს კი უნდა ვესაუბროთ პირველ სექსუალურ გამოცდილებაზე, გენდერულ ორიენტაციაზე, მასტურბაციაზე და ა. შ. ხოლო ჰომოსექსუალიზმის შესახებ ბავშვებს განსაკუთრებით ვრცელი ინფორმაცია უნდა მივაწოდოთ.**

აშშ-ის ზოგიერთ შტატში ჰომოსექსუალიზმი დღესაც ისჯება. მართალია, ბოლო პერიოდში ცდილობენ, ამერიკაც ევროპულად მოაწყონ, მაგრამ ფაქტია, რომ ევროპა უფრო გარყვნილია, ვიდრე ამერიკა. თუმცა ამერიკის ადვოკატებად ჩვენ, ალბათ, არ გამოვდგებით, ვინაიდან ამერიკელებმაც მაღალი ხარისხის ორმაგი სტანდარტები დააწესეს: ერთი სტანდარტი — თავისი ქვეყნისთვის, მეორე — ჩვენთვის. ბუშის ადმინისტრაციამ გაითვალისწინა რა, რომ გასულ ათწლეულებში თავისუფალი ცხოვრების წესის პროპაგანდამ საკმაოდ მძიმე კვალი დატოვა ამერიკულ საზოგადოებაზე, შეეცადა, გაემყარებინა ოჯახის ინსტიტუტი და თავშეკავების პრინციპი დაენერგა ახალგაზრდებში. ამერიკა უზარმაზარი ქვეყანაა, ჩვენს ქვეყანას კი შეცდომის უფლება არ აქვს.

**თუ ჩვენი ქვეყნის „გაევროპელების“ ვექტორი გადის უზნეობასა და ჰომოსექსუალიზმზე, ჩვენი ეკლესიის შეურაცხყოფაზე, ეროვნული ტრადიციების უარყოფაზე, მაშინ ასეთ „ევროპულ“ ოჯახში ყოფნა ჩვენ არ გვჭირდება. მესმის, რომ ახლა არამოდურია ასეთი განცხადებების გაკეთება, ახლა მოდაში პროევროპელობაა და პროდასავლელობაა და არა პროქართველობა, მაგრამ ასეთი ევროპა არ გვინდა! უმცირესობის უფლება არ უნდა იყოს დაცული უმრავლესობის უფლებების დარღვევის ხარჯზე. ამას ვერ დავუშვებთ.**

ჩვენ, სასულიერო პირებს, გვიკიჟინებენ, თითქოს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის გამოთქმის უფლება არ გვაქვს და ამას პოლიტიკაში ჩარევად გვითვლიან. ეს ის პოლიტიკოსები თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები არიან, რომლებსაც საქართველოში უკვე დამკვიდრებული სახელით — „გრანტიყლაპიებად“ მოიხსენიებენ. ცოტა ხნის წინ თვითმმართველობის კანონზე პატრიარქის შენიშვნასაც მოჭარბებული ემოციურობით შეხვდა ზოგიერთი პარლამენტარი. საინტერესოა, რომელი საერო კანონი გვიკრძალავს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლებას, მით უმეტეს მაშინ, როდესაც საქმე ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან თემებს ეხება? ნუთუ შეიძლება, ფარის დასაგლეჯად მოჯარულ მგლებს მწყემსი დუმილით შეხვდეს?!

ესაუბრა **შორენა ციკქარაშვილი**

# ვისი დანახვა არ სურს და ვის ნახვას ისურვებდა პარლამენტში უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე



**პრემიერმინისტრის პოსტიდან ივანიშვილის წასვლის შემდეგ სულ უფრო ხშირად დგება ეჭვქვეშ მოქმედი პარლამენტის ლეგიტიმურობის საკითხი, რადგანაც ამომრჩევლები „ქართული ოცნების“ სახელით პარლამენტში შესულ პოლიტიკურ პარტიებსა თუ სუბიექტებს, რომ არა ივანიშვილის ფაქტორი, არათუ ხმას, წამლად ერთ ჭიქა წყალს არ მისცემდნენ, და იმავე რესპუბლიკელების საარჩევნო შედეგებს თუ დავაკვირდებით, ნათელია: რომ არა ლოკომოტივი, სახელად ბიძინა ივანიშვილი, ეს პარტია საარჩევნო ბარიერსაც ვერ გადალახავდა. „საქართველო და მსოფლიომ“ გადაწყვიტა, შეემოწმებინა ამა თუ იმ პოლიტიკური სუბიექტის ლეგიტიმურობის ხარისხი და მკითხველისთვის შეეთავაზებინა რუბრიკა „შემოსაღებულნი“, რომლის რესპონდენტებიც ერთადერთ შეკითხვას — ვისი დანახვა არ გინდათ და ვის ნახვას ისურვებდით პარლამენტში? — უპასუხებენ. ამჯერად რუბრიკის სტუმარია უფლებადამცველი და პარტია „თავისუფალი საქართველოს“ წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

**არ ისურვებდა:**

რესპუბლიკელები

კონსერვატორები

მწვანეთა პარტია

ეროვნული ფორუმი

**ისურვებდა:**

თავისუფალი საქართველო

დემოკრატიული მოძრაობა

— პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ **კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ საზოგადოების იმედები არ გაამართლა. სწორედ ამიტომ ამ კოალიციაში შემავალი პარტიები და პოლიტიკური სუბიექტები არ უნდა იყვნენ წარმოდგენილნი საქართველოს პარლამენტში. მინდა გამოვკვეთო რესპუბლიკური პარტია** და დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ, თუ არა ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“, რესპუბლიკელები მხარდამჭერთა სამ პროცენტსაც ვერ მოაგროვებდნენ. **შევეხები ასევე კონსერვატორულ პარტიასაც.** ამ პარტიას ვალდებულებები ჰქონდა დაკისრებული საზოგადოების მიმართ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც საზოგადოებას წარმოედგინა. **აქვე მინდა ჩემი პოზიცია დავაფიქსირო მწვანეთა პარტიის მიმართაც.** მე ძალიან დიდ პატივს ვცემ ამ პარტიის ლიდერს, ბატონ გიორგი გაჩეჩილაძეს, მაგრამ ჩემი მისდამი პატივისცემა ნამდვილად არ გახდება საბაბი იმისა, რომ ვიყო ნაკლებად ობიექტური და დაუფარავად არ დავაფიქსირო ჩემი პოზიცია. **მე ნამდვილად არ მესმის, როგორ შეიძლება იყოს პარლამენტში წარმოდგენილი პარტია, რომელიც მხოლოდ ერთი წევრისგან შედგება და მითუმეტეს იმ შემთხვევაში, როდესაც ის ერთი წევრიც ამ პარტიის ლიდერია!** ნამდვილად ვერ დადის ჩემს გონებამდე ამგვარი გარემოება, ეს კი ნამდვილად არის უკმაყოფილების საბაბი.

პარლამენტში წარმოდგენილნი არიან ისეთი პოლიტიკური სუბიექტები, რომლებიც დამოუკიდებლად არასდროს გამოსულან არჩევნებზე და ახლა კოალიციაში არიან წარმოდგენილნი, ამ გზით კი — პარლამენტში. მე არ მინდა შემოვიფარგლო მხოლოდ ამ დასახელებული პარტიებით, მაშინ, როდესაც პარლამენტში წარმოდგენილი სხვა პარტიებიც ლეგიტიმურობის სერიოზულ ეჭვს იწვევენ. ესენი კი იმიტომ გამოვკვეთე, რომ ნდობის ხარისხი საზოგადოებას მათ მიმართ გაცილებით მაღალი ჰქონდა. სამწუხაროა, რომ მათ ეს ნდობა ვერ გამოიყენეს. **ვიდრე სხვადასხვა პარტია „ქართული ოცნების“ კოალიციაში გაერთიანდებოდა, კარგად მახსოვს მათი აქტიურობა. ხალხს მაშინ მათი იმედი ჰქონდა და ყოველ მათ დაძახებაზე ასიათასობით ადამიანი გამოდიოდა ქუჩაში. მაშინ ყველანი ვხედავდით მათ აქტიურობას, მაგრამ მას შემდეგ, რაც ისინი კოალიციის შემადგენლობაში შევიდნენ, მათი მხრიდან პირადად მე არანაირი აქტიურობის მომსწრე არ ვყოფილვარ.**

**პარლამენტში სიამოვნებით ვიხილავდი პარტია „თავისუფალ საქართველოს“. ასევე მინდა ჩემი პატივისცემა გამოვხატო პარტია „დემოკრატიული მოძრაობის“ მიმართაც.**

ჩემი სიმპათიები აღნიშნული პარტიების მიმართ გამოიწვია იმან, რომ ვფიქრობ, ისინი რადიკალურად განსხვავებულნი იქნებიან დღეს საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიებისა და სუბიექტებისგან. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი არ მოექცევიან იმ კონიუნქტურის ტყვეობაში, რომელშიც საზოგადოების თვალში გარკვეული რეიტინგის მქონე პარტიები აღმოჩნდნენ. მაგალითად, ავიღოთ „ეროვნული ფორუმი“ და კონსერვატორული პარტია. მათდამი საზოგადოების ნდობა გამოწვეული იყო მათ მიერ ნაციონალურ-ეროვნული ინტერესების გატარებითა და დაცვით. შესაბამისად, იყო მოლოდინი, რომ ეს პარტიები კოალიცია „ქართულ ოცნებაშიც“ გააგრძელებდნენ ამ ხაზს, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ისინი, როგორც სხვა მრავალი პარტია, იმ პოლიტიკური კონიუნქტურის ტყვეობაში აღმოჩნდნენ, რომელშიც მთავარ როლს და ძირითად პირველ ხმას რესპუბლიკური პარტია წარმოადგენს. პარტიათა ამგვარი იდეოლოგია კი მოწონებას საზოგადოების უმრავლესობის თვალში სამართლიანად არ იმსახურებს.

შესაბამისად, ისმის კითხვა, როგორი პოლიტიკურ ძალთა ერთობა უნდა ქართულ საზოგადოებას, რომ პოლიტიკური პროცესები ყველა კუთხითა და ყველა ასპექტით სწორად იმართებოდეს, რომელიც არ იქნება რომელიმე კონკრეტული იდეოლოგიური დიქტატის ქვეშ?! **პარლამენტში წარმოდგენილ თითოეულ პარტიას უნდა ჰქონდეს მყარად ჩამოყალიბებული პოლიტიკური მრწამსი და ეროვნულ-ნაციონალური იდეოლოგიის მატარებელნი უნდა იყვნენ. მათთვის ძალაუფლების შენარჩუნება და, რაც ყველაზე სამარცხვინოა, ფულის მოხვეჭა მთავარი არ უნდა იყოს. რომელი პარტიებიცა და პოლიტიკური სუბიექტებიც ამ ქმედებებისკენ იქნებიან მიდრეკილნი, აუცილებლად უნდა იყვნენ გაყვანილნი ქართული პოლიტიკური სივრციდან.**

დღეს ქართული პოლიტიკური სივრცე, სამწუხაროდ, ღირსეულ პარტიათა სიმცირეს განიცდის და მათი უმრავლესობის მრწამსი სხვა პარტიათა იდეოლოგიის ქვეშ არის მოქცეული. მიმაჩნია, რომ ჩემ მიერ დასახელებული „თავისუფალი საქართველო“, „დემოკრატიული მოძრაობა“ და საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ უჩინო სხვადასხვა ეროვნული ძალა სწორედ ამ ნიშნით განსხვავდებიან პარლამენტში დღეს წარმოდგენილი პარტიებისგან. შესაბამისად, ვთვლი, რომ ისინი ეროვნულობისა და ნაციონალურობის მატარებელნი არიან, რაც დღესდღეობით საქართველოს ნამდვილად აკლია და ძალიან სჭირდება. პოლიტიკური სივრცის საფუძვლიანი გადახედვა კი ისევ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებლობითაა ნაკარნახევი.

ჩაიწერა **შორენა ღვაჩლიანმა**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„გამოდის ბიძინა ივანიშვილი და ამბობს, რომ მესია არ გვინდა, მას არ ესმის, რომ მესიას კი არ უნდა ებრძოლოს, ცრუ მესიას უნდა ებრძოლოს. მესია ვერ იცნეს ებრაელებმა და ჯვარზე გააკრეს. წარმოიდგინეთ, ივანიშვილის გზას რომ გავყვეთ, სადამდე მივალთ. ვფიქრობ და მწამს, რომ ივანიშვილი უფრო მოკრძალებული გახდება თავის მესიანისტურ შეხედულებებში და ასეთ სისულელეს მომავალში აღარ იტყვის.“**



# თემურ ქორიძე: ეკონომიკა, კულტურა, ჯარი, ეკლესია, განათლება — ამ ინსტიტუტებიდან ყველა დაკნინებულია

**ბოლო დროს საზოგადოების თავშეყრის ადგილებში ხშირად გაიგონებთ ასეთ სიტყვებს: „მგონი, უფრო დავიღუპეთ...“, „ის, რასაც სააკაშვილის მთავრობა კულუარულად აკეთებდა, ესენი ღიად და აშკარად აკეთებენ“, „შეგრძნება გვაქვს, რომ ქვეყანას მთავრობა არ ჰყავს“, აჭარა ისეთ დღეშია, რომ სოციალურ ქსელებში ხუმრობენ კიდეც: „ხალხს შევარდნაძის დრო გაახსენდა და სააკაშვილი ინატრესო“ და ა. შ. ხალხს იმედი გაუცრუვდა, თანაც ძალიან მალე. ახალი მთავრობაც ძველივით იმ იდეებსა და პროექტებს გვტენის, რომლებიც ქართველის აღშფოთებას იწვევს. ახალი მთავრობაც ხალხს არაფერს უხსნის და არ ელაპარაკება. უფრო მეტიც, საქართველოს ისტორიას რომ არ ახსოვს, ისეთი რაღაცები ხდება. ერი შეშფოთებულია. რა ხდება ქვეყანაში? რატომ გახდა ასეთი მნიშვნელოვანი რელიგიური და სექსუალური უმცირესობების დაცვის საკითხი, ადამიანების, რომელთაც დაცვა არ სჭირდებათ და არც არასოდეს დასჭირვებიათ, ჩვენ ხომ ზედმეტი ტოლერანტობით გამორჩეული ერი ვართ? „საქართველო და მსოფლიოო“ ამ მნიშვნელოვან საკითხებზე სასაუბროდ ეროვნული მთავრობის ყოფილ წევრს — თემურ ქორიძეს ეწვია.**

**— ბატონო თემურ, რა არის დემოკრატია? ის, რომ ვისაუბროთ და წინ წამოვწიოთ ქართველისთვის შეურაცხმყოფელი საკითხები? საზოგადოება შეშფოთებულია იმით, რომ თავს გვახვევენ პრობლემებს, რომლებიც სინამდვილეში პრობლემას არ წარმოადგენს, მაგალითად, როგორიცაა რელიგიური უმცირესობების პატივისცემა. ჩვენ მათ უპატივცემულოდ ვექცევით?**

— ბუნებრივია, რომ ქართული საზოგადოება შეშფოთებულია, თანაც ძალიან შეწუხებულია პრობლემებით და ყველა თანხმდება იმაში, რომ ეს არის თავსმოხვეული, ცრუ პრობლემები, რომლებიც ჩვენი რეალური ყოფიდან არ მომდინარეობს. ის ხელოვნურად არის გამძაფრებული, ფსევდოპრობლემატიკაა, ამიტომ, ბუნებრივია, რომ ეჭვებიც ჩნდება.

ცნობილია და სადავო არავისთვისაა ქართველი კაცის ტოლერანტობის ამბავი, ჩვენი განსაკუთრებული დამოკიდებულება სტუმრისადმი.

ამის ახსნა ასე შეიძლება: ჩვენს ისტორიაში თითქმის არ ყოფილა ისეთი პერიოდი, თანასწორი, ღირსეული პარტნიორობა გაგვეწია რომელიმე სახელმწიფოსთვის, მეტწილად ძლიერ მოკავშირეს ვეძებდით და უფრო ხშირად კი პატრონს. ეს ამბავი სულაც არ მიანიშნებს იმაზე, რომ ჩვენი ხასიათი თავისი არსით მონურია. ის მეტყველებს ისტორიის მკაცრ გაკვეთილებზე და ბუნებრივია, რომ ამ გზაზე ბევრი შეცდომაც იქნა დაშვებული.

**რაც შეეხება უცხო რელიგიების, სექტების, მოძრაობების მოძალებას, ვფიქრობ, 90-იან წლებში საქართველოში აღმოცენებულ მრავალრიცხოვან არასამთავრობო ორგანიზაციებს უნდა დავუკავშიროთ, რომელთა შემოსავლის ერთადერთი წყაროა „დაცვა“, „მფარველობა“ იმ მიმართულებებისა, რომელთაც საქართველოში რეალურად არავითარი პრობლემა არ ექმნებათ. ლაპარაკია რელიგიურ უმცირესობებზე და, თუ გნებავთ, სექსუალურ უმცირესობებზეც.** ბევრი რამ ქართველი კაცისთვის მისაღები არ იყო, მაგრამ ამ თვალსაზრისით ხელჩართული ბრძოლა არასოდეს ყოფილა. ქართული ტრადიციული ღირებულებები ყოველთვის თავის ადგილს მიუჩენდა-ხოლმე ყველა მიმართულებას. მაგალითად ავიღოთ ჩვენი 26-საუკუნოვანი მეგობრობა ებრაელ ხალხთან. ჩვენ მათთან პრობლემა არასოდეს გვქონია. გერმანიაში, რუსეთში, საფრანგეთში, სახელმწიფოს ფინანსების სავაჭრო-სამრეწველო სექტორის 90 პროცენტი ებრაელების ხელში იყო, რამაც პრობლემები წარმოშვა. ქართველი ებრაელობა კი არასოდეს წაპოტინებია იმ სიმაღლეებს, რომლებზეც „ექსკლუზიურ“ უფლებას ეთნიკურად ქართველი აცხადებდა. ქართველ ებრაელს არასოდეს მოუსურვებია ხელისუფლებაში რაიმე თანამდებობის დაკავება ან თუნდაც სახელოვნებო წრეებში წინამძღოლის, მასწავლებლის, ლიტმოძღვრის როლი. ასეთი ტენდენციები ევროპაში შეიმჩნეოდა, როდესაც ებრაელმა განათლებულმა ფენებმა პრაქტიკულად სულიერი, კულტურული და მეცნიერული აზრის თვალსაზრისით წინამძღოლობა ითავეს. ჩვენთან ასეთი რამ არ ხდებოდა, ამდენად, კონფლიქტიც ამ ნიადაგზე საქართველოში არ ყოფილა.

**სოროსის ბიოგრაფიას ვინც კარგად იცნობს, დარწმუნდება, თუ რამდენად გაუჭირდათ ებრაელებს ევროპაში და, აქედან გამომდინარე, ეს სქემები საქართველოშიც გადმოიტანეს, თუმცა მათი მოქმედების აუცილებლობა აქ ნამდვილად არ იყო. ეს არ ემყარებოდა გულმხურვალე, გულწრფელ ტოლერანტობას, რადგან მას უზარმაზარი ფინანსები მოჰყვებოდა და, ბუნებრივია, რომ შესაფერისი სიხარბეც დახვდა. აქაც დაიწყეს გააქტიურება ობივატელურმა ფენებმა.**

თუკი არ შევისწავლით არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომავლობას, მათ მსოფლმხედველობრივ ფინანსურ ინტერესებს, ჩვენ კიდევ უფრო მეტი, ხელოვნურად შექმნილი ხიფათის წინაშე აღმოვჩნდებით.

1999 წლისთვის, არასამთავრობოების ჩამოყალიბებამ პიკს მიაღწია. ამ ყველაფერს სათავეში ზურაბ ჟვანია ედგა, არასამთავრობოებში მომუშავე ადამიანებს ძალიან მაღალი ხელფასები ჰქონდათ, იმ პერიოდში ეს ხელფასები მაცდუნებელი იყო. მაშინ მყარად ჩამოყალიბებული ფენა შეიქმნა, არ მინდა „მეხუთე კოლონა“ დავარქვა, მაგრამ მათი დიდი ნაწილი ეროვნულ ინტერესებს არ ემსახურება. **ეს პრობლემა, რომელიც ახლა დგას უმცირესობებთან დაკავშირებით, საუბარია, ნებისმიერ უმცირესობაზე, არის დასავლეთის პრობლემები და არა ჩვენი.**

ავიღოთ 17 მაისის პრობლემა. ვინ შექმნა ის? რატომ გახდა აუცილებელი გეიაღლუმის ჩატარება მაინცდამაინც ეკლესიის წინ, სკოლების მიმდებარე ტერიტორიაზე? ეს არ არის რიგითი, სოციალური ან ეკონომიკური პრობლემა, ეს შეიძლება ქართველი ადამიანის სამკვდრო-სასიცოცხლო პრობლემად ჩაითვალოს. ამ ფაქტმა სახელმწიფოში რყევა გამოიწვია, რაც აშკარაა, რომ თავსმოხვეულია.

**— 17 მაისის შემდეგ ევროპამ და ამერიკამაც ძალიან შემოგვიტიეს და გვითხრეს, რომ ვერაფერს ელირსებით, თუ სექსუალურ უმცირესობებს პატივს არ სცემთო. ეს არის გზა ევროპისკენ ან დემოკრატიისკენ?**

**«ქართველი სნობები ცდილობენ, რომ ჭეშმარიტ ევროპად ის გამოაცხადონ, რაც ევროპელებისთვის სამარცხვინოა»**

— ესეც ვულგარიზაცია დემოკრატიის იდეის გააზრებისა. პოლიტიკურ პროცესებში არ ვმონაწილეობ, მაგრამ მგონია, რომ ჩვენ ამას არავინ გვეუბნება, ეს პრობლემები ევროპაში გაცილებით მძაფრად დგას და ჩვენს ხელისუფლებას სქემა მზამზარეულად გადმოაქვს.

**ხელისუფლებას რომ ჰქონდეს პოლიტიკური ნება, რომ ეს პროცესები გარკვეულ კალაპოტში მოაქციოს, ამაზე ლაპარაკიც არ იქნებოდა. ხელისუფლება, როგორც სხვა სფეროებში, ამ საკითხშიც სრულიად მოუმწიფებელია. მათ არ იციან, როგორ გაუმკლავდნენ თანამედროვე პრობლემებს და ამას ან მოჩვენებითი ტოლერანტობით უდგებიან, რაც უფრო აღიზიანებს ხალხს, ან ბრმად მიიჩნევენ, რომ ეს არის ის აუცილებელი კანონი, რომელთან შეხებაც დენთის კასრივით ააფეთქებს მათ.**

შპენგლერმა თავის დროზე, ევროპული აზროვნება ზანგიმონის აზროვნებას შეადარა, რომელიც სამყაროს ყოფს სამ ნაწილად: მე, ჩემი ტომი და დანარჩენი მსოფლიო. ჩვენ მიმბაძველურად, სნობისტურად ვაკეთებთ აქცენტს. **ქართველი სნობები ცდილობენ, რომ ჭეშმარიტ ევროპად ის გამოაცხადონ, რაც ევროპელებისთვის სამარცხვინოა.**

ქართველები ხელისცეცებით ვეძებთ ჩვენს ადგილს ამ უკიდეგანო სამყაროში, სადაც მივაწყდით, ჩინური კედელი დაგვხვდა.

ტრაგედია თავისუფლებაში არ არის. ნუ დავაბრალებთ ჩვენს გაჭირვებას თავისუფლებას. რაც გვჭირს, იმის გამოა, რომ ქართველები ვერ ვეზიარეთ ჭეშმარიტ დამოუკიდებლობას. დემოკრატიას დღეს ლაფში სვრიან, არ ვიცით, რა არის დემოკრატია და იმიტომ. აქ რომ ნამდვილი დემოკრატია იყოს, დამიჯერეთ, ჩვენ ეს პრობლემები არ გვექნებოდა. **გაურკვევლობამ, აღრევამ, ცრუღირებულების ღირებულებად გასაღებამ, ცრუფასეულობის ფასეულობად გასაღებამ, ცრუმესიების მესიებად გასაღებამ გამოიწვია ის, რომ ვერ მივუახლოვდით ჭეშმარიტებას.**

**— ბატონო თემურ, რა ჰქვია დღეს ჩვენს მდგომარეობას?**

— მიხაკო წერეთელის სიტყვები მახსენდება: „კიდევ უფრო დაცემულ ვართ“. დააკვირდით, როგორი განწყობაა საზოგადოებაში. შეიძლება კულუარულ ინფორმაციას არ ვფლობთ, მაგრამ საზოგადოების აზრი კარგად ვიცით. **დღევანდელ საქართველოში იმდენად მძიმე ატმოსფეროა, რომ ღრმა დეპრესიის ზღვარს ვუახლოვდებით.**

**— ადრეც ვყოფილვართ ასეთ მდგომარეობაში?**

— კი, ვყოფილვართ, მაგრამ ასეთი ინტენსივობით განმეორება დეპრესიისა სასურველი არ არის. მთავარი ისაა, რომ იმედის ნიშანწყალი, გაბრწყინების ნიშანწყალი არ ჩანს. **იმ უბედურებაზე, რომელიც თავს დაგვატყდა, მეტყველებს ერთი ფაქტი, რომ გამოჩნდა საქართველოში ადამიანი, რომელიც თავის თავზე იღებს მისტიურ საჭეთმპყრობელობას 20 წლის განმავლობაში, რაც ქართული საზოგადოებისთვის უბედურებაა. ერთის მხივ, ეს დიდი მკრეხელობაა; მეორე მხრივ — ტრაგედია, გათამამებული, წაქეზებული პატივმოყვარეობა და თანაც დაუსჯელი; ცდილობს, ხალხს თავს მოახვიოს თავისი ნება, ბედავს, პატივმოყვარეობა ხმამაღლა ელაპარაკოს უფლებას, ნაციის უფლებას.** ერთი ადამიანის პატივმოყვარეობა და საზოგადოების უფლება ერთმანეთის პირისპირ დგას, რაც უკვე მეტყველებს იმაზე, რომ ნაციის უფლება მძიმე მდგომარეობაშია.

**— რამდენ ხანს გასტანს ეს ამბავი?**

— ჩვენთან რომ რომელიმე ინსტიტუტი ძლიერად იდგეს ფეხზე, მაშინ შეგვეძლება მიახლოებითი პროგნოზის გაკეთება. ერი რაზეც დგას: **ეკონომიკა, კულტურა, ჯარი, ეკლესია, განათლება — ამ ინსტიტუტებიდან ყველა დაკნინებულია. ჩამოთვლილთაგან რომელიმეს სიცოცხლის ნიშანწყალი რომ ეტყობოდეს, ასეთ მდგომარეობაში არ ჩავცვივდებოდით.**

გავიხსენოთ ძველი ანდაზა: „ციხე შიგნიდან ტყდება“. თუ ჩვენ ციხეს შევაკეთებთ, დამერწმუნეთ, ვერავითარი ანტიღირებულებები, ვერავითარი თავსმოხვეული სქემები ვერ მოგვერევა. ჩვენ უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან ფსევდო, ცრუ და ნამდვილი. **გამოდის ბიძინა ივანიშვილი და ამბობს, რომ მესია არ გვინდა, მას არ ესმის, რომ მესიას კი არ უნდა ებრძოლოს, ცრუ მესიას უნდა ებრძოლოს. მესია ვერ იცნეს ებრაელებმა და ჯვარზე გააკრეს. წარმოიდგინეთ, ივანიშვილის გზას რომ გავყვეთ, სადამდე მივალთ.** ვფიქრობ და მწამს, რომ ივანიშვილი უფრო მოკრძალებული გახდება თავის მესიანისტურ შეხედულებებში და ასეთ სისულელეს მომავალში აღარ იტყვის. ჩვენ უნდა გავყვეთ იმ ადამიანებს, რომლებიც ჭეშმარტი წინამძღოლები იყვნენ. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ასეთი ადამიანები საქართველოში აღარ იყვნენ, მოლოდინი დიდია. გვეყოფა, საშუალო ნიჭის, საშუალო და მეტი სიხარბის ადამიანების წინამძღოლობა. ყველაფერს დასასრული აქვს... ბუშს ეგონა, რომ სააკაშვილი „დემოკრატიის შუქურა“ იყო, ივანიშვილს ეგონა, რომ მერაბიშვილი დიდი მენეჯერი იყო, მაგრამ ახლა ყველა ყველაფერს მიხვდა.

კარგია, თუ ადამინებს აღარ ექნებათ პრეტენზია ისტორიის შექმნაზე, რადგან ეს არ ხელეწიფებათ, ამიტომ სხვას ხელს ნუ შეუშლიან და თავადაც ნუ იტვირთებენ იმაზე მეტს, რისი ზიდვაც არ შეუძლიათ.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

„1944 წელს სწორედ სტალინმა და ბერიამ გააკეთეს ძალიან მნიშვნელოვანი საქმე. არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, იმ დროს საბჭოთა კავშირის სათავეში ქართველი რომ არ ყოფილიყო, გასახლებული მაჰმადიანი ქართველების ნაცვლად ჩამოგისახლებდნენ სომხებს. მერე აქ რა მოხდებოდა, კაცმა არ იცის, დღეს შეიძლება ახალციხე და მთლიანად სამცხე-ჯავახეთის მხარე არც ყოფილიყო საქართველოს შემადგენლობაში...“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ალექსანდრე აბდალაძე:

# რა მნიშვნელობა აქვს, გაუბედურებულ საქართველოს სააკაშვილი დაამხობს თუ ივანიშვილი?!

**გასულ კვირას კათოლიკოს-პატრიარქის მიერ თვითმმართველობის ახალ კოდექსთან დაკავშირებით გაკეთებულ გამომაფხიზლებელ განცხადებას ჩვენებური „მეგალიბერასტების“ მწვავე რეაქცია მოჰყვა. ეს, ალბათ, ბუნებრივიც იყო და არავის გაჰკვირვებია, მაგრამ პრობლემა მარტო ლიბერასტების ყაყანი როდია, უწმინდესის გამოსვლიდან სულ რამდენიმე საათში განცხადება საქართველოს სომხურმა სათვისტომომაც გაავრცელა. მათი თქმით, თურმე ეკლესია ქვეყანას ბნელი 90-იანი წლებისკენ მიაქანებს, ხოლო თვით პატრიარქი კი სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეს ქმნის... „საქართველო და მსოფლიო“ არმენოლოგ ალექსანდრე აბდალაძეს შეხვდა და „ნეოდაშნაკების“ მიერ გავრცელებულ განცხადებაზე აზრის გამოთქმა სთხოვა.**

**— ბატონო ალექსანდრე, როგორ ფიქრობთ, რატომ გაალიზიანა საქართველოს სომეხთა სათვისტომო პატრიარქის განცხადებამ, რომელიც თვითმმართველობის ახალ კოდექსთან დაკავშირებულ საფრთხეებს ეხებოდა?**

— სამწუხაროდ, დღეს საქართველო და ქართველი ერი უფსკრულის პირას დგას, ამიტომ ყველა ნაღდი ქართველის უპირველესი ამოცანა უნდა იყოს ქვეყნის გადარჩენა. რაც შეეხება კონკრეტულად ამ სათვისტომოს, ჩვენდა საუბედუროდ, ეს ორგანიზაცია საქართველოს რაც შეიძლება დასუსტებისკენ ისწრაფვის. ამას ისინი არც მალავენ და საერთოდ, სომხების ასეთი მიდგომა, ჩვენი სახელმწიფოს მიმართ, არახალია. სხვათა შორის, არსებობს იაკობ მანსვეტაშვილის ერთი საგულისხმო ცნობა, რომელშიც ის აღნიშნავს, რომ თურმე ილია ჭავჭავაძე გაშმაგებული, გაალმასებული წერდა „ქვათა ღაღადს“. რამ გააშმაგა, რამ გააალმასა ილია ჭავჭავაძე? იმან, რომ სომხურმა წრეებმა მოინდომეს, ქართველებისთვის წაერთმიათ ჩვენი მრავალტანჯული დედაქალაქი; თუმცა ცხადია, მათი საბოლოო ამოცანა მარტო ამით არ შემოიფარგლებოდა და გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის ყველა კუთხეში აპირებდნენ გაბატონებას...

**— როგორ ფიქრობთ, ვინ დგას იმ ორგანიზაციების უკან, რომლებიც, ფაქტობრივად, განუხრელად აგრძელებენ დაშნაკების რეაქციულ კურსს?**

— პირველ რიგში, მინდა, გამოვეხმაურო კათოლიკოს-პატრიარქის განცხადებას, რომელიც მან თვითმმართველობის კოდექსთან დაკავშირებით გააკეთა. ჩემი აზრით, ილია მეორემ დროული შეფასება მისცა იმ საფრთხეებს, რომელიც ქვეყანას ემუქრება. ახლა თქვენს შეკითხვას რაც შეეხება, **ამ „ნეოდაშნაკური“ ორგანიზაციისა თუ ორგანიზაციების უკან დგას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული სომხური დიასპორები. მოგეხსენებათ, მათ დიდი გავლენა აქვთ ევროპის რიგ მოწინავე სახელმწიფოებში და ასევე შეერთებულ შტატებში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არც ერთ მსგავს ორგანიზაციას, იქნება ეს თბილისში, ჯავახეთში თუ სადმე სხვაგან, მინიმუმ დაფინანსების კუთხით პრობლემა არ ექნება.**

**— ე. ი. გინდათ, თქვათ, რომ საქართველოში მოქმედ სომხურ წრეებს უცხოეთიდან აფინანსებენ?**

— სომხურ დიასპორებზე რომ გითხარით, რამდენადაც ვიცი, მათგან თანხების მობილიზებას ახდენს ეჩმიაძინი. შემდეგ ამ ეჩმიაძინის სალაროდან ნაწილდება ეს თანხები და მთელ მსოფლიოში, სადაც კი რამე სომხურ წამოწყებას ჩაეყრება საფუძველი, ხდება ფინანსური ნაკადის გადასროლა. აი, ზუსტად ამ სქემით და პრინციპით ფინანსდებიან საქართველოშიც სომხური წრეები, თუმცა იქ შეიძლება სხვა ძალებიც იდგეს მათ უკან...

**— რომელ ძალებს გულისხმობთ? რამდენად უშვებთ იმას, რომ ნაწილობრივ შესაძლოა, ოფიციალური ერევანიც უმაგრებდეს მათ ზურგს?**

— ასე აშკარად და დაუფარავად სახელისუფლო ძალები ვერ ჩაერთვებიან ამ პროცესში, მაგრამ ზოგადად **ცნობილია, რამდენად მჭიდრო კავშირი აქვს სომხეთის დღევანდელ ხელისუფლებას ეკლესიასთან. ისინი, ფაქტობრივად, ერთმანეთთან სრული თანხმობით მოქმედებენ. ასე რომ, რა თქმა უნდა, დასაშვებია, ოფიციალური ერევანი ფარულად მხარს უჭერდეს და აფინანსებდეს კიდეც აქ არსებულ სომხურ ნაციონალურ ორგანიზაციებს.**

**— იმავე ვაჰაგან ჩახალიანის გათავისუფლებაც სომხეთის პატრიარქმა სთხოვა ივანიშვილს.**

— ეს ჩახალიანი არის ტიპიური სეპარატისტი, რომელიც ნელ-ნელა ძირს უთხრის საქართველოს. ეგ და ძმანი მისნი გარეთ კი არ უნდა იყვნენ დღეს და მოთხოვნებს კი არ უნდა უყენებდნენ სახელმწიფოს, არამედ ციხეში უნდა ისხდნენ ან საერთოდ უნდა გააძევონ საქართველოდან.

**— მიუხედავად ყველაფრისა, ახალმა ხელისუფლებამ მას პოლიტპატიმრის სტატუსი მიანიჭა.**

## «ნეოდაშნაკური» ორგანიზაციების უკან მსოფლიოს სომხური დიასპორები დგანან!»

— ამაზე, არც კი ვიცი, რა ვთქვა. უბრალოდ, ივანიშვილიც არის ეროვნული კაცი. **გაიხსენეთ, რას წერს ილია ჭავჭავაძე თავის ცნობილ გამოცანებში ლორის მელიქოვზე, რომელიც თბილისელი სომეხი იყო და მეფის რუსეთში ძალიან დაწინაურდა: „ბაზრის ბიჭად გაჩენილა, ახლა ქვეყნის მმართველია“... იგივე შეიძლება მივუსადაგოთ ივანიშვილსაც: ბაზრის ბიჭად გაჩენილა, საქართველოს ხელმწიფეა.**

**— რამდენიმე დღის წინ დასახელდა შვიდი ქალაქი, რომლებიც, ახალი კოდექსის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის სტატუსს მიიღებენ. ამ შვიდ ქალაქში ახალციხეც მოხვდა. როგორ ფიქრობთ, რამდენად არის ეს ჩვენთვის საფრთხისშემცველი?**

— ჯერ ერთი დარწმუნებული ვარ, ახლა ჯავახეთის სომხობაც წამოაყენებს პრეტენზიას, ჩვენ რატომ არ გვაძლევთ თვითმმართველობის უფლებასო, მაგრამ დავანებოთ ამასაც თავი, **როდესაც ხელისუფლება ასეთ მნიშვნელოვან ნაბიჯს დგამს და იღებს კანონპროექტს, რომელიც შეიძლება გარკვეულწილად საზიანოც აღმოჩნდეს სახელმწიფოსთვის, საზოგადოებამ არ უნდა იცოდეს, რა ცვლილებებზეა საუბარი?! ახლა აქეთ რომ გვამუნათებენ, წაკითხული არ გაქვთ და შეფასებებს რატომ აკეთებთო, ვისი ბრალია, რომ წაკითხული არ გვაქვს?! ჩაგვაყენა ვინმემ საქმის კურსში, გვკითხეს რამე?!** დაჯდა ეს 86 კაცი, რომელსაც უმრავლესობა ჰქვია და რაზე იმსჯელეს, რა საკითხები განიხილეს და რაზე შეთანხმდნენ, კაცმა არ იცის! აი, ესაა ამათი დემოკრატია.

**— რა ფორმით შეიძლებოდა, ხელისუფლებას მოეტანა ეს კანონპროექტი საზოგადოებამდე, რომ გამაღიზიანებელი არ ყოფილიყო?**

— ნებისმიერ შემთხვევაში, როცა რაღაცას მალავ ან ირიბად ცდილობ, ფართო მასებმა არ გაიგონ, ის ეჭვს იწვევს. ამიტომ, თუკი რეალურად საშიში არაფერია ამ კოდექსში, ხელისუფლებას იმთავითვე უნდა ჰქონოდა ნება, რომ ხალხს გაეგო, რა წერია მასში, რას გულისხმობს იგი და რას მოგვცემს. ახლა, რადგან საფრთხეებზე მკითხეთ, ორიოდე სიტყვით ახალციხეზეც ვისაუბრებ, თქვენ იცით, რომ იქ სომხების ჩამოსახლება მოხდა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, კერძოდ 1830 წელს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რეგიონში მაინც შემორჩნენ მაჰმადიანი ქართველები 1944 წლამდე. 44-ში კი უკვე სულ სხვა მიმართულებით პოლიტიკური პროცესები განვითარდა და ისინი გაასახლეს. ანუ რატომ ვყვები ამას: მე არ ვარ არც სტალინის, არც ბერიას მეხოტბე, მაგრამ იმ **1944 წელს სწორედ სტალინმა და ბერიამ გააკეთეს ძალიან მნიშვნელოვანი საქმე. არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: იმ დროს საბჭოთა კავშირის სათავეში ქართველი რომ არ ყოფილიყო, გასახლებული მაჰმადიანი ქართველების ნაცვლად ჩამოგისახლებდნენ სომხებს. მერე აქ რა მოხდებოდა, კაცმა არ იცის, დღეს შეიძლება ახალციხე და მთლიანად სამცხე-ჯავახეთის მხარე არც ყოფილიყო საქართველოს შემადგენლობაში...**

**— პირადად ბერიას დამსახურება რა იყო ამ ყველაფერში?**

— ბერია, როგორც ერთ-ერთი გავლენიანი ფიგურა მაშინდელ ხელისუფლებაში, ცხადია, აქტიურად მონაწილეობდა ყველა გადაწყვეტილების მიღებასა და განხორციელებაში. სხვათა შორის, არსებობს ასეთი ცნობაც, რომ მან 30-იან წლებში საკუთარი ხელით მოკლა სომხეთის ცეკას პირველი მდივანი ხანჯიანი. რატომ, იცით? იმიტომ, რომ ის ითხოვდა, სომხეთს გადასცემოდა ჯავახეთი. კიდევ ვიმეორებ: მე არ ვარ სტალინისა და ბერიას მეხოტბე, მაგრამ, რაც მათ გააკეთეს XX საუკუნის 30-40-იან წლებში ჯავახეთის მხარეში, საქართველოს უდიდესი განსაცდელი, გასომხების საფრთხე აცილა თავიდან რომელიც დღეს, შესაძლოა, განსაკუთრებული სიმწვავით მდგარიყო.

**— დავუბრუნდეთ ისევ სომეხთა სათვისტომოს განცხადებას. ფაქტია, რომ ეს ორგანიზაცია დესტრუქციულ ქმედებებს არ ეშვება, მაგრამ მთავარი მაინც სულ სხვა რამეა, — მათ ფაქტობრივად პასუხს არავინ სცემს, არავინ უთითებს, რომ მსგავსი ნაბიჯები ჩვენი სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება.**

— პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის ხელისუფლების სისუსტე და უსუსურობა. სომხურ სათვისტომოს საქართველოში ხმა არ ამოეღება...

**— და რა შეიძლება გააკეთოს ხელისუფლებამ?**

— დასაწყისშიც ვთქვი, რომ ხელისუფლება უნდა ემსახურებოდეს ხალხს. ეს არის აქსიომა და ამაზე არ შეიძლება კამათი. ახლა კონკრეტულ ნაბიჯებზე თუ მეკითხებით, სახელდობრ რა უნდა გააკეთონ, მე ამ ინსტრუქციას ვერ მივცემ ხელმძღვანელობას, მაგრამ ერთი კი ფაქტია: **თუ შენი ერის ინტერესები დაუცველია, ესე იგი მას ვერ ემსახურები რიგიანად. შესაბამისად, ან რამე უნდა შეცვალო, ან უნდა დაიწყო ფიქრი იმაზე, როგორ წახვიდე ლამაზად.**

**— სომეხთა სათვისტომოს განცხადებაზე არც საზოგადოებას ჰქონია რეაქცია.**

— საზოგადოებას იდეოლოგია სჭირდება და ეროვნული სულისკვეთების გაღვივება, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, არც ერთ ხელისუფლებას ამის ნება არ აღმოაჩნდა ზვიადის შემდეგ. ჯერ იყო, შევარდნაძემ ჩაკლა ეს მუხტი, მერე — სააკაშვილმა, იმავე ტერ-სააკიანცმა და ახლა ივანიშვილმა დააგვირგვინა, რომელსაც მე ივანიკას ვეძახი. არსებობს ასეთი გამოთქმა: „გინდა, მგელს შევუჭამივარ და გინდა, მგლისფერ ძაღლს“, რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, ამ გაუბედურებულ საქართველოს საბოლოოდ ვინ დაამხობს: სააკაშვილი — ტერ-სააკიანცი თუ ივანიშვილი — ივანიკა?!

**— ის, რასაც თქვენ ეროვნული სულისკვეთების გაღვივებას ეძახით, დემოკრატიულმა დასავლეთმა, შესაძლოა, ანტილიბერალურ პოლიტიკად ჩაუთვალოს ხელისუფლებას. როგორ ფიქრობთ, ეს არ აფერხებს „ქართულ ოცნებას“?**

— ცხადია, ჩვენისთანა მცირერიცხოვან სახელმწიფოზე გარეძალებს ყოველთვის ექნებათ გავლენა, მაგრამ პოლიტიკა შეიძლება სხვადასხვა სახით გატარდეს. ვფიქრობ, შედარებით ქვედა დონეებზე ამის შესაძლებლობა არსებობს, თუმცა **ხელისუფლებას არ აქვს მთავარი — ნება და სურვილი. არც ეს მარგველაშვილია ეროვნული კაცი და არც ირაკლი ღარიბაშვილის საუბარში ჩანს მსგავსი მუხტი; ასე რომ, არ ვიცი, რა პერსპექტივა აქვს საქართველოს და რას უნდა ველოდოთ ამ მხრივ უახლოეს მომავალში.**

**— დემოგრაფიული თვალსაზრისით, ახალი ხელისუფლების მიდგომა, ალბათ, მეტნაკლებად წინგადადგმული ნაბიჯია. ესენი სავიზო და საიმიგრაციო პოლიტიკის გადახედვაზე მაინც საუბრობენ.**

— ეს უფრო ადრეც უნდა ყოფილიყო დაყენებული მთავარ საკითხად და მეტიც, ბიძინა ივანიშვილს თავის წინასაარჩევნო პროგრამაშიც უნდა შეეტანა. ისე, ნათქვამია: სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო, მაგრამ მარტო სავიზო და საიმიგრაციო პოლიტიკის გადახედვა არ კმარა, თუ ხელისუფლება საკუთარი ხალხის ინტერესებს იცავს, მაშინ ყველაფერზე უნდა ჰქონდეს ადეკვატური რეაქცია, რაც ამ ინტერესებს ეწინააღმდეგება. დასასრულს, **ისევ სომეხთა სათვისტომოზე ვიტყვი. საერთოდ, მათი ყოფნა ასე დიდი რაოდენობით საქართველოში და მით უფრო ის პრეტენზიები, რომლებსაც აყენებენ, აბსოლუტურად უკანონოა. მათ არ გააჩნიათ ამის არანაირი ისტორიული საფუძვლები და სახელმწიფომ უნდა აგრძნობინოს ამ ძალებს, რომ არ დაუშვებს არანაირ დესტრუქციულ ქმედებას.** თუ ეს პოზიცია არ იქნება მკაფიოდ დაფიქსირებული, ბუნებრივია, საფრთხე მუდმივად იარსებებს. ყოველთვის გამოჩნდებიან ვილაც სათვისტომოები, კავშირები და გაერთიანებები, რომლებიც ახალ-ახალ სეპარატისტულ მოთხოვნებს წამოაყენებენ...

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვერც ბიძინამ შეძლო შეუძლებელი და ქართველ ხალხს რესპუბლიკელები ვერ შეაყვარა, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტით დათრგუნულმა ქართველმა საზოგადოებამ თვალი დახუჭა ერთობ ჭრელი კოალიციის რესპუბლიკურ შემადგენელზე და ის მხოლოდ დასავლეთისთვის თვალის ასახვევ იძულებით ანტურაჟად ჩათვალა!**

# ევრომაიდანის ცისფერი ხიბლი

**ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ შესვლა რომ არ შეიძლება, ეს სალი აზრით არის ნაკარნახევი, ანუ გონიერი ადამიანი ორჯერ ერთსა და იმავე შეცდომას არ დაუშვებს! შევეცდები, სწორედ ამ რაკურსით უკრაინაში მიმდინარე დრამატულ პროცესებზე ვისაუბრო, რა თქმა უნდა, საქართველოსთან პარალელების გავლებით...**

საქართველო იყო ყველაზე მაღალი ცხოვრების დონით გამორჩეული რესპუბლიკა საბჭოთა კავშირში; პოსტსაბჭოთა სივრცეშიც ყველაზე მეტად ანტისაბჭოური და „სამგლე გოჭებივით ატეხილები" ისევ ჩვენ აღმოვჩნდით და პოსტსაბჭოთა სივრცეშიც — „ფერადი რევოლუციების" პირველი და წარმატებული პოლიგონი; „ვარდისფერი" თბილისის მერე — „ნარინჯისფერი" კიევი და ბიშკეკური ტიტები...

ქართველთა მიერ 2004-ში კიევში გადასხმულმა რევკომის დესანტმა, ჩე-გევარა თარგამაძის მეთაურობით, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა უკრაინელი ლიბერასტების გამარჯვების საქმეში!

მას შემდეგ პოსტსაბჭოთა სივრცეში კიევისა და თბილისის ნეოლიბერალური ხელისუფლება ტანდემში უშლიდა ნერვებს მოსკოვს, მაგრამ კიდევ ერთი ფერადი ჭირის ეპიდემია ვერც „ბალოტნიზე" გაავრცელეს, ვერც მინსკში და ვერც სხვაგან.

ამასობაში არჩევნების გზით ჯერ უკრაინაში მოეგრიხა კისერი ვიქტორ იუშჩენკოს ნარინჯისფერ ხელისუფლებას, თანაც ივანიშვილისგან განსხვავებით იანუკიოვიჩს ეყო გამბედაობა და, ევროპის შფოთვის მიუხედავად, ტიმოშენკო დღემდე ციხის საკანში ყურყუტებს ჩადენილი დანაშაულებისთვის.

და ის, რაც ახლა კიევის ევრომაიდანზე ხდება, სხვა არაფერია, თუ არა ერთ მდინარეში მეორედ შესვლა, ანუ კიდევ ერთი „ფერადი რევოლუციის" მცდელობა, ლიბერასტების კონტრრევოლუცია. მაშ, სადღაა საქართველოს ყველაფერში პირველობა და მაგრობა პოსტსაბჭოთა სივრცეში?

მეც ამას ვფიქრობდი და, ის იყო ხელი ჩავიქნიე მუდამ პირველობის პრეტენზიაზე, რომ არქიმედივით აღმომხდა „ევრიკა" — ჩვენთან ხომ უკვე წელიწადზე მეტია, ახალი ფერადი რევოლუცია მოხდა, მაგრამ ისე, რომ ვერც ვიგრძენით (უფრო სწორად ავი ვერაფერი ვიგეშეთ, თორემ...), რადგან ყველაფერში ნიჭიერმა ქართველებმა რევოლუციების „მაიდნების" გარეშე მოხდენაც მოვახერხეთ — 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნები, როგორც წლისთავზე აღმოჩნდა, იყო კიდევ ერთი „ფერადი რევოლუცია" და არა ის, რისი იმედიც გვქონდა, რომ ბოლოს და ბოლოს იმ წართმეულ სამშობლოს (მხოლოდ 2008 წ. ომს არ ვგულისხმობ, რადგან სამშობლო მარტო ტერიტორია არ არის) დავიბრუნებდით, რომელშიც ქართველობა ფაშისტობად აღარ ჩაითვლებოდა, მრუშობას პატიოსნება აჯობებდა, ხლისტობას — რწმენა მამა-პაპათა და ა. შ. ის უმარტივესი ჭეშმარიტებები, რომლებიც, მიუხედავად იმისა, „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდა თუ არა", სადავო და საკამათო არასდროს ყოფილა საქართველოში!

**1 ოქტომბერს საარჩევნო ყუთებთან მომხდარი ფერადი რევოლუციის მთავარი მიზანი, „როგორც წლისთავზე აღმოჩნდა", რესპუბლიკური პარტიის, ამ მარად 1%-იანი ურეიტინგო პარტიის ხელისუფლებაში მოყვანა ყოფილა!!!**

თუ არა და, ვისაც ეჭვი გეპარებათ, „წამომყევით" და ერთად ავკინძოთ ლოგიკური მსჯელობის ჯაჭვის რგოლები:

ჩვენი დამაქცევარი, ე. წ. ვარდების რევოლუციითაც ხომ მოვიდნენ რესპები ხელისუფლებაში? — კი, ბატონო, მაგრამ მაშინ სააკაშვილის დიქტატორული „ზამაშკების" თუ სხვა რამის გამო ვერ მოასწრეს სახელისუფლო ვერტიკალ-ჰორიზონტალში ფესვების გადგმა, ახლა ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

**მთავარი ის იყო, რომ სააკაშვილის ბულდოზერმა, ზურაბ ჟვანიას გარდა, ძალაუფლებაში მოწილე ყველა შესაძლო კონკურენტი, მათ შორის პირველ რიგში რესპუბლიკელები მიჯირყვნა, რაზეც დასავლეთმა მაშინ თვალი დახუჭა, რადგან დასავლეთს, როგორც დამკვეთ-დამფინანსებელს „ვარდების რევოლუციისა", პირველ რიგში, შედეგი აინტერესებდა და არა ის, ამ შედეგს დიდი ხნის წინ „დავერბოვკებული" რესპუბლიკელების თუ სხვა ძალების მეშვეობით მიაღწევდა!**

შედეგი კი ყოველგვარი ეროვნულის, ტრადიციულის, მართლმადიდებლურის ჩაწიხვლა-ჩარეცხვის გზით, ე. წ. ახალი ქართველის უჯიშო ჯიშის გამოყვანა იყო, რაშიც ზურაბ ჟვანია ხელს ვერ და არ შეუშლიდათ, რადგან, რესპუბლიკელების არ იყოს, ზურაბ ჟვანიაც არანაკლები ლიბერასტი ბრძანდებოდა და ახლა სულ ტყუილად ცდილობენ მავანნი მის ლამის ეროვნულ გმირად წარმოჩენას!

მიცვალებულებზე ან მხოლოდ კარგს, ან საერთოდ არ ლაპარაკობენო! კი, ბატონო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ტყუილები ვილაპარაკოთ. არადა, სწორედ ამასთან გვქონდა საქმე ახლახან, როდესაც ჟვანიას 50 წლისთავი აღნიშნეს:

ზურა რომ ცოცხალი ყოფილიყო, ამას და იმას იზამდა თუ არ იზამდა — ეს იყო დისპუტის მთავარი თემა! ამიტომ ვიმეორებ: ზურა რომ ცოცხალი ყოფილიყო, შეიძლება ცოცხებამდე არ მისულიყო საქმე, მაგრამ სხვა მხრივ, ანუ, ეროვნული მიმართულებებით, შეიძლება უარესადაც ყოფილიყო საქმე, რადგან სააკაშვილის უინტელექტო ხლისტები თუ ნაჯახით ჩორკნიდნენ ახალ ქართველს და ამიტომ წინააღმდეგობასაც აწყდებოდნენ, იმავეს ზურას მსგავსი ინტელექტუალები ფერებ-ფერებით გააკეთებდნენ, ანუ ისე, როგორც ამას აკეთებენ დღეს გახელისუფლებული რესპუბლიკელები! და აი, თავისთავად დავუბრუნდით მთავარ საკითხს, რომელიც ზურაბ ჟვანიას თემამ თითქოს დაგვავიწყა...



**ის, რაც ახლა კიევის ევრომაიდანზე ხდება, სხვა არაფერია, თუ არა ერთ მდინარეში მეორედ შესვლა, ანუ კიდევ ერთი «ფერადი რევოლუციის» მცდელობა, ლიბერასტების კონტრრევოლუცია**

ჟვანიას მკვლელობამ, აგვისტოს ომმა, ციხეებში არსებულმა სადიზმმა (ვინმეს სჯერა, რომ ამერიკელებმა არ იცოდნენ, რა ხდებოდა ჩვენს ციხეებში და იმ კადრების გამოქვეყნების მერე გაიგეს?), ბიზნესის რეკეტმა, კერძო საკუთრების უპრაგონო ხელყოფამ და ა. შ. სხვა სიმახინჯეებმა აიძულა აშშ, რომ სააკაშვილის უკონტროლო ხელისუფლება რამანაირად დაებალანსებინა და ამისთვის რესპუბლიკელების ხელისუფლებაში მოყვანა დაიგეგმა, ოღონდ არა უმრავლესობაში, არამედ ძლიერი ოპოზიციის სახით, რომელიც, ერთის მხრივ, ხელს არ შეუშლიდა ქართველი ერის განადგურების კურსს სულიერი გენოციდის მეშვეობით და ამავე დროს გააკონტროლებდა სააკაშვილის სახიფათო თამაშებს საგარეო მიმართულებით.

**2008 წლის ომის შემდეგ ამ მიზნის განსახორციელებლად ბატონი ირაკლი ალასანია შეირჩა. გახსოვთ, ალბათ, როგორი მოლოდინი იყო ქართველ საზოგადოებაში ირაკლი ალასანიას მიმართ და ის მართლაც საპრეზიდენტო რეიტინგით ჩამოვიდა საქართველოში, მაგრამ, როგორც დიდი ეროსი იტყოდა, „მივლალევი შინა და ორივენი იზდოხლი".**

ანუ ირაკლი ალასანიამ აბსოლუტურად ალოგიკური ნაბიჯი გადადგა, როდესაც საზოგადოებისთვის მიუღებელ რესპუბლიკელებთან შეკრა პოლიტიკური ალიანსი. თუმცა ალოგიკურობასთან ერთად ლოგიკაც იყო ამაში, მაგრამ ლოგიკა არა ქართული, არამედ პოტომაკის ნაპირებზე მოფიქრებული და ირაკლი ალასანიაში ჩადებულ-დავალებული — ამერიკელი ბოსების გათვლით, ირაკლი ალასანიას მაღალ რეიტინგს უნდა „ამოექაჩა" რესპუბლიკელების მარად ერთპროცენტიანი რეიტინგი და...

მოხდა პირიქით, **რესპუბლიკელებმა „შეჭამეს" ირაკლი ალასანიას რეიტინგიც და პოტენცია-პერსპექტივაში ეროვნული ლიდერის იმიჯიც და რვიან, ექვსიანების ფორმატში პოლიტიკური ონანიზმის შემდეგ ირაკლი ალასანიას ისღა შერჩა ხელში, რომ „ცივილიზებულად" მიულოცა გამარჯვება გიგი უგულავას. ამით საბოლოოდ დამთავრდა ქართველი ხალხის თვალში და, რაც მთავარია, გულში, ირაკლი ალასანია, როგორც ეროვნული ფიგურა.**

ამის შემდეგ იმავე მიზნით **ამუშავდა გეგმა B, სადაც რესპუბლიკელებისთვის ლოკომოტივის როლი ბიძინა ივანიშვილმა ითავა. მართალია, ვერც ბიძინამ შეძლო შეუძლებელი და ქართველ ხალხს რესპუბლიკელები ვერ შეაყვარა, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტით დათრგუნულმა ქართველმა საზოგადოებამ თვალი დახუჭა ერთობ ჭრელი კოალიციის რესპუბლიკურ შემადგენელზე და ის მხოლოდ დასავლეთისთვის თვალის ასახვევ იძულებით ანტურაჟად ჩათვალა!**

აბა, სხვას რას ვიზამდით, რესპუბლიკელები ხომ თვით სამების აღმშენებელმა ჩიაიხუტა? ჰოდა, „ბიძინამ იცის!" — ამით ნუგეშობდა ქართველი საზოგადოების და ე. წ. შემოქმედებითი ინტელიგენციის უმეტესი ნაწილი, რომელსაც წლების მანძილზე ივანიშვილის დანიშნული პენსიით გაჰქონდა თავი.

ეს „ბიძინამ იცის" დღემდე გრძელდება და ამ „იცის, იცის"-ში დავით უსუფაშვილი, ჩვენ რომ ანტურაჟი გვეგონა, პარლამენტის თავმჯდომარედ წამოგვისკუპეს და რესპები დომინირებენ პარლამენტში.

**იცის და თუ გინდა...**

ჰოდა, პლასტელინი პრეზიდენტად დავისვით და „ნაცები" — ერთადერთ რეალურ ოპოზიციად.

**იცის და თუ გინდა...**

ჰოდა, კოჰაბიტაცია არა თუ დამთავრდა, როგორც პლასტელინი გვპირდებოდა, არამედ, როგორც თქვენი მონამორჩილი ვვარაუდობდი, პოლიტიკურად ერთსქესიანი ქორწინებით დასრულდა და იქამდეც კი, რომ ქორწინების სუბიექტები ინტიმურ სცენებსაც ურცხვად გვაყურებინებენ, როგორ ამზადებენ ნეფე-პატარძალი (ვინ ვინ არის, თავად მორიგდებიან) ზვიად ძიძიგური და გიგი წერეთელი რომელიღაც მიშავიზიის „კუხნაში" სოკოს შაჭამანდს (ავოეე, ზვიად, შე ყანავ! შაჭამანდებს ქართლ-კახეთში ამზადებენ და არა სამტრედიაში).

**იცის და თუ გინდა...**

**ჰოდა, რესპებმა ისეთი თვითმმართველობის კანონის „შეცურება" სცადეს, რომ პატრიარქმა, ეს მერამდენედ, არიქა, ვიღუპებითო! ამის მერე აფუცხუნდნენ, ვითომ რაღაცები შეცვალეს, რის შემდეგაც ეკა ბესელიამ, ზვიად ძიძიგურმა, გიორგი ვოლსკიმ, გუბაზ სანიკიძემ და ა. შ., მათი სახელი ლეგიონია, — კანონში საფრთხეებს ვერ ვხედავთო. მაშ, პატრიარქს დასიზმრებია, თქვე არა?**

კიდევ ბევრი „იცის და თუ გინდას" მოხმობა შეიძლება, მაგრამ ვფიქრობ, საკმარისია, რადგან მთავარი ის არის, რომ საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს უკვე აღარ სჯერა ამ „იცის" და, რაც დრო გადის, განსაკუთრებით ბიძინას პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ, ბიძინას უცოდველობის მრწმენნი სულ უფრო ცოტავდებიან!

მაგრამ მოდით, ისევ წერილის სათავეს ავხედოთ და ვნახოთ, რა ხდება უკრაინაში. რა და, როგორც უკვე ვთქვით, — მორიგი ფერადი რევოლუციის თუ კონტრრევოლუციის მცდელობა!

რის გამო? იმის, რომ **იანუკოვიჩის ხელისუფლებამ უარი თქვა, უფრო სწორად, დროებით შეაჩერა იმ ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა, რომლის მხოლოდ პარაფირება მოახდინა საქართველომ მაია ფანჯიკიძის სიხარულის კურცხლების თანხლებით!..**

ვის სასიხარულოდ აქვს საქმე და ვის — სატირლად, ამას ახლო მომავალი აჩვენებს.

თავხედობაა უცხო ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევა, როდესაც ბარონესა ქეთრინ ეშთონი, შტეფან ფულე და სხვა ევროპარლამენტის უმაღლესი ჩინოსნები ბორისპოლის აეროპორტიდან პირდაპირ ოპოზიციის მიტინგზე მიდიან და ცალსახად ოპოზიციის მხარდამჭერ განცხადებებს აკეთებენ. იმავეს სჩადიან, ამერიკელი სენატორები ჩვენთვის ავად ნაცნობი ჯონი მაკკეინის თამადობით, რომლის ხსენებაზე გიორგი ვიცინის უკვდავი რეპლიკა მახსენდება ასევე უკვდავი რუსული კომედიიდან „კავკასიელი ტყვე ქალი" — „А какой у вас диаметр?.." ჯონ მაკკეინის F-16 ჩამოაგდეს ვიეტნამში და 4 წელი ტყვედ ჰყავდათ ე. წ. ვიეტკონგოელებს, რომელთა „განსაკუთრებული სიყვარული" ცნობილია იანკების მიმართ და ამიტომ სწერდა „ვიეტნამის გმირი" მამამისს, — მიშველეთ „დიამეტრი" სახიფათოდ გამიფართოვესო!

ჰოდა, დაეთრევიან ეს სხვადასხვა დიამეტრისა და წონის დასავლელი მაღალჩინოსნები კიევში და ტვინს ურევენ უკრაინელებს, რომელთაც ჰგონიათ, რომ იანუკოვიჩმა ხელის მოუწერლობით „ევროპული მომავალი" წაართვა ხალხს. ამიტომ გახდა იძულებული უკრაინის მთავრობის მეთაური აზარენკო, რუსეთთან ურთიერთობების მომხრეთა მიტინგზე, რომლებიც ევრომაიდანზე არანაკლებნი არიან, პირდაპირ განეცხადებინა: *(ვციტირებ)* „მათ (ევროპის მომხრეებს — დ. მ.) ჰგონიათ, რომ ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის მეორე დღიდანვე უვიზოდ წავლენ ევროკავშირის ქვეყნებში. ამისთვის კი ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონებას მოითხოვენ უკრაინაში და სექსუალური უმცირესობებისთვის თანაბარი ▶


თამარ ღუღუნიშვილი

**„ზეპირი მოსმენის ოქმის მონაწილეებმა სააგენტოდან გაუსვლელად როგორ დაადგინეს სიტუაციურ ნახაზზე არსებული მონაცემების თანხვედრა ადგილზე არსებულთან ან კლინიკის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის დოკუმენტში მოცემული ჩამონათვალის დასახელების რაოდენობის და გამოშვების წლების იდენტურობა ადგილზე არსებულთან, რაც შემდგომ ლიცენზიის გაცემის საფუძველი გახდა?“**

მედიცინა

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ უფლებების მინიჭებას! მზად არის უკრაინა ამისთვის?“. რიტორიკულად დაასრულა გამოსვლა აზარენკომ. იმავე კითხვას ვუსვამ „აცრემლებულ“ მაია ფანჯიკიძეს: — მზად ვართ ასეთი ფასის გადახდისთვის?

საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის პასუხი რომ ცალსახად „არა“ იქნება, უეჭველია! ჰოდა, ვისაც გსურთ უკანალების “გასაჯაროება”, მიბრძანდით იქ, სადაც უკვე დააკანონეს და „აშანტეე“, იფართოვეთ, უფართოვეთ დიამეტრები და სიხარულის ცრემლებად დაიღვარეთ. აქეთ კი — ჩვენ თავი დაგვანებეთ, რადგან ეს, „მოწინავე“ ევროპა კი არა, „ჩამორჩენილი“ საქართველოა, ჯერ კიდევ საქართველოა და არ გამოვა ეს, არა!..

სხვათა შორის, ეს ის დასავლელი თუ ამერიკელი მაღალჩინოსნები არიან, რომლებსაც წლების მანძილზე ქართველი ხალხის სასარგებლოდ და კრეტინი სააკაშვილის საწინააღმდეგოდ სიტყვა არ დასცდენიათ! უფრო მეტიც, 2009 წლის 9 აპრილს აგორებული საპროტესტო აქციებისას, რომელიც სხვადასხვა ინტებსივობით ლამის 4 თვე გრძელდებოდა, დასავლეთის ემისრებმა დემოკრატიის შეურაცხყოფა უწოდეს პარლამენტის შენობისთვის 2-3 კვერცხის სროლას და დღეს იგივე ხალხი კიევის მაიდანზე ლამის ენგურჰესის ხელა კედლის აგებას, სახელმწიფო დაწესებულებების შტურმით აღებას დემოკრატიის უმაღლეს მშვიდობიან ფორმას უწოდებს და ხელისუფლებისგან კატეგორიულად მოითხოვს ძალის არ გამოყენებას; მაშინ კი, როდესაც თბილისის „დემოკრატიის შეურაცხმყოფელ“ აქციებზე ზონდერ-ბრიგადები მომიტინგეებს იტაცებდნენ და ფიზიკურად უსწორდებოდნენ, ეს ფარისეველი დასავლელი „დემოკრატები“ სააკაშვილის დემოკრატიის შუქურის კაშკაშით იყვნენ დაბრმავებულები.

**საიდან ეს აშკარა ორმაგი სტანდარტი და ფარისევლობა? იმიტომ, რომ თბილისის ქუჩებში 7 ნოემბრიდან, ვიდრე 26 მაისის სისხლიან კალომდე დასავლეთის, ამერიკის დასმულ-დაფინანსებულ რეჟიმს ებრძოდნენ, ხოლო დღეს კიევში პირიქითაა, დასავლეთის მიერ დაფინანსებული და ორგანიზებული ევრომაიდანი ებრძვის იქნებ მრავალმხრივ ცოდვილს, მაგრამ მაინც ანტიგლობალისტურ და, აქედან გამომდინარე, ანტილიბერალურ იანუკოვიჩის რეჟიმს და ამიტომ „იხსნიან ვენებს“ დასავლელი ემისრები კიევის მაიდანზე...**

ამასობაში, სანამ მაიდანი დუღს, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ერევანში ჩადის და რატომ? სანამ ამ კითხვას პასუხს გავცემ, მკითხველს შევახსენებ, რომ მაშინ, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტი ბუში თბილისს სტუმრობდა, ვლადიმერ პუტინი მაშინაც ერევანში ბრძანდებოდა და აი, პასუხიც ზემოთ დასმულ კითხვაზე — 2005-შიც და დღესაც ვლადიმერ პუტინის ვიზიტები ერევანში რუსეთის მტერმოყვრისთვის, ვინ არის კავკასიის ნამდვილი „ხაზეინი“, ამის დემონსტრირება იყო. მითმეტეს, რადგან რუსეთი დღეს გაცილებით ძლიერია, ვიდრე 2005-ში იყო და სიძლიერის შესაფერი განცხადებაც გააკეთა. „რუსეთი კავკასიიდან არსად წასვლას არ აპირებს. პირიქით, ჩვენ გავაძლიერებთ რუსეთის ყოფნას რეგიონში!“ — ბრძანა რუსეთის მბრძანებელმა და, სირიაში ამერიკელებისთვის „ნაჭმევი ალიყურის“ შემდეგ, სავარაუდოდ, არა მხოლოდ რუსეთის მბრძანებელმა, არამედ, ფორბსის უკანასკნელი გამოკითხვით, მსოფლიოს ყველაზე გავლენიანმა პიროვნებამ...

**ეს გზავნილი, პირველ რიგში, საქართველოსთვის იყო განკუთვნილი, ანუ ბაქო, ერევანი მოგვარებული აქვს რუსეთს და მესამე ვინ დარჩა, ნეტავ, ამიერკავკასიაში? და ვინც დარჩა, ანუ საქართველო შეძლებს რეგიონში რუსეთის მიზნების წინააღმდეგ დგომას?**

ამაზე არავინ ფიქრობს საქართველოში. ხოლო საგარეო მინისტრი გვიმტკიცებს, რომ რუსეთს, უკრაინისგან განსხვავებით, საქართველოზე ზემოქმედების ბერკეტები არ გააჩნიაო. ორში ერთია ან პრიმიტიული უვიცობაა, რასაც გამოვრიცხავ, მაგრამ მაშინ რაღა რჩება? საქართველომ უარი თქვა აფხაზეთ-ცხინვალზე? ასეთ შემთხვევაში რუსეთს მართლაც არავითარი სერიოზული ბერკეტები აღარ ჰქონია საქართველოზე ზემოქმედებისთვის და მკითხველმა განსაჯოს, მაია ფანჯიკიძის განცხადება თუ რას შეიძლება ნიშნავდეს?

**ერთხელ, როგორღაც ევრაზიულ კავშირზე საუბრისას, ვლადიმერ პუტინმა დაახლოებით ასე ბრძანა — ევრაზიული კავშირი არამხოლოდ ეკონომიკური პროექტია, არამედ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის საკუთარი თვითმყოფადობის, ეროვნული იდენტობის შესანარჩუნებელი გეოგრაფიული სივრცეც!..**

სავარაუდოდ, რუსეთი შეძლებს ევრაზიული პროექტის რეალიზებას, რომელიც საქართველოს გარეშე წარმოუდგენელია და, აქედან გამომდინარე, საქართველოს ნებით თუ ძალით მოუწევს ამ კავშირში შესვლა ან შეთრევა! ეს ობიექტური მოცემულობაა და არა ვინმეს სურვილი ან ახირება. თუმცა ჩემს სურვილზეც რომ იყოს, მე, როგორც 3 შვილიშვილის ბაბუა, აშკარად და შეუქცევადად პედერასტულ რელსებზე შემდგარ ევროპას მართლმადიდებელ რუსეთთან ერთად ევრაზიული კავშირის წევრობას ვარჩევდი, მიუხედავად იმისა, ჩვენი ნებით მოხდება ეს თუ იძულებით, რადგან რუსეთია მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც საკანონმდებლო დონეზე აკრძალა ლგბტ-პედერასტობის პროპაგანდა. ამასთან ერთად, თუ სოხუმ-ცხინვალში დაბრუნება ოდესმე მაინც გვიწერია, ამის გასაღებიც მოსკოვშია და არა პედერასტულ ბრიუსელში ან ვაშინგტონში და მიძახეთ ახლა მე რუსეთუმე, თქვე ამერიკის მონებო! **სოხუმ-ცხინვალის რა მოგახსენოთ, არა მგონია, მოვესწრო, მაგრამ ჩემი შვილიშვილების გადარჩენის მოსწრება ნამდვილად შეიძლება და ამიტომ ვარჩევ დასავლეთის გარყვნილებას ევრაზიას, რომელშიც ჩვენი შვილები თვითონ კი არ აირჩევენ სქესს, არამედ ძველებურად გამჩენი ღმერთი დაადგენს, ვინ მამალია და ვინ — დედალი!!!**

**დავით მხეიძე**

# თბილისის რომელ საავადმყოფოებს აქვთ უკანონოდ ლიცენზიები და სად ინახება გაყალბებული დოკუმენტაცია?!

**კლინიკას ფუნქციონირებისა და პაციენტების მიღების უფლებისთვის ლიცენზია სჭირდება. ამ მიზნით ის სპეციალური განაცხადით შედის ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოში. დოკუმენტების ჩაბარების შემდეგ მაძიებელ კლინიკას ეძლევა სამი სამუშაო დღე საბუთებში არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ ყველაფერი წესრიგშია, 20 სამუშაო დღის განმავლობაში უნდა წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. 23 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ კი კლინიკაში მიდის სააგენტოს სამუშაო ჯგუფი და ადგილზე ამოწმებს ობიექტს. ასეთია თანმიმდევრობა და მხოლოდ ამის შემდეგ გაიცემა საავადმყოფოზე ლიცენზია. რა ხდება სინამდვილეში და როგორ გაიცემოდა ლიცენზიები საკმაოდ ცნობილ სტაციონარებზე? როგორ კეთდებოდა ფული? ვის მიერ ყალბდებოდა მნიშვნელოვანი დოკუმენტები? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება „პაციენტთა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაციის“ თავმჯდომარე თამარ ღუღუნიშვილი.**

— ჯანდაცვის სამინისტროს ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა უნიკალური დოკუმენტური მასალა გადმოგვცა, რომელსაც ჩვენ ერთი თვის განმავლობაში ვამუშავებდით და რომლის შესახებაც ახალი წლის შემდეგ ბრიფინგის გამართვას ვაპირებთ. საქმე ეხება მთელ რიგ დარღვევებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში ლიცენზიების გაცემის კომპონენტში. ჩვენი ორგანიზაციის ხელთ ამ ეტაპზე არის კლინიკებზე 20-მდე კანონდარღვევით გაცემული ლიცენზია.

**— კონკრეტულად რომელ კლინიკებზეა საუბარი?**

— დავიწყოთ „ენდოსკოპიური ქირურგიისა და რეპროდუქტიული ჯანმრთელობის ცენტრი „იუნონა+“. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში მოვიძიეთ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა დაწესებულებამ 2006 წლის 11 დეკემბერს შეიტანა სალიცენზიო განაცხადი 6 საქმიანობაზე და 28 დეკემბერს სააგენტოს ხელმძღვანელის ბრძანებით მიენიჭა 6 ლიცენზია. ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული მასალების შესწავლის შედეგად დავადგინეთ, რომ ამ დაწესებულებას საერთოდ არ უნდა მიელო ლიცენზიები და ეს საქმე საერთოდ არ უნდა განხილულიყო.

**— რატომ?**

— მივყვეთ თანმიმდევრობით. პირველი დარღვევა არის ლიცენზიის გაცემის ვადები. საქართველოს მთავრობის 09.09.2006 წლის №153 დადგენილებით, სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიები უნდა გაცემულიყო საჯარო ადმინიტრაციული განხილვით. საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად კი, საჯარო-ადმინისტრაციული განხილვა, რომელზეც წყდება ლიცენზიის გაცემის საკითხი, არ შეიძლებოდა 23 სამუშაო დღეზე ადრე გამართულიყო, ანუ ამ შემთხვევაში განხილვა სადღაც 2007 წლის იანვრის ბოლოს უნდა გამართულიყო, ფაქტობრივად, გაიცა 12 სამუშაო დღეში. ამით დაირღვა საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსი და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი. ამ უკანასკნელის მიხედვით კი, მსგავსი დარღვევა ანალოგიის გამოყენებით 6 თვით თანამდებობრივ დაქვეითებას ითვალისწინებს. აქ მნიშვნელოვანია კიდევ ერთი ფაქტი: **სააგენტოს მიერ მოწოდებული დოკუმენტებით ირკვევა, რომ საჯარო-ადმინისტრაციულ განხილვას მხოლოდ სამი მონაწილე ჰყავდა (თუ არ ჩავთვლით სხდომის მდივანს) და მათგან 1 იყო მხოლოდ ლიცენზიების დეპარტამენტის თანამშრომელი (11 თანამშრომლიდან). ამ დროს, დეპარტამენტის 11-ვე წარმომადგენელი უნდა დასწრებოდა სალიცენზიო განხილვას. აქვე დავძენ, რომ კანონდარღვევით გაცემული ლიცენზიების „საჯარო“ განხილვებსაც ეს სამი პიროვნება ესწრება. მათ ხელს არ აძლევდათ დეპარტამენტის თანამშრომელთა მონაწილეობა აღნიშნულ განხილვებში, ვინაიდან მათთვის სასურველ დადებით გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდნენ.**

**— დაგვიკონკრეტეთ, რომელ კლინიკაზე უნდა გაიცეს ლიცენზია და რომელზე არა.**

— „იუნონა+“-ზე საერთოდ არ უნდა გაცემულიყო ლიცენზია, ისევე, როგორც ჩვენ მიერ შესწავლილ სხვა კლინიკებზე. მეორე დარღვევა დაფიქსირდა სალიცენზიო მოსაკრებელზე. „იუნონა+“-მა 2006 წლის 11 დეკემბერს სააგენტოში შეიტანა განცხადება 6 ლიცენზიის მოპოვებაზე. მათ შორის, 5 იყო გენერალური და 1 სპეციალური ლიცენზია. 5 გენერალური ლიცენზიიდან 4 ბავშვთა და მოზრდილთა ლიცენზიებს მოიცავდა, ხოლო ონკოლოგიური სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია ოთხ ლიცენზიას მოიცავდა. ჯამში 12 ლიცენზია მივიღეთ. თითოეული მათგანის მოსაკრებელი მაშინდელი მდგომარეობით 20 ლარი იყო, რაც ამ შემთხვევაში ჯამში 240 ლარს შეადგენს. მე-6 ლიცენზიის (ბავშვთა სტაციონარული გინეკოლოგიური საქმიანობის სპეცლიცენზია) მოსაკრებელი 50 ლარი იყო. მთლიანმა ჯამმა შეადგინა 290 ლარი. „იუნონა+“-ს თქვენ მიერ მოწოდებულ საბუთებში კი 200 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლია წარმოდგენილი, რომელიც გადახდილია რატომღაც 2006 წლის 16 მარტს (9 თვით ადრე) და ამ გაანგარიშებით ეს ვადა მხოლოდ 4 ლიცენზიის აღებას ჰყოფნიდა. გამოდის, რომ პირველი ორი ლიცენზია კანონდარღვევით, მოსაკრებლის გარეშეა გაცემული და საერთოდ არ უნდა გაცემულიყო; უფრო მეტიც, არ უნდა განხილულიყო.

**— როგორც ვიცი, სანამ კლინიკას ლიცენზიას მიანიჭებენ, ადგილზე შესასწავლად ინსპექტირების ჯგუფი მიდის...**

— დიახ. მაგრამ სააგენტოს უფროსმა ადგილზე სალიცენზიო პირობების შესამოწმებლად ინსპექტირების ჯგუფი არ გაგზავნა. შესაბამისად, გადაწყვეტილება კაბინეტიდან გაუსვლელად მიიღეს. კლინიკა თვალით არავის უნახავს, ისე გასცეს ლიცენზია. ამაზე სააგენტოს პასუხი არის ის, რომ საქართველოს მთავრობის 18.01.2006 წლის №9 დადგენილება სააგენტოს უფლებამოსილს ხდიდა, მაგრამ არ ავალდებულებდა ინსპექტირების ჯგუფის ადგილზე შესამოწმებლად გაგზავნას. მაგრამ მათ აქ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი გამორჩათ: მთავრობის დადგენილებაზე უფრო მაღლა მდგომი არის საქართველოს კანონი „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესახებ, რომელიც ავალდებულებდა სააგენტოს: ა) მუხლი 53, პუნქტი 5: **„ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან აგრუმენტებზე, რომლებიც არ იქნა მოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს“;** ბ) მუხლი 96, პუნქტი 2: **„დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ“;** და რაც მთავარია: გ) მუხლი 112. პუნქტი 2: **„შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგის აღწერა. შემთხვევის ადგილში მოიაზრება ის ტერიტორია მასზე მდგომი აპარატურით და მოწყობილობებით, რომელზეც უნდა გაიცეს ლიცენზია“,** ანუ საქართველოს მთავრობის 2005 წლის №153 სამთავრობო დადგენილების 4 მუხლის 1 პუნქტში ლიცენზიის მაძიებელი დაწესებულების მხრიდან წარსადგენ აუცილებელ დოკუმენტაციათა შორის საყურადღებოა: ა) სამედიცინო დაწესებულების ფართობის სიტუაციური ნახაზი; ბ) ფართობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი; გ) ინფორმაცია დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ სახელწოდებისა და გამოშვების წლების მითითებით.

ახლა ვსვამ ასეთ კითხვას: **ზეპირი მოსმენის ოქმის მონაწილეებმა სააგენტოდან გაუსვლელად როგორ დაადგინეს სიტუაციურ ნახაზზე არსებული მონაცემების თანხვედრა ადგილზე არსებულთან ან კლინიკის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის დოკუმენტში მოცემული ჩამონათვალის დასახელების რაოდენობის და გამოშვების წლების იდენტურობა ადგილზე არსებულთან, რაც შემდგომ ლიცენზიის გაცემის საფუძველი გახდა?** არადა, ადმინისტრაციული კოდექსი ავალდებულებდა სააგენტოს ამის გაკეთებას. ესეც რომ არ იყოს, როდესაც უფლებამოსილი ხარ, 6 სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიას, რომელთა შორის 5 გენერალური იყო და საერთო ჯამში 12 სპეციალურ ლიცენზიას უდრიდა, როგორ გასცემ ისე, რომ არ დაინტერესდე, სად მდებარეობს კლინიკა, როგორია ინფრასტრუქტურის განლაგება, აღჭურვა, მდგომარეობა, პალატების რაოდენობა, საოპერაციოები, აპარატურის გამოშვების წლები და ა. შ.

**— კიდევ რომელი კლინიკები მუშაობენ კანონდარღვევით?**

— სამედიცინო აკადემიის დიპლომის შემდგომი მზადების კლინიკა (თბილისი, ლუბლიანას ქ. №5) და სიღნაღის რაიონული საავადმყოფო „ჯანმრთელობა“ (წნორი, ევდოშვილის ქ. №12) ისე ფუნქციონირებდნენ ამ ახალ მისამართზე, რომ 2009-2012 წწ-ში საერთოდ არ ჰქონდათ ლიცენზიები. რაც შეეხება წნორს, შეიძლება ვივარაუდოთ, რატომ უხუჭავდა თვალს სააგენტოს უფროსი მის ულიცენზიოდ მუშაობას. სააგენტოდან მიღებული ინფორმაციით, ამ დაწესებულებას 3-ჯერ ეთქვა უარი ლიცენზიაზე, მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი მისთვის, რომ ემუშავა სრული დატვირთვით და არ დაჯარიმებულიყო უკანონო სამედიცინო საქმიანობისთვის. დიპლომისშემდგომი მზადების სახელმწიფო აკადემიის კლინიკა (ჭავჭავაძის №33) აკმაყოფილებდა სალიცენზიო სტანდარტებს და, როგორც ირკვევა, დილომში ლუბლიანას ქუჩა №5-ში ისე უმუშავია ორი წელი (2012 წლის აპრილამდე) რომ საერთოდ არ ჰქონია ლიცენზია.

**ყველა ზემოჩამოთვლილ ფაქტთან დაკავშირებით ჯანდაცვის სამინისტრო არ იძლევა კომენტარს, მაგრამ მისი ოფიციალური პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით ასე გამოიყურება:**

„ორი სამედიცინო დაწესებულების — დიპლომისშემდგომი მზადების სამედიცინო აკადემიის კლინიკა და შპს „იუნონა+“ სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის მიერ ნებართვების ფლობის თაობაზე ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე გაცნობებთ, რომ, „დაწესებულებათა უწყებრივი სანებართვო რეესტრის მონაცემებით, ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩა №5 (ჩაჩავას ქუჩა №1 ), 2011 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 მარტამდე პერიოდში დიპლომის შემდგომი მზადების სამედიცინო აკადემიის კლინიკა რეგისტრირებული არ ყოფილა“.

ესაუბრა
**თამარ ნაზღაიძე**

ვერსია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ბარამიძე მარტო „ჩმორი“ კი არ არის, არამზადაა, გარეწარი და ნაძირალა. სოსო ჯაჭვლიანს ვენაცვალე ვაჟკაცობაში! ყველა სამხედრო პირი უდიდეს პატივს ვცემთ მას, რადგან სწორედ მან შეძლო იმ პირველი ნაბიჯის გადადგმა, რომელიც ამდენი ხანიც უნდა გადადგმულიყო.
თუ ხელისუფლება არ გამოიჩენს ნებას და „ნაცების“ დანაშაულებებს სამართლებრივ ჩარჩოში არ მოაქცევს, თუ მათ მართლმსაჯულების წინაშე არ წარადგენენ, მაშინ ჩვენ ქუჩა-ქუჩა დავუწყებთ დამნაშავეებს დევნას.“



## ტრისტან წითელაშვილი:

# «ნაცმოძრაობა» უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ შექმნილი ორგანიზაციაა

**რამდენიმე დღის წინ პარლამენტში მომხდარმა შეხლა-შემოხლამ მთელი საზოგადოების ყურადღება მიიქცია. სოციალურ ქსელებში ერთი ვაი-უშველებელი ატყდა: ზოგი სოსო ჯაჭვლიანის მარჯვენას ლოცავდა, ზოგიც — წყევლიდა, როგორ თუ „ბუნჩულა“ ბარამიძეს ხელი დაარტყაო. მართლაც, დიდი მოთმინება სჭირდება ადამიანს, რომ პარლამენტში ამდენ „ნაცს“ ერთად უყუროს, რასაც სვან ჯაჭვლიანს ნამდვილად ვერ მოსთხოვ. მაინც ვინ არის გიორგი ბარამიძე? — ადამიანი, რომელმაც რამდენიმე მძიმე დანაშაული ჩაიდინა და ყველა შერჩა. არადა, ცუდი მამის შვილი სულაც არ არის. მამამისი აივენგო ბარამიძე მე-12 საშუალო სკოლის ორგანიზატორი გახლდათ და ბავშვებსაც ძალიან უყვარდათ, მაგრამ რას იზამ, კარგ კაცებსაც ეზრდებათ ცუდი შვილები. „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციაში გენერალმა ტრისტან წითელაშვილმა დარეკა და გვითხრა, რომ ბარამიძეზე სურდა საუბარი.**

**— ბატონო ტრისტან, ბარამიძეზე ყველამ ყველაფერი იცის. თქვენ ახალს რას იტყვით?**

— ბარამიძე ნაძირალაა. მის შესახებ ყველაფერი ვიცი. ბარამიძის ჩადენილ სამ დანაშაულს მოგიყვებით. პირველი ისაა, რომ იბრალებს აფხაზეთის ომში მონაწილეობას.

**— ამაში ვერ დაგეთანხმებით, რადგან პირადად ვიცნობ ადამიანებს, რომლებიც ბარამიძის ომში ყოფნას ადასტურებენ.**

— **ბარამიძე ომში იყო, ტელეკამერების წინ იპოზიორა და უკან დაბრუნდა. მას საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა არ მიუღია და ამაზე ვერავინ შემეკამათება. მეორე დანაშაული ისაა, რომ მან გაიტაცა გენერალი ვაშაკიძე 2004 წელს, მაშინ, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდნენ. მესამე დანაშაულზეც მოგიყვებით.**

ტამიშთან ვიბრძოდით. 2 ივლისს მოწინააღმდეგემ დესანტი გადმოსვა. 8 დღე-ღამის განმავლობაში ალყაში ვიყავით. ლოთი ქობალიას არმიის დახმარებით ალყის გარღვევა შევძელით, რამდენიმე ადამიანი გადავრჩით. 25 ბიჭი დაგვეღუპა, აქედან ცხრა საერთოდ ვერ ამოვიცანით, დაწვეს. რა თქმა უნდა, ისინი იქ არ დავტოვეთ და თბილისში გადმოვასვენეთ, შემდეგ ყველამ ერთად გადაწყვეტილება მივიღეთ, რომ ძმათა სასაფლაოზე ადგილი აგვეღო და გაგვეკეთებინა უცნობი ჯარისკაცების საფლავი, რაც მალევე სისრულეში მოვიყვანეთ. ძალიან ბევრი ვიწვალეთ, ოჩამჩირიდან ისე გადმოვასვენეთ, არავინ დაგვეხმარებია. მაშინ პარლამენტი იმელის შენობაში იყო, ბიჭების დაკრძალვის დღეს პარლამენტიდან შემოგვითვალეს, რომ ამ შენობის წინ მიცვალებულებს ნუ ჩამოატარებთო. კინაღამ გავგიჟდით, იმის მაგივრად, რომ სამძიმარი ეთქვათ, ცერემონიალს შემოერთებოდნენ, მიცვალებულებს იმელთან ნუ ჩამოატარებთო, შემოგვითვალეს. მოკლედ, პროცესიამ ჩაიარა, ძმათა სასაფლაოზე უცნობი ჯარისკაცებიც დავკრძალეთ და ეს ყველაფერი ჩვენი საკუთარი სახსრებით. მას შემდეგ 2 ივლისს ამ სასაფლაოზე სულ დავდიოდით. 2000 წელს, ტრადიციისამებრ, სასაფლაოზე უნდა ავსულიყავით, ღონისძიებისთვის წინასწარ ვემზადებოდით, ამიტომ წინა დღეს ავედით, რომ საფლავი გაგვეწმინდა. **მივედით და რას ვხედავთ? უცნობი ჯარისკაცების სასაფლაო განახევრებულია და იქ ვიღაც არის დაკრძალული. იმ წუთში სასაფლაოს დირექტორს დავუძახეთ, ცხედრები მოვიკითხეთ, ვინაობა ვიკითხეთ იმ ადამიანის, რომელიც იქ დაკრძალეს, გავარკვიეთ, რომ ვარდიკო ნადიბაიძის მოადგილე რაჟდენ ბიწაძე დაუკრძალავთ. მერე ვიკითხეთ, ცხედრები სად გადაასვენეს. დირექტორმა გვიპასუხა, რომ მან არაფერი იცოდა, რომ მისთვის არაფერი უკითხავთ. თქვა, რომ მოიყვანეს მანქანა, დაყარეს ზედ ცხედრები და სადღაც წაასვენეს. ბარამიძე მაშინ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს ხელმძღვანელობდა. ჩვენ მაშინვე წერილი გავამზადეთ ბარამიძის სახელზე, რომ ამ საქმით დაინტერესებულიყო, მაგრამ მეორე დღიდან ჩვენი დევნა და შევიწროება დაიწყო. ბიჭები დაიჭირეს კიდეც.**

ასეთმა საქციელმა ვერ გაგვტეხა, მაინც ვიბრძოდით. გაზეთით მივმართე ბარამიძეს, ვთხოვდი, ის მაინც ეთქვა, ცხედრები სად წაიღეს, მაგრამ პასუხს ვერ ველირსეთ.

**— ვაშაკიძის გატაცების ამბავი მოგვიყევით. რა მიზეზით გაიტაცეს?**

— ბარამიძემ გაიტაცა. აფხაზეთის ომში საპოზიოროდ რომ ჩამობრძანდა, გია ვაშაკიძემ მითითება, უფრო სწორად, შენიშვნა მისცა, რომ ასეთი საქციელი ომში მიუღებელი იყო. ვაშაკიძე მართალი იყო, ჩვენ ომში ბიჭები გვეხოცებოდნენ და ბარამიძე კი პიარს იკეთებდა. მას ჩვენი დახმარება საკვები პროდუქტებით მაინც შეეძლო, მაშინ ის პარლამენტარი იყო. ორჯერ ჩამოვიდა ფრონტზე და ორივეჯერ ისე მოიქცა, რომ სულ შენიშვნას იღებდა. გია ვაშაკიძეს კი უფლება ჰქონდა, ბარამიძისთვის შენიშვნა მიეცა.

# «სააკაშვილის მთავრობა კოლოსალურ თანხას იხდის, რომ დანაშაული შერჩეთ»

**როდესაც ავადსახსენებელი სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდა თავის ბანდასთან ერთად, ბარამიძე კი შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა, ყველაფერი გაიხსენა და გია ვაშაკიძე, კაცი, რომელიც თავდაცვის სამინისტროში მუშაობდა, გაიტაცეს. ბარამიძეს მის მიმართ ბოღმა ჰქონდა.** მათ ხომ ასეთი ავადმყოფობა აქვთ, გულში ბოროტებას, შურს ატარებენ, სძულთ ის ადამიანები, რომელთაც ქართული, ეროვნული საქმის კეთებაში წვლილი მიუძღვით.

**გენერალ გია ვაშაკიძეს ბარამიძე პირადად აწამებდა, რამდენიმე დღე თავდაყირა ჰყავდა ჩამოკიდებული. მერე, ციხეში რომ ჩაესვა, დანაშაული შეუთითხნა, ვითომ ვაშაკიძემ, ბანკირი გაიტაცა. დღეს ის ბანკირი სიმართლეს ყვება, მაგრამ რაღა დროს, ცხრა წელი ციხე მოიხადა გენერალმა კაცმა. ვაშაკიძე ბარამიძის პირადი პატიმარი იყო, თანაც დახურულ ციხეში.**

დღეს სამართლიანობის აღდგენისთვის იბრძვის.

**— მაგრამ სამართლიანობის აღდგენის პროცესი შეჩერებულია...**

— ჩვენ ვიბრძვით, ჩვენ შევძლებთ, ხელისუფლება ვაიძულოთ, დანაპირები შეასრულონ. ხარვეზების დამდგენი კომისიის შეჩერების ინიციატორთა შორის, ვიცი, რომ ბარამიძეც არის, ის ახალი მთავრობის წევრებთან კულუარულ მოლაპარაკებებში მონაწილეობს.

**— გია ბარამიძე გამოვიდა ტელევიზიით და თქვა, რომ, თუ დამნაშავე ვარ, დამიჭირონო. მგონი, ეს ადამიანი მართალია.**

— ის დამნაშავეა და მალე დამტკიცდება. ბარამიძე აფრასიძეებთანაც დამნაშავეა. ეს საქმე შესწავლილი მაქვს. აფრასიძეებს შორის ერთი ადამიანი იყო დასაპატიმრებელი და მანაც მოლაპარაკებების დროს მიიღო გადაწყვეტილება, ჩაბარებოდა სამართალდამცავებს. ეს იყო ორი კვირით ადრე, ვიდრე მისი ლიკვიდაცია მოხდებოდა. მეომარი კაცი ვარ და ის, რაც ბარამიძემ ჩაიდინა, ომში მოწინააღმდეგესაც კი არ გავუკეთებთ. სამხედრო ოპერაციის დაწყების წინ ყოველთვის მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

**ბარამიძე რომ ასეთ დიდ გულზეა, ხელისუფლების „დამსახურებაა“, ეს მათ მისცეს ამის თქმის უფლება. ბარამიძემ იცის, რომ ხელს აფარებენ მას, ვიცი და ცოტა ხანში ზუსტად დავადგენ ინფორმაციას, რომ წინა მთავრობა კოლოსალურ თანხას იხდის, რომ დანაშაული შერჩეთ.**

**— ეს ცოტა ხმაურიანი განცხადებაა. რა გაძლევთ ამის თქმის უფლებას?**

— ჯერ კონკრეტულად ვერავის დავასახელებ, მაგრამ ვიცი, რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ეს ფინანსებს ეხება. ინფორმაცია საფუძვლიანია და მას ბოლომდე მივყვები.

**— ეს ამბები ამდენი ხანი არ გითქვამთ. რატომ გადაწყვიტეთ ახლა ბარამიძეზე საუბარი?**

— მე მარტო ბარამიძეზე არ ვლაპარაკობ, რაც ციხიდან გამოვედი. ციხეშიც ვყვიროდი, რომ „ნაცები“ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების შექმნილი ადამიანები არიან. მათ ჰქონდათ დავალება, რომ ქვეყანა გაენადგურებინათ. ამას შეუიარაღებელი თვალითაც დაინახავ. ბარამიძე კი ამ გუნდში ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო. არ შეიძლება, რომ ისინი, კრიმინალური პარტიის წარმომადგენლები, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ისხდნენ.

**ბარამიძე მარტო „ჩმორი“ კი არ არის, არამზადაა, გარეწარი და ნაძირალა. სოსო ჯაჭვლიანს ვენაცვალე ვაჟკაცობაში! ყველა სამხედრო პირი უდიდეს პატივს ვცემთ მას, რადგან სწორედ მან შეძლო იმ პირველი ნაბიჯის გადადგმა, რომელიც ამდენი ხანიც უნდა გადადგმულიყო.**

**თუ ხელისუფლება არ გამოიჩენს ნებას და „ნაცების“ დანაშაულებებს სამართლებრივ ჩარჩოში არ მოაქცევს, თუ მათ მართლმსაჯულების წინაშე არ წარადგენენ, მაშინ ჩვენ ქუჩა-ქუჩა დავუწყებთ დამნაშავეებს დევნას.**

**— და რამდენი ხანი დაელოდებით კიდევ?**

— დიდხანს არა. ჯერ გამაფრთხილებელ აქციებს მოვაწყობთ და მერე შევხედავთ.

იცით, როგორი გამწარებული ვარ? მე შვილი არ მომიკლეს, მაგრამ 11 წლის შვილი დამიავადმყოფეს. სახლში რომ შემომიცვივდნენ, ბავშვი მუხლებზე მომეხვია, მათ წიხლი ჰკრეს და მეორე სართულიდან გადააგდეს. ბავშვი დღემდე ვერ ლაპარაკობს, ვერ მოძრაობს. მთავრობა ამბობს, რომ ფინანსები არ არის სამართლიანობის აღსადგენადო. რა ფინანსები ამინაზღაურებს იმას, რაც ჩემს შვილს დამართეს?! ჩვენ მაგათი ფინანსები არაფერში გვჭირდება, კარგად შეინახოს ახალმა ხელისუფლებამ თავისი ფინანსები და „იგულაოს“.

**ბარამიძესაც და დანარჩენებსაც ვურჩევთ, რომ საკუთარი ფეხით წავიდნენ ციხეში, რადგან იქ უფრო უსაფრთხოდ იქნებიან...**

**ხელისუფლებას ვაფრთხილებთ, თუ თავად არ დაიწყებენ სამართლიანობის აღდგენას, ჩვენ მივხედავთ ამ საქმეს და, თუ როგორ მივხედავთ, მაგას მალე დაინახავენ.**

მართლმადიდებლები ვართ და მიმტევებლები უნდა ვიყოთ, მაგრამ „ნაცბანდის“ მიმართ მიმტევებელი ნამდვილად ვერ ვიქნებით, სააკაშვილით დაწყებული თუთბერიძით დამთავრებული, ყველა უნდა დაისაჯოს. ადამიანები, რომლებიც ყველას და ყველაფერს ანადგურებენ, რასაც ქართული ჰქვია.

**— ასეთი ნიშნები, ქართულისა და ეროვნულის მოსპობის, ახალ ხელისუფლებაშიც შეიმჩნევა.**

— იგივე ბედი ელის ყველას. ახალ მთავრობას რა, თქვენ გგონიათ, ხელს დავაფარებთ? ვიცი, რომ მათ ერთი იდეოლოგია აქვთ. ჩვენ ამას დიდხანს ვერ ავიტანთ. ესენიც სცოდავენ. იმის ნაცვლად, „ნაცები“ წელში გაეტეხათ, საშუალება მისცეს, რომ არასამთავრობოები შეექმნათ, ინსტიტუტები ჩამოეყალიბებინათ და დღეს სწორედ ამ არასამთავრობოებს უნდა ვებრძოლოთ.

**მთავრობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ „ნაცები“ არასოდეს მოვიდნენ ხელისუფლებაში, მათ უნდა აეკრძალოთ საჯარო სამსახურებში მუშაობა, საზოგადოებასთან ურთიერთობა...**

ჩვენ მხარეს სიმართლეა, ამიტომ ვერაფერი მოგვერევა. ახალმა ხელისუფლებამ უკვე დაუშვა დიდი შეცდომები, თამარ კორძაიას განცხადებამ ხელისუფლების ნგრევა დაიწყო. მათ უკვე გადადგეს ნაბიჯი და ქართველს სულში ჩააფურთხეს. ჩვენ ვიღაცები არ ვართ, ჩვენ ის ხალხი ვართ, რომელმაც ქართველი ერის წინაშე ფიცი დავდეთ, რომ სამშობლოს ვემსახურებოდით და ფიცი არ გაგვიტეხია.

# «გენერალ გია ვაშაკიძეს ბარამიძე პირადად აწამებდა, რამდენიმე დღე თავდაყირა ჰყავდა ჩამოკიდებული. მერე, ციხეში რომ ჩაესვა, დანაშაული შეუთითხნა... ვაშაკიძე ბარამიძის პირადი პატიმარი იყო, თანაც დახურულ ციხეში»

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

„პატიმრები დღეს ისეთ პიროზებში არიან, იმდენი უსამართლობა გადაიტანეს, რომ კომპენსაციაზე ამ წუთში ნამდვილად არ ფიქრობენ. სხვათა შორის, ისინი უფრო სახელმწიფოებრივად აზროვნებენ, ვიდრე სხვები... არც კი მოითხოვენ ამ კომპენსაციას, ოღონდ დატოვონ ციხეები."

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ფარცხალაძემ პროკურატურა ადეიშვილის კადრებით გაავსო

**„ქართული ოცნების" წინასაარჩევნო დაპირება მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნა იყო, რომელიც უკანონო პატიმრების საკითხს შეისწავლიდა, მაგრამ უკვე გამოცხადდა, რომ ეს კომისია აღარ შეიქმნება. მაშინ რატომ დაჰპირდა მმართველი გუნდი ამას ხალხს წინასაარჩევნოდ? რა საკადრო გადაადგილებები ხდება პროკურატურასა და შსს-ში? გადაიქცევა თუ არა პროკურატურა მონსტრად და რატომ დანიშნა ღარიბაშვილმა შს მინისტრად მერაბიშვილის ფავორიტი ალექსანდრე ჭიკაიძე?**
**„საქართველო და მსოფლიოს" ამ საკითხებზე ადვოკატი ნონა ფილაური ესაუბრა.**



**ნონა ფილაური:**

## მართლმსაჯულებამ კულისებში გადაინაცვლა

— ამ კომისიის შექმნა სამართლიანობის აღდგენის ერთადერთი ალტერნატიული გზა და მექანიზმი იყო. ევროკავშირის მრჩეველმა თომას ჰამერბერგმა მხოლოდ ერთი რამ თქვა: ეს კომისია უნდა დაკომპლექტებულიყო აპოლიტიკური ადამიანებითა და პროფესიონალებითო, რომლებსაც უნდა ეზრუნათ სიმართლის დადგენისთვის, ანუ აქ უკანონობა-კანონიერებაზე არ იყო საუბარი. თუმცა აქ იყო ასევე საქართველოში აშშ-ის სავაჭრო პალატის პრეზიდენტის — სარა უილიამსონის შენიშვნაც, ის კონკრეტულად ეკონომიურ საკითხს აყენებდა და მას ანიჭებდა პრიორიტეტს. მან განაცხადა, რომ უნდა გათვალისწინებულიყო ორი რამ: ერთი, კომისიის შექმნა რა ხარჯებთან იყო დაკავშირებული და საიდან უნდა მოეძებნა სახელმწიფოს ეს ხარჯები; მეორე, კომპენსაციის გაცემის საკითხი და, მე რატომღაც ვფიქრობ, ეს აღმოჩნდა კატალიზატორი ახალი ხელისუფლებისთვის, თუმცაღა მაინც მინდა ვთქვა, რომ **პატიმრები დღეს ისეთ პირობებში არიან, იმდენი უსამართლობა გადაიტანეს, რომ კომპენსაციაზე ამ წუთში ნამდვილად არ ფიქრობენ. სხვათა შორის, ისინი უფრო სახელმწიფოებრივად აზროვნებენ, ვიდრე სხვები... არც კი მოითხოვენ ამ კომპენსაციას, ოღონდ დატოვონ ციხეები.** აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ **„ქართული ოცნება" ამერიკის გავლენის ქვეშ მოექცა და ამიტომ გადაავადა ამ კომისიის შექმნა ან არ აქვს უნარი, რომ ამ კომისიის შექმნა ამ ეტაპზე განახორციელოს.**

**— კი მაგრამ, ქსნის კოლონიაში 40-60 კაცამდე შიმშილობს ამ კომისიის შექმნის მოთხოვნით... გარდა ამისა, არაერთი პატიმარი და მათი ოჯახი უკმაყოფილოა მართლმსაჯულების სისტემის სიზანტის გამო და რა დროს აშშ-ის გავლენის ქვეშ მოქცევაა?!**

— რომ ჰკითხოთ, პრიორიტეტს დასავლურ ღირებულებებს ანიჭებენ და ვითომ ევროპისკენ მივდივართ, რეალურად კი ამერიკულ ხედვებს ვიზიარებთ! დიახ, ამერიკელებმა გვითხრეს, ეს არ უნდა გააკეთოთ, რადგან აქ შეგექმნებათ პრობლემაო და არ გააკეთეს; არ გაიზიარეს ის, რომ ჩვენ ევროპისკენ „მივდივართ" და დემოკრატიაზე ვსაუბრობთ... გამოდის, **ახალი ხელისუფლებაც ზუსტად ისე უყურებს სამართლიანობის აღდგენის საკითხს, როგორც ძველი. სამართალი ურმით დადისო, დღეს არანაირი ურემი არ არსებობს. ურემი უნდა გყავდეს, რომ იარო, ხომ? ამ შემთხვევაში სამართლიანობის ურემი საერთოდ არ არის შექმნილი.**

**— ხომ არ არის ამ კომისიის არშექმნის საკითხი დაკავშირებული პროკურატურასა და შსს-ში განვითარებულ საკადრო გადაადგილებებთან? ითქვა, რომ პროკურატურიდან მასობრივად უშვებენ კბილაშვილის კადრებს და მოჰყავთ ადეიშვილის კადრები...**

— პროკურატურაში ძალიან ცუდი პროცესები მიდის, ძალიან ცუდი საკადრო ცვლილებები განხორციელდა. ჩემი ინფორმაციით, **ის პროკურორები, რომლებზეც ძალიან ბევრი საჩივარია შეტანილი, ფარცხალაძის მოსვლის შემდეგ თანამდებობრივად დაწინაურდნენ.** პროკურატურაში ადამიანები არ უნდა დაინიშნონ პოლიტიკური ნიშნით, მთავარი უნდა იყოს მათი პროფესიონალიზმი და გამოცდილება. და როცა გამოცდილებასა და პროფესიონალიზმს უკეთებენ იგნორირებას, პროფესიონალ კადრებს უშვებენ სამსახურიდან, თანაც ისეთებს, რომელთა მიმართ საჩივრებიც კი არ არსებობს, ხოლო ტოვებენ მათ, ვის მიმართაც ძალიან ბევრი პრეტენზია აქვს საზოგადოებას, აქ უკვე მართლა ჩნდება კითხვა: რატომ ხდება ეს?

**— თქვენ რით ხსნით ამ ფაქტს?**

— დიახ, **გაუშვეს კბილაშვილის კადრები, ისინი, ვინც ახალი დანიშნულები იყვნენ, რომლებმაც ვერ აღადგინეს სამართლიანობა, მაგრამ სამწუხაროა, რომ მათ შორის იყვნენ პროფესიონალებიც.** ვიმეორებ: **დატოვეს ისეთი კადრები, რომლების მიმართაც ძალიან ბევრი კითხვა და პრეტენზია არსებობს. რატომ?** ალბათ, ის კადრები, რომლებიც დატოვეს, ძალიან ბევრ უკანონობას სჩადიოდნენ და ხომ არ აქვს პროკურატურას დღეს იმის სურვილი, რომ იგივე მეთოდებით მუშაობა გააგრძელოს, როგორიც მის წინამორბედ რეჟიმს ჰქონდა?!

დღეს კვლავ თანამდებობაზეა ერთი პროკურორი, რომელიც ადრე სასჯელაღსრულების დეპარტამენტს ზედამხედველობდა და წამებაზე პროკურატურაში შესულ არაერთ განცხადებას აკონტროლებდა, სასჯელაღსრულებს დაწესებულებას ავალებდა, რომ პატიმრები ჭკუაზე მოეყვანათ — განცხადებებში აღეწერათ არა რეალური ფაქტები, არამედ ის, რაც მათ ხელს აძლევდათ. ეს ადამიანი დღესაც თანამდებობის პირია... ახლა თავს შევიკავებ მისი სახელისა და გვარის დასახელებისგან. მას პასუხი არ მოეთხოვა იმ უკანონობებზე, რაც ჩაიდინა. სამწუხაროა, რომ ასეთი მიდგომა არსებობს და ის, რომ საზოგადოება განიცდის ამ უსამართლობას, ვფიქრობ, ხელისუფლებას ცუდადაც მოუბრუნდება. დიახ, „ოცნება" ძალიან ცუდ დღეში ჩავარდება. სხვათა შორის, „ნაცებმაც" კი არ დაიწყეს თავიდან ასე, მეტად რბილები იყვნენ, შემდეგ შევიდნენ როლებში და ამათაც გადაიბარეს ეს მემკვიდრეობა. **ადეიშვილის კადრები არც წასულან პროკურატურიდან. ვფიქრობ, პროკურატურა კვლავ დახურულ მონსტრად იქცევა. იმ დროს, როდესაც სისტემაში არის ძალიან ბევრი პრობლემა, სისტემა ყოველთვის იკეტება. ის კი ავიწყდებათ, რომ სამართლიანობის აღდგენა პროკურატურის ვალდებულებაა.**

> **«ის პროკურორები, რომლებზეც ძალიან ბევრი საჩივარია შეტანილი, ფარცხალაძის მოსვლის შემდეგ თანამდებობრივად დაწინაურდნენ»**

**— სახალხო დამცველიც სერიოზულად აპროტესტებს პროკურატურიდან ამ ადამიანების ასეთი ფორმით მოშორებას... თქვენი ინფორმაციით, კიდევ ვის გაუშვებენ, ვის დააწინაურებენ, იქნებ დაგვიკონკრეტოთ...**

— მას შემდეგ, რაც გახმოვანდა, რომ პროკურორების უფლებები შეიზღუდა და დააწერინეს განცხადებები წასვლის თაობაზე, ეს პროცესი შეჩერდა. ჯერჯერობით, ცვლილებები არ იგეგმება, რაღაც პერიოდი თავს შეიკავებენ, ვნახოთ...

**— შსს-შიც დაახლოებით მსგავსი პროცესები მიდის — „ოცნების" მიყვანილი კადრების ჩანაცვლება ხდება ძველი, „ნაცების" დროინდელი კადრებითო... რა აუცილებლობით არის განპირობებული შსს-ს ბირთვში მაინცდამაინც ვანო მერაბიშვილის დროინდელი კადრების დანიშვნა? თავად ჭიკაიძის შესახებ ვიცით, რომ ის ესწრებოდა 26 მაისის დარბევას. ასე განაცხადა, ღარიბაშვილმა (სეირს უყურებდა, ალბათ). ამის შემდეგ, როგორც ამბობენ, მერაბიშვილისგან რამდენიმე კაცმა, მათ შორის ჭიკაიძემ, სიტყვიერი მადლობა და ფულადი ჯილდოც კი მიიღოო. არ შეიძლებოდა უფრო სუფთა ბიოგრაფიის კაცის დანიშვნა შს მინისტრის პოსტზე?**

— ჭიკაიძე, რა თქმა უნდა, მერაბიშვილის კადრია. შეიძლება ის არ იყო აქტიური იმ დარბევებში, მაგრამ მაინც თანამონაწილედ ითვლება. ასე რომ, იმის თქმა, რომ ის აქციაზე იყო, მაგრამ მონაწილეობა არ მიიღო დარბევაში, მინისტრისთვის დამამშვიდებელი არანაირად არ უნდა იყოს. მინისტრია, რიგითი პოლიციელი ხომ არა?!

**— 26 მაისის სისხლიანი სადამსჯელო ოპერაციის კულმინაცია შენობების სახურავებზე ნაპოვნი ორი მოკლული იყო. გაჟონა ინფორმაციამ, რომ დალაქიშვილის გარდა, იმ ზონდერებს, რომლებმაც 26 მაისს ხალხი დახოცეს და ამ გვამების აღმომჩენ ძალოვნებს ჭიკაიძე შსს-ში აბრუნებს, ამაზე რას იტყვით?**

— დიახ, ბევრს აბრუნებს, ბევრს — არა... ერთს ვიტყვი: **როცა შენ მიცვალებულებს მალავ, ეს დანაშაულია! ისეთმა ადამიანმა აღმოაჩინა ეს გვამები და გადააადგილა, რომელიც დღეს პოლიციაში არ მუშაობს, მაგრამ პოლიციის, ასე ვთქვათ, შავი საქმეების შემსრულებელია.** და, თუ ეს ადამიანი არ გაჩერდება, რა თქმა უნდა, მისი მხილება აუცილებელი გახდება და ამას პირველად თქვენი გაზეთის მეშვეობით შეიტყობს საზოგადოება. დანარჩენი ორი ადამიანი (გვამების აღმომჩენი) კი ახლაც მუშაობს შსს-ში. დაბოლოს, თქვენ არ გაქვთ იმის განცდა, რომ შეიძლება მერაბიშვილზეც დადგეს გამამართლებელი განაჩენი? ხომ არ არის ეს პიარაქცია და ხომ არ ხდება კულუარული მართლმსაჯულების დამკვიდრება საქართველოში? მე კი ვფიქრობ, მართლმსაჯულებამ კულისებში გადაინაცვლა.

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

> **«იმ ადამიანმა აღმოაჩინა ეს გვამები და გადააადგილა, რომელიც დღეს შსს-ში არ მუშაობს, მაგრამ პოლიციის, ასე ვთქვათ, შავი საქმეების შემსრულებელია»**

მოკლედ

## «ნაციონალებმა» თავიანთ ვალებს მიხედონ

**საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური „ნაციონალურ მოძრაობას" მოუწოდებს, „თავის თავს მიხედოს".**

„ნაციონალურმა მოძრაობამ" თავის ვალებს მიხედოს, რომელიც აიღო — 500 მილიონი დოლარი, სრულიად უტვინოდ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. რომ ჩამოიტანეს 500 მილიონი დოლარი, მერე კითხულობდნენ, სად დავხარჯოთ ეს ფულიო, თავის თავს მიხედონ და თავის დანგრეულ ქვეყანას, რომელსაც ახლა ჩვენ ვაშენებთ", — განაცხადა ნოდარ ხადურმა.

„ნაციონალური მოძრაობა" მიიჩნევს, რომ მთავრობის მიერ წარდგენილ ბიუჯეტში ძალიან დიდი მოცულობის ვალია, რომლის გადახდაც მომავალ თაობას მოუწევს.

როგორც „ნაციონალური მოძრაობის" პოლიტიკურმა მდივანმა ზურაბ ჯაფარიძემ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, პარტიამ 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებით არაერთხელ გამოხატა კრიტიკური მოსაზრება. ჯაფარიძის თქმით, ერთი წლის წინ პარტია აფრთხილებდა ხელისუფლებას, რომ, არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის შემთხვევაში, პრობლემები თავს იჩენდა ეკონომიკასა და ბიუჯეტში.



საქართველო და მსოფლიო
ვაი ქვეყნისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რომელ წარმატებებსა და მიღწევებზე ლაპარაკობდა FAO-ს გენერალური დირექტორი? როდის იყო მართალი ეს ორგანიზაცია: როცა საქართველოში სიღარიბის მატებასა და სასურსათო უსაფრთხოების დაცვის კატასტროფულ მდგომარეობაზე მიუთითებდა თუ ახლა, როცა ამ პრობლემის გადაწყვეტაში „მიღწეული წარმატებებისთვის" მიხეილ სააკაშვილს აჯილდოებდა? ეს ხომ მსოფლიოსთვის და მათ შორის საქართველოს საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრაა!**

# სიღარიბეში მყოფი ადამიანების რიცხვმა საქართველოში 80%-ს მიაღწია

**არჩევნებამდე დარჩა 6 თვე, ჩვენი უმთავრესი მიზანი უნდა იყოს დასავლეთის პარტნიორების გამოყვანა „ნაციონალების" ცრუ პიარით შექმნილი ილუზიისგან და ხალხის კატეგორიული მოთხოვნის: სამართლიანობის დამკვიდრება.**

მიმდინარე წლის გაზაფხულზე მთელ მსოფლიოს და მათ შორის ჩვენს ქვეყანასაც ტელევიზიით აჩვენეს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის — FAO-ს ფორუმზე საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის დაჯილდოება, სადაც თვით FAO-ს გენერალურმა დირექტორმა ხაზი გაუსვა სააკაშვილის ღვაწლს ქვეყანაში სიღარიბის დაძლევისა და მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების დაცვის საქმეში. თვალებსა და ყურებს არ ვუჯერებდი ამ აბსურდული სპექტაკლის ცქერისას, რომელში მონაწილე სუბიექტები ტაშის გრიალით შეხვდნენ FAO-ს პრეზიდენტის მიერ წარდგენილ „გმირს".

საყოველთაოდ ცნობილია, რომ **სიღარიბის დაძლევის პროგრამა საქართველოში ჩავარდა. სიღარიბეში მყოფი ადამიანების რიცხვმა კატასტროფულად იმატა და 2012 წლისთვის მოსახლეობის 80%-ს მიაღწია.**

გაეროს „მსოფლიოს მოსახლეობის ორგანიზაციის" მონაცემებით, **2011 წელს საქართველოში 600 ათას ადამიანს დღეში შეუძლია დახარჯოს მხოლოდ 1,25 დოლარი, ანუ 2 ლარი. ასეთი კი მოსახლეობის (4,5 მლნ) 13%-ია, საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის რეალური რაოდენობიდან გამომდინარე (3,8 მლნ) კი ზემოაღნიშნული კატეგორიის მოსახლეობა 16%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ჩვენს მეზობელ ქვეყნებში ასეთი კატეგორიის მოსახლეობის რიცხვი სომხეთში 4%-ია, აზერბაიჯანში – 2%, რუსეთში – 2%.**

გაეროს მიერ დადგენილი ნორმით, ადამიანი შიმშილობს, თუ დღეში ის 1800 კკალ-ზე ნაკლებს იღებს. **საქართველოში კი ამ კატეგორიის მოსახლეობა 35%-ია, 50% კი ისეთი კატეგორიაა, რომელიც გაეროს მიერ განსაზღვრულ მინიმუმზე – 2100 კკალ-ზე ნაკლებს ითვისებს, თანაც საშუალო მომხმარებლის საკვები რაციონის 60%-ზე მეტი პურ-პროდუქტებზე მოდის, რაც მოსახლეობის ძალზე დაბალი სოციალური მდგომარეობის მაჩვენებელია (ნორმალურ ქვეყნებში პურის მოხმარება 12-15%-ია), ორგანიზმისთვის აუცილებელი ცილოვანი პროდუქტები კი მინიმალური რაოდენობით მოიხმარება, კერძოდ, ხორცი ნორმაზე 2,5-3-ჯერ ნაკლები, რძის პროდუქტები 2-ჯერ ნაკლები, ბოსტნეული და ხილი კი 2-ჯერ ნაკლები და ა.შ.**

ამრიგად, **ორგანიზმის ცხოველმოქმედებისთვის აუცილებელი ენერგიის იმ მინიმალურ სიდიდესაც კი (2100კკალ) საშუალო მომხმარებელი ძირითადად იაფფასიანი პროდუქტით – პურით აღწევს.**

სხვათა შორის, კალორიების საშუალო მოხმარება, მაგალითად, ნიგერიაში — 2700 კკალ-ს, ალჟირში — 3000 კკალ-ს, ანგოლაში — 2100 კკალ-ს, სომხეთში — 2300 კკალ-ს, აზერბაიჯანში — 2700 კკალ-ს შეადგენს. LOW INCOME FOOD DEFICIT COUNTRIES-ის მიერ 2012 წელს გამოქვეყნებული დასკვნის თანახმად, **საქართველო დაემატა იმ 66 ქვეყნის ჩამონათვალს, სადაც არის სურსათის მწვავე დეფიციტი, ხოლო შემოსავლები ძალზე მცირეა.** ამ სიიდან გამოვიდა ისეთი ქვეყნები, როგორიცაა: ტუვალუ, ვანუატუ და სხვა.

OXFAM-ის მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად საქართველოში სიღარიბეში მყოფი ოჯახები უმეტესად პურის (97%), შაქრის (96%) და ზეთის (78%) შეძენას ახერხებენ (ძირითადად, ამათ ხარჯზე ხდება სასურსათო რაციონის შევსება). ეს ოჯახები ვერ ყიდულობენ ხორცს (88%), თევზს (87%), ხილს (81%) და სხვა. **მოსახლეობის 71%-მა 2011 წლის განმავლობაში ვერ მიიღო საკმარისი საკვები, 82%-მა დაბალანსებული საკვები, ცილოვანი დეფიციტი კი დიდ ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას, რაზეც ნათლად მეტყველებს ბოლო წლების სტატისტიკა** (განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გაზრდილია ბავშვთა სიკვდილიანობა, რითაც ევროპაში პირველ ადგილზე ვართ).





## FAO-ს მონაცემებით, საქართველო მსოფლიოს უღარიბესი ქვეყანაა და დღის წესრიგში დგას მოსახლეობის ფიზიკური გადარჩენის პრობლემა

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, საინტერესოა, რომელ მონაცემებს დაეყრდნო FAO-ს გენერალური დირექტორი, როცა ჩათვალა, რომ საქართველოში სიღარიბე დაძლეულია?

თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო ასევე FAO-ს გენ. დირექტორის ქათინაურზე, რითაც მან სიგელის გადაცემისას ჩვენი პრეზიდენტი შეაქო: **„მან მისი მოღვაწეობის პერიოდში დიდ წარმატებებს მიაღწია მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების დაცვის საქმეში"**(?!).

უნდა შევახსენოთ ორგანიზაციის ხელმძღვანელს, რომ, თვით FAO-ს მონაცემებით, **2004-09 წლებში** (წყარო FAO statistical yearbook 2010) **საქართველო 1 სულ მოსახლეზე სასურსათო პროდუქციის წარმოების ინდექსით განხილულ 194 ქვეყანას შორის ყველაზე**

## საქართველო დაემატა იმ 66 ქვეყნის ჩამონათვალს, სადაც არის სურსათის მწვავე დეფიციტი, ხოლო შემოსავლები ძალზე მცირეა

**ბოლო ადგილზე აღმოჩნდა.** ამასთან, იმავე FAO-ს მონაცემებით, სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებელი კრიტიკულ ზღვრად მიჩნეულ კოეფიციენტზე (0.5) დაბალია, ყოველწლიურად მცირდება და **სასურსათო უსაფრთხოების დონის მიხედვით საქართველომ განვითარებადი ქვეყნების მე-5-დან მე-6 ჯგუფში გადაინაცვლა და მსოფლიოს უღარიბესი ქვეყნების გვერდით აღმოჩნდა.**

ყველა ეს „წარმატება" მიღწეულ იქნა იმით, რომ „ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში სოფლის მეურნეობის რეაბილიტაცია-განვითარებაზე, სასურსათო პროდუქციის წარმოების ხელშეწყობაზე გამოყოფილი იყო სახელმწიფო ბიუჯეტის 1-2% (2010 წელს კი მიზერული თანხა — 30,6 მლნ. ლარი), ანუ უკიდურესად არაადეკვატური თანხა, რასაც ადასტურებენ უცხოელი ექსპერტებიც. ასეთივე მიზერული იყო შემოსული ინვესტიციებიდან სოფლის მეურნეობაში ჩადებული თანხები (საშუალოდ 0,5-1%).

ამავე პერიოდში **მნიშვნელოვნად გაუარესდა მოსახლეობის სოციალური პირობები: 2-2,5-ჯერ გაიზარდა ფასები სასურსათო პროდუქციაზე, საყოფაცხოვრებო ნივთებზე, მოიმატა გადასახადებმა ელენერგიაზე, გაზზე, დასუფთავებაზე, წყალზე, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და სხვ.** შემცირდა ან გაუქმდა შეღავათები მოსახლეობის ზოგიერთ კონტიგენტზე, შემცირდა დასაქმებულთა რაოდენობა და ა. შ. (უფრო უარესის გაკეთებას მტერიც კი ვერ მოახერხებდა).

ეს ღონისძიებები ჩაეთვალა მიხეილ სააკაშვილს სიღარიბის დაძლევის პროგრამისა და მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების დაცვის წარმატებულ რეფორმად? ყოველივე ზემოაღნიშნული მდგომარეობის გამო და მის შედეგად, **დღეისათვის, დღის წესრიგში დგას მოსახლეობის ფიზიკური გადარჩენის პრობლემა.**

რომელ წარმატებებსა და მიღწევებზე ლაპარაკობდა FAO-ს გენ. დირექტორი? როდის იყო მართალი ეს ორგანიზაცია: როცა საქართველოში სიღარიბის მატებასა და სასურსათო უსაფრთხოების დაცვის კატასტროფულ მდგომარეობაზე მიუთითებდა თუ ახლა, როცა ამ პრობლემის გადაწყვეტაში „მიღწეული წარმატებებისთვის" მიხეილ სააკაშვილს აჯილდოვებდა? ეს ხომ მსოფლიოსთვის და მათ შორის საქართველოს საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრაა!

უდავოა, რომ FAO-ს ყოვლადგაუმართლებელ ქმედებაზე წაყრუება დანაშაულის ტოლფასია, რადგან უცხოეთის ორგანიზაციებისა და ოფიციალური პირების მიერ ასეთი არაადეკვატური გამოხდომების მიმართ ზედმეტი ჯენტლმენობის გამოჩენამ ბევრი ზიანი მოგვაყენა. გაკვირვებას იწვევს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის დუმილი. აღნიშნულის შესახებ წლეულს, აგვისტოში გამოვაქვეყნე სტატია გაზეთ „რეზონანსში", მივიტანე მასალა ერთ-ერთი საპარლამენტო პარტიის ოფისში, მაგრამ არავითარი შედეგი არ გამოიღო: არც FAO-ს და არც გაეროს, რომლის დაქვემდებარებაშიც ეს ორგანიზაციაა, არავინ შეეხმიანა. **ასეთი რევერანსი კი ცრუ სპექტაკლის დამდგმელისა და ყალბისმქმნელების მიმართ სრულიად გაუგებარი და მიუღებელია.** ამით ხომ ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ხალხი ზარალდება. ვფიქრობ მ/წ გაზაფხულზე **FAO-ს მიერ სააკაშვილის დაჯილდოებამ და მასზე გაცემულმა სიგელმაც (სხვა ყალბ „რეიტინგებთან" ერთად) მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა იმ შეფასებებზე, რაც მოვისმინეთ დასავლეთის სხვადასხვა ოფიციალური პირებისგან.**

**იმედი მაქვს ხელისუფლების შესაბამისი სამსახური დაინტერესდება ამ საკითხით, FAO-ს გენ. დირექტორს ჩააყენებს საქმის კურსში და მოითხოვს მისგან სათანადო განმარტებას, რაც აუცილებელია როგორც** ▶



მიუსაფართა თავშესაფარი თბილისში, მოსკოვის გამზირზე

## სასურსათო უსაფრთხოების დონის მიხედვით, საქართველო მსოფლიოს უღარიბესი ქვეყნების გვერდით აღმოჩნდა

**ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებამდე 6-თვე დარჩა. ჩვენი უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს, მივაღწიოთ იმას, რო მსოფლიო საზოგადოება და კერძოდ დასავლეთის ზემოთ მოყანილი პირები გამოვიყვანოთ სააკაშვილისა და მისი ჯგუფის მიერ შექმნილი ილუზიებიდან. გავაგებინოთ მათ სიმართლე და ქვეყანაში დავიწყოთ სამართლიანობის დამკვიდრება, სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას ყველა დამნაშავე პირის მიმართ, მათ შორის თვით ყოფილ პრეზიდენტზეც.**

# ვაი ქვეყნისაგან

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**FAO-ს ავტორიტეტისთვის, ასევე ჩვენი ხალხის ჯანსაღი დამოკიდებულებისა და ნდობის შესანარჩუნებლად საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ.** წინააღმდეგ შემთხვევაში ტყუილებში დახელოვნებული სააკაშვილი ადგილობრივ თვითმართველობის არჩევნებამდე კიდევ ბევრ სპექტაკლს მოგვიწყობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში და მათი შეცდომაში შეყვანით (თუ მოსყიდვით) კიდევ სხვა სიგელებს „დაიმსახურებს“. ყოველივე ამას კარგად გამოიყენებს მისი და „ნაცმოძრაობის“ რეიტინგის რეანიმაციისთვის, რათა როგორმე ხელისუფლების დაბრუნების იმედი ჩაუსახოს როგორც მის მომხრეებს, რომლებიც დასაქმებულნი არიან ადგილობრივ თვითმართველობის ორგანიზაციებში, სამართალდამცავ და სხვადასხვა უწყებებში და ასევე ჯერ კიდევ მერყევი, დამკვირვებლის როლში მყოფ ადამიანებს, რომელთა რიცხვი სამწუხაროდ ჯერ კიდევ ძალზე დიდია (30-35%), და ნუ დაგვავიწყდება რომ ისინი ამომრჩევლები არიან.

**გასარკვევია, ვინ და რატომ მიიწვია FAO-ს ფორუმზე, ან როგორ მოხვდა იქ საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი, რომელმაც FAO-ს მიერვე წარმოდგენილი კვლევების შედეგების გათვალისწინებით გაანადგურა, მიწასთან გაასწორა ქვეყნის სოფლის მეურნეობა და სასურსათო გენოციდი მოუწყო საკუთარ ხალხს? გასარკვევია აგრეთვე როგორ მოახერხა სააკაშვილმა ის, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან სხვადასხვა დროს მიიღო შემდეგი მაღალი რეიტინგები:**

— „საქართველო გახდა ყველაზე უსაფრთხო ქვეყანა ევროპაში“(?!). ეს მაშინ როცა **2004-2012 წლებში 2000 ადამიანი უგზოუკვლოდაა დაკარგული** ქვეყანაში, სადაც შს სამინისტროს ქვედანაყოფ სოდში სპეციალური ჯგუფი ყოფილა შექმნილი პოლიტიკურად აქტიური, ნაციონალებისგან განსხვავებულიAაზრის მატარებელი და ასევე თავისი ქონების ნებაყოფლობით დათმობის წინააღმდეგი ადამიანების გასატაცებლად, მათი ნაწილის დასახოცად. **სააკაშვილის მმართველობის პერიოდში სხვადასხვა დროს ინდივიდუალურად, ე.წ.„გონივრული ეჭვის ნიადაგზე“ გაუსამართლებლად ქუჩებში დაიხვრიტა 120-ზე მეტი ახალგაზრდა.**

— **„საქართველო მე-9 ადგილზეა ბიზნესის დაწყებისა და წარმოების სიმარტივით“** (თურმე მე-16 ადგილიდან მე-9 ადგილზე გადმოვინაცვლეთ). ბიზნესის დაწყების პროცედურა, საბუთების გაფორმება და უფლების მიღება მართლაც იოლია ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ როგორი იყო დაწყებული ბიზნესის შემდგომი ბედი? სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ **ბიზნესის დიდი უმრავლესობა დატერორებული და დაყაჩაღებული იყო ხელისუფლების მიერ. ასობით ბიზნესმენს ან მთლიანად წაართვეს ქონება, ან მუქარის ქვეშ აჩუქებინეს სახელმწიფოსათვის, ან გაიტაცეს-გააქრეს, ან ციხეში ჩაყარეს.** „სააკაშვილის ეპოქაში“ ბიზნესის 95%-ს სახელისუფლებო კლანი აკონტროლებდა. (კომპეტენტური ორგანოების ვარაუდით წართმეული ქონების შეფასება 6 მილიარდ ლარს აღწევს).

— **„საქართველო რეგიონში გამოირჩეოდა ეკონომიკის აღმავლობით“.** სინამდვილეში, **ეკონომიკის განვითარების მაჩვენებლის მიხედვით საქართველო მე-11 ადგილზე იყო პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და იგი უსწრებდა მხოლოდ შუა აზიის ყოფილ რესპუბლიკებს.** (ყოველივე ეს მაშინ, როცა სააკაშვილის ხელისუფლება სისტემატიურად იღებდა დიდი რაოდენობით საგარეო სესხებს, რაც არ მოხმარებია სოფლის მეურნეობას, მრეწველობას და სხვა დარგების რეაბილიტაცია-განვითარებას, ნაწილი მოხმარდა ძირითადად ინფრასტრუქტურის განვითარებას, (თანაც უხარისხოდ, ფულის დაზოგვის და პირადი სარგებელის გამორჩენის მიზნით), სააკაშვილის ახირებული გემოვნებით შერჩეულ უსახურ, ვითომ თანამედროვე შენობა-ნაგებობებს, საბოლოოდ კი შევარდნაძის პერიოდის შემდეგ დარჩენილ ვალს 2 მილიარდ აშშ დოლარს დაემატა 10,5 მილიარდი. აი ასეთი მემკვიდრეობა დატოვა „ნაცების“ ხელისუფლებამ.

**კალორიების საშუალო მოხმარება:**
**ნიგერიაში — 2700 კკალ, ალჟირში — 3000 კკალ,**
**ანგოლაში — 2100 კკალ, სომხეთში — 2300კკალ,**
**აზერბაიჯანში — 2700 კკალ.**

— **„სააკაშვილის ხელისუფლებამ დაამარცხა კორუფცია“.** სინამდვილეში **საქართველო მსოფლიოს იმ ქვეყნების ათეულში იყო, სადაც ჰყავის ელიტარული კორუფცია** (აზიისა და აფრიკის ზოგიერთ ქვეყნებთან ერთად). რატომღაც ამ ოფიციალურ განცხადებას, რაც გაკეთდა მიმდინარე წელს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, გამოხმაურება არ მოჰყოლია არც ხელისუფლების და არც არასაპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან(?!).

— **„სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ რადიკალური რეფორმების გატარებით საქართველოში დაამკვიდრა დემოკრატია“.** სინამდვილეში სამართალდამცავ, სასამართლო და სხვა სისტემაში გატარებული „რეფორმების“ შედეგად **საქართველოში დამყარდა ავტორიტარული, ფაშისტური რეჟიმი: მთელი საქართველო გადაიქცა საპატიმროდ და მასში მცხოვრები ადამიანები უვადო პატიმრობის საშიშროების წინაშე აღმოვჩნდით, დაინერგა მოსახლეობის მასობრივი თვალთვალი და ფარული**



# ბავშვთა სიკვდილიანობით ევროპაში პირველ ადგილზე ვართ

**აუდიო და ვიდეოჩაწერა, მათი რიცხვი 24 ათასს აჭარბებს, შანტაჟი, უდანაშაულო ადამიანების პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან დათხოვნა, ციხეებში ჩაყრა** (ზოგ შემთხვევაში გასამართლების გარეშეც). ციხეები გაივსო პატიმრებით, რომელთა რიცხვმა 25 ათასს გადააჭარბა, რეჟიმის დანარჩენი გასამართლებული მსხვერპლი, 300 ათასი ადამიანი პირობითი სასჯელით გარეთ გაუშვეს. **პატიმრების რაოდენობით I ადგილზე ვიყავით ევროპაში და IV ადგილზე მსოფლიოში.** (სხვათაშორის, იაპონიაში 4 ათასი პატიმარია). ყოველგვარ ადამიანურ ზღვარს გადააჭარბა ციხეებში პატიმართა ყოფამ, სადაც დაკანონდა პატიმართა წამების არნახული, უსასიზღრესი მეთოდები, მათ შორის **სააკაშვილის ხელისუფლების „ნოუ-ჰაუ“: ცოცხებითა და ხელჯოხებით მამაკაცების გაუპატიურება (მათი ღირსების შელახვის მიზნით), რასაც პატიმრის სიცოცხლეც შეეწირა.**

ციხეებში არსებული არაადამიანური წამებისა და გაუსაძლისი პირობების შედეგად ციხეებში დაიღუპა 700-ზე მეტი პატიმარი, მათ შორის დიდი უმეტესობა ახალგაზრდები.

ხელისუფლების გაუთვლელი ქმედებების შედეგად დაიკარგა ტერიტორიები, დაიმშა ხალხი, განადგურდა სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემა (თითოეულის აღწერა შორს წაგვიყვანს), ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები კი სააკაშვილს მოიხსენიებენ როგორც წარმატებულსა და საქართველოში დემოკრატიის დამამკვიდრებელ პრეზიდენტად. როგორ მოახერხა სააკაშვილმა შავის თეთრად წარმოჩენა, მთელი მსოფლიოსათვის თვალში ნაცრის შეყრა? **რასაკვირველია ლობისტების მეშვეობით ბიზმესმენებისგან წართმეული ფულითა და იმ „დანაზოგი“ ვალებით რასაც ის იღებდა ვითომდა ქვეყნის ფეხზე დასაყენებლად. ერთ-ერთი მაგალითია სწორედ FAO-ს ახლად დანიშნული (2012 წ.) გენ. დირექტორის ჟოზე გრაციანუ და სილვას გაბითურებაც.** აი, ასეთი **გზით მიღებულ „სიგელებსა“ და „რეიტინგებს“ დააფრიალებს ის და მისი ჯგუფი (კანდელაკი, თაქთაქიშვილი და სხვანი) საერთაშორისო ასპარეზზე და აღწევს ასეთ შეფასებებს, რაც დიდად უშლის ხელს საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ სამართლიანობის დამკვიდრებასა და საერთოდ ქვეყნის განვითარებას.** (ევროკომისიის პრეზიდენტის ბ-ნ ბაროზოს, სხვადასხვა ევროპული ქვეყნების ლიდერების, NATO-ს გენ. მდივნის, ბ-ნ რასმუსენის, ამერიკელი კონგრესმენებისა და ბოლოს, ახლახან ამერიკის პრეზიდენტის ბარაკ ობამას შეფასებები). ყოველივე ეს ჰქმნის არასწორ აზრს საერთაშორისო ასპარეზზე იმის შესახებ, რომ სააკაშვილი და მისი ჯგუფი იყო პროგრესული, საქართველოში ამკვიდრებდა დემოკრატიას, ვადის გასვლის გამო დროებით შეიცვალა და ის იმსახურებს ხელისუფლებაში დაბრუნებას.

**დასავლეთის ასეთი შეხედულება და ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრების საქმეში მათი უხეში ჩარევები** (ამ პროცესისთვის პოლიტიკური ელფერის მიცემა) **გულს უტეხს საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, რომლებმაც მშვიდობიანად გაუშვეს უვარგისი, ქვეყნისთვის უპერსპექტივო ხელისუფლება, აირჩიეს მათთვის მისაღები მთავრობა და სამართლიანად მოითხოვენ მისგან კანონის უზენაესობის აღსრულებას, იმ პირთა დასჯას, რომლებმაც ქვეყანა განადგურების პირას მიიყვანა, ხალხი დაამცირა, დაამშია, დააყაჩაღა, აწამა, მოიტაცა, დახოცა.** ბუნებრივია, აუცილებელია, თანაც სასწრაფოდ, მსოფლიოსთვის სიმართლის მიტანა სხვადასხვა მეთოდებით: პრესა, ტელევიზია, რეალურ სიუჟეტებიანი, მოკლემეტრაჟიანი ფილმებისა თუ კლიპების შექმნა, სპეციალური ჯგუფების მივლინება სათანადო მასალებით ევროპაში, ამერიკაში და სხვა (ამ მიმართულებით აღსანიშნავია ტელეკომპანია „ობიექტივის“ კოლექტივის მიერ ჩატარებული ღონისძიებები ამერიკის კონგრესში, სადაც მათ წარედგინათ „სააკაშვილის ეპოქის“ ამსახველი ვიდეო მასალები. აქვე ხაზგასასმელია მათი დიდი ღვაწლი საპარლამენტო არჩევნებში ხალხის დიდი უმრავლესობის ნების გამარჯვების საქმეში, რაც გამოიხატება ციხის კადრების მოპოვებასა და საზღვარგარეთ გატანაში).

**საქართველოში მოსახლეობის 35% 1800 კკალ-ზე ნაკლებს იღებს, 50% კი ისეთი კატეგორიაა, რომელიც გაეროს მიერ განსაზღვრულ მინიმუმზე — 2100 კკალ-ზე ნაკლებს ითვისებს, თანაც საშუალო მომხმარებლის საკვები რაციონის 60%-ზე მეტი პურპროდუქტებზე მოდის**

**ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებამდე 6-თვე დარჩა. ჩვენი უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს, მივაღწიოთ იმას, რო მსოფლიო საზოგადოება და კერძოდ დასავლეთის ზემოთ მოყანილი პირები გამოვიყვანოთ სააკაშვილისა და მისი ჯგუფის მიერ შექმნილი ილუზიებიდან** (რაც მათი ავტორიტეტისთვისაც საჭიროა). **გავაგებინოთ მათ სიმართლე და ქვეყანაში დავიწყოთ სამართლიანობის დამკვიდრება,** (მართალმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია კი არ უნდა გავაუქმოთ, არამედ ინტენსიურად უნდა ავამუშაოთ), **სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას ყველა დამნაშავე პირის მიმართ, მათ შორის თვით ყოფილ პრეზიდენტზეც, ვისზეც კომპეტენტური ორგანიზაციებისა და ხალხის აზრით ძალიან ბევრი სამხილებია.**

ეს უნდა გაკეთდეს იმის მიუხედავად, ახლავე დაგვიჭერს თუ არა მხარს დასავლეთი და მათ შორის ევროკავშირიც (ასოციაციის პარაფირების მიუხედავად). წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხის იმედგაცრუების გამო მოსალოდნელია არამარტო ზემოაღნიშნული იმ 35 % მერყევი ამომრჩევლის, არამედ ასევე თვით ახალი ხელისუფლების აშკარა მომხრეების მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვაც მომავალ არჩევნებზე, რაც „ნაცმოძრაობის“ რეაბილიტაციამდე და სახელისუფლო ბერკეტების მათ ხელში ჩაგდებამდე მიგვიყვანს.

ხალხის უპირველესი მოთხოვნის: საქართველოში სამართლიანობის დამკვიდრების აღსრულება განაპირობებს ხელისუფლების ირგვლივ მოსახლეობის ენთუზიაზმით გაერთიანებას ქვეყნის აღმშენებლობის მიზნით (იმ უპრეცედენტო რეფორმების წარმატებით გატარებისათვის რომელიც დაიწყო ქვეყანაში სოფლის მეურნეობის, ჯამრთელობის დაცვის, განათლების, სოციალურ და სხვა სფეროებში), რაც დიდ როლს შეასრულებს გონივრულ, მოკლე პერიოდში ქვეყანაში ეკონომიკის განვითარების სათანადო დონის მიღწევაში. იმედი მაქვს, ახალი, თანაც ახალგაზრდებისგან შემდგარი ხელისუფლება გაითვალისწინებს საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მოთხოვნას, და მიიღებს სათანადო, ადეკვატურ გადაწყვეტილებას.

**შოთა ჩხეიძე,**
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
კვების მრეწველობისა და აგროტექნოლოგიის აკადემიების წევრი,
აკადემიკოსი,
საქართველოს ყოფილი წარმომადგენელი ნატოში,
ექსპერტი სასურსათო უსაფრთხოების საკითხებში

**ერთ სულ მოსახლეზე სასურსათო პროდუქციის წარმოების ინდექსით განხილულ 194 ქვეყანას შორის ყველაზე ბოლო ადგილზე აღმოვჩნდით**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციასა (WHO) და ქვეყნების დასახლების გაეროს ფონდთან (UNFPA) ერთად „იუნისეფი“ ხელს უწყობს ბავშვების სექსუალური განათლების, მშობლების ძალმომრეობისგან ბავშვების დაცვის პროგრამებს, აყალიბებს სოციალური სამსახურების ქსელს, რომლებიც მშობლებს ატერორებენ და ართმევენ ბავშვებს მოგონილი მიზეზებით.**

# პედოფილები უტევენ ევროპას

**2012 წლის შემოდგომაზე ლატვიაში დიდი სკანდალი მოხდა. ერთი წლის წინათ კეთილდღეობის სამინისტრომ ლატვიის საბავშვო ბაღების პროგრამებში შემოიღო ისეთი წიგნების სწავლება, როგორიცაა „დღე, როცა კარლოსი კარლინა იყო“ და „დღე, როცა რუტა რიხარდი იყო“. გამოქვეყნდა მეთოდური მასალებიც პედაგოგებისთვის: „საბავშვო ბაღები, რომლებშიც არიან პეპი პრინცები და პრინცესა მეკობრეები“.**
**მაშინ მშობელთა საზოგადოება სქესთა ამგვარი აღრევის წინააღმდეგ გამოვიდა.**
**გაიმარჯვეს მშობლებმა? ჯერჯერობით — არა.**

კეთილდღეობის მინისტრმა ილზე ვინკელემ ასეთი პროგრესული მიდგომის კრიტიკოსებს „ბნელეთის მოციქულები“ უწოდა.

ამ წერილის ავტორ მაქსიმ ვაჟენინს ეჭვიც არ ეპარება, რომ **ადგილობრივი ხელისუფლება უკან არ დაიხევს და კვლავ არაერთგზის მოინდომებს „ბიჭების გოგოებად გადაკეთებას, გოგოების კი — ბიჭებად“.**

რატომ?

**„იმიტომ, რომ ჩვენმა მთავრობამ ხმა მისცა ამ პროგრამას და ფორმალურად იგი ძალაში რჩება. მისი პრაქტიკულად დანერგვა აუცილებელი იქნება“.**

ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სქესობრივი აღზრდის პრობლემებს შეისწავლიდა და ნერგავდა პედაგოგიური მეცნიერება. მთავარი პრინციპი იყო „არავნო“, რადგან პრობლემა ფრიად დელიკატური და მგრძნობიარეა. მეთოდები, როგორც თავად პედაგოგიური მეცნიერება, იხვეწებოდა, მაგრამ მთავარი იდეები — ზნეობრიობა, ჯანმრთელობის დაცვა, ოჯახური ურთიერთობები — იყო და რჩებოდა საფუძველთა საფუძვლად. სასწავლო მასალებში პრევალირებდა საპირისპირო სქესისადმი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობა. სასკოლო განათლება აგებული იყო ზნეობრივ მაგალითებზე, მორალურ ნორმებზე, კოლექტივიზმისა და ამხანაგურ ურთიერთობებზე.

**ახალ დროებას აღზრდის ახალი სტანდარტები მოჰყვა, სწორედ — სტანდარტები, რომლებიც მიღებულ კონვენციებსა და შეთანხმებებზეა დაფუძნებული და რომლებითაც ზუსტად არის განსაზღვრული, რა სჭირდება ბავშვს და რა — არა. სქესობრივი აღზრდა სექსუალურ განათლებად იქცა.**

60-იანი წლების დასავლურ საზოგადოებაში ზნეობრივი აღზრდა სულ უფრო მოექცა ფიზიოლოგიურ-სქესობრივი გავლენის ქვეშ, უფრო ზუსტად, მეორე პირველს ჩაენაცვლა და, როცა ლატვია დასავლეთ ევროპაში გაერთიანდა, იგი არამხოლოდ ზრდასრულთა, არამედ ბავშვების სექსუალური თავისუფლების მორევმა ჩაითრია.

**სექსუალურად თავისუფალმა უფროსებმა ბავშვების სექსუალური აღზრდა ითავეს!**

სექსუალური აღზრდის ახალი სტანდარტები **ალფრედ კინსის** 50-იანი წლების გამოკვლევებს ეყრდნობა. **ცდების საშუალებით მან განსაზღვრა, რომ ნებისმიერი წლოვანების ბავშვები რეაგირებენ სექსუალურ გამღიზიანებლებზე და აღწევენ ორგაზმს. ვიმეორებ — „განსაზღვრა ცდების მეშვეობით“, „ნებისმიერი ასაკის ბავშვები“.** ამან „უფლება მისცა“ ეწოდებინა ბავშვისთვის სექსუალური მისი ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე. **კინსის მიაჩნდა, რომ პედოფილებს ვერ უგებენ და მათი დასჯა უსამართლობაა, ყველა ბავშვს აქვს ეროტიკული პოტენციალი, რომელიც ადრეული სექსუალიზაციის დროს თავს იჩენს — ბავშვს უნდა მიეცეს საშუალება, შეიცნოს თავი თვისი, სექსუალურად თავისუფალი გახდეს, რაც უფრო ადრე, მით უკეთესი.**

**კინსის ანტიმეცნიერული დასკვნები სპეციალისტებს არაერთხელ მკაცრად გაუკრიტიკებიათ, მაგრამ სწორედ ეს დასკვნები(!) დაედო საფუძვლად ევროპული და ამერიკული სკოლების სექსუალური განათლების სტანდარტებს.** სექსუალიზაციის პროგრამები ინერგება კინსის მიმდევართა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. სექსუალური ინფორმაციისა და განათლების ამერიკის საბჭომ (Siecus) შექმნა სექსპროგრამები უშუალოდ „იუნისეფისთვის“, რომელიც გაეროსთან არსებული ბავშვთა ფონდია (Uniceff).

უფროსი თაობისთვის ცნობილი „იუნისეფი“, კარგა ხანია, აღარ არის ბავშვთა უფლებებისთვის მებრძოლი ორგანიზაცია. იგი გადაიქცა მოსახლეობის შობადობასა და დეპოპულაციაზე კონტროლის ბურჯად. **მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციასა (WHO) და ქვეყნების დასახლების გაეროს ფონდთან (UNFPA) ერთად „იუნისეფი“ ხელს უწყობს ბავშვების სექსუალური განათლების, მშობლების ძალმომრეობისგან ბავშვების დაცვის პროგრამებს, აყალიბებს სოციალური სამსახურების ქსელს, რომლებიც მშობლებს ატერორებენ და ართმევენ ბავშვებს მოგონილი მიზეზებით.**

„იუნისეფს“ აკონტროლებს და აფინანსებს მილიარდერების კერძო ფონდები, რომლეიც შეშფოთებულნი არიან მსოფლიო მოსახლეობის ზრდით. **უფლებადამცველები და კათოლიკური ეკლესია, დიდი ხანია, ბრალს დებენ „იუნისეფს“, რომ იგი ვაქცინაციის საფარქვეშ აწარმოებს მოსახლეობის სტერილიზაციას ლათინური ამერიკის ქვეყნებში, ტაილანდში, ფილიპინებზე.**



**შვეიცარიის საბავშვო ბაღებში პატარები პლუშისგან დამზადებული სასქესო ორგანოების იმიტირებული სათამაშოებით ერთობიან. ავსტრიის საბავშვო ბაღებშიც იგივე იდეოლოგიაა დამკვიდრებული**

ლატვიაში სექსუალური განათლება დაფუძნებულია სკანდინავიის სპეციალისტების მიერ შედგენილ პროგრამებზე, ზემოთ ნახსენები წიგნები ბავშვებისთვის კარლსა და კარლინაზე მათი საბავშვო პროგრამების პროდუქტია. ხოლო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ მშობლებისთვის ბავშვთა ჩამორთმევის უფლება, არალეგიტიმურია და სამართლის სისტემის მიღმა დგას. რის საფუძველზე და რა მიზეზებით ხდება ამ უფლების რეალიზაცია კონკრეტულ შემთხვევებში, გაურკვეველია. როდის მოხდება ოპერატიული ჩარევა ამ უკანონობის აღსაკვეთად, უცნობია. სამაგიეროდ (და დიდად სამწუხაროდ) **ბავშვების ნებაყოფლობითი სექსუალური გამოყენება არ აღიკვეთება. მათ სრულიად თავისუფლად შეუძლიათ ერთმანეთთან დაამყარონ სექსუალური ხასიათის ურთიერთობა. მათი გამოყენება მათივე თანხმობით შეუძლიათ უფროსებსაც, მაგალითად, თეატრებში, სექსუალური ხასიათის სცენებში.**

ბავშვებს აქვთ უფლება შეინახონ და გამოიყენონ პორნოგრაფია „თანხმობის“ ასაკიდან, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა და ასეთი ზემოქმედების შედეგად უფრო და უფრო „ახალგაზრდავდება“. **სექსზე თანხმობის წლოვანება ესპანეთში 13 წელია; გერმანიაში, ავსტრიაში, ბულგარეთში, იტალიაში, პორტუგალიაში, სერბეთში, მაკედონიაში, ხორვატიაში, ჩერნოგორიაში, ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში, ალბანეთში, უნგრეთში, ესტონეთში — 14 წელიწადი; დანარჩენ ევროპაში — 15-16 წელიწადი.** ალფრედ კინსის მიმდევართა აზრით, ამ ზღვარის შემცირება კიდევ უფრო შეიძლება, ზოგიერთი კი საერთოდ მოშლას მოითხოვს.

„სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის ევროსაბჭოს კონვენციის“ ზოგიერთი მუხლის არსი დაყვანილია იქამდე, რომ გაუქმდეს საინფორმაციო საშუალებებით პორნოსა და სექსის შემცველ მასალებზე ყოველგვარი აკრძალვა. **ბავშვის თანხმობის შემთხვევაში, მისი სექსუალური გამოყენების შესაძლებლობა თითქმის განუსაზღვრელია.** კონვენციაში მშობლების უფლება, ფაქტობრივად, არავის აინტერესებს და სექსუალური აკრძალვების კონტექსტში ისინი ნახსენებიც არ არიან.

წერილის ავტორი, ლატვიელი მაქსიმ ვაჟენინი თანამოქალაქეებს აფრთხილებს, რომ მათი ქვეყნის კანონმდებლები თანდათან კონვენციის დებულებებს მიუსადაგებენ ქვეყნის კანონმდებლობას, რაც ფრიად საშიშია და აი, რატომ.

(დავუგდოთ ყური, დავუკვირდეთ, გავითვალისწინოთ ჩვენც — ქართველებმაც, რადგან ყველაფრიდან ჩანს, რომ ეს პროცესი ჩვენს პარლამენტშიც დაიწყება, დღეს არა, ხვალ).

**ჩვენ გვამშვიდებენ,** — წერს მაქსიმ ვაჟენინი, — **რომ სექსუალური განათლება იგივეა, რაც სექსუალური აღზრდა. სიყალბეა! რადგან ზნეობრივ აღზრდაზე აქ ლაპარაკიც არ არის, სამაგიეროდ, ბავშვების უზნეო სექსუალიზაციაზე — რამდენიც გნებავთ, იმდენია.**

**ცოტა ხნის წინათ „სქესი“ აღინიშნებოდა სინონიმებით „გენდერი“ და „სექსი“. კინსის პედოფილური ცდები დაეხმარა მის მომხრეებს, გაეყოთ „სქესი“ „ბიოლოგიურ“ (გენდერი) და შენაძენ „სოციალურ“ შემადგენლებად.**

**სექსზე თანხმობის წლოვანება ესპანეთში 13 წელია; გერმანიაში, ავსტრიაში, ბულგარეთში, იტალიაში, პორტუგალიაში, სერბეთში, მაკედონიაში, ხორვატიაში, ჩერნოგორიაში, ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში, ალბანეთში, უნგრეთში, ესტონეთში — 14 წელიწადი; დანარჩენ ევროპაში — 15-16 წელიწადი...**

**ეს გაკეთდა საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებისთვის, იმ მიზნით, რომ ადამიანებისთვის თავს მოეხვიათ ნაყალბევი შეხედულება, თითქოს სოციალური სქესობრივი კუთვნილების განსაზღვრა სუბიექტის სურვილით არის შესაძლებელი. ამან საშუალება მისცათ სოციალურ სქესად, ანუ ნორმად ეღიარებინათ ჰომოსექსუალიზმი, ბისექსუალიზმი, ტრანსვესტიტები. ამერიკელი ფსიქიატრების ასოციაცია კი უფრო შორს წავიდა და გვთავაზობს ტოლერანტობას პედოფილიისადმი, რადგან იგი ნორმალური სექსუალური ორიენტაციაა.**

საქართველოს სინამდვილეში არსებული და კარგად დაფინანსებული ერთი-ორი არასამთავრობო ორგანიზაცია ჩვენი საზოგადოების მიერ ამ გახრწნილობის მიუღებლობას ჰომოფობიად აცხადებს.

რუსეთის სახელმწიფო სათათბირო კი იღებს კანონს პედერასტიის პროპაგანდის წინააღმდეგ ბავშვებში.

ავირჩიოთ, ვის მხარეს უნდა დავდგეთ.

**სხვადასხვა კერძო ფონდის მიერ ანგაჟირებული „ექსპერტები“ იმავე ლატვიაში მხარს უჭერენ ბავშვების ასაკის შემცირებას სექსუალური კავშირის დამყარებისთვის. „კისნის მოძღვრების“ მიმდევრების აზრით, ბავშვებს აქვთ უფლება, მიიღონ სიამოვნება და ჰქონდეთ სექსუალური თავისუფლება.** ამას კი საბავშვო ბაღსა და სკოლაში ასწავლიან სახელმძღვანელოებით, რომლებიც დასურათებულია პორნოგრაფიით, ხოლო სქესობრივი როლების შეცვლა ჩვეულებრივ სოციალურ ნორმადაა მიწოდებული. ამათ ენაზე ეს არის „გენდერული მეინსტრიმი“. თუმცა, რაც გინდა ერქვას, საზოგადოებაში შეგდებული ბომბია, რომელიც უკვე აფეთქებულია **დიდ ბრიტანეთში:** აქაური სკოლების მოსწავლე ბიჭების ერთი ნაწილი თავს გეიდ მიიჩნევს, გოგონების ნაწილი — ლესბოსელად. და ორივენი სასკოლო მეცადინეობებზე განიხილავენ პირობით პორნოვიდეორგოლებს, ითვისებენ წინადაცვეთილი სასქესო ორგანოების წინადაუცვეთელისგან გარჩევის ჩვევებს. **სკოლებში თავი იჩინა ადრეული ორსულობისა და აბორტების პრობლემამ. ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზაციის შემდეგ ასეთ „ოჯახებს“ ნება მიეცათ, აღზარდონ ნაშვილები ბავშვები თავიანთი სულისკვეთებით.** ბრიტანული გამოცემა „სამედიცინო ეთიკის ჟურნალი“ იშველიებს არგუმენტებს ისეთი არაადამიანური დანაშაულის გასამართლებლად, როგორიცაა მშობლების მიერ საკუთარი, ორ წლამდე ასაკის ბავშვების მოშთობა. **ამტკიცებენ, რომ „ორ წლამდე პიროვნება ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია და მისი მოკვლა**

**ხორვატიამ ევროკავშირში შესვლამდე დადებული პირობის საწინააღმდეგოდ უარი თქვა, სრულად დაეკმაყოფილებინა ვალდებულებანი ექსტრადიციის გადაცემაზე სხვა წევრი სახელმწიფოსთვის ე. წ. „დაპატიმრების ევროპული ორდერის“ საფუძველზე.**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სისხლის სამართლის დანაშაული კი არ არის“, არამედ „მშობიარობის შემდეგი აბორტია“(!).**

საზოგადოება აღშფოთდა ინფორმაციით იმის შესახებ, რომ ორმა ლესბოსელმა „მშობელმა“ ჰორმონების მეშვეობით შვილობილი ბიჭის გოგოდ „გადაკეთება“ სცადეს. აღშფოთდნენ ცოტა ხნით, სახელმწიფოს კი ყურიც არ შეუბერტყია. ეს ფაქტი აშშ-ში მოხდა.

**გერმანიაში** უფროსებს არწმუნებენ, რომ მათ შვილებს აქვთ სექსუალობა, ახლადშობილებსაც კი(!). **დაბალ კლასებში მოსწავლეებს უყვებიან მასტურბაციის, ორგაზმის, ჰომოურთიერთობის შესანიშნავი გრძნობის შესახებ. ბავშვები ირჩევენ(!) თავიანთ სექსუალურ ორიენტაციას, ხოლო ვინც აქამდე ვერ გაარკვია, „რომელ მხარეს ეკუთვნის“, ჩაეწერება „გაურკვეველში“: სწორედ ეს მესამე სქესი 1 ნოემბრიდან მისცემს საშუალებას, 18 წლის ასაკამდე გაარკვიონ საკუთარი სქესი სურვილისამებრ.**

გერმანიაში ისეთი კანონები მოქმედებს, რომლებიც ნებას არ რთავს, სკოლაში შემოღებული რომელიმე საგნის სწავლებაზე ბავშვმა უარი თქვას. ეს კანონი „სექსუალური განათლების“ კურსზეც ვრცელდება. გააცდენს ბავშვი ამ საგნის გაკვეთილს, ჯერ ჯარიმას გამოუწერენ, შემდეგ კი, გამორიცხული არ არის, გისოსებს მიღმა აღმოჩნდეს.

ბავშვის დაბადების პროცესის დეტალურად აღწერა, გოგონებს შოკში აგდებს, რაც მათ ფსიქიკაზე უარყოფითად ზემოქმედებს ქვეცნობიერად და ჰეტეროსექსუალიზმისკენ უბიძგებს.

**ბელგიის** სასკოლო რეგლამენტებში მითითებულია ადგილები, სადაც არ შეიძლება სექსუალური ურთიერთობის დამყარება. **ჟანდაცვის ბელგიური სისტემა კი უკვე გამოსცდის ბავშვთა ევთანაზიის(!) პროცედურებს, რადგან „ბავშვებს უკეთ ესმით ევთანაზიის მნიშვნელობა, ვიდრე უფროსებს“(!).** მშობლებისგან ბავშვების დამოუკიდებლობა უსაზღვრო ხდება — ყველაფერს ვიღაც ისეთი „სპეციალისტები“ წყვეტენ, რომლებიც ბავშვებით მანიპულირებენ.

**საფრანგეთში კორსიკა** აირჩიეს „აბგდე თანასწორობის“ პროგრამის განსახორციელებელ საპილოტო რეგიონად. პროგრამა ბიჭებისა და გოგონების დისკრიმინაციული სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლისთვისაა გათვალისწინებული. მას შემოიღებენ საბავშვო ბაღების უფროს ჯგუფებში და სკოლის დაწყებით კლასებში. ეს საგანი საფრანგეთის სკოლებში 2014 წლიდან დაინერგება.

საფრანგეთის განათლების მინისტრმა განაცხადა, რომ **„მორალისა და სახელმწიფოს მიზანია, გამოჰგლიჯოს მოსწავლე ყველა გარკვეულობას“(?!),** იუსტიციის მინისტრი ამბობს, რომ **აუცილებელია, ბავშვები „მოვწყვიტოთ სოციალურ და რელიგიურ დეტერმინიზმებს და თავისუფალ მოქალაქეებად აღვზარდოთ!“** გასაგებია, თუ რომელი წყარო კვებავს ლიტველ ინოვატორებს.

**შვეიცარიის საბავშვო ბაღებში პატარები პლუშისგან დამზადებული სასქესო ორგანოების იმიტირებული სათამაშოებით ერთობიან. ავსტრიის საბავშვო ბაღებშიც იგივე იდეოლოგიაა დამკვიდრებული.**

სკანდინავიის დაწყებით კლასელებს პრეზერვატივების ხმარებას ასწავლიან.

ამ ფონზე, ის დროა, ერთი ქართული ანეკდოტი გავიხსენოთ:

შედის კახელი აფთიაქში და ითხოვს:

— წითელი პრეზერვატივი მომეცით.

— წითელი არ გვაქვს, შეგვიძლია შავი შემოგთავაზოთ.

— არა.

— რატომ?

— შავი ახთუნებს!

ჩამოვრჩით ევროპელებს და ევროკავშირის ასოცირებული წევრობა თუ გვიშველის, სხვა ვერაფერი.

**ნიდერლანდების** სამეფოში პედოფილიის იდეის მოწონებისთვის განაწყობს საზოგადოებრივ აზრს „მარტეინის საზოგადოება“. არაერთგზის შეეცადნენ ამ საზოგადოების აკრძალვას, მაგრამ 2013 წელს სასამართლომ დაადასტურა მისი არსებობის უფლება. ეს კი ნიშნავს, რომ პედოფილია აკრძალული არ არის.

**ჩეხეთში** უარესია. აქაური პედოფილური საზოგადოება „ჩეპეკი“ ისე „წარმატებულად“ საქმიანობს, რომ ამ ქვეყანას უკვე აღიქვამენ, როგორც **ევროპის ერთ-ერთ პედოფილურ ბორდელს.**

**ცალკეული ევროპელი წვრილ-წვრილი პოლიტიკოსები პედოფილიის ლეგალიზაციასთან ერთად ნარკოტიკების ლეგალიზაციასაც მოითხოვენ. პრაქტიკულად ყველა მათგანი ლგბტ-ია, ანუ, რაც არის, იცით.**

რიგი ქვეყნების ტრადიციული ქრისტიანული კონსერვატული კონფესიები არ ეწინააღმდეგებიან ჰომოქორწინებების დაკანონებას, ხმას არ იღებენ, როცა ბავშვების ზნეობრივი აღზრდის პრობლემები დგება დღის წესრიგში. სავარაუდოა, რომ აქ მათი დაინტერესებაც არის. **როცა რელიგიური ინსტიტუტები უბრძოლველად თმობენ ქრისტიანულ ღირებულებებს, ზნეობრივ პოზიციებს, უკანასკნელ დამცველებად მშობლებიღა რჩებიან. ოჯახი იძულებულია, გაუწიოს წინააღმდეგობა უზნეობის მასშტაბურ შემოტევას. ასიათასობით მანიფესტანტი გამოვიდა საფრანგეთში.** პირველი „პოლიტიკური ბრძოლა“ მათ წააგეს, მაგრამ ბრძოლის ჟინი არ განელებიათ.

2013 წლის მაისში **ხორვატიის** საკონსტიტუციო სასამართლომ აკრძალა „სექსგანათლება“ სკოლებში. მშობელთა საზოგადოების პროტესტმა, რომელსაც მხარი დაუჭირეს მართლმადიდებელმა და კათოლიკურმა ეკლესიებმა, შედეგი გამოიღო — მშობლებს დაუდასტურეს შვილების აღზრდის უფლება.

იმედი ვიქონიოთ, რომ არც ჩვენი საზოგადოებრივი შეგნება აღმოჩნდება დამბლადაცემული.

**უცხოეთის პუბლიკაციების მიხედვით მოამზადა**
**არმაზ სანებლიძემ**

# ევროსათაგური ხორვატიისთვის

**ამ დღეებში ზორან მილანოვიჩმა გაბედულად და კადნიერად განუცხადა ბრიუსელს: „არავის მივცემ უფლებას, ჩვენზე ფეხები გაიწმინდოს!..“ ვინ არის ეს მილანოვიჩი? — კითხულობენ ახლა ევროპის დედაქალაქებში. უპასუხებენ: — ხორვატიის პრემიერმინისტრი.**
**სამი თვეც არ გასულა, რაც ხორვატია ევროკავშირში შევიდა და იმთავითვე თავნება ხასიათი გამოავლინა, თანაც ისე და იმგვარად, რომ სერიოზულად ალაპარაკდნენ ამ პატარა, მაგრამ თავმოყვარე ბალკანეთის რესპუბლიკის მიმართ სანქციების შემოღებაზე.**



ზორან მილანოვიჩი

**ევროკომისიამ შეიძლება ხორვატიას არ მისცეს 80 მილიონი ევრო, რომელიც გამოყოფილი იყო შენგენის ზონასთან მიერთების უზრუნველსაყოფად. საეჭვო გახდება შენგენთან ხორვატიის მიერთებაც კი**

კონფლიქტის მიზეზი გახდა Lax PerKovic. 2013 წლის 18 სექტემბერს ევროკომისიამ მის გამო დაიწყო პროცესი, რომელიც შეიძლება დამთავრდეს სანქციების დაწესებით ევროკავშირის 28-ე წევრის წინააღმდეგ.

**ხორვატიამ ევროკავშირში შესვლამდე დადებული პირობის საწინააღმდეგოდ უარი თქვა, სრულად დაეკმაყოფილებინა ვალდებულებანი ექსტრადიციის გადაცემაზე სხვა წევრი სახელმწიფოსთვის ე. წ. „დაპატიმრების ევროპული ორდერის“ საფუძველზე.**

ასეთი ორდერი ხორვატიის მოქალაქის — იოსიპ პერკოვიჩის დაპატიმრების შესახებ ჯერ კიდევ 2009 წელს გამოწერეს გერმანიაში. გერმანელები ელოდნენ ხორვატიის ევროკავშირში შესვლას, რათა ამოქმედებულიყო ევროპული ორდერის ნორმა და პეტროვიჩი გერმანიის ხელისუფლებისთვის გადაეცათ.

ხორვატებმა თავიდან კი ივალდებულეს, მაგრამ შემდეგ იეშმაკეს. ევროკავშირში შესვლამდე სამი დღით ადრე, ზაგრებში ცალმხრივად შეცვალეს თამაშის წესები — სავარაუდო დამნაშავეთა გადაცემის ვადა 2002 წლის აგვისტოთი განსაზღვრეს. ახალი კანონით, პერკოვიჩი, რომელმაც დანაშაული გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 1983 წელს ვითომდაც ჩაიდინა, გერმანიას არ გადაეცემა. ეს ნიშნავს, რომ **ხორვატები უცხოეთის სამართალში არ იქნებიან მიცემულნი, მიუხედავად იმისა, ჰქონდათ თუ არა ჩადენილი დანაშაული 1991-1995 წლების იუგოსლავიის სისხლისმღვრელი ომების დროს.** კონკრეტული შემთხვევა ამჯერად იოსიპ პერკოვიჩს ეხება.

2013 წლის 29 ივლისს იუგოსლავიის საკითხებში ევროკომისარმა **ვივიენ რედინგმა** შეკითხვა გაუგზავნა ხორვატიას აღნიშნულ კანონთან დაკავშირებით. ერთი თვის შემდეგ ბრიუსელში განაცხადეს, რომ ზაგრებმა არც ინება პასუხის გაცემა ევროკომისიის ოფიციალურ შეკითხვაზე. აგვისტოს ბოლოს რედინგი ალაპარაკდა ხორვატიის წინააღმდეგ პროცესის შესაძლო დაწყებისა და საჯარიმო სანქციების დაწესების თაობაზე. **2013 წლის 17 სექტემბერს ვივიენ რედინგმა ბრიუსელში განაცხადა, რომ პროცესმა ხორვატიის წინააღმდეგ სტარტი აიღო. გაირკვა, რომ პროცედურა ჯერ კიდევ 13 სექტემბერს ყოფილა დაწყებული, რომელიც შეიძლება დასრულებულიყო ევროკავშირის ფონდებიდან ხორვატიისთვის სუბსიდიების გაცემაზე უარის თქმით.**

ხორვატიის პრემიერ-მინისტრმა მილანოვიჩმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა შესწორებებს შეიტანს დაპატიმრებაზე ევროპულ ორდერში, ისე, როგორც ევროკომისარი ვივიენ რედინგი მოითხოვს, მაგრამ ამას მხოლოდ მომავალი წლის ივლისში გააკეთებს. რედინგმა გააფრთხილა, რომ ეს არასაკმარისია. ევროკომისარმა მოითხოვა ამის დაუყოვნებლივ რამდენიმე დღეში განხორციელება, მან ხორვატიის მთავრობა ნდობის ბოროტად გამოყენებაში დაადანაშაულა.

ახლა ევროკავშირის ქვეყნებმა 10 სამუშაო დღის განმავლობაში თავიანთი აზრი უნდა გამოთქვან აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, და ეს უნდა მოხდეს მანამდე, სანამ ბრიუსელი ხორვატიას სანქციებს დაუწესებს. ასეთი სანქციები უიშვიათესი მოვლენაა და ყველა წევრი სახელმწიფოს თანხმობას საჭიროებს.

რედინგს ეჭვი არ ეპარება, რომ ამ შემთხვევაში სანქციები ხორვატიის წინააღმდეგ მიღებული იქნება.

**დასაწყისისთვის ევროკომისიამ შეიძლება ხორვატიას არ მისცეს 80 მილიონი ევრო, რომელიც გამოყოფილი იყო შენგენის ზონასთან მიერთების უზრუნველსაყოფად. საეჭვო გახდება შენგენთან ხორვატიის მიერთებაც კი.**

ყველაფერი ფორმალურად კანონიერ საფუძველზე კეთდება, რაც უფლებას აძლევს ევროკომისიას, „განახორციელოს შესაბამისი ზომები“ იმ შემთხვევაში, თუ თავს იჩენს „სერიოზული ნაკლოვანებანი“ ხორვატიის კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

ამჟამად ხორვატია სრულიად არაადეკვატურად იქცევა იმასთან დაკავშირებით, რაც ხდება, რასაც ხსნიან პროვინციული შურისძიების მოტივით. რედინგი ხორვატიას თავს ესხმის თავისი პარტიული სიმპათიების გამო. ხორვატიის სათავეში დგანან მემარცხენე ცენტრისტები, რედინგი კი მემარჯვენე ცენტრისტების ბანაკშია.

ამრიგად, **ევროკავშირის შიგნით ახალი კონფლიქტის ცენტრში დგას იოსიპ პერკოვიჩი — კომუნისტური იუგოსლავიის უშიშროების თანამშრომელი, რომელსაც ბრალს სდებენ იუგოსლავი ემიგრანტის — სტეპან დიურეკოვიჩის მკვლელობაში გერმანიის ტერიტორიაზე, ბავარიაში.**

**ხორვატი დიურეკოვიჩი ანტიკომუნისტურ და ანტიიუგოსლავურ პროპაგანდას ეწეოდა.**

როგორც ყველა სისხლის სამართლის საქმე, აქაც უამრავი სპეციფიკური დეტალია, რომელთა გარკვევა და მტყუან-მართლის დადგენა ამ პუბლიკაციის მიზანი არ არის. ამ შემთხვევაში სხვა რამეა მთავარი და საყურადღებო.

**პერკოვიჩის საქმემ ბზარი გააჩინა გერმანიისა და ხორვატიის მეგობრულ ურთიერთობაში. გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი დემონსტრაციულად არ დაესწრო საზეიმო ღონისძიებებს, რომლებიც ზაგრებში გაიმართა და ხორვატიის ევროკავშირში გაერთიანებას მიეძღვნა. ეს მით უფრო თვალშისაცემი იყო, რომ სწორედ გერმანია სპონსორობდა ხორვატიის დამოუკიდებლობას 1991 წელს. მიზეზს გერმანიისთვის პეტკოვიჩის გადაუცემლობაში ხედავენ.**

ეს ერთი.

მეორე, **არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი არის ევროპული ნორმების დაპირისპირება ბალკანურ ნაციონალიზმთან ან, უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, ამ ქვეყნის ეროვნული თვითმყოფადობის პრინციპები ვერ შეეთავსა ევროპული ნიველირების პრინციპებს.**

სხვას ვერ გადააბრალებენ: ხორვატია საითაც გაიქცა, იქით წაიქცა.

ევროკავშირის ახალმა წევრებმა თვალები მოიფშვნიტეს და აშკარად დაინახეს ეს შეუთავსებლობა: ევროსკეპტიკოსი სახელმწიფოები არ მიესალმებიან ნორმას, რომელზეც ვისაუბრეთ. სხვებს თავი რომ დავანებოთ, დიდი ბრიტანეთის უარყოფითი დამოკიდებულების უგულებელყოფა წარმოუდგენელია.

**მორალი: ყველაფერი ოქრო არ არის, რასაც ევროკავშირის ბეჭედი აქვს დარტყმული.**

**საინფორმაციო სააგენტო REGNUM-ის ევროპული რედაქცია**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ მოფენილია ბაზებით, რომლებიც სინამდვილეში არავის სჭირდება... მრავალი იარაღის სისტემა, რომელთაგან ბევრი უსაშველოდ ძვირადღირებულია, მწყობრში რჩება არა იმიტომ, რომ ეს სამხედრო პირებს სურთ და სჭირდებათ, არამედ იმიტომ, რომ რომელიღაც გავლენიანი კონგრესმენი, რომლის ოლქშიც აწყობენ, ვთქვათ, რაღაც ტიპის რაკეტებს, ტანკებს, წყალქვეშა ნავებს ან რაიმე მსგავსს, ირწმუნება, რომ ეს საჭიროა.**

# პენტაგონს სამხედრო გამოცდილების მქონე ბიზნესმენი დასჭირდა



**ჩაკ ჰეიგელს დავალებული აქვს იმის გაკეთება, რაც ვერ მოახერხეს მისმა წინამორბედებმა — უზრუნველყოს სამხედრო ბიუჯეტის ხარჯვის ეფექტურობა. ეს ადამიანი ობამას ადმინისტრაციაში ერთ-ერთი საკვანძო ფიგურაა, მას უკავშირდება ამერიკულ-ირანული განმუხტვა და აშშ-ის სამხედრო-სტრატეგიული რესურსების ორიენტირება აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ჩინეთის შეკავების მიზნით, რადგან ეს უკანასკნელი ბოლო პერიოდში ცდილობს, თავისი ეკონომიკური ძლევამოსილების კონვერტირება მოახდინოს გლობალურ გეოპოლიტიკურ გავლენაში.**

პენტაგონის მეთაურის თანამდებობაზე დანიშვნის პირველი ცხრა თვის განმავლობაში ჩარლზ ტიმოთი ჰეიგელი შეეჯახა მთელ რიგ კრიზისულ სიტუაციებს და ამ სიტუაციებიდან შედარებით ღირსეულად დააღწია თავი. მაგრამ ეს ლოკალური წარმატებები არ აუქმებს მის მთავარ ამოცანებს — შეინარჩუნოს აშშ-ის სამხედრო უპირატესობა მის მიერ გლობალური ლიდერობის დაკარგვის პირობებში და განახორციელოს თავდაცვის ბიუჯეტის ოპტიმიზაცია.

ქამრების შემოჭერა და გეოსტრატეგიული ინტერესების ცალკეულ ზონებზე კონცენტრირება გარდაუვალი გახდა არამხოლოდ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის და ჩინეთისა თუ სხვა ქვეყნების მზარდი გავლენის გამო. საუბარია ამერიკული სამხედრო მანქანის, როგორც ასეთის, სისტემურ პრობლემებზეც. გაუმკლავდება კი ამ პრობლემებს ჩაკ ჰეიგელი?

**პენტაგონთან დაკავშირებით რაღაც აშკარად არ არის წესრიგში. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია, თვალი გადავავლოთ უწყების საბრძოლო მზადყოფნის ვარდნის დინამიკას 1945 წლიდან ამ დრომდე.**

**მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან ორ-ნახევარი ათწლედის მანძილზე აშშ „ორნახევარი“ ომისთვის ემზადებოდა. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს მზადყოფნას ევროპაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დიდი ომისთვის, კიდევ ერთი დიდი ომისთვის მზადყოფნას იმავე საბჭოთა კავშირთან მხოლოდ ამჯერად, ვთქვათ, წყნარ ოკეანეზე და კიდევ ერთი მომცრო ომისთვის მზადყოფნას რომელიმე პატარა ქვეყნის წინააღმდეგ სადღაც ღვთისგან დავიწყებულ ადგილას.**

პრეზიდენტმა ნიქსონმა 1969-1974 წლებში საბრძოლო მზადყოფნა „ერთ-ნახევარ“ ომამდე შეამცირა. პრეზიდენტმა კლინტონმა 2000 წელს ცივი ომის დასრულების შემდეგ მოახერხა და ეს რიცხვი „ორ-ნახევარ“ ომამდე დაიყვანა, რაც გულისხმობდა, ვთქვათ, ერთ ნახევრად ომს სპარსეთის ყურეში და კიდევ ერთს კორეაში.

ოფიციალურად ამ დრომდეც ასეა. მაგრამ **ირანსა და ავღანეთში, მოვლენებიდან გამომდინარე და სირიის ბოლოდროინდელი „არა-მოვლენიდან“ გამომდინარეც, ახლა აშშ-ს ერთი „ნახევარომის“ წარმოების თავიც არ გააჩნია. აღარავინ საუბრობს ამგვარი ომის წარმატებულ დასასრულზე.**

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ **1945 წლიდან ომების რაოდენობა შემცირდა. მეორე მსოფლიო ომის მსგავსი, რომელმაც პლანეტის მოსახლეობის დაახლოებით 2% შეიწირა, არ განმეორებულა. ამის ყველაზე მნიშვნელოვანი** (და შესაძლოა მთავარი) **მიზეზი ბირთვული იარაღის გავრცელებაა.** თუ არ გავითვალისწინებთ მის წინააღმდეგ ნახევრადმითიური დაცვის აშენების უგუნურ მცდელობებს, მან ომი პოლიტიკის იარაღიდან ნაციონალურ თვითმკვლელობად გარდაქმნა. ამ თვალსაზრისით, **ომების შემცირება მხოლოდ ამერიკული მოვლენა არ არის, ის მთელი მსოფლიოსთვის დამახასიათებელ და, ცხადია, ძალზე სასურველ ტენდენციას ასახავს.**

და მაინც, პრობლემის უდიდესი ნაწილი ფინანსურ სფეროშია. თუ არ ჩავთვლით კლინტონის დროინდელ ორ წელიწადს, აშშ-ის ბიუჯეტი, უკვე ოთხ ათწლეულზე მეტია, წითელ ზონაშია. სახელმწიფო ვალი დაახლოებით საერთო შიდა პროდუქტის მოცულობის ტოლია და ყოველდღიურად იზრდება, რაც ქვეყანას გაკოტრებით ემუქრება. ზოგიერთი სხვა ქვეყნისგან განსხვავებით, აშშ ნამდვილი დემოკრატიული ქვეყანაა. დემოკრატიის პირობებში კი იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც მოგებას იღებენ ნებისმიერი სახის სოციალური პროგრამებიდან, ყოველთვის აჭარბებს იმ ადამიანების რაოდენობას, რომლებიც გულწრფელად დაინტერესებული არიან თავდაცვითა და სტრატეგიული უსაფრთხოებით. მით უფრო, თუ ამ უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მთელი მცდელობა დაკავშირებულია რომელიღაც პატარა შორეულ ქვეყანასთან, რომლის შესახებაც ამერიკელთა უმეტესობას არც კი სმენია. შემდგომი ლოგიკა მარტივია: როდესაც არ გყოფნის ფული, შეამცირე თავდაცვა.



**დღეს სწორედ ფინანსური მენეჯმენტის ეფექტურობაზეა დამოკიდებული, შეინარჩუნებს თუ არა აშშ პლანეტაზე უდიდესი სამხედრო ძალის პოზიციას**

მიუხედავად ამისა, ძნელია იმ ფაქტის იგნორირება, რომ **აშშ თავდაცვაზე იმდენივე ფულს ხარჯავს, რამდენსაც თავდაცვის ხარჯების რეიტინგში მის შემდეგ მდგომი მსოფლიოს 14 სხვა ქვეყანა ერთად და ვერ იღებს სასურველ უკუგებას თითეულ დოლარზე გათვლით. ამის ერთ-ერთი მიზეზი გეოგრაფიაა. აშშ მსოფლიო კუნძულია. უკვე საუკუნე-ნახევარზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ომი აშშ-ის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ან მის ტერიტორიაზე შეჭრას ვინმე ცდილობდა. ეს კუნძული, უკვე დიდი ხანია, ფლობს მსოფლიოში უდიდეს სამხედრო, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალას.**

**არც ერთ სხვა ქვეყანას არ გააჩნია ამ რაოდენობის ინტერესები პლანეტის ესოდენ განსხვავებულ რეგიონებში. და რაც უფრო შორს გზავნის ამერიკა საკუთარი ტერიტორიიდან თავისსავე სამხედრო ძალებს, რათა დაიცვას ან გააფართოვოს საკუთარი ინტერესები, მით უფრო ძვირი უჯდება ეს.**

მაგრამ არსებობს სხვა პრობლემებიც, რომლებიც სამხედრო ბიუჯეტის გაბერვას განაპირობებს. აშშ-ის კონსტიტუცია სენატს და წარმომადგენლობით პალატას ავალებს, დაიცვან, პირველ რიგში, ადგილობრივი ინტერესები. და ეს კიდევ ერთხელ განაპირობებს იმას, რომ საერთონაციონალური ინტერესები მეორე პლანზე გადადის. როგორც სენატორებმა, ასევე წარმომადგენლობითმა პალატამ, პირველ რიგში, საკუთარი ამომრჩევლები უნდა მოთაფლონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ხელახლა აღარ აირჩევენ. შედეგად, **აშშ მოფენილია ბაზებით, რომლებიც სინამდვილეში არავის სჭირდება, მაგრამ რომელთა დახურვაც შეუძლებელია სავსებით ლეგიტიმური პოლიტიკური ზეწოლის გამო. მრავალი იარაღის სისტემა, რომელთაგან ბევრი უსაშველოდ ძვირადღირებულია, მწყობრში რჩება არა იმიტომ, რომ ეს სამხედრო პირებს სურთ და სჭირდებათ, არამედ იმიტომ, რომ რომელიღაც გავლენიანი კონგრესმენი, რომლის ოლქშიც აწყობენ, ვთქვათ, რაღაც ტიპის რაკეტებს, ტანკებს, წყალქვეშა ნავებს ან რაიმე მსგავსს, ირწმუნება, რომ ეს საჭიროა.**

არც თავად შეიარაღებული ძალები არიან უცოდველნი. 682 მილიარდი დოლარის ბიუჯეტით პენტაგონს საკუთარ განკარგულებაში უფრო მეტი ფული აქვს, ვიდრე ნებისმიერ სხვა ორგანიზაციას პლანეტაზე. სხვა ყველა მასთან ახლოსაც კი ვერ მივა. ბიუროკრატია იმდენად დიდი და მოუქნელია, რომ დროდადრო ათობით მილიარდი დოლარი იკარგება და არავინ იცის, დიდად არც არავის აინტერესებს, თუ სად წავიდა ეს ფული. ახალი იარაღი და შეიარაღების სისტემები რეგულარულად განაპირობებენ ფულის წარმოუდგენელ გადახარჯვებს. მხოლოდ უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე იმ სისტემების ჩამონათვალი, რომლებსაც ჯერ მილიარდობით დოლარი დაახარჯეს შექმნაზე, შემდეგ კი სულ რამდენიმე ეგზემპლარად აწარმოეს ან სულაც არ უწარმოებიათ, უკვე უფრო მეტ პუნქტს მოიცავს, ვიდრე ანბანში ასოების რაოდენობაა.

არა ამდენად დამანგრეველ და არა ამდენად მასშტაბურ ქმნილებებთან დაკავშირებით საქმე კიდევ უფრო უარესადაა. **პენტაგონი ყოველწლიურად ყიდულობს მილიონობით წარმოუდგენელ წვრილმანს. ყოველი მათგანი უნდა შეესაბამებოდეს ეგრეთ წოდებულ სამხედრო კლასიფიკაციას (MILSPEC). შედეგად პროდუქტების წარმოუდგენელი სიმრავლე** (ფანქრებიდან დაწყებული უნიტაზებამდე) **გაცილებით მეტი ჯდება, ვიდრე სამოქალაქო თავდაცვისთვის საჭირო საქონელი.** ზოგიერთისთვის ეს სავსებით ნორმალური და გამართლებულია — ომი მძიმე საქმეა, ის აბსოლუტურად განსხვავებულ პირობებში იწარმოება, ხშირად ექსტრემალურ პირობებშიც. მაგრამ ნუთუ მართლა აუცილებელია ვინმესთვის, მაგალითად, ვერცხლით დაფარული, არეკვლის არმქონე, ელექტროგაუმტარი, არქტიკის პირობებისთვის სერტიფიცირებული საკანცელარიო სკრეპები?

**ყოფილი სენატორის — ჩარლზ ჰეიგელის თავდაცვის მინისტრად დანიშვნით პრეზიდენტმა ობამამ ნათლად მიანიშნა თავის განზრახვაზე, დაკავდეს ყველა ზემოჩამოთვლილი პრობლემით. ჰეიგელის კვალიფიკაცია ამ საქმისთვის მისწრებაა. მას სამხედრო გამოცდილება აქვს, თუნდაც დიდი ხნის წინანდელი და ვიეტნამში რაზმის ხელმძღვანელობით შემოფარგლული, მაგრამ საკმაოდ იყნოსა დენთის სუნი და დაჯილდოებულია ორი „ალისფერი გულით“.** მაგრამ, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია, **იგი ასევე გამოცდილი და წარმატებული ბიზნესმენია. ეს ამოცანა — შეამციროს პენტაგონის ბიუჯეტი და ამავე დროს თვალი ადევნოს, რომ დარჩენილი ფული უკეთესად დაიხარჯოს, მისთვის ზედგამოჭრილია.**

თუმცა ძალიან დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა საკითხი, თუ რამდენად წარმატებულად გაართმევს იგი თავს ამ ამოცანას. ჯერ ერთი, პრეზიდენტ კენედის თავდაცვის მინისტრიდან, რომერტ მაკნამარადან, მოყოლებული უკვე ნახევარი საუკუნეა, ცდილობენ, პენტაგონი ნაკლებად მფლანგველი და მეტად ეფექტური გახდეს, მაგრამ ცალსახად წარუმატებლად. ჰეიგელის უშუალო წინამორბედები, რობერტ გეიტსი და ლეონ პანეტა, ასევე წარუმატებელნი აღმოჩნდნენ აღნიშნულ საკითხში. თავად ჰეიგლი კი, როგორც ჩანს, უკვე ეწინააღმდეგება სამხედრო ბიუჯეტის შემცირებას.

**ჰეიგელის წინაშე საზღვარგარეთაც სერიოზული პრობლემები დგას. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ჩინეთის მზარდი აღმასვლის შეჩერება.** აშშ-ის მიერ ირანთან ურთიერთობის გაუმჯობესების ესოდენი მცდელობების ერთ-ერთი მიზეზი ხომ ისაა, რომ სპარსეთის ყურის ნავთობზე საკუთარი დამოკიდებულების შემცირებით იმედოვნებენ სამხედრო რესურსების ახლო აღმოსავლეთიდან შორეულ აღმოსავლეთში გადატანას. სხვათა შორის, ესეც სახსრებს მოითხოვს და ამ ეტაპზე აბსოლუტურად გაუგებარია, საიდან უნდა მოიტანონ ეს ფული ამერიკელებმა.

საბოლოო ჯამში, **დღეს სწორედ ფინანსური მენეჯმენტის ეფექტურობაზეა დამოკიდებული, შეინარჩუნებს თუ არა აშშ პლანეტაზე უდიდესი სამხედრო ძალის პოზიციას.** დანარჩენი მსოფლიო კი მხოლოდ შორიდან უყურებს და იმედოვნებს, რომ ახალი წესრიგი, რომელიც ამერიკის ჰეგემონიის შემდეგ დადგება, არ იქნება უფრო უარესი, ვიდრე თავად ეს ჰეგემონია იყო.

terra-america.ru

**მრავალი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე მიიჩნევს, რომ ობამას რასობრივი პოლიტიკის დისბალანსი ნათელია. უკანასკნელი გამოკითხვებით, ობამას პრეზიდენტობის წლებში მკვეთრად გაიზარდა იმ შავკანიანი და თეთრკანიანი ამერიკელების რაოდენობა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ამერიკაში რასებს შორის დამოკიდებულება გაუარესდა.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ფიასკობამა–2013

**მეორე საპრეზიდენტო ვადის პირველი წელი ობამასთვის ყველა მიმართულებით წარუმატებელი აღმოჩნდა. მისი ყველაზე დიდი ფიასკოების — თეთრი სახლის ამჟამინდელი უფროსის პირადი შეცდომებით განპირობებული სისტემური მარცხების რეიტინგი რვა პუნქტს მოიცავს.**



## ედვარდ სნოუდენის გამოაშკარავებები

**ნაციონალური უსაფრთხოების ყოფილმა აგენტმა გამოაქვეყნა მონაცემები იმ საჯაშუშო პროგრამების შესახებ, რომელთა მეშვეობითაც ამერიკული სპეცსამსახურები მსოფლიოს სახელმწიფოების ლიდერების, უცხოელი ბიზნესმენებისა და მილიონობით კერძო პირის სატელეფონო საუბრებს ისმენენ და მათ ელექტრონულ მიმოწერას კითხულობენ.** შესაბამისი პროგრამები გაშვებულ იქნა ჯორჯ ბუშ უმცროსის ინიციატივით, ბარაკ ობამამ კი, შევიდა რა თეთრ სახლში 2009 წელს, მათი გაფართოების სანქციები გასცა.

ამან თავდაყირა მოაქცია ობამას რეიტინგი. გაჩნდა მისი გადადგომის მოთხოვნის პეტიციები ამერიკელთათვის წმიდათაწმიდა „პირადი ცხოვრების უფლებების“ შელახვის გამო. იმპიჩმენტის მომხრეებს შორის ზოგიერთი კონგრესმენიც კი იყო. მაგრამ **გაცილებით სახიფათო ობამასთვის ის რეაქციაა, რომელიც აღნიშნულმა ფაქტმა მოკავშირე სახელმწიფოების ხელისუფლებებში განაპირობა.** საუბარია, მაგალითად, თავისუფალი ვაჭრობის ტრანსატლანტიკური ზონის შექმნის პროექტის შეჩერებაზე. **თეთრი სახლი უკვე იძულებული გახდა, ცსს-ს, ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს და სახელმწიფო დეპარტამენტის მთელი რიგი მაღალჩინოსნები განტევების ვაცებად გაეწირა.** მაგრამ ევროპელი ექსპერტები თანხმდებიან იმ აზრზე, რომ მიწასთან გასწორებული რეპუტაციის აღდგენა მანამ, ვიდრე ოვალური კაბინეტი ობამას განკარგულებაშია, შეუძლებელი თუ არა, უკიდურესად რთული იქნება.

## ანტიტერორისტული იმპოტენცია

**ვაშინგტონი გამოვიდა განცხადებით, რომ კოალიციური ძალები ავღანეთს დატოვებდნენ 2014 წელს. ამასთან, ნათელია, რომ მისიის წინასწარ დასახელებული მიზნები კვლავაც შეუსრულებელია — „ალ ქაიდა“ და თალიბანი თავს მშვენივრად გრძნობენ, ქვეყანა კი სულს ღაფავს სისხლისმღვრელ სამოქალაქო ომში.**

აპრილში ტერორისტულმა ორგანიზაციებმა თავი შეახსენეს ობამას ბოსტონის აფეთქებით, რომლის შედეგადაც 280 ადამიანი დაზარალდა. ამრიგად, ამერიკელი პოლიტიკოსებისა და სამხედროების იმპოტენციას დაემატა შეუმდგარი სპეცსამსახურების დანაშაულები — მათ საერთაშორისო არხებით ჰქონდათ იმ პირების მთელი განლაგება, რომლებიც ტერაქტს ამზადებდნენ, მაგრამ მაინც ვერ შეძლეს მისი თავიდან აცილება. როგორც ჩანს, **სწორედ იმან, რომ ცსს-მა და გამოძიების ფედერალურმა ბიურომ დაკარგეს უნარი, დიდი სიზუსტით იმოქმედონ, ობამას კიდევ ერთი ანტიკონსტიტუციური ნაბიჯისკენ უბიძგა და მან გამოაცხადა, რომ მზადაა, სამხედრო უპილოტო საფრენი აპარატები გამოიყენოს ამერიკის ტერიტორიაზე.**

საქმე ისაა, რომ „დაუმარცხებელი თავისუფლების“ განხორციელების წლებში დრონებმა რამდენიმე ათასი ადამიანი მოკლეს და მათი უდიდესი ნაწილი მშვიდობიანი მოქალაქეები იყვნენ...

## „არაბული გაზაფხულის“ კრახი

**წლის დასაწყისში მედიამ გაახმაურა ლიბიაში აშშ-ის საელჩოზე ტერორისტების შეტევის ცნობა. თავდასხმას აშშ-ის ელჩი ემსხვერპლა. შემდეგ კიდევ ერთხელ შეიცვალა ხელისუფლება ეგვიპტეში. სირიაში სამოქალაქო ომი გრძელდება...** ამ მოვლენებმა კი „არაბული გაზაფხულის“ სახელით ცნობილ ამერიკულ სტრატეგიას მოუღო ბოლო. ქვეყნები, რომლებშიც აშშ-მა გადატრიალებებისა და რევოლუციების სანქციები გასცა, დღემდე ქაოსში არიან გახვეულნი.

**გარდა ამისა, ისე, რომ ვერ შეძლო ახალი მეგობრების შეძენა, ვაშინგტონი ძველი მეგობრების დაკარგვის ზღვარზეა. ეს წელი რეკორდულია ახლო აღმოსავლეთში ანტიამერიკული განცხადებების რაოდენობით.** თურქეთში არც თუ უსაფუძვლოდ სტამბოლის საპროტესტო აქციებში ვაშინგტონის ხელი დაინახეს. ისრაელი აღშფოთებულია ობამას რევერანსებით ირანის ახალი პრეზიდენტის მიმართ, საუდის არაბეთი კი პირდაპირ იმუქრება კავშირის გაწყვეტით, თუ აშშ სირიის საკითხის ძალისმიერი მეთოდებით მოგვარების საქმეში არ გააქტიურდება.

**გარდა ამისა, ისე, რომ ვერ შეძლო ახალი მეგობრების შეძენა, ვაშინგტონი ძველი მეგობრების დაკარგვის ზღვარზეა. ეს წელი რეკორდულია ახლო აღმოსავლეთში ანტიამერიკული განცხადებების რაოდენობით**



## განხეთქილება ნატოში

**სირიის საკითხში გააქტიურება ამერიკისთვის იოლი საქმე არ იქნება. 21-ე საუკუნეში პირველად აშშ-ის ნატოელი მოკავშირეები ეჭვქვეშ აყენებენ აშშ-ის მიერ შეთავაზებული საომარი ოპერაციის აუცილებლობას. საუბარია სირიაში შეჭრაზე.** ამ საკითხში მთავარი ანტიამერიკული დარტყმა იყო ბრიტანეთის ანტისაომარი პოზიცია, რადგან სწორედ ინგლისის შეიარაღებული ძალები იყო პენტაგონის მთავარი და ყველაზე ბრძოლისუნარიანი პარტნიორი ერაყსა და ავღანეთში.

ამასთან, ნათელია, რომ ეს ერთადერთი შემთხვევა არ არის. **ოდესღაც საბჭოთა კავშირის საპირწონედ გაჩენილი ნატო იდეოლოგიურ ჩიხშია — არ იცის, დარჩეს ოფისად, რომელიც ამერიკული ავანტიურების ლეგიტიმურობის უზრუნველყოფას განაგრძობს თუ გადააკეთდეს საერთო ევროპულ საგანგებო სიტუაციების სამინისტროდ.** როგორც ჩანს, ჯერჯერობით მეორე ვარიანტი ლიდერობს. ობამას მარცხი კი იმაში მდგომარეობს, რომ დროზე ვერ შენიშნა ევროპული თვითშეგნების გამოფხიზლება და, თავისი წინამორბედების უმეტესობის მსგავსად, განაგრძობდა ევროპელების გამოყენებას ისე, რომ მათ ინტერესებს დიდად არც კი ითვალისწინებდა.

## სახელმწიფო ვალის პრობლემის ესკალაცია

**როგორც ცნობილია, აშშ უფრო მეტს ხარჯავს, ვიდრე აწარმოებს, რის გამოც მისმა სახელმწიფო ვალმა ასტრონომიულ ზომებს მიაღწია და განაგრძობს ზრდას.** ჯერჯერობით აშშ-ს შველის მსოფლიოში დოლარზე უდიდესი მოთხოვნილება, მაგრამ შემოდგომაზე კიდევ ერთხელ დადგა კანონმდებლობით გათვალისწინებული ის დღე, როდესაც ვალმა ზედა ზღვარს მიაღწია და „საბეჭდი მანქანა“ უნდა გამოერთოთ. ცხარე კამათში ობამა ცდილობდა, ფულადი მასის შემდგომი ზრდის ნებართვა მიეღო. **განკითხვის დღის წინ ფინანსთა სამინისტრომ თავი დაიზღვია და დროებით შეაჩერა ზოგიერთი სოციალური პროგრამა. ამან ქუჩაში გამოიყვანა ხალხი და საბოლოოდ კონგრესმა კიდევ რამდენიმე თვით გააგრძელა სესხების ვადა.** გასაგებია, რომ ეს მიზერული გადავადება პრობლემას ვერ მოაგვარებს. დამოკლეს მახვილი ყოველ წამს შეიძლება დაეცეს აშშ-ის ფინანსურ სისტემას.

## იძულებითი ემიგრაციის ზრდა

**საგადასახადო კანონმდებლობის გამკაცრება ამერიკელებს ემიგრაციისკენ უბიძგებს. აშშ-ის კანონების თანახმად, მიუხედავად იმისა, თუ სად ცხოვრობს და მუშაობს ამერიკელი, მან საკუთარ ხაზინას უნდა უხადოს საშემოსავლო.**

2014 წელს ძალაში შევა ხაზინის ახალი წესი, რომელიც უცხოური ბანკებისგან მოითხოვს ამერიკის მოქალაქეების ანგარიშების დეტალურ მონიტორინგს და მათი შემოსავლებიდან 30%-ის დაკავებას და აშშ-ის საგადასახადო სამსახურში გადაგზავნას. ვარაუდობენ, რომ ამის გამო **ბანკირები შეეცდებიან, მოიშორონ ამერიკელი კლიენტები და ეს ადამიანები, უბრალოდ, იძულებულნი გახდებიან, უარი თქვან ამერიკის მოქალაქეობაზე. სავარაუდოდ, მიმდინარე წლის შედეგების დაჯამებისას აშშ-ის მოქალაქეობაზე უარის მთქმელთა რაოდენობა 40-45%-ით გაიზრდება.**

ამჟამად საზღვარგარეთ 6 მილიონამდე ამერიკელი ცხოვრობს და, ფინანსთა სამინისტროს აზრით, ისინი ხაზინას 100 მილიარდამდე დოლარს უმალავენ.

## ჯანდაცვის გაუაზრებელი რეფორმა

**შემოდგომაზე აშშ-ის მილიონობით მოქალაქე სამედიცინო დაზღვევის გარეშე დარჩა, მიუხედავად ობამას ფიცისა, რომ მათი სადაზღვევო პოლისები მზად იქნებოდა ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების შესახებ კანონის ამოქმედებისთანავე.** საიტი, რომლიდანაც ამერიკელებს ახალი პოლისები უნდა შეეძინათ, ამუშავებისთანავე დაიშალა, სავადმყოფოები კი უარს ამბობენ ძველი პოლისების მომსახურებაზე, რადგან ისინი არ შეესაბამება ახალ სტანდარტებს.

**რამდენიმე დღის წინ ობამამ საჯაროდ აღიარა, რომ მილიონობით ამერიკელი მოატყუა.** „ძალიან ვწუხვარ, რომ მოქალაქეები ამ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მიუხედავად ჩემ მიერ მიცემული გარანტიისა“, — ბრძანა პრეზიდენტმა და უმალ გადავიდა ყველას ლანძღვაზე — რესპუბლიკელებისაც და დემოკრატებისაც, რადგან პირველთ კანონის ჩაგდება სურდათ, მეორენი კი პირველივე წინააღმდეგობაზე ყრიან ფარ-ხმალს.

## აშშ-ში ეთნიკური კონფრონტაციის გამწვავება

**ამ ზაფხულს ფლორიდაში გაიმართა რეზონანსული სასამართლო იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც შავკანიანი მოზარდი იარაღიდან გასროლით მოკლა.** ჯერ კიდევ გამოძიების დასაწყისში ობამამ პოლიტიკისა და პოლიტიკოსისთვის კატასტროფული შეცდომა დაუშვა — ცალსახად უწოდა ამ დანაშაულს რასობრივ ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობა. შედეგებს არ დაუყოვნებია — მთელ ქვეყანას გადაუარა ეთნიკური ძალადობის ნიაღვარმა.

**მრავალი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე მიიჩნევს, რომ ობამას რასობრივი პოლიტიკის დისბალანსი ნათელია. უკანასკნელი გამოკითხვებით, ობამას პრეზიდენტობის წლებში მკვეთრად გაიზარდა იმ შავკანიანი და თეთრკანიანი ამერიკელების რაოდენობა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ამერიკაში რასებს შორის დამოკიდებულება გაუარესდა.**

fbii.org

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სახელმწიფო ფულს უხდის ციხის კორპორაციებს თითოეული პატიმრის მიერ ციხეში გატარებული თითოეული დღისთვის, ანუ რაც უფრო მეტი პატიმარია ქვეყანაში და რაც უფრო მეტხანს ისხდებიან ისინი ციხეებში, მით უფრო მეტი ფული აქვთ საციხო კომპანიებს. ასე იქცა ამერიკის დამნაშავეობრივ-გამოსასწორებელი სისტემა დამნაშავეობრივ-შემოსავლიან სისტემად.**

# ამერიკის საციხო-სამრეწველო კომპლექსი

**ამჟამად აშშ-ში ცხოვრობს მსოფლიოს მთელი მოსახლეობის 5% და ციხეში ზის მსოფლიოს მთელი პატიმრების 25%. „ყველაზე თავისუფალი ქვეყანა“ ლიდერობს როგორც გისოსებს მიღმა მყოფთა აბსოლუტური რაოდენობით, ასევე ერთ სულ მოსახლეზე პატიმრების პროცენტული თანაფარდობით. დღეისთვის ამერიკის ციხეებში სასჯელს იხდის 2,2 მილიონი ადამიანი — ეს ნახევარი მილიონით მეტია, ვიდრე მეორე ადგილზე მყოფი ჩინეთის პატიმრების რაოდენობა. არადა, ამერიკის მოსახლეობა, საერთო ჯამში, ჩინეთის მოსახლეობის მეოთხედს შეადგენს.**



**«პატიმართა უპრეცედენტო რაოდენობა — ეს ისეთივე ფუნდამენტური ფაქტია ამერიკული სახელმწიფო წყობისთვის, როგორიც მონობა იყო მე-19 საუკუნის შუა პერიოდში»**

ასე თუ ისე, საპატიმრო სისტემის მუშაობაში ჩართულია ყოველი ორმოცდამეათე ამერიკელი, ამ ორ მილიონზე მეტ პატიმარს ხომ სჭირდება ჩაცმა, ჭამა, მკურნალობა, დაცვა და თუნდაც ოთხი კედელი. ამ ინდუსტრიის წლიური ბრუნვა 70 მილიარდ ამერიკულ დოლარს აჭარბებს, ეკონომისტებმა კი მისთვის სპეციალური ტერმინი მოიფიქრეს — საციხო-სამრეწველო კომპლექსი.

**„პატიმართა უპრეცედენტო რაოდენობა — ეს ისეთივე ფუნდამენტური ფაქტია ამერიკული სახელმწიფო წყობისთვის, როგორიც მონობა იყო მე-19 საუკუნის შუა პერიოდში,** — აცხადებს ჟურნალ The New Yorker-ის სახელგანთქმული ესეისტი და წიგნის „მჯდომარე ამერიკა“ ავტორი ადამ გოპნიკი. — **ეს ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ იმ შავკანიანი მამაკაცების რაოდენობა, რომლებიც დღეს რეალურ ან პირობით სასჯელს იხდიან, აღემატება 1850-იან წლებში მონათა რაოდენობას. რაც კიდევ უფრო უარესია, დღეს აშშ-ის გამოსასწორებელი სისტემის ზედამხედველობის ქვეშაა შვიდი მილიონი ადამიანი — უფრო მეტი, ვიდრე საბჭოთა გულაგებში იყო“.**

მაგრამ, ისევე, როგორც გულაგების დროს, ამ რაოდენობით პატიმრებს ერთი სარგებლის მოტანა მაინც შეუძლიათ — მათი გამოყენება შეიძლება იაფ ან სულაც უფასო მუშახელად. ამერიკის კონსტიტუციის მე-13 პუნქტი, რომელიც კრძალავს მონობასა და იძულებით შრომას ამგვარი შემთხვევებისთვის ძალზე მოსახერხებელ გამონაკლისს ითვალისწინებს — **„გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს წარმოადგენს სასჯელს დანაშაულისთვის, რომლის გამოც პირი სათანადოდ იქნა გასამართლებული“.**

**„ადამინთა უმეტესობას ციხე მხოლოდ ფილმებში უნახავს და თვლის, რომ იქ მთელი დღეების მანძილზე ყველა ეზოში სეირნობს ან კალათბურთს თამაშობს,** — იხსენებს ნიუ იორკის გამოსასწორებელ დაწესებულებაში — RikersIsland შვიდწლიანი პატიმრობის შემდეგ ჯონ ჰადსონი. — **სინამდვილეში ციხეში მსჯავრდებულები ძირითადად მუდმივად მუშაობენ. შრომის ანაზღაურება არის ძალიან დაბალი — საათში 10-დან 40 ცენტამდე. ამგვარი ანაზღაურება მხოლოდ ციხეშია. სამაგიეროდ, უფლება გაქვს, საკვები იყიდო ციხის მაღაზიაში. თუ სამუშაო გეგმას არ შეასრულებ, შეიძლება გცემონ და სპეცბლოკში გაგამწესონ სრული იზოლაციისთვის“.**

ცხადია, კომპანიები, რომლებსაც ციხეებთან აქვთ კონტრაქტები გაფორმებული, არ ჩქარობენ, ეს ფაქტი საზოგადოებას გაუმხილონ. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა წლებში პატიმართა შრომის გამოყენებასთან დაკავშირებით ამოტივტივდა ისეთი სახელწოდებები, როგორიცაა Chevron, BankofAmerica, AT&T, Starbucks, Walmart, IBM, Boeing, Motorola, Microsoft, Dell, Hewlett-Packard, Nike, Intel და სხვა.

თუმცა მსოფლიოში სახელგანთქმული მწარმოებლები საციხო-სამრეწველო კომპლექსში სულაც არ არიან მთავარი მოთამაშეები. აქ აღლუმს ეგრეთ წოდებული საციხო კორპორაციები მართავენ, ისინი, რომლებიც ფლობენ ან მართავენ თავად ციხეებს. ამის დაჯერება რთულია, მაგრამ **ამერიკული ციხეების დაახლოებით 10% წარმოადგენს კომერციულ საწარმოებს, რომელთა მთავარი მიზანი მოგების მიღებაა. უფრო მეტიც, თითქმის ყველა ციხე, რომელიც 2000 წლის შემდეგ გაიხსნა, კერძოა.**

**„როგორც წესი, ყველაფერი კეთილი ზრახვებით დაიწყო,** — ამბობს ფონდის „საზოგადოებრივი ინტერესებით“ ხელმძღვანელი რიჩარდ სმიტი. — **ოცდაათი წლის წინ ვიღაცის ნათელ გონებაში გაჩნდა აზრი, რომ სახელმწიფო მანქანა არც თუ ისე ეფექტურად მართავს ციხეების სისტემას. და თუ ამ ფუნქციას კერძო სტრუქტურებს გადააბარებდნენ, ეს უკანასკნელნი ყველა ცენტს დაითვლიდნენ,ააწყობდნენ მართვას, როგორც ეს მოწინავე კორპორაციებშია და ბიუჯეტს უზარმაზარ თანხებს დაუზოგავდნენ. ასეც მოხდა — საციხო კომერსანტები საქმეს ეკონომიკური თეორიის თვალსაზრისით მიუდგნენ, ანუ შეუდგნენ ხარჯების შემცირებას და მოგების ზრდას. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მათ საერთოდ არ ადარდებდათ გამოსასწორებელი დაწესებულებების მთავარი ფუნქცია — დამნაშავეთა გამოსწორება“.**




**«დღეს აშშ-ის გამოსასწორებელი სისტემის ზედამხედველობის ქვეშაა შვიდი მილიონი ადამიანი — უფრო მეტი, ვიდრე საბჭოთა გულაგებში იყო»**

სამაგიეროდ ციხეების პრივატიზების გეგმის ჯერ კიდევ პირველმა ნაწილმა გამაოგნებელი ეფექტი მოახდინა. ხარჯების ოპტიმიზაციამ განაპირობა ციხეების პერსონალის მკვეთრი შემცირება, პირველ რიგში, შემცირდა დაცვა, რის შემდეგაც ისედაც თავზეხელაღებულმა პატიმრებმა არნახული აურზაური მოაწყვეს. **სამოქალაქო უფლებების ამერიკული კავშირის კვლევებმა აჩვენა, რომ კერძო ციხეში ძალადობის დონე 65%-ით მეტია, მაგრამ, რაც კიდევ უფრო უარესია, იქ ერთ-ნახევარჯერ უფრო ხშირად ესხმიან თავს მცველებს.**

**„რიკერს-აილენდს ცუდი რეპუტაცია აქვს,** — განაგრძობს თხრობას პატიმარი ჯონ ჰადსონი, — **დაცვისგან მუშტის მიღება ან სულაც კარცერში თავის ამოყოფა ნებისმიერი წვრილმანის გამო შეიძლება. იმისთვის, რომ სიტუაციის კონტროლი არ დაკარგოს, ადმინისტრაცია უკიდურესად მკაცრად იქცევა. მაგრამ ეს მაინც უკეთესია, ვიდრე კერძო ციხეები, რომლებშიც მცველები პატიმრებს შორის შეტაკებების პროვოცირებას ახორციელებენ — მათი ლოგიკით, უმჯობესია, პატიმრებმა ერთმანეთი დახოცონ და არა ოფიცრები. პირველი სასჯელი არიზონის ციხე FlorenceWest-ში მოვიხადე. ჩვენს ბლოკში თითქმის ყოველ თვეში იყო ვიღაც დაჭრილი ან მოკლული“.**

მხოლოდ უკანასკნელ წლებში კერძო ციხეებში მომხდარი ყველა სკანდალის ჩამოთვლას ცალკე გამოცემა სჭირდება და ამ ჩამონათვალში იქნება ნარკოტიკებით ვაჭრობაც, მკვლელობებიც, გაუპატიურებებიც, მცველების მხრიდან სუტენიორობის ფაქტებიც, ბუნტებიც, გაქცევებიც... ერთი წლის წინ გაირკვა, რომ **აიდაჰოს ერთ-ერთ ციხეს სულაც პატიმართა ბანდა მართავდა — დაცვა ვერ გაუმკლავდა საკუთარ მოვალეობებს და პატიმრების ყველაზე დაუნდობელ ჯგუფთან გარიგება არჩია.**

ციხის კორპორაციები არ წაახალისებენ ამგვარ დარღვევებს, მაგრამ განსაკუთრებულადაც არ ეწინააღმდეგებიან მათ. ან რატომ უნდა შეეწინააღმდეგონ იმას, რაც მათთვის მომგებიანია? **„ყოველი ახალი დანაშაულისთვის პატიმრები ახალ სასჯელს იღებენ,** — განმარტავს რიჩარდ სმიტი, — **ანუ იზრდება დრო, რომელსაც ისინი კერძო ციხეში გაატარებენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ციხის კორპორაცია უფრო მეტი დროის მანძილზე შეძლებს, ფული გამოიმუშაოს მისი საშუალებით“.**

სწორედ ესაა ამერიკის თანამედროვე საპატიმრო სისტემის მთელი ცინიზმი — **სახელმწიფო ციხის კორპორაციებს ფულს უხდის თითოეული პატიმრის მიერ ციხეში გატარებული თითოეული დღისთვის, ანუ რაც უფრო მეტი პატიმარია ქვეყანაში და რაც უფრო მეტხანს ისხდებიან ისინი ციხეებში, მით უფრო მეტი ფული აქვთ საციხო კომპანიებს.** ასე იქცა ამერიკის დამნაშავეობრივ-გამოსასწორებელი სისტემა დამნაშავეობრივ-შემოსავლიან სისტემად. მაქსიმალური მოგების მისაღებად კი, როგორც ცნობილია, ყველა საშუალება გამართლებულია.

მაგალითად, **2008 წელს ამერიკის შეერთებული შტატები შეძრა სკანდალმა, როდესაც გაირკვა, რომ ბავშვთა კერძო ციხეების მფლობელი პენსილვანიაში ფულს უხდიდა მოსამართლეებს, რომ მათ მოზარდებისთვის მაქსიმალურად მკაცრი სასჯელი დაედგინათ.** შედეგად მოზარდები რეალურ პატიმრობას იღებდნენ ისეთი „სასტიკი“ დანაშაულებებისთვის, როგორიცაა, მაგალითად, დირექტორის დაცინვა სოციალურ ქსელში, სუპერმარკეტიდან DVD-ის მოპარვა და ასე შემდეგ. **მანტიაში გამოწყობილმა სიმკაცრის მოყვარულმა კი საერთო ჯამში ორი ათასი მოზარდი გაამწესა ციხეში და ამისთვის 2,6 მი-** ▶

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ში 2008 წელს სასჯელაღსრულების სისტემაში დასაქმებული იყო 770 ათასი ადამიანი, მათ შორის 620 ათასი — მცველი. შედარებისთვის: იმავე პერიოდში ამერიკის მთელ მანქანათმშენებლობაში დასაქმებულთა რაოდენობა 880 ათას ადამიანს შეადგენდა.**

◀ლიონი დოლარი ჩაიჯიბა.

ხმას არავინ ამოიღებდა, მსგავსი ინციდენტები ერთეული შემთხვევები რომ ყოფილიყო. მაგრამ **აშშ-ისთვის დამახასიათებელი სახელმწიფოსა და მსხვილი ბიზნესის შერწყმის წყალობით პატიმრებისგან მოგების მიღების პრაქტიკა კანონმდებლობით უზრუნველყოფილია ფედერალურ დონეზე.** ვიღაცამ, შესაძლოა, ეს უბრალო დამთხვევად მიიჩნიოს, მაგრამ ყველაზე მსხვილი საციხო კორპორაცია — Corrections Corporation of America (ყყთ) დაარსდა 1983 წელს და სწორედ იმ დროიდან დაიწყო ამერიკაში პატიმართა რაოდენობის მკვეთრი ზრდა. უკანასკნელი 30 წლის მანძილზე ეს მაჩვენებელი 500%-ით გაიზარდა. შედეგად CCA იქცა უზარმაზარ მონსტრად, რომელიც 67 ციხეს მართავს და ამით წელიწადში 1,7 მილიარდ დოლარს გამოიმუშავებს. მას დიდად არ ჩამორჩება ამერიკული საციხო სისტემის მეორე საყრდენი, 1984 წელს დაარსებული GEOGroup-I, რომელიც წელიწადში 1,6 მილიარდ დოლარს გამოიმუშავებს და 96 საპატიმრო შენობას მართავს.

**„ციხის კორპორაციები ხარჯავენ ათობით მილიონ დოლარს კანონმდებლების ლობირებისთვის როგორც ფედერალურ დონეზე, ისე შტატების დონეზე“,** — განაგრძობს ფონდის „საზოგდოებრივი ინტერესებით“ დირექტორი რიჩარდ სმიტი.

**ციხის კორპორაციების ზეწოლით ფედერალურ დონეზე მიიღეს კანონი, რომლის აბსოლუტურად უვნებელი სახელის უკან ათასობით გაუბედურებული ადამიანი დგას. უკვე ცნობილი გახდა წესი, რომლის თანახმადაც მოსამართლეებს ეძლევათ უფლება, მესამე ნასამართლეობისას დამნაშავეს, მიუხედავად მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა, 25 წლიდან სამუდამო პატიმრობამდე მიუსაჯოს.** კანონის ლობირების ფორმალური საფუძველი გახდა რეციდივისტების იზოლაცია, პრაქტიკულ შედეგად კი იქცა კერძო ციხეების პატიმრებით შევსების უზრუნველყოფა.

იმ შემთხვევაში, თუ ესეც ვერ უშველის საქმეს, ციხის კორპორაციებმა თავი დაიზღვიეს ციხის კამერების დაცარიელების შემთხვევისთვის. ფონდის „საზოგადოებრივი ინტერესებით“ მონაცემებით, **ციხის კორპორაციებისა და ფედერალური ხელისუფლებების ან შტატების ხელისუფლებების შეთანხმებათა 65% ითვალისწინებს „დაბალი დამნაშავეობის გადასახადს“, ანუ თუ კერძო ციხეები შევსებული არ არის პატიმრებით საშუალოდ 96%-ით მაინც, კერძო ციხე დამატებით კომპენსაციას იღებს, რაც, მაგალითად, კოლორადოს შტატს უკვე ორი მილიონი დოლარი დაუჯდა.**

მაგრამ ეს გამონაკლისი შემთხვევაა. როგორც წესი, ამერიკულ ციხეებში ადგილი არ ჰყოფნით პატიმრებისთვის. მაგალითად, კალიფორნიაში ციხეები 170%-ით არის გადავსებული და საციხო კორპორაციები იძულებულნი არიან, პატიმრები სხვა შტატებში გადაგზავნონ, ხანდახან სხვა ქვეყნებშიც კი, რადგან ბოლო წლებში ყველაზე მომგებიან ბიზნესად იქცა სადეპორტაციო ცენტრები არალეგალი მიგრანტებისთვის. ასე რომ, საციხო კორპორაციები უკვე გავიდნენ საერთაშორისო არენაზე.

**„ამერიკაში ბიზნესი და პოლიტიკა პრაქტიკულად ერთი და იგივეა,** — ამბობს პოლიტიკური მიმომხილველი სტივ აიზენბერგი. — **თუ პოლიტიკაში გავლენა გაქვთ, შეგიძლიათ, ბიზნესის გამო არ იდარდოთ. ახლა კი შეხედეთ ბირჟას: უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე Apple-ის აქციების ფასი 20%-ით დაეცა, GEOGroup-ისთვის კი პირიქით, 20%-ით მოიმატა“.** ასე რომ, **ციხის კორპორაციები ყოველწლიურად ზრდიან შემოსავლებს, რის ხარჯზეც ზრდიან კანონმდებელთა ანაზღაურებას ლობირებისთვის. ეს უკანასკნელნი, თავის მხრივ, ზრდიან პატიმართა რაოდენობას, რაც პირდაპირ კავშირშია ციხის კორპორაციების შემოსავლების ზრდასთან.**

ამ ჩაკეტილი წრის გარღვევა დღესაც კი შეუძლებელია. არადა, მრავალმილიონიანი შემოსავლები საციხო-სამრეწველო კომპლექსში ყოველწლიურად სულ უფრო მეტ ახალ მოთამაშეს იზიდავს. ეს ნიშნავს, რომ არაადამიანური მექანიზმი სულ უფრო მძლავრად ტრიალებს და ფუნქციონირებისთვის სულ უფრო მეტ ადამიანურ მასალას ითხოვს. თუმცა დამნაშავეთა რაოდენობა ძველი ტემპებითაც რომ იზრდებოდეს (1980 წელს — 1,8 მილიონი, 2010 წელს — 7,1 მილიონი), საუკუნის შუა პერიოდისთვის ეს მაჩვენებელი აბსოლუტურად წარმოუდგენელ ნიშნულს — 30 მილიონს მიაღწევს. ამის გათვალისწინებით ამერიკის, როგორც „ყველაზე თავისუფალი ქვეყნის“, სტატუსი, უბრალოდ, ირონიული ხდება.

თუმცა, ციხის კორპორაციები სიტუაციას საბაზრო კაპიტალიზმის პოზიციიდან აფასებენ — მათთვის ემოციებს მნიშვნელობა არ აქვს. ეს, უბრალოდ, ბიზნესია. საციხო-სამრეწველო ბიზნესი, უბრალოდ, აფართოებს საწარმოო ბაზას. და თუ ვინმე ამ ყველაფერში საუკუნე-ნახევრის წინ გაუქმებული მონათმფლობელური სისტემის რეკონსტრუქციას ხედავს, ეს მხოლოდ მისი პრობლემაა და არა ამ სისტემისა. საციხო კორპორაციები ხომ ფულს მონების ხარჯზე კი არა, იმ პირების ხარჯზე შოულობენ, რომლებიც სათანადო წესით გასამართლდნენ დანაშაულისთვის.

**მოსახლეობის აღწერის მონაცემების თანახმად, აშშ-ში 2008 წელს სასჯელაღსრულების სისტემაში დასაქმებული იყო 770 ათასი ადამიანი, მათ შორის 620 ათასი — მცველი. შედარებისთვის: იმავე პერიოდში ამერიკის მთელ მანქანათმშენებლობაში დასაქმებულთა რაოდენობა 880 ათას ადამიანს შეადგენდა.**

პატიმართა შრომის მასობრივი გამოყენება აშშ-ში ჯერ კიდევ 1860 წელს დაიწყო. სამოქალაქო ომში ჩრდილოელების გამარჯვების შემდეგ სამხრეთელების ბამბის პლანტაციები მონების გარეშე დარჩა და იმისათვის, რომ აენაზღაურებინათ სამუშაო ძალის დაკარგვა, ადგილობრივმა ხელისუფლებმა დააპატიმრეს ყოფილი მონები დოკუმენტების არქონის გამო და სხვა მსგავსი ბრალდებებით. ამის შემდეგ ისინი პლანტაციებში უკვე პატიმრების სტატუსით მუშაობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ აფროამერიკელები აშშ-ის მოსახლეობის მხოლოდ 12%-ს შეადგენენ, ამერიკის ციხეებში ისინი პატიმართა 44%-ს წარმოადგენენ.



fbii. org

**«ციხის კორპორაციები ხარჯავენ ათობით მილიონ დოლარს კანონმდებლების ლობირებისთვის როგორც ფედერალურ დონეზე, ისე შტატების დონეზე»**



# ვაშინგტონმა ძლევამოსილება დაკარგა



**აშშ მსოფლიო მასშტაბით უკვე ნაკლებად მძლავრი, ნაკლებად მნიშვნელოვანი და ნაკლებად პატივსაცემი ქვეყანაა. ასე მიიჩნევს ამერიკელთა ნახევარზე მეტი. ვაშინგტონური კვლევითი ცენტრის მონაცემებით, ისინი თვლიან, რომ მათი ხელისუფლება არ უნდა ერეოდეს სხვა სახელმწიფოების საქმეში, ის უნდა აგვარებდეს საკუთარი ქვეყნის ყოფით პრობლემებს, მაგრამ პოლიტოლოგები ხალხის აზრს არ იზიარებენ.**

გამოკითხვის **„ამერიკის ადგილი მსოფლიოში — 2013“** შედეგებმა აჩვენა, **ამერიკელთა 52% ეთანხმება მტკიცებას, რომ ამერიკა საკუთარი საქმეებით უნდა დაკავდეს და სხვა ქვეყნებს მისცეს საშუალება, თავად მოაგვარონ თავიანთი პრობლემები. საწინააღმდეგო თვალსაზრისს მხოლოდ მოსახლეობის 38% იზიარებს.** გამოკითხვა ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება და უკანასკნელი 40 წლის მანძილზე ეს არის რეკორდული მაჩვენებელი მოსახლეობის მხრიდან ქვეყნის შიდა პოლიტიკით უკმაყოფილების მხრივ. **კითხვაზე, გახდა თუ არა აშშ უფრო გავლენიანი და ძლევამოსილი ქვეყანა უკანასკნელი 10 წლის მანძილზე, დადებითად მხოლოდ გამკითხულთა 17%-მა უპასუხა. 53% დარმუნებულია, რომ მდგომარეობა ამ მტკიცების საწინააღმდეგოა. ეს 12 პუნქტით აჭარბებს 2009 წლის მაჩვენებელს და ორჯერ აღემატება 2004 წლის მაჩვენებელს.**

გარდა ამისა, გამოკითხულთა 70% მიიჩნევს, რომ ამერიკა ახლა არ სარგებლობს ისეთი პატივისცემით, როგორითაც ადრე. ეს მაჩვენებელი ერთი პროცენტით ჩამოუვარდება 2008 წლის მაისში, ჯორჯ ბუშ-უმცროსის მეორე საპრეზიდენტო ვადისას დაფიქსირებულ რეკორდულ მაჩვენებელს.

**ამერიკელთა აზრით, ამერიკის რეპუტაციას მსოფლიოში ყველაზე დიდი ზიანი მიაყენა პოზიციამ, რომელიც პრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ სირიის კონფლიქტთან დაკავშირებით დაიკავა, ასევე ქვეყნის მონაწილეობამ ლიბიაში ჩატარებულ ოპერაციაში და ავღანეთის წარუმატებელ კამპანიაში. გამოკითხვა ტარდებოდა 30 ოქტომბრიდან 6 ნოემბრის ჩათვლით. მასში 2 ათასზე მეტი რესპონდენტი მონაწილეობდა.**

ნათელია, რომ ამერიკელებს აღარ სურთ, მათი ხელისუფლება ახალ საერთაშორისო კონფლიქტებში ჩაერთოს მსოფლიო ჟანდარმის როლში. გაცილებით მეტად ადარდებთ მათ მზარდი სახელმწიფო ვალი, ამ ვალის გამო დეფოლტის მუდმივი საფრთხე და ეკონომიკის ცუდ მდგომარეობასთან დაკავშირებული ფარული უმუშევრობა. ამავე გამოკითხვის მონაცემების თანახმად, **სამუშაო ადგილების შექმნა და მათი დაცვა არის ხელისუფლების შიდა პოლიტიკის პირველი ამოცანა და ამ აზრს გამოკითხულთა 81% იზიარებს.** საინტერესოა ამ მონაცემების შედარება 1838 წელს საერთაშორისო ურთიერთობათა ვაშინგტონის საბჭოს თანამშრომლების გამოკითხვის მონაცემებთან. **აშშ-ის შიდა პოლიტიკის პრიორიტეტებთან დაკავშირებულ კითხვაზე პოლიტოლოგთა მხოლოდ 29%-მა განაცხადა, რომ ხელისუფლებისთვის პირველი რიგის ამოცანა სამუშაო ადგილების შენარჩუნებაა.**

საიდან ასეთი წინააღმდეგობა? ერთის მხრივ, ამერიკელები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გვინერგავენ, რომ ამერიკა მსოფლიოს ლიდერია, ყველაზე მძლავრი, ძლიერი, დემოკრატიული ქვეყანაა. ამის შესახებ ლაპარაკობდა ბარაკ ობამა თავისი როგორც პირველი, ასევე მეორე საინაუგურაციო სიტყვისას. მეორე მხრივ, ვხედავთ აშშ-ის გავლენის შემცირების ობიექტურ პროცესს იმის ხარჯზე, რომ იზრდება სხვა ქვეყნების სიმძლავრე, მათ შორის გერმანიის, საფრანგეთის, გაერთიანებული ევროპის, რომელიც აშშ-ის ერთგვარ საპირწონეს წარმოადგენს, ასევე ჩინეთისა და აზიის სხვა ქვეყნების. **აშშ ძველებურად რჩება მსოფლიოს უმსხვილეს ბაზრად, მაგრამ სხვა ქვეყნებთან შედარებით მისი გავლენაა იკლებს. და ეს პროცესი გაგრძელდება.**

მოსახლეობის აზრი ასახავს ქვეყანაში არსებულ რეალურ სიტუაციას. ამერიკელები მუდამ ორიენტირებულნი იყვნენ შიდა ცხოვრებაზე, სოციალურ პრობლემებზე და ობამა ცდილობს ამ ყველაფერს იგივე ჯანდაცვის რეფორმით გაუმკლავდეს. პოლიტოლოგები კი ასახავენ თავის ვიწრო პროფესიონალურ ინტერესებს. სამწუხაროა, რომ ამერიკელ პოლიტოლოგებს შორის ესოდენ ცოტა ერკვევა საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის რეალურ პრობლემებში. მათ არ ესმით, რით სუნთქავს მათივე ხალხი. ეს ძალზე სამწუხაროა ამერიკისთვის.

**გამოკითხვა იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა უკეთესის სურვილს ბადებს. მაღალია უმუშევრობა, ბევრი სოციალური პრობლემაა მიგრაციასთან, ჯანდაცვასთან დაკავშირებით და საგარეო პოლიტიკაშიც ამერიკელები ვერ ხედავენ დიდ მიღწევებს. ისინი მიიჩნევენ, რომ ავღანეთის, ერაყისა და ლიბიის სამხედრო ოპერაციები საერთოდ არ იყო საჭირო.**

politobzor.net

პროექტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დიდი პრობლემაა მიწების გამოსყიდვა. არ დაიჯერებთ, მაგრამ მიწა, რომელზეც შენდება სადგური, დღემდე გამოსყიდული არ არის. მიწის კერძო მფლობელებმა გვიჩივლეს სასამართლოში, მოიგეს. თავიდან 12 მეპატრონე გვიჩიოდა, ახლა გვეუბნებიან, რომ 82-მდე გაიზარდა მათი რაოდენობა (!) სასამართლომ გადაწყვიტა, რომ უნდა შევაჩეროთ სამუშაოები და ადგილზე დავაბრუნოთ ათასობით კუბური მეტრი მიწა (!).“**



# «კოდალები» თურქეთ-საქართველოს საზღვარზე

**ჯავახეთის ზეგანზე თოვლი სამადლოდაა მოყრილი, უნალექო ზამთრის ხელმომჭირნეობით.**
**ასე იყო 2013 წლის 11 დეკემბერს.**
**დიდთოვლობას საახალწლოდ ელიან. თუმცა წალკიდან აქ ამოსასვლელი გზა უკვე ჩაკეტილია. ბორჯომი-ახალქალაქის მხრიდან თუ ამოხვალ. ამოჰყვები ტრანსნაციონალური რკინიგზის მაგისტრალის — ბაქო-თბილისი-ყარსის საქართველოს მონაკვეთის მშენებლობის ხელმძღვანელს ოლეგ ბიჭიაშვილს.**
**უკვე — მეოთხედ. საკმაოდ გაშინაურებული...**
**თეთრი მყუდროების საუფლოში გრიალებს ტექტონიკური ძვრების გულისხეთქება, რომლის ამოხსნა, აქაურ მოულოდნელობებს შეჩვეული დილეტანტისთვის არ არის რთული და გაუგებარი, თუნდაც იმიტომ, რომ თბილისიდან აქამომდე გაგრძელებულ გზაზე ბატონ ოლეგს რკინიგზაზე მიმდინარე სამუშაოების შესახებ დაწვრილებით აქვს ნალაპარაკები.**
**იმ ტექნიკის გეშინოდეს, რომელიც არ ხმაურობს...**



ყურბან პირიევი, თენგიზ ბულუთი და ოლეგ ბიჭიაშვილი გვირაბის პორტალთან

აქ, მაგისტრალის მშენებლობის მალიმიტირებელი გვირაბის უბანზე დამთავრდა მიწისმთხრელი ექსკავატორების ერა და გვირაბის გამყვანი მანქანა-დანადგარების ხანა დაიწყო: „კოდალა“ ამუშავდა, აგუგუნდა, არახრახდა და პირველი ნაბიჯები მთის სიღრმისკენ გადაიდგა კიდეც: გავლილია 7,5-8 მეტრი, თაღი გამაგრებულია სპეციალური ბეტონის ხსნარითა და შესაბამისი არმატურით.

ძნელად გადადგმული ნაბიჯები, გაშიშვლებული პრობლემებით, აშკარად წარმატებული შედეგების ფონზე, რასაც წლის ბოლოსთვის შეაჯამებენ.

ახლა კი „საქართველოსა და მსოფლიოს“ მკითხველების ცნობისწადილის დასაკმაყოფილებლად კომპეტენტური ადამიანებისთვის ჩამორთმეულ ინტერვიუებს გთავაზობთ.

**თენგიზ ბულუთი, თურქეთის ფირმა „ბაიჩელის“ ინჟინერ-გეოლოგი. იგი ხელმძღვანელობს გვირაბის გაყვანის სამუშაოებს.**

შეკითხვაზე, თუ რატომ დაბრკოლდა გვირაბის მშენებლობის დაწყება (ბატონმა ოლეგ ბიჭიაშვილმა გულდაწყვეტით ილაპარაკა ამ პრობლემაზე აქეთკენ რომ მოვდიოდით, მაშინ), გვიპასუხებს, რომ ოცი დღეა, რაც შეუდგა მოვალეობის შესრულებას. კონკრეტულ მიზეზებში გარკვეული არ არის, ამიტომ მისი მოსაზრებები საკითხთან დაკავშირებით შეიძლება არაკომპეტენტური იყოსო. მაგრამ ფაქტი სახეზეა, და მასაც, როგორც ყველა პროფესიონალს, ვინც მაგისტრალის მშენებლობასთანაა დაკავშირებული, ეს პრობლემა აწუხებს.

**— ტექნიკის დაგვიანებით გადმოყვანის გამო შეფერხდაო ეს საქმე, თენგიზ ეფენდი.**

— ტექნიკის დაგვიანებით გადმოყვანის გამოც, ასე უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რადგან ბევრი სხვა მიზეზიც იყო. ახლა უკვე ავამუშავეთ ეს ტექნიკა, პირველი მეტრებით შევაღწიეთ გვირაბში და არ ვაპირებთ გაჩერებას. ესაა მთავარი.

**ბატონი თენგიზ ბიჭიაშვილის აზრით, თუ დეკემბრის ბოლომდე 30 მეტრით შეაღწევენ მთის სიღრმეში, მაშინ გვირაბის მშენებლობას ვეღარაფერი დააბრკოლებს, უწინარეს ყოვლისა კი, ამ მხარისთვის დამახასიათებელი ძლიერი ყინვები, რომლებიც მინუს 30 გრადუსამდე ეცემა.**

**ზოგჯერ მეტიცაა.**

— მაგრამ ჩვენ, — **ამბობს თენგიზ ბულუთი,** — თურქეთში ვამზადებთ ყინვაგამძლე ბეტონის ხსნარს, რომელიც მიქსერებით — სპეციალური სატვირთო ავტომანქანებით შემოგვაქვს. ეს საშუალებას მოგვცემს შევინარჩუნოთ აღებული ტემპი და დათქმულ დროს შევაერთოთ გვირაბის ქართული მონაკვეთი თურქეთის მხრიდან უკვე 260 მეტრზე შემოსულ გვირაბს.

ახლა კი პორტალის მოპირკეთებული თაღი რომ არ დავაზიანოთ, „კოდალით“ კიდევ 5 მეტრით შევალთ სიღრმეში და შემდეგ დავიწყებთ აფეთქების სამუშაოებს. წინსვლაც გაცილებით მეტი გვექნება: **ამჟამად დღეში 1,5 მეტრს გავდივართ. აფეთქებას რომ დავიწყებთ, დღიური წინსვლა 3,5 მეტრიდან 4 მეტრამდე გაიზრდება. ახალი წლისთვის ვვარაუდობთ 45 მეტრით გავთხრით გვირაბს.**

ამჟამად აქ ოცდახუთი მაღალკვალიფიციური მუშაა დასაქმებული, შემდეგ 3-4 ამფეთქებელი სპეციალისტი დაემატება.

დასაქმებულთა უმრავლესობა სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ სერვისმანქანებით თურქეთში გადის, 8 კაცი საცხოვრებელ კონტეინერებში ათევს ღამეს.

შრომის ორგანიზება სანიმუშოა.

**ამ შეფასებას იზიარებს „აზერიოლსერვისის“ ფილიალის დირექტორი ყურბან პირიევი, რომელიც მეორე წელიწადია, მშენებლობის გენერალური კონტრაქტორია. იგი დარწმუნებით ამბობს, რომ წლის ბოლომდე ჩააბარებენ მარაბდა-ახალქალაქის მონაკვეთს.**

— თეთრიწყარო-წალკის ეტაპზე კი რკინიგზის ლიანდაგი უკვე დაგებულია, მიმდინარეობს დამატებითი სამუშაოები. აქ ყველა საქმეს გაისის პირველი ნახევრისთვის დავამთავრებთ. ეს ორი ეტაპია. მესამე ეტაპზე, რომელიც 74 კილომეტრია, სიცივეების მიუხედავად, დღესაც გრძელდება სამუშაოები.

**— ამბობენ, რომ ყველაზე პრობლემური უბანი ახალქალაქის რკინიგზის სადგურია. რატომ? გაკლიათ სახსრები, ტექნიკა, მუშახელი?**

— არა, არა და არა. თუმცა მიზეზები, რა თქმა უნდა, საკმაოდაა. პირველი მიზეზი ამინდია. სერიოზულად დაგვაბრკოლა მიწის სამუშაოებმა, რომლებიც, ვარაუდის საწინააღმდეგოდ, კლდოვანი აღმოჩნდა. საჭირო გახდა ასაფეთქებელი სამუშაოების სისტემატური წარმოება. ეს კი თავისთავად ბევრ პრობლემასთანაა დაკავშირებული, რომლებიც უსაფრთხოების ზომების დაცვას მოითხოვს. საჭირო ხდება გზებზე, უპირველესად კი, ავტომაგისტრალზე მოძრაობის გადაკეტვა. ეს უამრავ ბიუროკრატიულ შეთანხმებასთანაა დაკავშირებული. იკარგება დრო. ვფერხდებით.

**დიდი პრობლემაა მიწების გამოსყიდვა. არ დაიჯერებთ, მაგრამ მიწა, რომელზეც შენდება სადგური, დღემდე გამოსყიდული არ არის. მიწის კერძო მფლობელებმა გვიჩივლეს სასამართლოში, მოიგეს. თავიდან 12 მეპატრონე გვიჩიოდა, ახლა გვეუბნებიან, რომ 82-მდე გაიზარდა მათი რაოდენობა (!)**

**სასამართლომ გადაწყვიტა, რომ უნდა შევაჩეროთ სამუშაოები და ადგილზე დავაბრუნოთ ათასობით კუბური მეტრი მიწა (!).**

ასეთი პრობლემები ხელს გვიშლის მუშაობაში.

**— დაფინანსების პრობლემა?**

— ასეთი პრობლემა არ არსებობს. შეიძლება ზოგჯერ ცოტათი იგვიანებს დაფინანსება, მაგრამ ეს სამუშაოთა სპეციფიკით არის გამოწვეული და არავითარ შემთხვევაში უყურადღებობით ან სახსრების არარსებობით.

სამაგიეროდ უპრობლემოა მეოთხე ეტაპის ახალქალაქი-კარწახის მშენებლობა, სადაც პრაქტიკულად მხოლოდ 1,5 კილომეტრის ლიანდაგი დარჩა დასაგები, რაც ორი დღის სამუშაოა.



გვირაბის პირველგამყვანები

ბატონი ყურბანი ამბობს, რომ ერთ საათში მიიღებენ ბეტონის მიქსერ ორ მანქანას, რაც საერთო სამუშაოებს, უწინარეს ყოვლისა კი, გვირაბის მშენებლობას სასიკეთოდ წაადგება.

ეს ტექნიკური დეტალებია, მაგრამ მთავარი, რასაც იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამს, მაგისტრალის დათქმულ ვადაში ჩაბარებაა, რადგან, როგორც იგი ამბობს, ამ პროექტს სამი ქვეყანა ევროპისკენ მიჰყავს.

**ამასვე ადასტურებს ბატონი ოლეგ ბიჭიაშვილი, რომელიც ახლახან ჩამოვიდა სტამბოლიდან, სადაც გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „კასპიის ფორუმის“ სახელწოდებით.**

— ეს ფორუმი მესამედ ჩატარდა, — **ამბობს იგი,** — ამ საერთაშორისო ღონისძიებას 35 ქვეყნის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ყველა მათგანი მონაწილეობს ტრანსნაციონალური სატრანსპორტო დერეფნის მშენებლობაში, რომლის ერთი მონაკვეთი მარაბდა-კარწახის სარკინიგზო მაგისტრალია. ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა საუკუნის პროექტად არის აღიარებული.

35 ქვეყნის დელეგატთა შორის იყვნენ საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე **ნათია მიქელაძე,** აზერბაიჯანის ტრანსპორტის მინისტრი **ზია მამედოვი,** თურქეთის ტრანსპორტისა და საზღვაო კავშირგაბმულობის მინისტრი **ბინალი ილდირიმი.** განიხილეს არაერთი აქტუალური პრობლემა. მათ შორის, მშენებარე მაგისტრალის საკითხიც.

სიხარულით გაცნობებთ, რომ ჩვენი პროექტი წლის საუკეთესო პროექტად აღიარეს და შესაბამისი დიპლომებითა და პრიზებით დააჯილდოვდეს დარგობრივი მინისტრები. ამ ფაქტის მნიშვნელობაზე სიტყვას არ გავაგრძელებ, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ეს არის აღიარება ჩვენი საქმიანობის, რომელსაც რამდენიმე თვეა, ვუძლვებით.

**— გამოდის, რომ კარგად უძლვებით...**

— ასე გამოდის.

**— ალბათ, ამ საქმის უშუალო შემსრულებლებიც ჩავიდნენ სტამბოლში.**

— რა თქმა უნდა. ვიყავით გენერალური კონტრაქტორი — „აზერიოლსერ- ▶

„განვლილი წლების გადასახედიდან ახლა ვაფასებ, რა ძნელი იყო ფრიდონ იპოლიტეს ძისთვის, თავი დაენებებინა თავისი პირმშოსთვის. მაგრამ იგი გადაეშვა ახალ ბრძოლაში და გამარჯვებული გამოვიდა. მისი შესანიშნავი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი თავისი ხელმძღვანელის გაკვალული გზით მიემართება, და კარგადაა ცნობილი თავისი ქვეყნის საზღვრებს






www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ვისის“ გენერალური დირექტორი ყურბან პირიევი და მეც მასთან ერთად.

**— რახან ბატონი პირიევი ახსენეთ, გეტყვით, რომ მან „გამანდო“ თქვენი ერთობლივი გადაწყვეტილება — 2014 წლის ბოლოსთვის პირველი სამუშაო მატარებლის ახალქალაქში ამოსვლის შესახებ. რეალურია ეს ვადა?**

— ამის შესახებ ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინათ თურქეთის პრეზიდენტმა აბდულა გიულმა განაცხადა. მან თქვა, რომ მარაბდა-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მონაკვეთი გაიხსნებოდა 2014 წლის ბოლოს. ჩვენ ეს პირობა დავადასტურეთ. ერთი წლის შემდეგ მარაბდიდან ახალქალაქამდე, შეიძლება კარწახამდეც კი, გავატაროთ მუშა მატარებელი. ეს კი ნიშნავს, რომ ამ დროისთვის მთლიანად იქნება მოწესრიგებული სალიანდაგო მეურნეობა, მიღებული იქნება დეფექტური აქტებით და, მაშასადამე, შეგვეძლება მოძრაობის დაწყება.

**— დაპირება, რა თქმა უნდა, კარგია. მაგრამ სამუშაო პროცესში ბევრი დაბრკოლება რომ გხვდებათ? მაგალითად, გვირაბის გასაყვანი ტექნიკის დაგვიანებით ჩამოტანა, თანხების არაოპერატიულად ჩარიცხვის შემთხვევები და სხვა ამგვარი ფაქტები? ამ საკითხებზეც ვესაუბრე თქვენს კოლეგებს.**

— მუშაობის პროცესში დაბრკოლებების არსებობა ჩვეულებრივი რამეა. მით უფრო, ისეთ რთულ კლიმატურ პირობებში, რომლებშიც გვიწევს საქმიანობა. მთავარია გადალახო. ამას აქამდეც ვახერხებდით. არა მგონია, რომ პერსპექტივაში ნაკლებად შემართულები ვიქნებით. ასეთივე განწყობილება აქვთ ჩვენს აზერბაიჯანელ და თურქ პარტნიორებსაც.

**გვირაბს, რომელიც საქართველო-თურქეთის საზღვარს კვეთს, აშენებს თურქული კომპანია. საზღვრის კომპონენტის არსებობა თავისთავად გულისხმობს უამრავი ფორმალობის მოგვარებას, მართალია, ბიუროკრატიული, მაგრამ აუცილებელი წესების დაცვას. ორივე მხარე მონდომებულია და ხელოვნურად არავინ გვაბრკოლებს, მაგრამ სამუშაო პროცესის ამ თავისებურების მოგვარებას დიდი დრო და ენერგია მიაქვს.**

5 ნოემბერს შევხვდით თურქული კომპანიის წარმომადგენლებს, შევთანხმდით, რომ 20 რიცხვისთვის უნდა შემოეყვანათ ტექნიკა. მაგრამ სწორედ ზემოთ დასახელებული საკითხების უამრავმა რაოდენობამ, რაც ორივე ქვეყნის მთავრობათა დონეზე გადაწყვეტის მიღებას მოითხოვდა, გაწელა შეთანხმების შესრულება. აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ **თუ არა ის მხარდაჭერა, რაც გვქონდა საქართველოს შინაგან საქმეთა, საგარეო საქმეთა, ეკონომიკისა და განვითარების, ფინანსთა სამინისტროების მხრიდან, რომელთა შეთანხმების საფუძველზე კარწახის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის ვადამდე გახსნა, გამორიცხული არ არის, საქართველოს მხრიდან გვირაბის გაყვანის სამუშაო წლეულს საერთოდ ვერ დაწყებულიყო.**

აუცილებლად უნდა ვახსენო საგადასახადო და საფინანსო და, განსაკუთრებით, საბაჟო სამსახურების ხელმძღვანელები, რომელთა უშუალო მონაწილეობით გადაწყდა ყველა პრობლემა.

**— თქვენგან ვიცით, რომ ყველაზე უფრო პრობლემური იყო ახალქალაქის რკინიგზის სადგურის მშენებლობა. ახლაც ასეა?**

— ამ სადგურის საპროექტო ღირებულება 212 მილიონია, ათვისებულია მხოლოდ თხუთმეტი მილიონი. აქედან გამომდინარე, რთული იყო და ასეთად რჩება. იმედი გვაქვს, რომ დავძლევთ.

თავისთავად ეს უბანი ძალიან რთულია, მთელი კომპლექსია. უშუალოდ მისი სიგრძე ოთხი კილომეტრია, ხოლო მისი სალიანდაგო მეურნეობის სიგრძე — 50 კილომეტრი. აქ უნდა გაიმართოს სავაგონო-სალოკომოტივო დეპოები, სადაც სატვირთო ვაგონებს უნდა შეეცვალოს ურიკები (ეს თქვენმა მკითხველებმა, იმედი მაქვს, იციან, რადგან არაერთხელ გვითქვამს), ხოლო თბილისიდან ყარსის მიმართულებით მიმავალი სამგზავრო მატარებლის ევროპულ სტანდარტებზე გადაყვანა ავტომატიზებული იქნება. ამ უბანზე მთლიანად ინფრასტრუქტურაა მოსაწყობი.

**— ამ სირთულეებს ემატება ადგილობრივი მოსახლეობის მფლობელობაში არსებული მიწის ფართობების შესყიდვის საკითხი, რომელიც, ცნობილია, ძალიან მწვავედ დგას.**

— 82 მოსახლე ფლობდა მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ლიანდაგი უნდა გასულიყო. ისინი ჩივიან იმიტომ, რომ თავის დროზე არ მოხდა მიწის ნაკვეთების გამოსყიდვა, არადა, სწორედ ამ ფართობებზე მოჰყავდათ თავიანთ საარსებო საშუალება — კარტოფილი, რომელიც ერთადერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა, რომლის მოყვანა შესაძლებელია აქაურ აგროკლიმატურ პირობებში. ხალხი არა მარტო ჩივის, არამედ აწყობს აქციებს და მაგისტრალის მშენებლებს მუშაობის საშუალებას არ აძლევს.

მათი მოთხოვნა სამართლიანია, უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები პრობლემის მოსაწესრიგებლად და მალე მოიხსნება კიდეც — მოსახლეობას მისცემენ დადგენილ კომპენსაციას.

**P.S.** ნაცუმცირესობა, ანუ ყოფილები ამ ბოლო დროს განსაკუთრებულად ბევრს ყვირიან, რომ ინვესტიციები საქართველოში აღარ შემოდის, ხოლო მაშინ, როცა ისინი ხელისუფლების სათავეში იყვნენ, საქართველოს კართან ინვესტორების რიგი იდგა.

თბილისი-ბაქო-ყარსის ტრანსეროვნული სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა ამ დემაგოგიურ ინსინუაციებს პირწმინდად აქარწყლებს.

**არმაზ სანებლიძე**

*ახალქალაქი-თბილისი, ავტორის ფოტო*

# კოაბიტაცია თოდუას კლინიკაში

## ის, რაც მის ჩამოსვლამდე საქართველოში არ იყო, ანუ მოსკოვში დაწყებული საქმე

**კოაბიტაციამ თუ სადმე ივარგა, — ფრიდონ თოდუას კლინიკაში უწინარეს ყოვლისა. აქ მოდიან... სამედიცინო ეთიკა რომ არ დავარღვიო, არ ჩამოვთვლი — ვინ, მხოლოდ მიგანიშნებთ: ფრიდონ თოდუას ცენტრის პაციენტები არიან საქართველოს პოლიტასპარეზზე ცნობილი და ურთიერთდაპირისპირებული ლიდერებიც და მოწინააღმდეგეთა ბანაკების რიგითი წევრებიც. განა სხვაგან არა აქვთ წასასვლელი? საქართველოში ასეთ პოპულარულ ადამიანებს, რაგინდარა განსხვავებულ პოლიტიკურ პლატფორმებზე იდგნენ, ყველგან პატივისცემით ხვდებიან — შევარდნაძის დროსაც, სააკაშვილის პერიოდშიც, ახლაც. მაშ, რატომ მაინც და მაინც კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს აირჩევენ? ცხადია, რატომაც: დიაგნოსტიკისა და მკურნალობის იმ მაღალი, ულტრათანამედროვე დონის გამო, რომელიც აქ პაციენტების მომსახურების ყველა საფეხურზე არსებობს.**


ოთარ იოსელიანი და ფრიდონ თოდუა

ორიოდ კვირის წინათ აქ შევხვდი საფრანგეთში მოღვაწე ჩვენ თანამემამულეს, მსოფლიო კინოსამყაროში აღიარებულ რეჟისორს — ოთარ იოსელიანს. ბატონ ოთარს არ გაუჭირდებოდა მაღალი კლასის ნებისმიერ ფრანგულ კლინიკაში გამოკვლევისთვის მისვლა.

საქართველო არჩია, კერძოდ, ფრიდონ თოდუას კლინიკა.

კლინიკის სამეცნიერო ხელმძღვანელს ოთარი არ იცნობდა. არც თოდუა იცნობდა პერსონალურად იოსელიანს. მაგრამ სახელი კაცის წინ მიდისო, მოგეხსენებათ. როცა ეს მოძრაობა ორმხრივია, მაშინ, უნდა ვთქვათ, რომ განსაკუთრებულ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ მოვლენაში ფრიდონ თოდუა ვიგულისხმოთ.

**როგორ შეიქმნა ეს ფენომენი, სად იწყებოდა იგი, ამაზე მოგვითხრობს საგამომცემლო სახლ „ვიდარის“ მიერ ეს-ესაა გამოცემული პროფესორ გრიგორი კარმაზანოვსკის ფრიად საყურადღებო წიგნი „კომპიუტერული ტომოგრაფიის ინოვაციური ტექნოლოგიების ევოლუცია“.**

**ნაშრომი მოგვითხრობს მსოფლიოში აღიარებული ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტში სხივური დიაგნოსტიკის შექმნისა და განვითარების ისტორიას. და რაოდენ სასიამოვნო და სასახელოა, რომ ამ დარგის სათავეებთან იდგა ჩვენი თანამემამულე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი ფრიდონ თოდუა.**

კომპიუტერული ტომოგრაფების პირველი თაობა საბჭოთა კავშირში გასული საუკუნის შორეული 70-იანი წლების ბოლოს გამოჩნდა. შარშან საქართველოში ფრიდონ თოდუამ ჩამოიტანა 640-შრიანი ულტრათანამედროვე ტომოგრაფი, რომელიც ევროპის კლინიკებისთვისაც კი იშვიათი ხილია.

აი, ასეთი არნახული ამპლიტუდა, გნებავთ ნახტომი — წარსულის სიმარტივიდან დღევანდელ მასშტაბურ სიახლეთა დონემდე.

ბედტეხილი არაჩვეულებრივი.

მაგრამ ფრიდონ თოდუა მხოლოდ ამით რომ იყოს გამორჩეული, მისი პიროვნების მასშტაბურობა მთავარს დაკარგავდა — ადამიანების მიმართ ზრუნვის უპირატესობას, რომელიც მას მშობლიური კუთხის ტრადიციებიდან, ოჯახის ტრადიციებიდან ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი.

პროფესორ კარმაზანოვსკის პროფესიული ბედის განსაზღვრაში გადამწყვეტი როლი სწორედ ფრიდონ თოდუამ ითამაშა: **„...რომანებსა და მემუარებში ხშირად წერენ,** — აღნიშნავს წიგნის ავტორი, — **რომ ერთ მშვენიერ დღეს გაისმა სატელეფონო ზარი, რომელმაც მთელი ჩემი ცხოვრება გადაატრიალა... ასეთი ზარი ყველა ადამიანის ცხოვრებაში არის ხოლმე. მაგრამ ზარის ბედისმიერობას ზოგჯერ ათეულობით წლების შემდეგ შეაფასებენ“.**

და შემდეგ:

**„ფრიდონ იპოლიტეს ძე თოდუა ლაპარაკობდა ოპტიმისტური ტონით... მისი ოპტიმიზმი გადამდები იყო... ტელეფონის ყურმილიდან მესმოდა საუბარი, რომელიც მაჯადოებდა, ჩემი დაურწმუნებლობა ქირურგის პროფესიის უპირატესობაში თანდათან დნებოდა... მედიცინის ახალგაზრდა დოქტორი დაუნდობელი იყო“.**

ბოლოს და ბოლოს „თიხისფეხებიანი კოლოსი“ გრიგორი კარმაზანოვსკის დარწმუნებულობისა დაემხო და იგი იმ განყოფილების თანამშრომელი გახდა, რომელსაც ფრიდონ თოდუა ხელმძღვანელობდა.

მათი პირველი შეხვედრა სამუდამოდ ჩაებეჭდა გონებაში ახალგაზრდა კაცს, პირველი შთაბეჭდილებები შემდეგ და შემდეგ გაუმყარდა, მათ შორის, ასეთიც: **„...აღფრთოვანებული ვიყავი ფრიდონ იპოლიტეს ძის უნარით, როგორ უნდა მოქცეულიყო ნებისმიერ სიტუაციაში. იგი ყოველთვის წამებში შეაფასებდა თანამოსაუბრეს და განსაზღვრავდა როგორ უნდა მოქცეულიყო მასთან ურთიერთობისას. უცხოთა მიმართ იგი ყოველთვის გულისხმიერი იყო და იმათაც შესანიშნავი შთაბეჭდილება ექმნებოდათ მასზე. უცხოთა მიმართ იყო ნაზი, თბილი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა, მაგრამ მომთხოვნი, მკაცრი (ზოგჯერ), შეპასუხებას რომ ვერ ითმენდა (ესეც ზოგჯერ) თავისი თანამშრომლებისგან... ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ მას კარგი ქცევის სპეცპროგრამა ჰქონდა შესწავლილ-ათვისებული...**

**ბევრი მეგობარი ჰყავდა და შეეძლო მეგობრობის შენარჩუნება“.**

ამაში მომავალი პროფესორი ერთობლივი საქმიანობის პროცესში დარწმუნდა. მაგრამ ჩვენ მათ პირველ, უშუალო, პირისპირ შეხვედრაზე დავიწყეთ ლაპარაკი.

გრიგორი კარმაზანოვსკი იხსენებს: **„ფრიდონ იპოლიტეს ძემ მის მიმართ კეთილად ჯერ კიდევ ტელეფონით საუბრისას განმაწყო, შეხვედრის შემდეგ ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო განმიმტკიცდა. ჩვენ შემოვიარეთ მისი „სამფლობელო“. ცხოვრებაში პირველად ვნახე სასწაული აპარატი — კომპიუტერული ტომოგრაფი... განყოფილებაში მოვლილი ხალხი მუშაობდა, გაკრახმალებულ ხალათებში გამოწყობილი, ექიმები, მედდები. კედლებზე ეკიდა სურათები, მოსაცდელი ჰოლის მხრიდან ურთიერთკავშირის დასამყარებელი მოწყობილობა იყო დადგმული. ჩვეულებრივი ქირურგიული სტაციონარის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ მიწვეული ვიყავი ექსკურსიაზე საპლანეტთაშორისო კოსმოსურ სადგურში.**

**მუშაობაში სწრაფად ჩავერთე. ფრიდონ იპოლიტეს ძის სტილი იყო უბრალო და ეფექტიანი. იგი „ნაკადში ჩაგაგდებდა“ და გაკვირდებოდა, როგორ „გამოცურავდი“. მე გამოვცურე“.**

გამოცურა და თოდუას ხელმძღვანელობით ექვს წელიწადზე მეტ ხანს იმუშავა. ყოველი წელიწადი ინოვაციებით იყო აღსანიშნავი. წიგნის ავტორი ჩამოთვლის იმ სპეციფიკურ სამედიცინო სიახლეებს, რომლებშიც ჩვენ პაციენტები ვერ ვერკვევით. მაგრამ რომლებსაც ჩვენი ჯანმრთელობის დასაცავად, ნერგავდა ბატონი ფრიდონი ჯერ მოსკოვში, შემდეგ — მშობლიურ საქართველოში.

**ფრიდონ თოდუას საქმიანობა თანდათან მსოფლიო მედიკოსთა საზოგადოების ყურადღების ცენტრში ექცევა. მას აღიარებენ სრულიად საბჭოთა კავშირში, აჯილდოებენ სახელმწიფო პრემიებით.**

„ჩვენზე ბევრს ლაპარაკობდნენ და წერდნენ, — აღნიშნავს გრიგორი კარმაზანოვსკი, — **ფრიდონ იპოლიტეს ძე ძალიან ამაყობდა ჩვენი ქირურგიული მიმართულებით. დღეს ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ჩვენი სამუშაო დროის თითქმის 40 პროცენტი იყო პუნქციები, დრენირება. ასეთი იყო განყოფილების იდეოლოგია. ფსიქოლოგიური ფაქტორიც არანაკლებ მნიშვნელოვანია — ყველა ჩვენგანი უწინ ქირურგი იყო, რენტგენოლოგიას კი ვსწავლობდით“.**

ისწავლეს. დაეუფლნენ. სუპერპროფესიონალები გახდნენ და წინ არნახული პერსპექტივა ელოდათ. და სწორედ მაშინ, **„90-იანი წლების დასაწყისში სსრკ ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე სათავეში ჩაუდგა საქართველოს და პროფესორი ფრიდონ თოდუა სამშობლოში მოიწვია, რათა ახალგაზრდა ქვეყანაში ყველაზე უფრო მოწინავე დიაგნოსტიკის ყველაზე უფრო მოწინავე ტექნოლოგიები დაენერგა. განვლილი წლების გადასახედიდან ახლა ვაფასებ, რა ძნელი იყო ფრიდონ იპოლიტეს ძისთვის, თავი დაენებებინა თავისი პირმშოსთვის. მაგრამ იგი გადაეშვა ახალ ბრძოლაში და გამარჯვებული გამოვიდა. მისი შესანიშნავი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი თავისი ხელმძღვანელის გაკვალული გზით მიემართება, და კარგადაა ცნობილი თავისი ქვეყნის საზღვრებს მიღმა“.**

დავეთანხმოთ, რადგან მართალს ამბობს ეს კაცი, მისი ნათქვამი ისეთივე გულწრფელია და მართალი, რა სიმართლეც მას ასწავლა ბატონმა ფრიდონ თოდუამ, ჩვენმა საამაყო თანამემამულემ.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S.** მე მგონი, ახლა ყველასთვის გასაგები უნდა იყოს, ყბადაღებულმა კოაბიტაციამ რატომ მაინცდამაინც თოდუას კლინიკაში ივარგა.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რა უნდა დამართოდა ტროცკის ბიძაშვილს გაგანია რეპრესიების დროს სტალინურ საბჭოთა კავშირში? დაპატიმრება? წლების მისჯა? არა, პირიქით, — იგი დააჯილდოეს ორდენით და მიანიჭეს პრესტიჟული სტალინური პრემია.**

# არამზადები სტალინის წინააღმდეგ

## მლიქვნელები ქირის დღესავით ეჯავრებოდა

**წინა პუბლიკაციაში ვწერდით, რომ სტალინმა ნება არ დართო დრამატურგ ბულგაკოვს, დაედგა მისი პიესა „ბათუმი“, რომელიც ბელადის ადრეულ რევოლუციურ მოძრაობას ეძღვნებოდა. სტალინს ნემიროვიჩ-დანჩენკოსთვის უთქვამს, რომ „ბათუმი“ ძალიან კარგი პიესაა, მაგრამ „მისი დადგმა არ შეიძლება“.**
**ამით არ მთავრდება სტალინისა და ბულგაკოვის ურთიერთობა, გვეუბნება ნიკოლაი სტარიკოვი და განაგრძობს:**
**„დაახლოებით ერთი თვით ადრე ბულგაკოვის გარდაცვალებამდე საბჭოთა კავშირის მწერალთა საზოგადოების მეთაურმა ფადეევმა, სტალინის თანხმობით, ინახულა უკვე მძიმედ ავადმყოფი მწერალი. ისაუბრეს „გამოსაჯანმრთელებლად მისი იტალიის სამხრეთში გამგზავრების შესაძლებლობაზე“. სტალინი ცდილობდა დახმარებოდა ბულგაკოვს... მაგრამ იტალიაში გამგზავრება ჩაიშალა:**
**1940 წლის 10 მარტს მწერალი გარდაიცვალა.**
**იმავე დღეს მწერლის ბინაში ტელეფონმა დარეკა. რეკავდნენ სტალინის სამდივნოდან და მხოლოდ ეს იკითხეს: „ამხანაგი ბულგაკოვი მოკვდა?“ უეჭველია, რომ რეკავდნენ ბელადის განკარგულებით...**


ვერა ინბერი


დემიან ბედნი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №47 (234)

### „მერე რა, რომ ტროცკის ბიძაშვილია?!“

**არ არსებობს არავითარი სანდო დადასტურება, რომ სტალინს პირადად ერთხელ მაინც გაეცა ბრძანება, გასწორებოდნენ კულტურის რომელიმე მოღვაწეს. სამაგიეროდ არაერთხელ ყოფილა, რომ სტალინი დახმარებია და გადაურჩენია სწორედ ეს მოღვაწენი.** მას მოუთოკია გონებაშეზღუდული, შურიანი, არაკომპეტენტური ჩინოვნიკები, ნიჭიერ კაცს კი მიუღია ჯილდო და მისთვის მუშაობის ღირსეული პირობები შეუქმნიათ შეხედულებების, წარმოშობისა და ნათესაური კავშირების მიუხედავადაც კი. **ამ მხრივ სამაგალითოა პოეტი ქალის ვერა ინბერის ისტორია. ომის შემდეგ, 1946 წელს მან მიიღო სტალინური პრემია პოემა „პულკოვოს მერიდიანისთვის“. ვერა ინბერი დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშის და საპატიო ნიშნის ორდენებითაც.**

რა არის აქ გასაკვირი?

გასაკვირი ისაა, რომ ვერა მიხაილის ასული ინბერი ტროცკის ბიძაშვილი იყო. მას შემდეგ, რაც მისი ბიძა სსრ კავშირიდან გადაასახლეს და იგი „ხალხის მთავარი მტერი“ გახდა, ხელისუფალთა მისდამი დამოკიდებულება დაიძაბა. გავიხსენოთ „დესტალინელების“ საუბრები: **რა უნდა დამართოდა ტროცკის ბიძაშვილს გაგანია რეპრესიების დროს სტალინურ საბჭოთა კავშირში? დაპატიმრება? წლების მისჯა? არა, პირიქით, — იგი დააჯილდოეს ორდენით და მიანიჭეს პრესტიჟული სტალინური პრემია.** 1939 წლის დასაწყისში მწერალთა დიდი ჯგუფი ორდენებით დასაჯილდოებლად წარადგინეს. პოეტესას გვარი სიაში არ აღმოჩნდა. ამას ყურადღება ვინმე სხვამ კი არ მიაქცია, არამედ თვით სტალინმა: **„ტროცკის ბიძაშვილია? მერე რა?! დაჯილდოვდეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით“.**

კონსტანტინე სიმონოვი იხსენებს, როგორ წყვეტდა საქმეებს სტალინი მწერლებთან ურთიერთობით. მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი ფადეევი ალაპარაკდა ერთ-ერთი ლიტერატორის შესახებ, რომელიც განსაკუთრებით მძიმე მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა.

**„— უნდა დავეხმაროთ, — თქვა სტალინმა და გაიმეორა, — უნდა დავეხმაროთ. მივცეთ ფული. მაგრამ აილეთ და დაუბეჭდეთ. რატომ უნდა მისცეთ სამოწყალო? დაუბეჭდეთ და გადაუხადეთ.**

**ჟდანოვმა თქვა, რომ ამასწინათ ამ მწერლისგან გულისამაჩუყებელი წერილი მიიღო. სტალინს ჩაეცინა: — ნუ დაუჯერებთ გულისამაჩუყებელ წერილებს, ამხანაგო ჟდანოვ.**

**ყველას გაეცინა“** *(კ. სიმონოვი, რჩეული, 2005. გვ. 30).*

### „პროლეტარული პოეტის“ ბედი

**საინტერესო უნდა იყოს, როგორ აფასებდა ბელადი პოეტ დემიან ბედნის, რომელიც, ბულგაკოვისგან განსხვავებით, ასპროცენტიანი „წითელი“ იყო.** წიგნის ავტორის ნიკოლაი სტარიკოვის დაკვირვებით, **სტალინის დამოკიდებულება მწერლებისადმი სულაც არ იყო დაფუძნებული მათ იდეოლოგიურ მრწამსზე, არ გადიოდა „ბურჟუაზია-პროლეტარიატის“ გამყოფ ხაზზე.**

XX საუკუნის დასაწყისში ერთი მათგანი პოლიტიკურად გამართულ ლექსებს წერდა, მეორე — „თეთრგვარდიულ“ რომანებსა და პიესებს. მაგრამ დღეს პირველი მათგანი პირწმინდადაა დავიწყებული, მეორე მსოფლიოში ცნობილ რუს კლასიკოსადაა აღიარებული.

დრო და ფასეულობები შეიცვალა.

**„უწინ,** — ხაზგასმულადაა ნათქვამი წიგნში, — **ლენინი აქებდა დემიან ბედნის, ამბობდა, რომ ეს „ნამდვილი პროლეტარული შემოქმედებაა“. დამსახურებულადაც აქებდა. რუსეთის შინაომის წლებში პოეტმა ლექსების ოცდაათამდე წიგნი გამოსცა: იგავ-არაკები, ზღაპრები, პოემები, „ჩასტუშკები“ (შაირები). სამოქალაქო ომი პროპაგანდის ომი იყო: გადაარწმუნებ რუსებს, რომლებიც მოწინააღმდეგის არმიებში იბრძვიან, გადმოიბირებ ახალ ჯარისკაცებს.**

**პროპაგანდისტული თვალსაზრისით ბედნის ლექსები ძალიან ეხმარებოდა რუსეთის პროლეტარიატს... ვლადიმერ მაიაკოვსკიმ ზუსტად აღნიშნა, რომ „დემიან ბედნის ლექსები დღეისთვის სწორად გაგებული სოციალური დაკვეთაა...“**

**აი, ამ სოცდაკვეთების შემსრულებელმა „პროლეტარულმა პოეტმა“ დაკარგა სინდისი და სტალინთან უჩივლა რკინიგზელებს, რომლებმაც გაბედეს და ჩამოართვეს... პერსონალური ვაგონი. შედეგად 1930 წლის 6 დეკემბერს გამოქვეყნდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ამხ. დემიან ბედნის ფელეტონებში თავი იჩინა ყალბმა ნოტებმა, რომლებიც უსაფუძვლოდ აბიაბურებდა რუსებსა და რუსეთს. მითითებული იყო — „ცკ იმედოვნებს, რომ „პრავდისა“ და „იზვესტიის“ რედაქციები სამომავლოდ გაითვალისწინებენ ამხ. დემიან ბედნის ნაწერების ამ დეფექტებს“.**

რა რეაქცია ჰქონდა ცენტრალური კომიტეტის ამ კრიტიკაზე დემიან ბედნის?

**„კრიტიკას მიუჩვეველი დემიანი 1930 წლის 8 დეკემბერს წერილით მიმართავს სტალინს: „მე ქებას ველოდი ადამიანისგან, ვისადმიც დამოკიდებულება ყოველთვის ბიოგრაფიული სინაზით მქონდა გალამაზებული. სიხარულით გავვარდი ამ ადამიანთან პირველსავე დარეკვაზე. და რა? ჩემდა გასაოცრად, მაგრად ამიქაჩეს ყურები, პარალიზებულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი... წერა აღარ შემიძლია... ჩემი კატასტროფის საათი დადგა“** *(ლ. ბალაიანი, ი. სტალინი და ინტელიგენცია, www.stalin.su).*

სტალინის პასუხი მისი თხზულებების მე-13 ტომშია შესული:

**„8.XII თქვენი წერილი მივიღე... ცკ დადგენილებას თქვენ აფასებთ, როგორც „ყულფს“, როგორც იმის ნიშანს, რომ „დადგა საათი ჩემი (ანუ თქვენი) კატასტროფის“. რატომ, რის საფუძველზე? რა უნდა ვუწოდოთ კომუნისტს, რომელიც ნაცვლად იმისა, რომ ჩაუფიქრდეს ცკ გადაწყვეტილების არსს და გამოასწოროს თავისი შეცდომები, ამ გადაწყვეტილებას „ყულფად“ მიიჩნევს?“** სტალინი შეახსენებს ბედნის, რომ, როცა საჭირო იყო, ცკ მას მრავალგზის აქებდა. იცავდა ცალკეული ჯგუფებისა და პარტიული ამხანაგების თავდასხმებისგან. **„ეს ყველაფერი,** — განაგრძობს სტალინი — **თქვენ ნორმალურად და გასაგებად მიგაჩნდათ. მაგრამ როცა ცკ იძულებული გახდა, გაეკრიტიკებინა თქვენი შეცდომები... თქვენ დაიწყეთ ყვირილი „ყულფის“ შესახებ. რის საფუძველზე? იქნებ, ცკ-ს არ აქვს უფლება, გააკრიტიკოს თქვენი შეცდომები?.. იქნებ, თქვენი ლექსები ყოველგვარ კრიტიკაზე მაღლა დგას? ხომ არ მიგაჩნიათ, რომ შეგეყარათ ერთგვარი უსიამოვნო დაავადება, რომელსაც ყოყოჩობას უწოდებენ? უფრო მეტი თავმდაბლობა, ამხანაგო დემიან“...**

შემდეგ სტალინი საფუძვლიანად არჩევს ბედნის ნაწარმოებებს და ბოლოს ასკვნის: **„და თქვენ გსურთ, რომ მე ჩუმად ვიყო იმის გამო, რომ თქვენ, თურმე, ჩემდამი გრძნობთ „ბიოგრაფიულ სინაზეს!“** *(ი. სტალინი, ტ. 13, გვ. 23-27).*

დემიან ბედნი ასპროცენტიანი პროსტალინური ავტორი იყო. აქებდა და ადიდებდა მას. მაგრამ პირფერობამ ვერ უშველა, რადგან სტალინს მლიქვნელები არ უყვარდა. ბულგაკოვს არ შეუნდო, არ აპატია „ბათუმი“ და დემიან ბედნის, ამ აგიტპროპის პოეტს დაუთმობდა?

არა, რა თქმა უნდა.

ნიკოლაი სტარიკოვის წიგნში ციტირებულმა **დემიან ბედნის ფრაზამ — „სიხარულით გავვარდი ამ ადამიანთან პირველსავე დარეკვაზე“ — ვერ უშველა. პირიქით, სტალინი მის წინააღმდეგ განაწყო.**

როგორ მოექცა მას სტალინი?

**„1938 წელს,** — აღნიშნულია წიგნში, — **ბედნი პარტიიდან გარიცხეს და გაასახლეს კრემლიდან, სადაც ეს „თავმდაბალი პროლეტარული მწერალი“ ცხოვრობდა. 1939 წლის 9 სექტემ-** ▶


სერგეი გერასიმოვი


კადრი ფილმიდან „ახალგაზრდა გვარდია“

უბელადო ქვეყანა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჩვენ ხომ ყოველთვის ჩაგვჩიჩინებენ, რომ ბელადს აუცილებლად სჭირდებოდა მოკვლა ვინმესი, ვინც მასზე ნიჭიერი და პერსპექტიულია. მაგრამ რეალობაში სტალინი სულ სხვანაირი იყო. როგორი? ნორმალური ადამიანი იყო.

ბერს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი წარუდგენს სტალინს ცნობას თანდართული წერილით, რომელსაც ხელს აწერენ ეჟოვი და ბერია. იმ პერიოდის ვითარებას თუ გავითვალისწინებთ, ეს წერილი იკითხება, როგორც განაჩენი:

**„დემიან ბედნის გაბოროტებისთვის დამახასიათებელია შემდეგი გამონათქვამები... „მე უცხო გავხდი. ტირაჟიდან გავედი. დემიან ბედნის ეპოქა დამთავრდა. განა ვერ ხედავთ, ჩვენთან რა ხდება? ძველი გვარდია სრულად იცვლება. სპობენ ძველ ბოლშევიკებს. ანადგურებენ უკეთესთა შორის საუკეთესოებს, ვის სჭირდებოდა, ვის აინტერესებს, ლენინის მთელი თაობის ამოწყვეტა? აი, მეც მდევნიან იმიტომ, რომ თავზე ოქტომბრის რევოლუციის შარავანდი მადგას“,** და ა.შ.

გავა წლები და ნიკიტა ხრუშჩოვი ბედნის თეზისს ბოლშევიკების, ლენინური გვარდიის კოჰორტის ამოწყვეტას სტალინს დააბრალებს.

დაუმსახურებელი ფავორიტობიდან განდევნილ ბედნის როგორ მოეპყრობიან? აღარ დაბეჭდავენ მის უნიჭო ნაწარმოებებს. მაგრამ მისი სახელობის ობიექტებს დაუტოვებენ დემიანბედნობას.

ომის დროს იგი კვლავ გამოჩნდება გაზეთების ფურცლებზე, ოღონდ სხვა ფსევდონიმით: ეფიმ პრიდვოროვი — დემიან ბედნი ლექსებს დ. ბოევოის მეტსახელით მოაწერს ხელს.

ნიკიტა ხრუშჩოვი 1956 წელს განაცხადებს, რომ ბედნი მისი უსაყვარლესი მწერალი იყო. ძნელი დასაჯერებელია, რადგან ნიკიტას ცხოვრებაში ერთი წიგნიც არ ჰქონდა წაკითხული, მით უფრო, პოეტურ კრებულს სათოფეზე არ გაჰკარებია.

1956 წელს იგივე ნიკიტა საწყალ ბედნის სიკვდილის შემდეგ პარტიაში აღადგენს.

ასეთი იყო მედროვე პოეტის აღზევების და დაცემის ისტორია.

**P.S. იოსებ სტალინმა ერთხელ, მისთვის ჩვეული პირდაპირობით დემიან ბედნის უთხრა: „იცით, რატომ ხართ ცუდი პოეტი? იმიტომ, რომ ნამდვილი პოეზია ცოტა სევდიანი უნდა იყოს“.**

## სტალინი და კინემატოგრაფია

**ფაქიზი და ყურადღებიანი დამოკიდებულება ჰქონდა სტალინს კინემატოგრაფის მიმართ. კინოს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა.** აი, რამდენიმე ისტორია, რომლებიც სტარიკოვის წიგნშია მოთხრობილი.

სტალინი ნახულობდა საბჭოთა კავშირში გადაღებულ ყველა კინოსურათს (მაშინ საკმაოდ ცოტა ფილმი გამოდიოდა და ეს შესაძლებელი იყო. დასავლურ ფილმებსაც ნახულობდა. განსაკუთრებით მოსწონდა კოვბოური ფილმები).

**„...ერთხელ, ისტორიულ-რევოლუციური ფილმი რომ ნახა, მან (სტალინმა) უცებ მეორეხარისხოვანი პოლიტკატორღელის როლის გარჩევით დაიწყო საუბარი, საკმაოდ მკაცრად შენიშნა, რომ ასეთ ადამიანებს სხვისი მონაყოლით არ იცნობს და ისინი სხვანაირები არიან. შემდეგ მისი ტონი სრულიად შეიცვალა — დაიწყო (ფილმის) ღირსებათა ჩამოთვლა და თქვა, რომ ფილმი კარგი და საჭიროა. დაბოლოს, სტალინმა გადაწყვიტა მადლობა ეთქვა რეჟისორისთვის. ყველამ აქეთ-იქით ყურება დაიწყო — ეძებდნენ რეჟისორს, რომელიც საყოველთაოდ ცნობილი და პატივცემული პიროვნება გახლდათ და მიწვეული იყო ფილმის დემონსტრაციაზე. მაგრამ გაირკვა, რომ რეჟისორი ადგილზე არ იყო. და, საერთოდ, დარბაზშიც არ არის. გაქრა. არადა, არავინ არც შესულა, არც არავინ გასულა. განა შეიძლებოდა, ადამიანი უკვალოდ გამქრალიყო?! დაიწყეს სავარძლების ქვეშ ძებნა და ორ რიგს შორის გულწასული რეჟისორი აღმოაჩინეს. მან გონება დაკარგა მაშინვე, როგორც კი სტალინმა ძველ პოლიტკატორღელზე სკეპტიკური ლაპარაკი დაიწყო, და შემდგომ რა მოხდა, არაფერი გაუგია“** *(ლ. იაგუნკოვა, სერგეი გერასიმოვი და თამარა მაკაროვა, www.fire-of-war.ru).*

იქნებ, სტალინს გაეხარდა, მისი პერსონის მიმართ ასეთი შიშის მოწმე რომ გახდა? არა. ვაგრძელებთ კითხვას: **„სტალინი შეწუხდა, განაწყენდა და ითხოვა, რომ ფილმების ასეთ ჩვენებაზე რეჟისორები აღარ მიეწვიათ. ასე რომ, „ახალგაზრდა გვარდია“ გერასიმოვის გარეშე ნახეს.**

**ეს ფილმი, რომელიც საბჭოთა კინემატოგრაფიის კლასიკა გახდა, სტალინმა გააკრიტიკა, თანაც ძალიან მკაცრად. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ კომუნისტები იქ წარმოდგენილი იყვნენ სასოწარკვეთილ და უმწო ადამიანებად: „რაზე ლაპარაკობენ ისინი? „სტალინი რომ არ ყოფილიყო, ჩვენ სად ვიქნებოდით?“ კაცმა რომ თქვას, სად არიან? ციხეში!.. რისი სწავლება შეუძლიათ ასეთ კომუნისტებს? მეორე, ევაკუაცია მცდარად არის წარმოდგენილი: ეს რა, გაქცევაა?! ჩვენი ქარხნების, ჩვენი ადამიანების ევაკუაცია გეგმიურად ხდებოდა. საიდანაა ასეთი ფაქტები? ეს ისტორიული ტყუილია. მესამე, ფილმი გაჭიანურებულია“** *(სტალინის რეპლიკები).*

ნიშანდობლივია რეჟისორ გერასიმოვის რეაქცია, მას გული არ მისდის. იგი სტალინს აწყვეტინებს, ეკამათება სტალინს. და თვითონ ასე იხსენებს:

**„აქ მე შევაწყვეტინე:**

**— ეს რომანი უყვართ და კითხულობენ: იგი სამაგიდო წიგნი გახდა. უნდა გავყვეთ რომანს, მაშასადამე, საჭიროა ორი სერია... ერთ სერიაში ვერ ჩაეტევა. მე ხელს ვერ მოვკიდებ.**

**სტალინი ჩიბუხის დასატენად მიდის — პატარა მაგიდაზე ეწყო „გერცოგოვინა ფლორის“ კოლოფები.**

**— იდიოტო, ვის ეკამათები? — ჩამჩურჩულებს ბერია.**

**— მაშ, მოვუსმინოთ გერასიმოვს, — ამბობს სტალინი.**

**დავიწყე ლაპარაკი. ვლაპარაკობდი უჩვეულოდ დიდხანს და გაცხარებით, გადავშლიდი წიგნს, ვკითხულობდი ციტატებს — ვუმტკიცებდი, რომ ფაქტობრივად ჩვენს წინაშეა ეპოსი და არ შეიძლება ფილმიდან ამოვაგდოთ მასობრივი სახალხო სცენები, ევაკუაცია და უკანდახევა, სხვაგვარად წინააღმდეგობის თემა არ აჟღერდება. და, საერთოდ, არ შეიძლება ორი სერიის ერთ სერიამდე დაყვანა, მით უფრო, რომ ზოგი რამ დამატებითაა გადასაღები. ბოლოს, ყელი ისე გამიშრა, რომ დავდუმდი. შიში არ მქონდა — ინტუიციურად ვგრძნობდი, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა.**

**სტალინმა თქვა:**

**— აი, რა ჯიუტი კაცია. მივცეთ უფლება, გააკეთოს ორი სერია? იმუშაოს. მთავარია, რომ მას დროზე შევუსწორეთ. უმჯობესია ვილაპარაკოთ აქ, ვიწრო წრეში, შეცდომებისგან დავიცვათ, ვიდრე დაველოდოთ, სანამ ეს შეცდომები საერთო განსჯის საგანი გახდება.**

**ფილმზე მუშაობა გაგრძელდა. შენიშვნების გათვალისწინებით გადაკეთდა პირველი და დამატებითი გადაღებები მოვაწყვეთ მეორე სერიის“** *(მითითებული ნაშრომი).*



ტიხონ ხრენიკოვი



სემიონ ტიმოშენკო



კონსტანტინ სედიხი

**დაიწყეს სავარძლების ქვეშ ძებნა და ორ რიგს შორის გულწასული რეჟისორი აღმოაჩინეს. მან გონება დაკარგა მაშინვე, როგორც კი სტალინმა ძველ პოლიტკატორღელზე სკეპტიკური ლაპარაკი დაიწყო, და შემდგომ რა მოხდა, არაფერი გაუგია“**

...ფრიად დამახასიათებელია კიდევ ერთი ისტორია. იმის შესახებ, თუ როგორ დართო ნება სტალინმა **სემიონ ტიმოშენკოს** ფილმს „სამი ამხანაგი“. ეს სურათი 1936 წელს გამოვიდა. 1934 წლის დეკემბერში მოკლეს კიროვი. დღეს მის სიკვდილს აბრალებენ სტალინს, რაც კოლოსალური სიცრუე და წარმოუდგენელი სისულელეა... კიროვი სტალინის უახლოესი მეგობარი და ფაქტობრივად მისი მემკვიდრე იყო. ამ რთულ ვითარებაში ეკრანზე გამოდის ფილმი, რომელშიც ვინმე უარყოფითი პერსონაჟი, გვარად ზაიცევი, სადგურისპირა ბაზარში ყიდულობს მჟავე კიტრს და ახვევს... ჟურნალ „ბოლშევიკში“. სტალინი ამ ფილმს 1934 წლის დეკემბრის ბოლოს ნახულობს (ანუ უცებვე კიროვის მკვლელობის შემდეგ), ხედავს ამ მომენტს. რას აკეთებს? ჩვენების ნებას რთავს. ვითარების სრულად წარმოსაჩენად უნდა ვთქვათ, რომ ეს ყველაფერი მოხდა „სოიუზკინოქრონიკის“ ხმოვანი კინოჟურნალის განხილვის შემდეგ. ჟურნალში კიროვთან გამომშვიდობება იყო გადაღებული.

**ხომ გახსოვთ ლიბერალური ისტორიკოსების საშინელი ისტორიები — ათი წელიწადი სტალინის პორტეტიანი გაზეთის დაჭმუჭნისათვის. აქ კი რეალური შემთხვევაა: ჟურნალ „ბოლშევიკში“ მჟავე კიტრის გახვევა და შემდეგ ამ ჟურნალიდან დანარჩენი ფურცლების ამოხევა და გადაყრა. ეს ეპიზოდი ფილმში საკმაო ხანს გრძელდება და ჟურნალის ყდა მსხვილი პლანით ჩნდება ეკრანზე.** ორჯერ გამოჩნდება, ისე რომ ამის არდანახვა შეუძლებელია *(vorontsova-nvu. livejournal. com).* ამ შემთხვევის გადმომცემი ბორის შუმიაცკი ამბობს: **„(ფილმის) ნახვის დროს ძალიან იცინოდნენ... კობამ და სხვებმა მიუთითეს, რომ კარგია და კარგადაც მიიღებენ, მაგრამ არის ადგილები, რომლებიც დაზუსტებას მოითხოვს“** *(იქვე).*

რა დაზუსტებები შეიტანა სტალინმა? კიტრებისა და ჟურნალ „ბოლშევიკის“ შესახებ სიტყვა არ თქმულა. ადგილები, რომლებიც სტალინის აზრით დაზუსტებას მოითხოვდა, შემდეგი იყო: **„პირველი ისაა, რომ ზაიცევმა მეურნეობრიობის თავისი „სისტემის“ დანერგვით სერიოზულად დააზარალა სხვა საწარმოები და სახელმწიფო, ან პირადად იყო მომხვეჭელი. ადგილ-ადგილ ძალიან ბევრს ლაპარაკობენ. რაიკომის მდივანი ლაცისთან საუბრისას ხეპრე და გაუნათლებელი ჩანს“** *(იქვე).*

აი, ყველა დაზუსტება. სიტყვა არ თქმულა ანტისაბჭოურობასა და ტროცკიზმზე. მხოლოდ — ტექნიკური შენიშვნები...

## „სტალინი სავსებით ნორმალური ადამიანი იყო“

**ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა სტალინს კულტურის სხვა „შემადგენელ ნაწილთან“ — კომპოზიტორებთან. გთავაზობთ ნაწყვეტს ტიხონ ხრენიკოვთან გამართული საუბრის.**

1939 წელია. ლიბერალურ ისტორიკოსებს თუ დავუჯერებთ, ყველა შიშისა და უბედურების განცდის ატმოსფეროში ცხოვრობს. აი, კომპოზიტორმა ხრენიკოვმა კი რატომღაც არ იცის, რა ხდება მის გარშემო. თუმცა იმ დროში ცხოვრობდა და ერთხელ სტალინის წინაშე სერიოზულადაც „ჩაიჭრა“. **ჩვენ ხომ ყოველთვის ჩაგვჩიჩინებენ, რომ ბელადს აუცილებლად სჭირდებოდა მოკვლა ვინმესი, ვინც მასზე ნიჭიერი და პერსპექტიულია. მაგრამ რეალობაში სტალინი სულ სხვანაირი იყო. როგორი? ნორმალური ადამიანი იყო.**

**„ტიხონ ხრენიკოვი: ...სტალინი, მოლოტოვი და ვოროშილოვი მოვიდნენ თეატრში ჩემი ოპერის მოსასმენად... მოხდა ისე, რომ იმ საღამოს კიევში ვიყავი. წარმოიდგინეთ, იმავე ოპერის პრემიერაზე. არადა, ვლადიმერ ივანესძემ (ნემიროვიჩ-დანჩენკომ) გამაფრთხილა, მითხრა, რომ არ გავმგზავრებულიყავი. საქმე ის იყო, რომ მან დაპატიჟა სტალინი, ისიც დაპირდა, რომ ერთ-ერთ უახლოეს სპექტაკლზე მოვიდოდა. მაგრამ მე კიევში უნდა წავსულიყავი... და გავემგზავრე... ის კი მაინც და მაინც მომდევნო სპექტაკლზე მოვიდა.**

**— გული დაგწყდათ?**

**— ეგ ის სიტყვა არ არის. წარმოიდგინეთ: მე კიევში ჩემი ოპერის პრემიერაზე ჩავდივარ, „გაზეტჩიკები“ კი ყვირიან: „ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი და ვოროშილოვი ტიხონ ხრენიკოვის ოპერის „ქარიშხალში!“ დადგმას ესწრებიან.**

**— რა გითხრათ ნემიროვიჩ-დანჩენკომ?**

**— გამლანძღა! იმიტომ, რომ, მეუბნება, ამხანაგმა სტალინმა ლოჟაში მე და თქვენ მიგვიწვია, და გაუკვირდა, რომ თქვენ არ იყავით. ჰოდა, იმის ახსნა მომიწია, რომ თქვენ ამავე ოპერის პრემიერაზე იმყოფებით კიევში... რა მექნა? თმებს ვიგლეჯდი, მაგრამ გვიან იყო“** *(ვ. კოჟემიაკო. მის სიმღერებს მთელი ქვეყანა მღერის. sovross.ru).*

რით დამთავრდა ეს კონფუზი? იმით, რომ სტალინმა სპექტაკლი შეაქო. მაგრამ სტალინი ხომ გულღვარძლიანი და შურისმაძიებელი იყო?

არა, სტალინი ნორმალური იყო. ამიტომაც ყველაფერი გაიგო და არ წყენია. ბოლოს და ბოლოს, მისი ვიზიტის ზუსტი თარიღი არ დათქმულა. ათი წლის შემდეგ სტალინმა ხრენიკოვი სტალინური პრემიების ორგკომიტეტის გენერალურ მდივნად და, ამასთან, კომიტეტის მუსიკალური სექციის თავმჯდომარედ დანიშნა.

ხრენიკოვი იხსენებს: **„განვიხილავდით კონსტანტინე სედიხის რომანს „დაურია“. შესანიშნავი რომანი იყო. წავიკითხე და ძალიან მომეწონა. კომიტეტში ფარულ კენჭისყრაში გაიმარჯვა: მეორე ხარისხის პრემიაზე წარადგინეს. ერთადერთი ადამიანი, რომელიც ამ წიგნის წინააღმდეგ გამოვიდა, ფადეევი იყო. სტალინი ეუბნება: „ამხანაგო ფადეევ, ეს ხომ პუბლიცისტიკა არ არის, ეს ხომ მხატვრული ნაწარმოებია. მიმაჩნია, რომ იქ შესანიშნავადაა ნაჩვენები პარტიის როლი. მხატვრულ ნაწარმოებში, რომანში აუცილებელი ხომ არ არის აბსოლუტური სიზუსტით იყოს ნაჩვენები ცალკეული ისტორიული ეპიზოდები, წვრილი ფაქტები, რომლებიც მეხსიერებაში აღგვბეჭდათ, იქ რომ ცხოვრობდით, მაშინ. ეს შესანიშნავი წიგნია“.**

**ფადეევი კვლავ შეეპასუხება: „ამხანაგო სტალინ, არ გეთანხმებით, მე ამ წიგნის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ“, და განაგრძობს თავის არგუმენტებს, თავისას ამტკიცებს. სტალინი მიმართავს: „ამხანაგო ფადეევ, ასე არ შეიძლება. ეს ხომ ლიტერატურული ნაწარმოებია, რომელსაც გატაცებით წაიკითხავენ. შესანიშნავად არის ნაჩვენები შორეულ აღმოსავლეთში ჩვენი რევოლუციის ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელი“.**

**— ფადეევი კამათობდა?! მაშასადამე შეიძლებოდა სტალინთან კამათი?!**

**— რატომაც არა? ფადეევი არა მარტო კამათობდა, არამედ ძალიან მკვეთრად ეპასუხებოდა სტალინს. ვერ შეთანხმდნენ. კონსესუსს ვერ მიაღწიეს“** *(იქვე).*

ფადეევი ურყევად იდგა თავისაზე. მაშინ სტალინმა პოლიტბიუროს მიმართა: რა ვქნათ, მივცეთ პრემია სედიხს? და ფადეევის მოსაზრების საწინააღმდეგოდ პრემია მისცეს. აი, ტიხონ ხრენიკოვის სიტყვები, რომელსაც რამდენიმეჯერმე აქვს მონაყოლი ეს ისტორია სხვადასხვა ვარიაციებით:

**„სტალინი სავსებით ნორმალური ადამიანი იყო“.**

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ნეიტრონული ვარსკვლავის ზედაპირის მიზიდულობა დედამიწისას 100 მილიარდჯერ აღემატება. ნეიტრონული ვარსკვლავის სიახლოვეს რომ აღმოჩნდეთ, მის ზედაპირზე 200 000 კმ/წმ სიჩქარით დაეცემით, რაც სინათლის სიჩქარის 2/3-ია. ხოლო თუკი ზედაპირს ჯერ ტერფებით შეეხებით, ფეხებზე მოქმედი გრავიტაციული ძალა თავზე მოქმედთან შედარებით 76 მილიონჯერ მეტი იქნება.

# ნეიტრონული ვარსკვლავები

**კოსმოსის კვლევის ეპოქაში ერთ-ერთი უდიდესი სიურპრიზი იყო იმის აღმოჩენა, რომ „მკვდარ“ ვარსკვლავებს ზოგჯერ გაცილებით მეტი ენერგია აქვთ, ვიდრე „ცოცხლებს“. როდესაც მზეზე 1.5-3-ჯერ მძიმე ვარსკვლავი ამოწურავს თავის ბირთვში არსებულ ენერგიას, ეწყება გრავიტაციული კოლაფსის პერიოდი და გარდაიქმნება ნეიტრონულ ვარსკვლავად. მისი დიამეტრი საშუალოდ 20 კმ-ია, მაგრამ იმდენად მკვრივია, რომ 1 კუბური სანტიმეტრი რამდენიმე მილიარდ ტონას იწონის.**



ვარსკვლავის საწვავი წყალბადია, ბირთვული რეაქციები გარდაქმნის მას ჰელიუმად, შედეგად კი სითბო და სინათლე გამოიყოფა. მაგრამ, როდესაც წყალბადის მარაგი იწურება, ვარსკვლავი იკუმშება და პატარავდება, ბირთვის შეკუმშვა კი მის გახურებას იწვევს. ამას მოჰყვება ზედა ფენების გაფართოება, ჰელიუმი ნახშირბადად გარდაიქმნება, ნახშირბადი კი – მძიმე ელემენტებად, მაგალითად — რკინად. როცა ვარსკვლავის ბირთვი რკინისა ხდება, ის აღარ იწვის, გრავიტაციული ძალა იწვევს მის კოლაფსს, შემდეგ კი ფეთქდება და მიიღება სუპერნოვა. ხოლო ბირთვისგან დარჩენილი მასა რაღაც პერიოდის შემდეგ ნეიტრონულ ვარსკვლავად ყალიბდება.

**ის მატერია, რომელსაც ჩვენ გარშემო ვხედავთ, შედგება ატომებისგან, ამ უკანასკნელის კომპონენტები კი პროტონი, ნეიტრონი და ელექტრონია. ატომები ერთმანეთისგან გარკვეული მანძილითაა დაშორებული, მაგრამ ნეიტრონულ ვარსკვლავში მატერია ძირითადად შედგება ნეიტრონებისგან, რომლებიც ბოლომდეა შემჭიდროებული და ერთმანეთს ეხება, რაც ვარსკვლავს შესაბამისად ანიჭებს უკიდურეს სიმკვრივესა და წარმოუდგენელ მასას.**

გრავიტაციული კოლაფსისას მიზიდულობის ძალა გადაწონის ელექტრონების წინააღმდეგობას, აერთიანებს მათ პროტონებთან და ქმნის ნეიტრონებს. გრავიტაციული კოლაფსი იმდენად ძლიერია, რომ ატომები იშლება და საბოლოოდ მხოლოდ ახლადწარმოქმნილი ნეიტრონების კოლექტიური წინააღმდეგობის მეშვეობით ხდება ამ პროცესის შეჩერება. შედეგად კი მიიღება ბუნების ერთ-ერთი საოცრება — ნეიტრონული ვარსკვლავი.

ნეიტრონული ვარსკვლავის ბირთვის კოლაფსს დედამიწაზე ანალოგი არ გააჩნია. ეს იგივე იქნებოდა, ემფაიარ სთეით ბილდინგის ზომის შენობა წონის შენარჩუნებით 1 სმ-მდე დაპატარავებულიყო ან თვითმფრინავი „ბოინგ 747“ — ქვიშის მარცვლამდე.

მთელი კაცობრიობა ნეიტრონის ვარსკვლავის მსგავსად რომ შეიკუმშოს, სიგარის ზომის ობიექტი მიიღება, ხოლო ერთი ჩაის კოვზი ნეიტრონული ვარსკვლავი 6 მილიარდ ტონას იწონის!

ნეიტრონული ვარსკვლავი სამყაროში რიგით მეორე ყველაზე მკვრივი ობიექტია. ერთადერთი რამ, რაც მას ჯობნის, შავი ხვრელია. ასტრონომები თვლიან, რომ განსხვავებით სხვა ტიპის ვარსკვლავებისგან, ნეიტრონული ვარსკვლავის ზედაპირიც უკიდურესი სიმჭიდროვით გამოირჩევა.

ზოგჯერ ნეიტრონული ვარსკვლავები ერთმანეთს ეჯახებიან და იქმნება წყვილი, რომელიც ხანგრძლივი დროის შემდეგ ერთიანდება და გარდაიქმნება შავ ხვრელად, გამოყოფილი სინათლის ნაკადებისგან კი უზარმაზარ მაგნიტურ ველს ქმნის. ამ დროს მისი სიკაშკაშე მზისას მილიარდჯერ აღემატება.

სიმკვრივის გარდა, ნეიტრონულ ვარსკვლავებს სხვა თვისებებიც გამოარჩევთ დანარჩენი ვარსკვლავებისგან. აღსანიშნავია მათი ღერძის გარშემო ბრუნვის სიჩქარე — ზოგ შემთხვევაში ეს მაჩვენებელი წამში რამდენიმეა, ზოგჯერ კი — 1000-ზე მეტი. ამ შემთხვევაში მცირე ზომა ნეიტრონული ვარსკვლავისთვის ხელშემწყობი თვისებაა — თუკი მისი დიამეტრი 16 კმ-ზე მეტი იქნება და წამში 700-ჯერ იბრუნებს, მაშინვე ნაწილებად დაიშლება.

**ნეიტრონული ვარსკვლავის ზედაპირის მიზიდულობა დედამიწისას 100 მილიარდჯერ აღემატება. ნეიტრონული ვარსკვლავის სიახლოვეს რომ აღმოჩნდეთ, მის ზედაპირზე 200 000 კმ/წმ სიჩქარით დაეცემით, რაც სინათლის სიჩქარის 2/3-ია. ხოლო თუკი ზედაპირს ჯერ ტერფებით შეეხებით, ფეხებზე მოქმედი გრავიტაციული ძალა თავზე მოქმედთან შედარებით 76 მილიონჯერ მეტი იქნება.**

ახალშობილი ნეიტრონული ვარსკვლავის ბირთვში ტემპერატურა ზოგჯერ 1 ტრილიონ გრადუსს აღწევს, მაგრამ ნაწილაკების გამოტყორცნის შედეგად სწრაფად გრილდება და დაახლოებით 1000 წელიწადში რამდენიმე მილიონ გრადუსამდე ეცემა.

ამ დროისთვის ასტრონომებს 2000-მდე ნეიტრონული ვარსკვლავი აქვთ აღმოჩენილი, თუმცა ვარაუდობენ, რომ „ირმის ნახტომის“ გალაქტიკაში მათი რიცხვი დაახლოებით მილიარდია. ამის მიზეზი ისაა, რომ ნეიტრონული ვარსკვლავების უმეტესობა მილიარდობით წლისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში მათმა ტემპერატურამ იკლო და საკმარისი სიმძლავრის რადიოტალღებს ველარ გამოსცემენ. თუმცა ახალგაზრდა ვარსკვლავებიც ხშირად უჩინარია რადიოტელესკოპებისთვის და მეცნიერები ჯერჯერობით მხოლოდ ყველაზე ახალი და ენერგიული ნეიტრონული ვარსკვლავების აღმოჩენას ახერხებენ.



## ახალი ტიპის ხელოვნური სისხლი

**ადამიანის სისხლის მარაგი ძალიან საჭირო რამაა, მხოლოდ აშშ-ის ტერიტორიაზე გადასხმა ყოველ ორ წამში ხორციელდება, დღეში კი 41 000 დონორია საჭირო. ამერიკელების 38% დონორად ვარგისია, მაგრამ ამის სურვილი მხოლოდ 10%-ს აქვს.**

თუმცა სინთეტიკურმა სისხლმა შეიძლება სიტუაცია შეცვალოს. რუმინელი მკვლევარების მიერ ლაბორატორიაში შექმნილი სისხლის პირველმა ტესტებმა დამაიმედებელი შედეგი აჩვენა. ის შედგება ტრადიციული კომპონენტებისგან, როგორიცაა წყალი, მარილი და ალბუმინი (წყალში ხსნადი უმარტივესი ცილა), მაგრამ პროტეინები აღებულია უჩვეულო წყაროდან — ზღვის ჭიებისგან.

რკინის ცილები და ჰემერითრინი ჟანგბადის ტრანსპორტირებასა და შენახვას უზრუნველყოფს. ჰემერითრინი სისხლს გამძლეობასაც ჰმატებს, რაც მანამდე სინთეტიკური სისხლის მინუსი იყო. თაგვებზე ცდები წარმატებული აღმოჩნდა და რუმინელი მეცნიერები თვლიან, რომ ორ წელიწადში ფორმულა მზად იქნება ადამიანებზე გამოსაცდელად.

## ექვსკუდიანი ასტეროიდი

**ეს ნამდვილად ასტეროიდია და არა კომეტა.**

„P/2013 P5“ პირველად აგვისტოში შენიშნეს და დაადგინეს, რომ მოძრაობისას მტვერსა და ნაწილაკებს ყრიდა, რაც უკან კუდის შესახედაობას ტოვებდა. ბოლოდროინდელი სურათების უფრო დეტალურმა ანალიზმა კი აჩვენა, რომ ამ ასტეროიდს ექვსი კუდი ჰქონია.

მისი ზომა დაახლოებით 480 მეტრია. კუდებზე დაკვირვება განხორციელდა ჰაბლის კოსმოსური ტელესკოპის მეშვეობით. მან თავიდანვე მიიპყრო ასტრონომების ყურადღება, რადგან ასტეროიდები, როგორც წესი, მანათობელ წერტილებად ჩანან ცაზე, „P/2013 P5“-ს კი უჩვეულო ფორმა ჰქონდა.

მაშინ ივარაუდეს, რომ ასტეროიდი სწრაფად ბრუნავდა ღერძის გარშემო და ზედაპირზე არსებულ მტვერს ყრიდა. მაგრამ გაოცებული დარჩნენ უფრო დეტალური ფოტოების ხილვით, როცა აღმოჩნდა, რომ მას ექვსი კუდი ჰქონდა სხვადასხვა მიმართულებით, როგორც ველოსიპედის ბორბალს – მანები. საინტერესოა, რამ გამოიწვია ასე სწრაფად ბრუნვა. მეცნიერები გამორიცხავენ, რომ კუდების გაჩენის მიზეზი ასტეროიდის რაიმე ობიექტთან შეჯახებაა.






## გრიპის ვირუსის 3D მოდელი

**ვისკონსინ-მედისონის უნივერსიტეტის მეცნიერებმა შექმნეს ჩვეულებრივი გრიპის ვირუსის (Rhinovirus C) 3D მოდელი. სწორედ ეს ვირუსი იწვევს ბავშვებში ხშირად გაციებას. Rhinoviruse A, B და C ვირუსებისგან განკურნებისთვის ყოველ წელს მსოფლიო მასშტაბით 40 მილიარდი დოლარი იხარჯება.**

A და B ვარიანტები ადვილი სამკურნალოა, C-სთან მიმართებაში კი ბევრი წამალი უძლური ხდება. 3D მოდელით შესაძლებელი გახდა მიზეზის გარკვევა. საქმე ისაა, რომ ამ ვირუსის ცილოვანი გარსი მნიშვნელოვნად განსხვავდება მისი „თანამოძმეებისგან“, მისი მეშვეობით ახდენს ის მასპინძლის უჯრედებში დაბინავებას და იმუნური სისტემის დასუსტებას. აქამდე ეს მექანიზმი უცნობი იყო, შესაბამისად, მეცნიერები მალე დაიწყებენ ახალი ტიპის ეფექტურ წამლებზე მუშაობას.



სიცოცხლის ბოლო წლებში ტესლამ ადამიანის ოპტიმალურ დიეტაზეც შეიმუშავა თავისი თეორია. ის მიირთმევდა უფრო მეტ რძესა და თაფლს, თვლიდა, რომ ეს ორი რამ იყო ყველაზე სუფთა საკვები. 1940-იან წლებში ტესლამ წონა დაკარგა და საკმაოდ გახდა, რამაც ხელი შეუწყო იმ აზრის გავრცელებას, რომ სიცოცხლის ბოლო წლებში მეცნიერს საარსებო სახსრებიც აღარ ჰქონდა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნიკოლა ტესლას წინასწარმეტყველებანი



**1930-იან წლებში New York Times-ის, Time-ისა და სხვა ცნობილი გამოცემების ჟურნალისტები რეგულარულად სტუმრობდნენ ნიკოლა ტესლას, რომელიც იმ დროს მანჰეტენში მდებარე სასტუმრო Governor Clinton-ის მეოცე სართულზე ცხოვრობდა. მეცნიერი მათ უამბობდა თავის პირველ გამოგონებებზე, ასევე უზიარებდა მოსაზრებებს, თუ როგორი წარმოედგინა მომავალი.**

განსაკუთრებით საინტერესოა 1935 წლის 9 თებერვალს ჟურნალ Liberty-ში გამოქვეყნებული სტატია. ის არ ჰგავდა იმ პერიოდში მრავლად დაბეჭდილ უბრალო ინტერვიუებს. ჟურნალისტმა სილვესტერ ვაირეკმა სხვადასხვა დროს ინტერვიუები აიღო ისეთი ცნობილი ადამიანებისგან, როგორებიც იყვნენ ალბერტ აინშტაინი, თეოდორ რუზველტი და ადოლფ ჰიტლერი. სწორედ მისი დამსახურებით შემორჩა კაცობრიობას ერთ-ერთი უდიდესი გამომგონებლის — ნიკოლა ტესლას წარმოდგენები 21-ე საუკუნეზე.

აშშ-ის გარემოს დაცვის სააგენტოს შექმნამდე ჯერ კიდევ 35 წელი იყო დარჩენილი, მაგრამ ტესლამ იცოდა, რომ შემდეგი 100 წლის განმავლობაში მსგავსი რამ აუცილებლად შეიქმნებოდა.

**„ჰიგიენა და ფიზიკური კულტურა მთავრობის მიერ აღიარებული დარგები გახდება. 2035 წელს აშშ-ის პრეზიდენტისთვის ჰიგიენისა და ფიზიკური კულტურის სამდივნო გაცილებით მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე ომის სამდივნო. გარემოს იმ მასშტაბით დაბინძურება, როგორიც დღეს ნიუ იორკშია, მიუღებელი იქნება ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისთვის, ისევე, როგორც ჩვენი ცხოვრებაა წარმოუდგენელი წყალსადენების გარეშე. წყლის მიწოდებას უფრო ყურადღებით მოეპყრობიან და მხოლოდ მთვარეული თუ დალევს გაუფილტრავ წყალს“.**

ტესლას წარმოდგენილ მომავლის სამყაროში ადამიანებისთვის პრიორიტეტი იქნებოდა მეცნიერული აღმოჩენები და არა ომი.

**„დღესდღეობით ცივილიზებული ქვეყნების უმეტესობა შემოსავლის მაქსიმუმს ხარჯავს ომზე და მინიმუმს — განათლებაზე. 21-ე საუკუნე ამ დამოკიდებულებას შეცვლის. ომის ველზე დაღუპვაზე უფრო ღირსეული საქმე უცოდინარობასთან ბრძოლა გახდება. ახალი მეცნიერული რეალობის აღმოჩენა თავისი მნიშვნელობით დიპლომატების კინკლაობაზე წინ დადგება. ჩვენი დროის გაზეთებიც კი მეცნიერულ აღმოჩენებსა და ახალი ფილოსოფიური იდეების გაჩენას უკვე ახალ ამბებად აღიქვამენ. 21-ე საუკუნის გაზეთებში კრიმინალი და პოლიტიკური დაძაბულობა ბოლო გვერდებზე გადაინაცვლებს, პირველი გვერდის სათაურები კი ახალ მეცნიერულ ჰიპოთეზებს დაეთმობა“.**

სიცოცხლის ბოლო წლებში ტესლამ ადამიანის ოპტიმალურ დიეტაზეც შეიმუშავა თავისი თეორია. ის მიირთმევდა უფრო მეტ რძესა და თაფლს, თვლიდა, რომ ეს ორი რამ იყო ყველაზე სუფთა საკვები. 1940-იან წლებში ტესლამ წონა დაკარგა და საკმაოდ გახდა, რამაც ხელი შეუწყო იმ აზრის გავრცელებას, რომ სიცოცხლის ბოლო წლებში მეცნიერს საარსებო სახსრებიც აღარ ჰქონდა.

**„უფრო მეტი ადამიანი დაიღუპება ან დაავადდება დაბინძურებული წყლით, ვიდრე ყავისგან, ჩაისგან, თამბაქოსგან და სხვა სტიმულანტებისგან. მე პირადად ყველა სტიმულანტს თავს ვარიდებ, ასევე ვერიდები ხორცს. მჯერა, რომ შემდეგ საუკუნეში ყავა, ჩაი და თამბაქო პოპულარული აღარ იქნება, თუმცა ალკოჰოლი ისევ ხმარებაში იქნება. ის არა სტიმულანტი, არამედ სიცოცხლის ელექსირია. სტიმულანტების აკრძალვა ძალის გამოყენებით არ მოხდება. უბრალოდ მოდაში აღარ იქნება ორგანიზმის მოწამვლა საშიში ინგრედიენტებით. ბერნარ მაკფადენმა აჩვენა, როგორ შეიძლება გემრიელი დიეტის მიღება ისეთი ბუნებრივი პროდუქტებით, როგორიცაა რძე, თაფლი და ხორბალი. მჯერა, რომ საკვები, რომლებსაც მის რესტორანში ამზადებენ, XXI საუკუნეში საყოველთაო გახდება. საკმარისი ხორბალი იქნება იმისთვის, რომ მთელი მსოფლიო გამოიკვებოს, მათ შორის ინდოელი და ჩინელი მოსახლეობა, რომლებიც ამჟამად შიმშილის ზღვარზეა“.**

ტესლა რობოტიკაში 1890-იანებში ჩაება, როცა დააპატენტა შორიდან კონტროლირებადი ნავი, ამ გამოგონებამ შოკში ჩააგდო 1898 წლის გამოფენაზე მედისონ-სკვერ-გარდენში მისული მნახველები.

**„ამჟამად ჩვენს ცივილიზაციაში არეულობაა, რადგან მანქანების ეპოქას ჯერ ვერ მივესადაგეთ. პრობლემების აღმოფხვრის გზა არა განადგურებაში, არამედ მექანიზმების დამორჩილებაშია. უამრავი რამ, რასაც ამჟამად ადამიანები აკეთებენ, შესრულდება მანქანების მიერ. ამერიკელი მეცნიერები ცდილობენ, ლაბორატორიაში შექმნან ე.წ. მოაზროვნე მანქანა. მე ვიცოდი, რომ ასეც მოხდებოდა. რამდენიმე „რობოტი“ მეც მაქვს შექმნილი. 21-ე საუკუნის რობოტები კი იმ ადგილს დაიკავებენ, რომლებიც ანტიკურ ცივილიზაციებში მონებს ეკავათ. ეს გაათავისუფლებს კაცობრიობას და დაეხმარება მისწრაფებებისკენ სვლაში.**

**შემდეგი საუკუნის დადგომამდე ტყის მასივების აღდგენა და ბუნებრივი რესურსების მეცნიერული განკარგვა ბოლოს მოუღებს გამანადგურებელ გვალვებს, მასიურ ხანძრებსა და წყალდიდობებს. წყლის ძალის გამოყენება და მისი შორ მანძილზე გადაცემა გამოიწვევს ენერგიის საფასურის შემცირებას და საწვავი მასალის მნიშვნელობის შემცირებას. გადარჩენისთვის ბრძოლა ისეთი მწვავე აღარ იქნება, განვითარება კი იდეალური ხაზით უფრო წავა, ვიდრე მატერიალურით“.**

ნიკოლა ტესლას ბევრი გამოგონების საჭიროება დღეს უფროა აღიარებული, ვიდრე წარსულში. მისი იდეები მომავალ სრულყოფილ სამყაროზე, შესაძლოა, ცოტა უცნაური იყო, მაგრამ მან სწორად განჭვრიტა, რას დააფასებდნენ 21-ე საუკუნეში — სუფთა ჰაერს, ჯანსაღ საკვებს და მოაზროვნე მანქანებს.

# უცნაური სამეცნიერო კვლევები

**რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, ამ კვლევების ავტორებმა მოახერხეს და გრანტები და პრემიებიც კი მიიღეს მიღწეული შედეგებისთვის. არადა, კვლევის ნაშრომები, მარტივად რომ ვთქვათ, მართლაც უცნაურია.**



რუსლან კრეჩეტნიკოვი და ჰანს მაიერი დაჯილდოებულნი იქნენ პრემიით სითხის დაღვრის შესწავლის სფეროში. მათ გამოიკვლიეს, თუ რა ემართება ადამიანს, რომელსაც მიაქვს ყავით სავსე ჭიქა და დაამტკიცეს: სითხისა და ფეხების მოძრაობა ერთმანეთთან შეხამებულია ისეთნაირად, რომ ყველაზე ხშირად ადამიანს ყავა ელვრება მე-7 და მე-10 ნაბიჯს შორის.



ამერიკის საალრიცხვო სამმართველოს პრემია გადაეცათ მეცნიერებს ანგარიშის ანგარიშისთვის, რომელიც ამზადებს ანგარიშს ანგარიშის ანგარიშის ანგარიშის შესახებ.



გუსტანო პიზომ პრემია მიიღო იმისათვის, რომ გამოიგონა თვითმფრინავის გატაცების საწინააღმდეგო საშუალება. ელექტრომექანიკური სისტემა ტერორისტს გამოისვრის გარეთ, შეკრავს მას და პარაშუტით აგზავნის დედამიწაზე, სადაც მას ხვდება წინასწარ ინფორმირებული პოლიცია.



გერმანელმა მეცნიერებმა მიიღეს პრემია არქეოლოგიის დარგში იმისათვის, რომ შეწვეს და მთლიანად დაუღეჭავად გადაყლაპეს თხუნელა, რათა შემდეგ გამოეკვლიათ თავიანთი ექსკრემენტები მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში. რატომ გააკეთეს ეს? მეცნიერებს უნდოდათ გამოეკვლიათ, რომელი ძვლებს მოინელებდა მათი ორგანიზმი და რომელს — არა.



ამერიკელ მეცნიერებს გადასცეს პრემია იმის დადგენისთვის, რომ თავის ტვინის ანალიზის რთულ ხელსაწყოებს შეუძლია, დააკვირდეს ყველანაირი ტვინის მუშაობას, მკვდარი ლოქოს შემთხვევაშიც კი.



პრემია ალბათობის დარგში მიიღეს ნიდერლანდელმა მკვლევარებმა, რომელთაც დაადგინეს, რომ, რაც უფრო დიდხანს წევს ძროხა, მით უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ ის ფეხზე ადგება... და როცა ფეხზე ადგება, უკვე ძნელია იმის ალბათობის გამოთვლა, როდის დაწვება ისევ.



იაპონელმა მეცნიერებმა პრემია მიიღეს იმის დადგენისთვის, რომ ბიოქიმიური პროცესი, რომელიც ჩვენ გვატირებს ხახვის დაჭრის დროს, გაცილებით რთული ქიმიური პროცესია, ვიდრე მეცნიერებს ეგონათ.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ადამიანის სხეულის ახალი ნაწილი

**ბევრი თქვენგანისთვის ეს, ალბათ, წარმოუდგენელია, მაგრამ ლევენის უნივერსიტეტის ორმა ქირურგმა ადამიანის სხეულის სრულიად ახალი ნაწილი აღმოაჩინა.** ის მუხლში მდებარე იოგია და, როგორც ჩანს, გარკვეულ როლს თამაშობს სპორტსმენებში გავრცელებულ მუხლის ტრავმებსა და ტკივილებში, კონკრეტულად კი წინა ჯვარედინა იოგის დაზიანებაში. მას „ანტეროლატერალური იოგი" უწოდეს და მაშინ აღმოაჩინეს, როცა წჯი-ს ტრავმიდან გამოკეთების შემდეგ პაციენტებში დაზიანების სავარაუდო მიზეზებს იკვლევდნენ. წინასწარი მონაცემებით, ეს ნაწილი გააჩნია ადამიანთა 97-100%-ს და მისი ფუნქციაა მუხლის მოძრაობის სტაბილიზაცია. აღსანიშნავია, რომ მის არსებობას ჯერ კიდევ 1879 წელს ვარაუდობდა ფრანგი ქირურგი პოლ სეგონდი. ბოლოს ადამიანის სხეულის ახალი ნაწილი 2013 წლის ივნისში აღმოაჩინეს. ის რქოვანას მიკროსკოპული გარსია და ამ აღმოჩენის წყალობით თვალის ოპერაციები მნიშვნელოვნად გაამარტივა. შესაბამისად, ანატომიაში ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია სრულყოფილი ცოდნა, როგორც ეს ბევრს ჰგონია.





## ბრაზილიაში საფლავიდან ცოცხალი კაცი ამოვიდა

**ბრაზილიაში, ქალაქ სან-პაულუში მდებარე სასაფლაოზე უჩვეულო ინციდენტი მოხდა — საფლავიდან ცოცხალი კაცი ამოვიდა.**

თვითმხილველი ბრაზილიელი ქალია, რომელიც ოჯახის წევრის საფლავზე იმყოფებოდა. ქალი საზარელი სანახაობის გამო გაოგნებულია. მისი თქმით, სასაფლაოდან ბრუნდებოდა, როდესაც საფლავიდან მიწა იძრა და კაცის ხმა მოესმა. თვითმხილველის თქმით, ამან ისე დააბნია, რომ ნაბიჯის გადადგმა ვერ შეძლო — რამდენიმე წამში საფლავიდან მამაკაცის თავი და მკლავები გამოჩნდა.

ამის შემხედვარე ქალი კივილით გავარდა სასაფლაოდან, თუმცა მოგვიანებით დაბრუნდა და პოლიციაში დარეკა. მიუხედავად მცდელობისა, ქალმა ვერ შეძლო სამართალდამცველები მომხდარში დაერწმუნებინა, რის გამოც სასაფლაოს დაცვას მიმართა დახმარებისთვის. ცოცხლად დამარხული ადამიანი სასწრაფოდ გადაიყვანეს საავადმყოფოში. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

პოლიციის ინფორმაციით, მამაკაცი ჩხუბის დროს თავდამსხმელებმა სცემეს, შემდეგ ახლომდებარე სასაფლაოზე წაიყვანეს და ცოცხლად დამარხეს.

## ადამიანი, რომელმაც ჰიტლერი შეიწყალა

**კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დაუნდობელი და ამაზრზენი დიქტატორის — ადოლფ ჰიტლერის კარიერა მილიონობით ადამიანის წამებასა და განადგურებაზე იყო აგებული, თუმცა ამის აცილება შეეძლო ერთ ადამიანს, სახელად ჰენრი ტენდის, სულ რაღაც ერთი ტყვიის საშალებით 1918 წელს. ბევრისთვის სამწუხაროდ, მან ეს არ გააკეთა.**

1918 წლის 28 სექტემბერს ბრიტანელი რიგითი ჯარისკაცი ჰენრი ტენდი, რომელიც ფრანგულ სოფელ მარკოინგთან მსახურობდა, წააწყდა დაჭრილ ადოლფ ჰიტლერს, რომელიც იმ დროს 29 წლის იყო. სულ მცირე ძალისხმევა იყო საჭირო იმისთვის, რომ ჰენრის სასიკვდილო გასროლა განეხორციელებინა, გამომდინარე იქიდან, რომ მთელი დღე გერმანელებს ებრძოდა, თუმცა კვამლიდან სინათლეზე კოჭლობით გამოსული ჯარისკაცის დანახვისას ტენდიმ ცეცხლი არ გახსნა და შეტევა გადაიფიქრა.

ჰიტლერმა მადლობის ნიშნად თავი დაუკრა და გაუჩინარდა. ტენდის ჰქონდა შანსი, რამდენიმე წამში ისტორია მკვეთრად შეეცვალა, მაგრამ მან რატომღაც ჰიტლერის მიმართ სიმპათია იგრძნო. ეს ამბავი შემდეგი 20 წელი თითქმის არც გახსენებია.

1938 წელს ომის თავიდან ასაცილებლად დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი ნევილ ჩემბერლენი გერმანიაში ესტუმრა ადოლფ ჰიტლერს. ჰიტლერმა სტუმარი ბავარიაში, ბერხტესგადენში მიიღო. მის თავშესაფარს უხვად ამშვენებდა გერმანული ხელოვნების ნიმუშები. ჩემბერლენი კი დააინტერესა ფორტუნიო მატანიას ნამუშევრის ასლმა, რომელზეც ჩანდა, თუ როგორ ატარებდა მხრებით რიგითი ტენდი დაჭრილ თანამებრძოლს. პრემიერმინისტრმა მეტი ინფორმაციის მიღება ისურვა, რაზეც ფიურერმა მიუგო:

**„ამ ადამიანს ისე ადვილად შეეძლო ჩემი მოკვლა, რომ ვფიქრობდი, გერმანიას ვეღარასდროს ვიხილავდი; მაგრამ განგებამ მიხსნა იმ სატანური ცეცხლისგან, რომლითაც ინგლისელი ბიჭები გვიტევდნენ".**



ჰიტლერმა ჩემბერლენს სთხოვა, რიგითი ტენდისთვის ულრმესი მადლობა გადაეხადა, რაც პრემიერმინისტრმა სატელეფონო ზარით განახორციელა. შემდეგ წელს ომი დაიწყო. გერმანიის მიერ დიდი ბრიტანეთის აქტიური დაბომბვის პერიოდში ტენდი ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს და შემდგომში ერთ-ერთ ჟურნალისტთან სინანული გამოთქვა: „ნეტა, წინასწარ მცოდნოდა, როგორ პიროვნებად ჩამოყალიბდებოდა. მისი ბრძანებით დახოცილ ქალებსა და ბავშვებს რომ ვხედავდი, ძლიერ ვწუხდი, რომ ცოცხალი გავუშვიო".

ჰენრის სიცოცხლის ბოლომდე ტანჯავდა იმაზე დარდი, რომ 1918 წელს ჰიტლერი არ მოკლა. 49 წლის ასაკში მან ისევ გადაწყვიტა ჯარში სამსახური და ყველას აუწყა, ამჯერად ჰიტლერი ვერსად გამექცევაო, თუმცა ყველა მისი მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. ტენდი გარდაიცვალა 1977 წელს, 86 წლის ასაკში, ინგლისის ქალაქ ქოვენტრიში.





## 13 წელია, უსახლკარო კაცს ცხედართან ერთად საფლავში ძინავს

**ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუში მცხოვრებ უსახლკარო კაცს, 47 წლის ფაბიო ბერალდო რიგოლოს, 13 წელია, ცხედართან ერთად საფლავში ძინავს.**

სასაფლაოზე ცხოვრება ფაბიომ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ნარკოტიკების მოხმარების გამო ჯერ სამსახური დაკარგა, შემდეგ კი ოჯახმა სახლიდან გააგდო. ის გარდაცვლილი მეგობრის საფლავზე წავიდა და იქ დასახლდა. 6-კაციან აკლდამაში 6 გვამი და ერთი ცოცხალი ფაბიოა.

**„ძალიან მინდა, სახლი მქონდეს. შანსი რომ მომცენ, სამსახურში დავბრუნდებოდი. მკვდარი მკვდრებთან ვცხოვრობ. აქ სამარისებური სიჩუმეა, ვერავის ველაპარაკები. 13 წელია, ასე ვარსებობ. სულები არ შემხვედრია, არც ღამე გარდაცვლილებთან ერთად ძილი მაშინებს. გარდაცვლილების არ მეშინია, სიცოცხლის მეშინია",** — ამბობს ფაბიო.

## ხილი, რომელიც ყველაზე აქტიურად ებრძვის კიბოს

**ამერიკელმა მეცნიერებმა დაასახელეს ხილი, რომელშიც ყველაზე დიდი რაოდენობითაა ანტიკარცეროგენული შემადგენლობა.**

**ყველაზე ძლიერი კიბოს საწინააღმდეგო მოქმედება ტროპიკულ გუანაბანას აქვს.** ხილი ხე გრავიოლას ნაყოფია, რომელსაც ასევე უწოდებენ „არაჟნის ვაშლს". ამ ხილის წვენს შეუძლია კიბოს უჯრდები მოკლას. ნაყოფი გემრიელია და არ აქვს ის ნეგატიური შედეგები, რაც ქიმიოთერაპიას.

ქვეყნებში, სადაც ეს ხილი იზრდება, ირწმუნებიან, რომ გუანაბანა ყველა ფორმის კიბოს კურნავს. ხილის სამშობლო სამხრეთ ამერიკაა. 1970 წელს ჩატარდა 20 კვლევა, რომლის შედეგადაც დამტკიცდა, რომ გუანაბანას ექსტაქტი ანადგურებს 12 ტიპის კიბოს ავთვისებიან უჯრედებს. მათ შორის შველის მსხვილი ნაწლავის, სარძევე ჯირკვლის, პროსტატის და კუჭქვეშა ჯირკვლის სიმსივნეებს.

გუანაბანა დაბალი მცენარეა და მას მსხვილი ნაყოფი აქვს. ეს ტროპიკული ხილი ნედლი უნდა მივირთვათ. მას ასევე იყენებენ კოქტეილებსა და ტკბილეულის მოსამზადებლად.

კიბოს საწინააღმდეგო მოქმედების გარდა, ხილს ანტიპარაზიტული და სოკოს საწინააღმდეგო თვისება აქვს. ის აწესრიგებს წნევას. ასევე გამოიყენება როგორც ანტიდეპრესანტი და ანტიბიოტიკი.









## რატომ იყინება ცხელი წყალი ცივზე სწრაფად?

**ეს მოვლენა ცნობილია, როგორც მპემბას ეფექტი. 1963 წელს ტანზანიელმა სტუდენტმა ერასტო მპემბამ შენიშნა, რომ ცხელი ნაყინი ცივზე სწრაფად იყინებოდა. თუმცა, ისტორიაში პირველად ეს მოვლენა არისტოტელემ აღწერა ძველი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნეში. მას მოჰყვნენ ფრანსის ბეკონი და რენე დეკარტი.** სინგაპურში მდებარე ნანიანგის ტექნიკური უნივერსიტეტის მკლევართა ჯგუფმა კი დაადგინა, რომ ამის მიზეზი ის ქიმიური კავშირია, რომელიც წყალს კრავს, ანუ ატომებს შორის არსებული მიზიდულობა. წყლის მოლეკულა შედგება წყალბადის ორი და ჟანგბადის ერთი ატომისგან. ზოგჯერ მათ შორის ელექტრონების გაცვლაც ხდება ხოლმე. ჯგუფის განცხადებით, როცა წყლის მოლეკულები ახლო კონტაქტში არიან, ბუნებრივი განზიდვის ძალა კოვალენტურ ბმას ენერგიის დაგროვებას აიძულებს. რაც შეეხება ცხელ სითხეს, მოშორებით მყოფი მოლეკულები უფრო „მოდუნებულია“ და ენერგია იკარგება, რაც მის უფრო სწრაფ გაციებას იწვევს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 10 ყველაზე ცუდი ავტომობილი

**ბრიტანულმა გამოცემა Auto Express-მა ყველაზე ცუდი ავტომობილების სამომხმარებლო რეიტინგი შეადგინა, ავტომობილები ქვეყნის ტერიტორიაზე ბოლო 25 წლის მანძილზე იყიდებოდა.**



ROVER CITYROVER

**პირველი ადგილი** ექსპერტებმა მიანიჭეს მოდელ **Rover CityRover**-ს, რომლის წარმოებაც 2003 წელს დაიწყეს. ავტომობილი ბრიტანულმა კომპანია MG Rover-მა გამოუშვა. კომპანია წარმატებული გასული საუკუნის 50-60-იან წლებში იყო.

მიუხედავად გონივრული ფასისა — 7 000 ფუნტი, გაყიდვები ცუდმა ხარისხმა ჩააგდო. CityRover სადემონსტრაციო დარბაზებში დიდხანს არ მდგარა — 2005 წლის აპრილში Rover-ის წარმოება შეჩერდა.


SUZUKI X-90

1990-იან წლებში კომპანია **Suzuki**-ი **Krosover Vitara**-ს და **Rodster Cappuccino**-ს გაყიდვების წარმატებით ტკბებოდა. კომპანიამ ამ ავტომობილებით ავტობაზარზე საკუთარი განსაკუთრებული ნიშა დაიკავა, მაგრამ მახინჯი **X-90** განსაკუთრებული აღმოჩნდა, რაც მას რეიტინგში **მეოთხე ადგილის** დაკავებაში „დაეხმარა“.

ორადგილიანი მინიჯიპი მსუბუქი ავტომობილის საბარგულითა და გადასახდელი თავით ცუდ გზებზე მოძრაობისთვის ადაპტირებული არ იყო და საშინელი დიზაინი ჰქონდა. ამ მიზეზების ერთობლიობამ გამოიწვია ის, რომ X-90 ცუდად გაიყიდა და მისი გამოშვება შეწყვიტეს.


NISSAN SERENA


CITROEN C3 PLURIEL


DAIHATSU MOVE

**მეორე ადგილს** 1997 წლის **Daihatsu Move** იკავებს. ამ მანქანის სარეკლამო სლოგანი ასეთია: „უჩვეულო — გარედან, ჭკვიანი — შიგნიდან“. მაგრამ მყიდველები უყურებდნენ მხოლოდ ექსტერიერს, რომელიც ნამდვილად უცნაური იყო და სხვა კომპაქტურ ავტომობილებს ანიჭებდნენ უპირატესობას. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ, მიუხედავად საშინელი გარეგნობისა, ავტომობილი იაფი და საიმედო იყო.


RENAULT AVANTIME

„უიღბლო“ ავტომობილების რეიტინგს აგრძელებს 2001 წლის **Renault Avantime**, რომელიც საპატიო მეხუთე ადგილს იკავებს. პროგრესული დიზაინის დიდი ტევადობის უნივერსალმა 2002 წელს გამოცემა Auto Express-ის ექსპერტების მოწონება დაიმსახურა. მაგრამ, მიუხედავად თაყვანისმცემლების არმიისა, ამ ავტომობილის გაყიდვები უმნიშვნელო იყო. მიზეზად კი ის სახელდება, რომ ავტომობილი ახალგაზრდებისთვის, რომელთაც ავანგარდული დიზაინი მოსწონდათ, ძვირი, ხოლო ლუქსის ტიპის ავტომობილების კონსერვატიული მყიდველებისთვის ზედმეტად რევოლუციური იყო.


RENAULT AVANTIME

KABRIOLETI CHRYSLER PT CRUISER CONVERTIBLE




**მესამე ადგილს** იკავებს **Mitsubishi Carisma**, რომელიც 1995 წელს გამოუშვეს. ასეთი სახელის ავტომობილი ელეგანტური და დასამახსოვრებელი უნდა იყოს, მაგრამ მყიდველებს Ford Mondeo-ს უცნობ „კლონს“ სთავაზობდნენ.

მარკეტოლოგების შეფასებით, ეს მოდელი იაპონელი მწარმოებლების ყველაზე წარმატებული მცდელობა იყო, ევროპელების ყურადღება მიეპყროთ.



SKODA ESTELLE

რეიტინგში ასევე მოხვდნენ 1988 წლის **Skoda Estelle**, 2001 წლის **Lexus SC 430** და 1992 წლის **Nissan Serena**, რომელიც ყველაფრით კარგი იყო, გარდა დინამიკისა: მანქანა 100 კმ/სთ-მდე სიჩქარეს 28 წამში კრეფდა.





LEXUS SC 430

„უიღბლო“ ვატომობილების ბოლო სამეულში შევიდნენ: **Citroen C3 Pluriel** (2003), **Kabrioleti Chrysler PT Cruiser Convertible** (2005) და პოლონური FSO თავისი მოდიფიკაციით **Fiat 125p.**


FSO FIAT 125P

# რუსეთი უკრაინას გაზს გაუიაფებს



**ახალი, 2014 წლიდან რუსეთი უკრაინას 15 მილიარდი დოლარის კრედიტს გამოუყოფს და უზარმაზარ ფასდაკლებას გაუკეთებს გაზზე — ასეთია ძირითადი შედეგი ორი ქვეყნის პრეზიდენტების — ვლადიმერ პუტინისა და ვიქტორ იანუკოვიჩის მოლაპარაკებებისა, რომელიც მოსკოვში გაიმართა.**

ამ დროისთვის ცნობილია, რომ 2014 წლის 1 იანვრიდან 1000 კუბმეტრ გაზს უკრაინა მიიღებს არა დაახლოებით 400 დოლარად, როგორც ეს აქამდე იყო, არამედ 268,5 დოლარად. ამასთან, ახალ წლამდე, 2013 წლის ბოლო კვირების განმავლობაში, მოსკოვი დაიწყებს უკრაინული ევროობლიგაციების შეძენას ეროვნული კეთილდღეობის ფონდის სახსრებიდან და მათში დახარჯავს 15 მილიარდ დოლარს.

ცხადია, პუტინი ტყუილუბრალოდ არ გადაწყვეტდა კიევის დახმარებას. როგორც ჩანს, კიევმაც საკუთარ თავზე გარკვეული ვალდებულებები აიღო მოსკოვის წინაშე, მაგრამ ამის თაობაზე ინფორმაცია არ ვრცელდება და, შესაძლოა, მათი მოლაპარაკების დეტალებზე საზოგადოებამ ვერც ვერასდროს შეიტყოს.

რამდენ ხანს შენარჩუნდება აღნიშნული ფასი გაზზე და რა ვადით აძლევს რუსეთი უკრაინას კრედიტს, ეს პრეზიდენტებს არ დაუკონკრეტებიათ, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმას, რომ პუტინისა და იანუკოვიჩის მოლაპარაკებას პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა.

ბოლო წლების განმავლობაში „გაზპრომი" სულს ხდიდა უკრაინას მაღალი ფასებით და გაიაფების ყოველ მოთხოვნაზე კიევს სასამართლოთი ემუქრებოდა.

ერთი შეხედვით, იანუკოვიჩის პუტინთან მოლაპარაკება მის პოლიტიკურ თვითმკვლელობას ჰგავს: მაშინ, როცა ევრომაიდანზე ხალხმრავალი მიტინგია, პრეზიდენტი მიემგზავრება მოსკოვში და რუსეთთან მჭიდრო ეკონომიკურ ალიანსს ამყარებს.

სინამდვილეში ყველაფერი მთლად ასეც არაა. რამდენიმე თვის მანძილზე იანუკოვიჩმა პირველად შეაფასა, თუ რა ღირს მოსკოვთან მეგობრობა. აღმოსავლელი მეზობელი მზად აღმოჩნდა საიმისოდ, რომ გულუხვად გადაეხადა, რათა უკრაინა ფორმალურად დარჩენილიყო მისი ინტერესების სფეროში. ამ ეტაპზე მსგავსი შემოთავაზების გაკეთება კიევისთვის არც ერთ ევროპულ სახელმწიფოს არ შეეძლო.

ევროინტეგრაციის მომხრე უკრაინელებისთვის იმდენად გამაღიზიანებელი აღმოჩნდა „აღმოსავლეთ ფრონტზე" ქვეყნის პრეზიდენტის მიერ მიღწეული წარმატება, რომ 2014 წელს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება მოითხოვეს.

# მთავარი პროკურატურა ვანო მერაბიშვილზე ზეწოლის ფაქტს კატეგორიულად უარყოფს

**მთავარი პროკურატურა „ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივნის, ვანო მერაბიშვილის, ბრალდებასთან დაკავშირებით ოფიციალურ განცხადებას ავრცელებს. უწყება ყოფილი პრემიერის მიერ გაკეთებულ განცხადებას აბსურდულს უწოდებს და მერაბიშვილზე ზეწოლის ფაქტს კატეგორიულად უარყოფს.**



„ივანე მერაბიშვილის განცხადება არის სრულიად აბსურდული და არ შეესაბამება რეალობას. მთავარი პროკურატურა კატეგორიულად უარყოფს აღნიშნულ პირზე რაიმე სახის ზეწოლის ფაქტს და ხაზს უსვამს — მას შემდეგ, რაც მერაბიშვილის ბრალდების სასამართლო პროცესი დასკვნით ფაზაში გადავიდა, ბრალდებულების და მათი გულშემატკივრების მხრიდან სხვადასხვა ქმედებები ხორციელდება, რაც მიზნად ისახავს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და პროცესის მონაწილეებზე ზეწოლის განხორციელებას. ასეთ ქმედებას ადგილი ჰქონდა ივანე მერაბიშვილის წინა სასამართლო პროცესზეც, რომლის დროსაც ბრალდების მხარის მოწმის — რ. სულამანიძის დაკითხვისას, ამ უკანასკნელის მიმართ განხორციელდა სიტყვიერი შეურაცხყოფა და მუქარა. ამ ფაქტთან დაკავშირებით მთავარ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება. ასევე პროცესის შემდგომ ბრალდებულები და დაცვის მხარე რამდენიმე დღის განმავლობაში ცდილობდნენ, შეცდომაში შეეყვანათ, თითქოს რ. სულამანიძეს არ მიუცია სასამართლოზე მერაბიშვილის დანაშაულში მამხილებელი ჩვენება, რაც არ შეესაბამება რეალობას და სრულად დაფიქსირებულია სასამართლო სხდომის ოქმში. ასევე, ამ ბოლო დროს გახშირდა სპეკულირების ფაქტები სხვადასხვა პირის მხრიდან ყოფილი პრემიერის — ზურაბ ჟვანიას საქმეზე, რომელსაც მთავარი პროკურატურა უკავშირებს აღნიშნულ საქმეზე საგამოძიებო ქმედებების გააქტიურებას და ამ საქმესთან დაკავშირებულ მაღალ საზოგადოებრივ ინტერესს", — **ნათქვამია განცხადებაში.**

ამასთან, მთავარი პროკურატურა ხაზგასმით აცხადებს, რომ, „უსაფუძვლო და არასერიოზული განცხადებების მიუხედავად, უწყება ამ და სხვა საქმეებზე ჩაატარებს სრულყოფილ და ობიექტურ გამოძიებას და განუხრელად გააგრძელებს მისთვის კანონით დაკისრებული ვალდებულების შესრულებას".

ამასთან, ყოფილმა პრემიერმინისტრმა, ვანო მერაბიშვილმა, ქუთაისში მიმდინარე სასამართლო სხდომაზე მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე ზეწოლაში დაადანაშაულა.

**„პარასკევს, გვიან ღამით, შაბათს 2-ის ნახევარზე გამომიყვანეს ციხიდან, ჩამსვეს მანქანაში, თავზე გადამახურეს ჩემივე მოსაცმელი და წამიყვანეს, ჩემი ვარაუდით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტში. იმ კაბინეტში დამხვდა ორი ადამიანი. პირადად მთავარი პროკურორი ფარცხალაძე დამემუქრა, რომ, თუ „ვითანამშრომლებდი" ზურაბ ჟვანიას საქმეზე და ასევე მივაწვდიდი ინფორმაციას სააკაშვილის „ნაშოვნი ფულის" ადგილსამყოფელზე, მაშინ მომცემდა შანსს ქვეყნიდან გასვლის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ციხეში გამიუარესდებოდა პირობები და ჩემს პოლიტიკურ თუ არაპოლიტიკურ მეგობრებსაც დაიჭერდნენ",** — განაცხადა მერაბიშვილმა.

# მიხეილ სააკაშვილი ნიუ იორკის უნივერსიტეტებში რეფორმირების პროგრამაზე იმუშავებს



**საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ის ნიუ იორკის რამდენიმე წამყვან უნივერსიტეტში რეფორმირების პროგრამაზე მუშაობს.**

ამის შესახებ სააკაშვილმა უკრაინულ ტელეკომპანია „112 უკრაინასთან" ინტერვიუში განაცხადა. ამით მიხეილ სააკაშვილმა ჟურნალისტის კითხვაზე უპასუხა, თუ რას აკეთებს ნიუ იორკში და რატომ არ იმყოფება საქართველოში.

**„ამერიკის შეერთებულ შტატებში რამდენიმე უნივერსიტეტისთვის ვმუშაობ პროგრამაზე, ჩვენი ქვეყნების რეფორმირების შესახებ.**

**თავის დროზე მე დავამთავრე კოლუმბიის უნივერსიტეტი, ვცხოვრობდი ნიუ იორკში. თბილისისა და კიევის შემდეგ, ნიუ იორკი არის ჩემთვის ყველაზე ახლობელი და მშობლიური ქალაქი.**

**მაქვს ძალიან კარგი და სერიოზული წინადადება წამყვანი ამერიკული უნივერსიტეტისგან. როდესაც ამ პროგრამაზე მუშაობას დავასრულებ, რა თქმა უნდა, დავბრუნდები საქართველოში და ჩავერთვები პროცესებში",** — განაცხადა სააკაშვილმა.

# უცნობი პუტინი




**არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა" გამოსცა წიგნი „უცნობი პუტინი". წიგნში მოთხრობილია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პირადი ცხოვრების და სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობებზე მუშაობის დროს მის მიერ განხორციელებული პროექტების, ქვეყნის გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებების, აგრეთვე, ბოლო ათი წლის განმავლობაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ცალკეული მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ.**

**ვლადიმერ პუტინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნის შეძენა შეგიძლიათ „ბიბლუსის" და „ბესტსელერის" მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, წიგნების მაღაზია „სამშობლოში" (ყაზბეგის გამზ. №4).**




**არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა" გამოსცა ცნობილი პოლიტოლოგის, პროფესორ ალექსანდრე ჭაჭიას წერილების, გამოსვლებისა და ინტერვიუების კრებულის მეორე ტომი. პირველი ტომი 2002 წელს გამოიცა. მეორე ტომი ორი ნაწილისგან შედგება, პირველ ნაწილში წაიკითხავთ ალექსანდრე ჭაჭიას 2012-1013 წლების პუბლიკაციებს, ხოლო მეორე ნაწილში — 2001-2011 წლების ინტერვიუებს, წერილებს და გამოსვლებს.**

**ათეული წლის წინათ გამოქვეყნებული ინტერვიუები და წერილები, სამწუხაროდ, დღევანდელობას ისე ესადაგება, თითქოს არც დრო შეცვლილა და არც ხელისუფლება.**

**კრებულის შეძენა შეგიძლიათ „ბიბლუსისა" და „ბესტსელერის" მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, წიგნების მაღაზია „სამშობლოში" (ყაზბეგის გამზ. №4)**


# ძვლის პრობლემები

მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემებზე, კოქსართროზი, ოსტეოქონდროზის, ოსტეპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზი, პოდაგრული ართრიტი, დაზიანებული ხრტილის და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, ასევე გახდომა თვეში 5-15 კგ მიღებული შედეგის შენარჩვნებით დიეტებისა და ვარჯიშების გარეშე, ცხიმების აქტიური წვა, ჰორმონალური და ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენებების გარეშე 100% გარანტიით.

**ტელ. 218-46-08 (ოფისი)**
**555-62-09-01 ექიმი ქ-ნი მეგი**

# მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისაგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**

ყოველკვირეული გამოცემა
საქართველო & მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009